და ხან მისგან. მის დაუკითხავად არავისთვის მიმიცია თანხმობა. რობიკოს წასვლის შემდეგ სამხატვრო საბჭო ავირჩიეთ და მათთან შეთანხმებით იდგებოდა თეატრში სპექტაკლები. გასაგებია, რომ აქედან რაღაც კარგია, რაღაც ნორმალურია, რაღაც ცუდია, მაგრამ თეატრში ჩქეტს სიცოცხლე, მსახიობები დაკავებული არიან.

— თქვენს უკვე ყოფილმა მოადგილემ, მარინა სალარაძემ თქვა, მე აღარ მინდა, იმ პრიაცეს ვაღვესო თვალა, რიცა რიბერტ სტურუა დაუქს-სასურებლად გაუშვებს მსახიობებს თეატრიდან.

— ჩემთან ერთად მუშაობის პერიოდში მას უსამართლო გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა, როცა მივედი, უსამართლობის რამდენიმე მაგალითი დამხვდა თეატრში. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარი იყო, რომ მთელი დასი იღებდა დახმარებას „ქართუ ბანკიდან“ და ეს დახმარება რატომღაც არ ჰქონდა ზაზა ლებანიძეს.

ჩემი მისვლის შემდეგ ზაზა ლებანიძემაც აიღო. მსახიობი როცა არასწორად იქცევა და მას სჯის სამხატვრო ხელმძღვანელი, ამას ვეთანხმები, მაგრამ ამ ბოლო დროს უფრო პირიქით ხდება. როცა მსახიობი რა-

ღაცას აშავეს, რობიკო ხელს აფარებს. თეატრში გარკვეული დიქტატურა საჭიროა, რადგან მსახიობი ჯარისკაცია, რომელსაც არ აქვს უფლება, რაღაცაზე უარი თქვას და უკან დაიხიოს. უსამართლობაა, როცა სეზონზე მსახიობის გამო სპექტაკლი სამჯერ მოიხსნა სპექტაკლი. მსახიობმა უკვე მესამედ განაცხადა, რომ ავად არის.

— ვისზეა საუბარი?

„ბოლო პერიოდში დაჯიხა შემოსავალი, ხდგან სტუხას ბუჩი სპექტაკლი გარეხა, ასევე — ზაზა ჰაჭაშვილის ნახვის გამოც. სახენია, ხომ ზაზა ისეთ ინტენსივობით აღახ თამაშობს და აღბთ ამის გამო თავდაც ნებს“.

— ბესიკ ზან-გურზე.

— ბესიკ ზანგურის სტურუას ერთგული მსახიობი, მათი პოლიტიკური შეხედულებებიც ერთნაირია.

— არ ვიცი ზანგურის შეხედულებები და არც ვიცი, აქვს თუ არა რამეზე შეხედულება, მაგრამ ფაქტი ეგ არის. მაგალითად, მე მითამაშია 42 გრადუსი სიცხით. უამრავი ადამიანია, რომელსაც მსგავს მდგომარეობაში უთამაშია. მამა მყავდა გარდაცვლილი და სცენაზე ვთამაშობდი. თეატრი ასეთი დაუნდობელია, ამას ვერსად გავიქცევით. რობიკო ლობიერი გახდა. მას არ ვეთანხმები არჩევანში. ახალგაზრდები, რომლებიც ბოლო დროს მიიღო, თეატრისთვის ანტიჩეხულები არიან. შეიძლება არ იყო ნიჭიერი, მაგრამ იყო თეატრის ადამიანი.



■ რობერტ სტურუა

„ვთვლი, რომ სტურუა თეატრში უნდა დაჩინდეს. ახ მიწოდება, მისთვის ტვივილი მიმუყენებინა. ის, რომ თეატრში ახვინ მოგვიჩვენო სახმაცხოვ ხელმძღვანელად. იმას ნიშნავდა, იქნებ ისე დაღაბებულიყო ყველაფერი, რომ ბატონი ხობეჩი მობიხელებულიყო“.

— რა აზრის ხართ იმაზე, რომ ის თქვენ უფრო მსახიობი ვიქნება?

— შეიძლება მე ასე ვხედავ და ის — პირიქით. ეს რთული საკითხია, მაგრამ მართლმე ხომ არ ვხედავ ასე? ჩემთან ერთად მყოფებიც ამჩნევენ და ჩემი კოლეგებიც. სანამ მხოლოდ მსახიობი ვიყავი, კულისების მიღმა ვიდექი, იქიდან შემოვდიოდი და იქიდანვე გავდიოდი. თეატრის ხელმძღვანელობის დროს კი მყოფებელთან ერთად ყოფნა მინდოდა და მათი აზრი მაინტერესებდა.

— რობერტ სტურუას თეატრში დაბრუნებადან თუ თქვენ შეუძლებელია დასის განხილვაში მასთან შეხვედრა გქონდეთ?

— არა, მე ვცდილობდი დალაპარაკებას, არაერთხელ დავურქე, მხოლოდ ერთხელ მიპასუხა და თითქოს შევთანხმდით შეხვედრაზე, მაგრამ ეს შეხვედრა აღარ შედგა. შემდეგ მივაკითხე, პირისპირ შეხვედი, მაგრამ გადადო დალაპარაკება. მეორე ოფიციალური წერილი მიემართა. ხელფასების გაცემის დრო იყო და რაღაცეები შესთანხმებული გვემართა. ადამიანი გაგივრბის, არ გეკონტაქტდება... ოფიციალური წერილები მხოლოდ იმით მიპასუხა, რომ გამოავანა დასის სია, რომლის მიხედვით ყველას უნდა გაგრძელებოდა სამი თვით ხელშეკრულება. ეს ჩემთვის მიუღებელია. თეატრს უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, როგორი კატეგორიის მსახიობთა როგორ ხელშეკრულებას ავორმებს.

— ფიქრობთ, რომ თქვენთან ასეთი დამოკიდებულებით რობერტ სტურუამ თეატრიდან წასვლა გააძულა, უნდა იმისა?

— დიახ, ეს შუროსიძეა და რვეინია. მისი დაყინებული მოთხოვნა იყო, ვბრუნდები და უნდა შევითავსო ორივე თანამდებობა. ჩემი ნამოსვლის შემდეგ კულტურის სამინისტრომ იგი სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლა და მმართველად დანიშნა. უცნაური ბრძანება — სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი ისე ვაკანტირება. ეს ყველაფერი ალბათ თავიდანვე იყო გათვლილი. თუ მე არ დავეწინაურებოდი განცხადებას გათავისუფლების შესახებ, რამდენიმე თვეში ალბათ კანონს მიიღებდნენ და გაათავისუფლებდნენ. სტურუას მოთხოვნა თავიდანვე

ერთპიროვნული მართვა იყო. არ მგონია, სწორი იყოს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი ფინანსური პასუხისმგებლობით იყოს დაკავებული. ვფიქრობ, ეს თეატრს ძალიან დააზარალებს. დილით ჩართავ კომპიუტერს და შემოდის ათობით წერილი, რომლებზეც პასუხია გასაცემი და გადასანყვევითა უამრავი საკითხი — ფინანსური, ადმინისტრაციული თუ სამეურნეო. ამ დროს შემოქმედებაზე პარალელურად ფიქრი ფაქტობრივად შეუძლებელია.

— სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ყველაფერი პოლიტიკის უკავშირდება. თქვენ წინა ხელისუფლება გიჭყრდათ მხარს, სტურუას — ახლანდელი. ამ ყველაფრით კი თეატრი და სტუდენტები

ზარალდება.

— არასოდეს გამიკეთებია პოლიტიკური განცხადებები. როცა მმართველის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდა, მივიტანე პროგრამა. შეგიძლიათ გადახედოთ სხვების პროგრამასაც და შეაფასოთ, რამდენად სამართლიანად ამირჩია კომისიამ. იმ პროგრამით წარგმართე თეატრი, რამაც ძალიან გაზარდა თეატრის შემოსავალი. ჩემი მისვლის დროს სალაროს შემოსავალი 80-100 ათასი იყო და 500 ათასამდე გაიზარდა. 7-8 ათასი მყოფი იყო 35 ათასამდე ავიყვანეთ.

— სტურუას სექტაკლების არანტენსიურად დადგმა არ შეამცირა შემოსავალი?

— დიახ, ბოლო პერიოდში დავარდა შემოსავალი, რადგან სტურუას ბევრი სპექტაკლი გაჩერდა, ასევე — ზაზა პაპუაშვილის ნასვლის გამოც. საწყენია, რომ ზაზა ისეთი ინტენსივობით აღარ თამაშობს და ალბათ ამის გამო თავადაც წუხს. რაც შეეხება პოლიტიკის ჩართვას ამ სფეროში, ქვენოფობიური გამოჩენები არ არის პოლიტიკის ნაწილი. ეს ადამიანების ზნეობრივი მხარეა, რომელიც შეცდომები ნაკლებად უნდა დაეფუძვებ. ხელისუფლება მანამდეც უკრიტიკებია დაუნდობლად, მაგრამ იმ ფრანკად მეც აღმოსვითა. მე და რობიკო იმ დროს, როცა ეს დაიბეჭდა, ლონდონში ვიყავით.

ჩემთვის მიუღებელი რეცენზია იყო კორესპონდენტის მხრიდანაც. ვერ მიხვდებით, სად იწყებს ჟურნალისტი და სად აგრძელებს სტურუა. მაშინვე ვუთხარი სტურუას ჩემი აზრი და თვითონაც დამეთანხმა, რომ არ მოსწონდა. მე და რურუა ერთ დროს ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ ახლო მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. უბრალოდ მენდობოდა საქმეში. ჩემი სიმართლით თამაში ვარ.

— როცა ხელისუფლება შეიცვალა, არ ელიდით, რომ თეატრიდან წასვლა მოგეწყობოდა? — არ ველიდი. ვფიქრობდი, რომ ავან-

ყობდი ურთიერთობას, თუმცა რას ვიზამთ, მის ცხოვრებაში მსგავსი ფაქტები არაერთი ყოფილა და ისე არ არის, რომ მინდობინებ ზაზა ჩიქობავა ამოიჩემა. როცა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, შევთავაზე, რომ ნებისმიერ დროს

„მთავახია, ეს ადამიანი ჩამეუნდა გადასცემს სხვას ესტაფეტას. ეს მას ძალიან უჭიხს. ხოგოხე ვიცი, მას ფავოჰიტი მსახიობზე ჰყავს, ხევისხობი — ახა“.

მოსულიყო და დედგა სპექტაკლი. ამის გამო ხელისუფლებიდან პრეტენზია არავის გამოუთქვამს. ვთვლიდი, რომ სტურუა თეატრში უნდა დარჩენილიყო. არ მინდოდა, მისთვის ტვივილი მიმუყენებინა. ის, რომ თეატრში არავინ მოგვიჩვენო სამხატვრო ხელმძღვანელად, იმას ნიშნავდა, იქნებ ისე დალაგებულიყო ყველაფერი, რომ ბატონი რობერტი მობრუნებულიყო. თვალს ვხედავდი იმ მსახიობების უზნეობაზე, რომლებიც რობერტ სტურუასთვის ფავორიტები იყვნენ.

არ მესმის ამ ტიპის თამაშების, რასაც სტურუა თამაშობს, ვერ ვიგებ. აჩემებული და ჯიუტი ბავშვის საქციელი ჰგავს მისი გამოჩენილები. ბავშვი რატომ ტირისო და იმიტომ, რომ გასდისო, ზუსტად ასეა.

— ყველა ნიჭიერი ხელოვანი აქვს უცნაური მხარე.

— კი, მაგრამ ვიცი დიდი ხელოვანები, რომლებიც ასევე კარგი ადამიანებიც არიან. შეიძლება მე ვარ ცუდი ადამიანი, რადგან ასე ვფიქრობ და ვუყურებ. ის ნაბიჯები, რომლებსაც ვდგამ, გვერდიდან ვილაცისთვის ალბათ არასწორია. მთავარია, ეს ადამიანი რამდენად მიიღებს ახალგაზრდების ჩამოყალიბებასა და გაზრდაში მონაწილეობას და რამდენად გადასცემს ის სხვას ესტაფეტას. ეს მას ძალიან უჭირს. როგორც ვიცი, ფავორიტი მსახიობები ჰყავს, რეჟისორები — არა.

— ბატონი რობერტ სტურუა ისევე რუსთაველის თეატრში ცნობილია?

— დიახ, ერთი დღეც არ გასულა იმ სახლიდან. ეს არის დაახლოებით 180 კვადრატული მეტრის ფართი, რომელიც თეატრის მეორე სარ-

თულზე მდებარეობს. სტუდიო ფართია, რომელიც საცხოვრებლად აქვს გადაქცეული და სულ იქ არის ცოლთან ერთად. ჩემმა ნინამორბედა გია თევზაძემ დაუკანონა უკანონო ბრძანების საფუძველზე მუდმივ საცხოვრებლად.

— თეატრიდან წამოსვლის შემდეგ რას აპირებთ, როგორია თქვენი გეგმები?

— არ ვიცი, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. სახლში ვზივარ და ვისვენებ. იმ როლებზეც უარი ვთქვი, სადაც თეატრის მმართველად დანიშნავდა ვთამაშობდი.

✓ რუსუდან ადუაძე

**ნათელხილველი
სალიონა**
გაითხოვს ტაროს
კარტზე და ყაყაზე
აკეთებს თილისხავს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



„უხსოვრიდან ქმარი გაყრას მოსოვს“

მეგონა, ყველაფერი ცუდი წარსულში დავტოვე და ნორმალურ ცხოვრებას დავიწყებდი, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. თუ არ მინყნო, ჩემი ამბის მოყოლას ცოტა შორიდან დავიწყებ. მშობლების წინააღმდეგ წავედი და გავყევი ადამიანს, რომელსაც სამი ძმა ჰყავდა და მხოლოდ ერთი ბინა ჰქონდა. მეც და ჩემი ქმარიც ძალიან მალე მივხვდით, რომ დაქორწინება არ უნდა გვეჩქარა,

რადგან უამრავი პრობლემის წინაშე დავდექით. მერე იძულებული გავხდით, ბინა გვექირავა. ცოლ-ქმარი ქუჩაში დავდექით სავაჭროდ. წლების განმავლობაში უამრავი გაჭირვება, დამცირება, შეურაცხყოფა ავითანე. ყველაფერს ვითმენდი იმისთვის, რომ ოჯახი მქონოდა, თურმე სულ ტყუილად.

ოთხი წლის წინ ჩემი ბიძაშვილის ხელშეწყობით ქმარი უცხოეთში გავაგზავნე სამუშაოდ. გაუმართლა, სამსახური იშოვა და ფეხზე დავდექით. ათას რამეს გვპირდებოდა, მეც ბედნიერი ვიყავი, რადგან ვფიქრობდი, სიღუფეში თავი დავაღწიებ-მეთქი. ამ წლების განმავლობაში ვთხოვდი, მეც წამოვალ, ორივე ვიმუშავებთ და ცხოვრებას უკეთესად ავანჯობთ-მეთქი. ის კი უარს მითვლიდა, ეგლა მაკლია, ჩემმა ცოლმა აქ იმუშაოსო. გულში მისხროდა, აი, როგორ ვუყვარვარ, მიფრთხილდება-მეთქი. ქალებთან ვტრიალებდი, მის სიტყვებს ათასჯერ ვიმეორებდი...

გასულ ზაფხულს კი ჩემთვის ცუდი ამბის შემოპარება დაიწყო. მითხრა, საბუთები რომ მოვანერსო და ლეგალურად ვიცხოვრო, შენ უნდა გაგეყარო და აქაურ ქალზე დავექორწინდეო. მაშინვე უარი ვუთხარი, თითქოს გულმა მიგრძნო, რომ რაღაც ვერ იყო კარგად. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს თხოვნა გამიმეორა. ზღაპარი შეთხზა, რომ ვილაც ქალი გაიცნო, რომელიც თანახმა იყო, თუ ფულს გადაუხდიდა, მისი „დეფაქტო ცოლი“ ყოფილიყო. ისე დამახვია თავბრუ, საბუთების გაკეთება დავიწყე. ჩემი კლასელი იურისტი, სასამართლოში მუშაობს და, პირველ რიგში, მას მივაკითხე. გულახდილად დაველაპარაკე, განქორწინება ამისთვის მჭირდება-მეთქი. გაეცინა და მითხრა, დარწმუნებული ხარ, რომ იქ არავინ ჰყავსო. ელდა მეც! თავიდან კი შევეწინააღმდეგე, მაგრამ მერე, რომ დავფიქრდი, რაღაცეები ცუდად მენიშნა. ქმარს იმ დღესვე დაველაპარაკე და მოვთხოვე, სიმართლე ეთქვა. აღარ დამიმალა და მითხრა, რომ იქ გაიცნო ქართველი ქალი, რომელიც იმ ქვეყნის მოქალაქეა, ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინება სურთ. არც კი დავიჯერე, რომ ქმარი ამ სიტყვებს მუუბნებოდა. გაგიჟებულმა ათასი რაღაც ვუთხარი, მან კი ყველა ის წვრილმანი წამომაყუდრა, რაც ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩემთვის გააკეთა. ბავშვებს რომ პურის ფულს უგზავნიდა, ისიც კი სალაპარაკო გახადა. მითხრა, მხარ-თეძოზე წამოწოლილს გარჩენდიო. ეს ოთხი წელია, რაც აღარ ვმუშაობ, თორემ სულ ჩემით არ ედგა პირში სული?! ორსულიც კი ზაზრობაზე ვიდექი. მეორე შვილზე მშობიარობამდე სამი დღით ადრე ქუჩაში ვიდექი. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ოჯახს გვერდში ამოვდგომოდი და თურმე მხარ-თეძოზე ვწოლივარ! ისე მეტყინა გული...

იმ ქალის მშობლები ვნახე, ვისთანაც ჩემი ქმარი ცხოვრობს. იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოეხადათ ჩემთვის, აქეთ შემომიტიეს. ყოფილ ქმარს რას მისტირი, მათ უკვე შექმნეს ოჯახი და შვილსაც ელოდებიანო. იმ გოგოს დედა შვილთან ნასვლას აპირებს, რომ მშობიარობას დაესწროს, ბავშვის მოვლაში დაეხმაროს. მოკლედ, ჩემმა ქმარმა იქ იდგინა შეიქმნა, არადა ვისი დახმარებით? ჩემი ბიძაშვილის! იქიდან მითვლის, რომ განქორწინების საბუთებს უჩემოდაც მოანერსიგებს. რაც უნდა, ის ქნას, მე არც ხელს შეუწყნებ და არც დავაბრკოლებ.

კიდევ ერთ რაღაცას დავწერ, რაზეც, როგორც დედას, გული ჩამიკვდა. ჩემმა გოგონამ, რომელიც მერვე კლასშია, იმ ქალის შერჩეული კაბა ჩაიცვა. ბუბიამისმა მოუტანა, მამამ გამოგიგზავნაო. მერე „სკაიპით“ ილაპარაკეს მამა-შვილმა და მამის უთხრა, ეგ კაბა ჩემმა ცოლმა შეგიჩინაო. ვითომ უნდა, ჩვენს შვილებს ის ქალი შეაყვაროს. მე ბავშვისთვის არაფერი მითქვამს, მეგონა, თვითონ მიხვდებოდა, რაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ის კაბა მშვენივრად ჩაიცვა, ყოველგვარი პროტესტის გარეშე. როგორც ჩანს, ფულმა დედაშვილობაც კი გადაწონა და ცოლქმრობაც. მე კი რა მახადია? არაფერი! ჯანმრთელობაც კი ოჯახს შევწირე. ჩიხში შევედი, გამოსავალს ვეღარ ვპოულობ.

„სარძის“ პირობული მპითხველი

გამომხატველის მხარველები დახმარებენ და დაეხმარებიან თქვენც:

296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმისთვის იმისთვის მჭიდროდ
ან იხსნა ბარბაქაძე, 11-ლან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სანი გზით:

1. ვებ-საიტს sana.ge-ს, ლაინ-ჩატის მეშვეობით „მომხატველი“ და დაეხმარები თქვენი ისტორიის.
2. გამოგზავნეთ სმ-ით ნომერზე 1779 მატომიდან და ჯიოსნომიდან.
3. სმ-ის ფანსა 50 თითქმის.
3. ელფოსტაზე: firmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

„სხვისმა ძალღმა ჩემი მეორე ნახევარი გააოხრინა“

41 წლის ასაკში დავქორწინდი. ჩემი ბერბიჭობა ყველას სალაპარაკო და სასუმარო თემა იყო. იუმორს არც მე ვუჩივი და ამაზე ბევრს ვიცინოდი. დაქორწინებას მინც არ ვქარობდი. განა ვინმეს ვინუნებდი, არა, უბრალოდ ვერც ერთ ქალზე შევძელი მეფიქრა, რომ ჩემი ცოლი გამხდარიყო. გულთან ახლოს არავინ მოვიდა.

ერთ დღეს დისშვილმა დამირეკა და მთხოვა, დასასვენებლად მივდივართ და ჩემს ძალღს ვერავის ვუტოვებ, შენ გყავდესო. უარი ვუთხარი. ძალღი არასდროს მყოლია, ვერ მოუვლი-მეთქი. ტირილი დაიწყო, მამა მემუქრება, ეგ ძალღი სხვას უნდა ვაჩუქო.



ბავშვი ძალიან შემეცოდა და მაშინვე დავთანხმდი. იმ ძალღს ჩემს სახლში როგორ მოვიყვანიდი! რომ წარმოვადგინე მისი ბალანი ჩემს ბინაში, გული ლამის შემინუხდა. ამიტომ ჩემს დასთან გადავედი ორი კვირით. დისშვილმა ჩამომინერა, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა. ერთ-ერთი პუნქტი სეირნობა იყო. მეც მეტი რა გზა მქონდა, დილა-საღამოს ვასეირნებდი. ერთ საღამოს კი გავიცანი ქალი,

რომელიც ჩემი მეორე ნახევარი გახდა. ჩემი დისშვილის ძალღი ისე მოეწონა, მოვარდა და კოცნა დაუწყო. ბოდიში და, გული ამერია. ვფიქრობდი, ფუ, ეს რა ქალია, ძალღს დრუნჩხუ კოცნის-მეთქი. არაფერი მითქვამს. მეორე საღამოსაც იგივე განმეორდა, ოღონდ ამჯერად ძალღი გაიქცა მისკენ და ფეხებში დაუნვა. ვუთხარი, ჩემს ძალღს შეუყვარდით-მეთქი. ისე გაიცინა, ისეთი მსიარული თვალებით შემომხედა, შემიყვარდა. არ ვიცი, იმ წამში რა მოხდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ მეორე ნახევარი ვიპოვე.

გამოველაპარაკე, ავუსხენი, რომ ჩემი დისშვილის ძალღი იყო და მოვლა მიჭირდა. ერთ დღეს კი მას ვთხოვე, გასეირნებინა, რადგან მე დრო არ მქონდა. სიხარულით დამთანხმდა. მადლობის გადახდა კი კაფეში დააპატიჟებთი გადავწყვიტე და ასე შედგა ჩვენი ურთიერთობა. მასაც შეუყვარდი და ოჯახი შევქმენით.

ჩვენს ქორწილზე ჩემმა სიძემ ზუსტად იმ ჯიშის ლევიკი მოგვართვა. გვითხრა, ძალღებს უმადლოდეთ, რომ ერთმანეთი იპოვეთო. ასე რომ, ვისაც ჯერ კიდევ არ გიპოვიათ მეორე ნახევარი, იყიდეთ ძალღი, გამოაბით საბელი და ასეირნეთ, იქნებ ჩემსავით გაგიმართლოთ!

„სარძის“ მპითხველი

„ჩემი შვილი ზირის, ცოლი არ უნდა მომეყვანაო“

ჩემი შვილის საცოდაობით გული მიკვდება. აღარ ვიცი, როგორ დავუმარო. ვხვდები, რომ მომავალი გამირუდა, გამოსავალს კი ვერ ვპოულობ. თქვენს ყურნალს ბევრი მკითხველი ვყავს, მათ შორის — სკოლის მოსწავლეებიც, ამიტომ ჩემი შვილის ამბავი შეიძლება გაცვეთილად გამოადგეთ.

13 წლის იყო, როცა გამიმხილა, რომ შეყვარებული ჰყავდა. ის გოგო სიგიჟემდე უყვარდა, მისთვის საჩუქრებს ყიდულობდა. კლასელები იყვნენ, მათ შორის ვერ ჩავდებოდი. ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რატომ არ უშლი, სულ ერთად რომ დადიანო. მე კი ვპასუხობდი, როგორ შემიძლია ორი ანგელოზის ურთიერთობას ხელი შევეშალო-მეთქი. მართლაც ისეთი გულწრფელები, ისეთი საყვარლები იყვნენ, მათ როგორ შევენიშნა მდგომარეობა. სხვათა შორის, იმ გოგოს დედაც ასეთ პოზიციაზე იყო. სულ მეკონტაქტებოდა და მეუბნებოდა, რომ დავუშალო, სადმე გაიპარებიან, სხვაგან შეხვდებიან ერთმანეთს და უარესია, ჯობია, ჩვენ თვალწინ იყვნენ, რომ არაფერი გამოგვეპაროსო. ხშირად ჩხუბობდნენ, იბუტებოდნენ, მაგრამ მერე ისევ რიგდებოდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს.

17 წლის იყვნენ, როცა ჩემი შვილი მოვიდა და მითხრა, ახლა აქ ჩემი ცოლი მოვა და უნდა მიიღო. გავგიჟდი, არ ველოდი, რომ დაქორწინებას მოინდომებდნენ, მაგრამ მათ ასე გადაწყვიტეს. მანამდე ამბობდნენ, უნდა ვისწავლოთ, ვიმუშაოთ და ოჯახს მერე შევქმნიოთ. მეგონა, მართლა ასე ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდულმა პორმონებმა იმძლავრა. ვეღარ შევენიშნა მდგომარეობა ან რა უნდა მეთქვა, როცა ის გოგოც შვილივით მყავდა მიღებული?

ჩემი რძლის მშობლებიც და ჩვენც ვცდილობთ, ხელი შევეწყნოთ, რომ კარგი ოჯახი ჰქონდეთ, მაგრამ არ გამოგვდის. ცოლ-ქმარი სულ კინკლავობენ, ჩხუბობენ. ყოველთვის ჩემს შვილს ვამტყუნებ, ვიცი, ზოგჯერ უსამართლოდ ვტყენ გულს, ჯერ კიდევ პატარაა, ბევრი რამ ეშლება. ასეთ დროს ისეთი უსუსურია ხოლმე, მინდა, გულში ჩავიხუტო, მოვეფერო, მაგრამ მაინც მკაცრ სახეს ვიღებ, რომ ცოლთან ის არის დამნაშავე.

გუდაურში გავუშვით დასასვენებლად, მეგონა, გამხიარულდებოდნენ, ერთმანეთს უფრო დაუახლოვდებოდნენ, მაგრამ სამ დღეში უკან ჩამოვიდნენ. თურმე ისე იჩხუბეს, უცხო ადამიანებმა გააშველეს.

აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. ჩემი რძალიც ძალიან მეცოდება. ოჯახი რომ დაენგრეთ, მასაც ხომ გაუმრუდდება მომავალი. ორ ცეცხლშუა ვარ, ასეთი დაბნეული არასოდეს ყოფილვარ.

ამას წინათ მე და ჩემი შვილი მარტო დავრჩით. დრო მოვიხელთე და შვილს დარიგება დავუწყე, ვთხოვე, ცოლის მიმართ მეტი ყურადღება გამოეჩინა. ტირილი დაიწყო, არ უნდა დავქორწინებულიყავიო. ისე ეკითხებოდა, გავგიჟდი, მეც ბევრი ვიტირე. აუუსხენი, შვილები გეყოლებათ, ამ პერიოდს გადალახავთ და ბედნიერები იქნებით-მეთქი. ჩემი ნუგეში არაფერს შველის. ეს არის ორი ბავშვის ტრაგედია, რომელთა ყურებაც ძალიან მიჭირს.

ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ უფროსებმა რაღაცეები უნდა შეეცვალოთ. თუ ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ, არ არის საჭირო, მაინცდამაინც ცოლქმარულ უღელში გავაყოფინოთ თავი. იცხოვრონ ერთად, თუ გაუგებენ ერთმანეთს, მერე შექმნან ოჯახები. არ გეგონოთ, ბიჭის მშობელი რომ ვარ, ამას იმიტომ ვამბობ. მე გოგოც მყავს და ბოლო დროს ამ თემაზე ბევრს ვფიქრობ. ჩვენთან გოგომ რომ ქორწინების გარეშე ბიჭთან იცხოვროს, ჩაქოლავენ, ყველა გარიყავს, ამიტომაც გარბიან მშაჩის ბიუროებში, მერე კი ეს რითიც მთავრდება, კარგად ვხედავთ. თუ ჩემი სიტყვებით ვინმე აღვაფთოთ, მაპატიეთ, რადგან მართლა ძალიან დაბნეული ვარ. თქვენგან რჩევებსაც მივიღებ.

თქვენი პსოპული აპოსხველი

„ქმარი ჩემ თვალწინ სხვა ქალავს ეარსიყება“

ამარჯობა! 19 წლის ვარ. ორი თვის გაცნობილ ბიჭს გავყევი ცოლად, გავიბარეთ. ერთი წელი კარგად ვიყავით, მაგრამ მერე ყველაფერი აირია. დავორსულდი. ფიზიოლოგიურად ვერ ვიმშობიარე და საკეისრო კვეთა დამჭირდა. ოპერაცია გამირთულდა და საშვილოსნო ამომაჭრეს. გოგონა გვეყოლა. იმის ნაცვლად, რომ შვილს ყველაფერი უკეთესობისკენ შეეცვალა, პირიქით მოხდა. ჩემი ქმარი ძალიან შეიცვალა, ცივად მექცევა. ინტერნეტით სხვა ქალებს ეფლირტავება, თანაც ჩემ თვალწინ. გაშორებით ვეშუქრები, მაგრამ ეს ცოტა ხნით ჭრის. ბებიათაგან, ჩემი დედათაგან დედა, აქეზებს, რადგან ბიჭი ვერ გაგიჩინა, გაშორდი და სხვა მოიყვანე ცოლადო. აღარ ვიცი, რა გავაკეთო. გათხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

თქვენი პსოპული აპოსხველი

გამომხაეხება

«ქმარი, რომელმაც ჩემი შვილი არ მიიღო. თავისი ბარბიზარხანინად გავისტუმრა»

ყურნალ „სარკის“ მე-5 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ქმარმა ჩემი შვილები საკუთარივით მიიღო და გაზარდა“. ამ ქალს ძალიან გაუმართლა. მას მართლაც კეთილშობილი კაცი შეხვედრია. ჩემი ისტორია მისას კი ჰგავს, მაგრამ ფინალია განსხვავებული.

ერთი შვილის დედა ვარ. ჩემი ბიჭი მთელ ქვეყანას მირჩევნია. მამამისთან ურთიერთობა ვერ ავანყვე და ჩვენ ორნი მარტო დავრჩით. დეპრესიაში ნამდვილად არ ჩავვარდნილვარ, ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი და არც განქორწინების შემდეგ ნავტყუულვარ. სამსახურში გავიცანი კაცი, რომელიც შემეყვარდა. ძალიან იაქტიურა, რომ მისი ცოლი გავმხდარიყავი. ათას რამეს მიბრდებოდა, ჩემს შვილს უამრავ საჩუქარს ჩუქნიდა, ანებივრებდა. მოკლედ, ვიფიქრე, რომ ღირსეული მამაკაცი ვიპოვე და ცოლობაზე დავთანხმდი. ჩემებშიც გახარებულები იყვნენ, ეგონათ, ბოლოს და ბოლოს ცხოვრებას დავიწყებდით.

იმ კაცმა ნამდვილი სახე ქორწინების შემდეგ გამოაჩინა. ერთი კვირით დასასვენებლად წავედი. ბავშვი დედაჩემთან დავტოვე. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა შვილის გარეშე ვიყავი. ძალიან გამიჭირდა. თბილისში დავბრუნდი თუ არა, მაშინვე ბავშვთან გავიქევი და ჩემთან წამოვიყვანე. ქმარს შევატყევე, რომ არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი უთქვამს. რამდენიმე დღეში კი წყენა ვეღარ დამალა და გამომიცხადა, ბავშვი დედაშენთან დატოვეო. ვერც კი მივხვდი, რას მეუბნებოდა. გოცებისგან პირი რომ დავაღე, გამიმეორა, რა მოხდა, დედაშენთან რომ იყოს, ყოველდღე მივალთ და ვნახავთ, არაფერს მოგვკლებთ, წყვილმა კი, ჯობია, ცალკე იცხოვროსო.

ყველა დედა მიმიხვდება, რასაც ვიგრძნობდი. ჭკუა გადამეკეტა, მაგრამ თავი ავიყვანე ხელში. ძალიან მშვიდი სახით დავინყე მისი ბარბის პარკებში ჩალაგება. გოცებულები მიყურებდა, რას აკეთებო. მე იმდენად მშვიდი სახე მქონდა, ვერ წარმოიდგინა, რომ ჩემი ცხოვრებიდან ვუშვებდი. თანაც ვუთხარი, გარდერობს ვალაგებ-მეთქი. ოთახში მარტო დამტოვა. ერთი საათიც არ დამჭირდა, რომ ყველა მისი ნივთი მომეგროვებინა, კბილის ჯაგრისით დაწყებული შამპუნით დამთავრებული, ყველაფერი მოვავროვე და პარკები სადარბაზოში გავიტანე. მერე კი გარეთ გამოვიხმე და კარი ცხვირწინ მიუკეტე. არაფერი ამისხსნია, ესმეძი მივწერე, ჩემი და ჩემი შვილის ცხოვრებაში შენი ადგილი არ არის-მეთქი. ბევრჯერ სცადა შეცდომის გამოსწორება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ასეთ საქციელს ვერ ვაპატიებდი!

აპოსხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მკვლდიძე



რადგან ბიჭი ვერ გაგიჩინა, გაშორდი და სხვა მოიყვანე ცოლადო. აღარ ვიცი, რა გავაკეთო. გათხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

„ჯანეტის სილაპაჯეს ვერც კი ვაპირებდი“ ქერდიეოშვილების ოჯახის ისტორია



■ დედა-შვილი

„მის საქართველო 2011“-ს, ჯანეტი ქერდიეოშვილს, ახალგაზრდა მშობლები ჰყავს. დედამისი, ნინო ხაუშია, სწორედ იმ დღეს გახდა 47 წლის, როცა ინტერვიუზე ვენივით — 27 იანვარს, ნინოზაზე. ქალბატონ ნინოს და მის მუუღლეს, ჯემალ ქერდიეოშვილს, სამი შვილის ყოლის ბედნიერება ხვდათ წილად, მაგრამ ნაბოლარა ანეტა უბედური შემთხვევის შედეგად გამოუცალათ ხელიდან ორი წლის წინ, სწორედ მაშინ, როცა ძალიან გახარებულები იყვნენ — ჯანეტი კონკურსში „მის საქართველო“ ახალგამარჯვებული იყო...

ჯანეტი დედას ძალიან ჰგავს, დებოვით არიან. თავის დროზე ახალგაზრდა ჯემალ ქერდიეოშვილი ნინოს სილაპაჯემ ისე მოხიბლა, რომ საყვარელ გოგონას სწავლის დამთავრება არ აცალა, თითქმის მოიტაცა. თავისი ოჯახის ისტორიას „სარკვეში“ ნინო ხაუშია ყვება.

— ქალბატონი ნინო, თქვენს შვილებს ძალიან ახალგაზრდა მშობლები ჰყავთ. რამდენი წლის იყავთ, რომ გათხოვდით?

— როცა მომავალი მეუღლე, ჯემალი, გავიცანი, 22 წლის ვიყავი. მაშინ ჩემს ოჯახთან ერთად პეტერბურგში ვცხოვრობდი, სამედიცინო

„ჩემი შვილების მინაგან სიღამაზეს უფრო ვხედავდი, ვიდრე გახეგნებს. მათ თბილი და ჯახი ბუცი აქვთ.“

ნო უნივერსიტეტში ვსწავლობდი. მე და ჯემალს საერთო მეგობრები გვყავდა. ის ჩვენს სახლში ჩემი ძმის დაბადების დღეზე მოვიდა. ამის შემდეგ სამი წელი ერთმანეთს ვვხვდებოდით. ჯემალი ჩემზე 3 წლითაა უფროსი.

— პეტერბურგში რატომ ცხოვრობდით?

— წარმოშობით აფხაზეთიდან ვართ. სკოლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში წავიდით. ბავშვები, ჯანეტი და ჯემო იქ დაიბადნენ, ანეტა — თბილისში. ბოლო კურსზე ვსწავლობდი, როცა მეუღლე, ასე ვთქვათ, მომიტაცა. მართალია, ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ ჯერ მაინც სწავლის გაგრძელებას ვვგებავდი. იმ დღეს გათხოვებას არ ვაპირებდი, არადა ჯემალს უკვე რესტორანი გაშვებული ჰქონია. შემეცოდა, ასეთ გემებს წყალში ხომ არ ჩაუფრთხილი და მეც გავყვები. ქორწინებიდან მალევე ჯანეტი შეგვეძინა. ძალიან ლამაზი დაიბადა, თან დიდი ბავშვი იყო, 4 კილო, სიგრძით კი — 56 სანტიმეტრი. მშვიდი, საყვარელი იყო. ცეკვა, სიმღერა ძალიან უყვარდა. პაროდის ნიჭიც ჰქონდა, სიმღერის ტექსტები არ იცოდა და ალა პუგაჩოვას, სოფია როტარუს სიმღერებს მღეროდა, ვითომ იცოდა.

ჩემი ქმარი ახლა ამბობს, პირველი შვილი ვინ შეგვეძინებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდაო, მაგრამ, მგონი, პირველი ბიჭი უნდოდა, თუმცა ჯანეტის გაჩენა ძალიან გაუხარდა. ხასიათით,

ქცევებით მამას ჰგავს. — როცა საქართველოში დაბრუნდით, აქურობას როგორ მიეჩვიეთ?

— საქართველოში რომ დავებრუნდით, ჯანეტი 6 წლის იყო, ჯემო კი — 4 წლის. დაბრუნება მეუღლეს უნდოდა. მე აქ ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. ეს ჩემთვის ორმაგად ძნელი იყო, რადგან დები, ძმა, ნათესავები, ყველანი პეტერბურგში მყავს. ამას გარდა, ენის ბარიერი მქონდა. ქართულს ბავშვებთან ერთად ვსწავლობდი. როგორც გითხარით, აქ ცხოვრება ჯემოსთვისაც რთული აღმოჩნდა. ჯანეტმა კი აქურობას ალღო მალევე აუღო.

— ჯანეტა, ჯემო, ანეტა — შვილებს ეს არაქართული სახელები ვინ შეუწინა?

— ჯემოს მამამისის სახელი — ჯემალი ჰქვია. მამამისმა დაარქვა, ჩემს სახელს და გვარს გააგრძელესო. ჯანეტს სახელი მე დავარქვი, რადგან ეს სახელი ძალიან მომწონდა. ანეტას რაც შეეხება, ის ჯანეტის სახელთან იყო მიმსგავსებული და ამიტომ დავარქვი. შემდეგში აღმოჩნდა, რომ ეს სახელი დედაჩემის დიდი ბებიას რქმევია. დედაჩემს გაუხარდა, საიდან გაგახსენდა ეს სახელიო. ჯემო ჯანეტისგან განსხვავებული ბავშვი იყო, ჩემ გარემოში ყოფნა არ შეეძლო, არც სტუმრად სიარული უყვარდა. ჯანეტი პირიქით იყო, ბიძასთან, დეიდასთან სიამოვნებით რჩებოდა. ჯანეტსა და ჯემოს შორის სხვაობა 2 წელია. როცა საქართველოში ჩამოვედით, ჯანეტი — სკოლაში, ჯემო კი ბაღში მივიყვანეთ. სკოლა და ბაღი ერთად იყო და ჯემოს უხაროდა, და იქვე რომ ჰყავდა.



■ პატარა ჯანეტი დედასთან ერთად

ახლაც იხსენებს იმ პერიოდს, თუ როგორ რთულად გადაიტანა. სკოლის პერიოდიდან კი ყველაფერს მიეჩვივა.

— როგორ ზრდიდით შვილებს, სიმკაცრეს ანიჭდით თუ ანებებდით?

— მკაცრი არ ვარ. რა თქმა უნდა, ყველა დედას უყვარს შვილი, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის მათზე ზრუნვა იყო პრიორიტეტი. პროფესიით გინეკოლოგი ვიყავი, მაგრამ არ ვმუშაობდი. სულ ბავშვებს დაყვებოდი სკოლაში, ცეკვაზე, სიმღერაზე.

— თქვენ პრიორიტეტით არასდროს ვიმუშავებდით? — პირველი ორი წელი პეტერბურგში ვიმუშავებ. შემდეგ, აქ რომ ჩამოვედით, ენის ბარიერი მქონდა და თან ბავშვებზე ზრუნვა ვამჯობინებ.

— მეუღლე რას საქმანობს?

— მეუღლე პროფესიით მშენებელ-ეკონომისტი. ამჟამად კერძო ბიზნესითაა დაკავებული. წლების განმავლობაში ხან პეტერბურგში უწევდა ყოფნა, ხან — აქ. ეს კი ჩვენთვის ძალიან რთული იყო. ახლა მთელი ოჯახი აქ ვართ, ჯემალიც აქ მუშაობს.

— ჯანეტა შარშანწინ „მის საქართველო“ გახდა. მის სწრაფვას პიადეუსისკენ ოჯახი როგორ

შესტა? — სანამ „მის საქართველოზე“ გავიდოდა, კონკურს „ელიტ მოდელ ლუქსზე“ გავიდა და მეორე ადგილი მოიპოვა. ჯანეტს სამოდელო კარიერის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ მამამისს — არა. მეორე ადგილი ჯემალს არ უხაროდა, ამბობდა, სადმე გაუშვებენ და არ



■ ნინოსა და ჯემალის სელისონერა

„იმ დღეს გათხოვებას ახ ვაპირებდი, ახადა ჯემალს უკვე ხესკოხანი გამზადებული ჰქონია. შემეცოდა, ასეთ გემებს წყალში ხომ ახ ჩაუყრიდი და მუცე ვაყვები.“

მინდაო, თუმცა „მის საქართველოს“ კონკურსში მონაწილეობა რომ მიეღო, უნდოდა. ჯანეტს შეთავაზება ჰქონდა, რომ საფრანგეთში, იტალიაში წასულიყო, მაგრამ მამამისმა არ გაუშვა.

მასსოვს, ქუჩაში, ჯანეტთან ერთად რომ მივდიოდი, სწირად ეუბნებოდნენ, რა კარგი ბავშვი ხარ, კონკურსებში რატომ არ იღებ მონაწილეობასო. ერთ დღესაც თქვა, დედა, ამდენი დადამანი მეუბნება და მართლაც გავალო. გავიდა და „მის საქართველოც“ გახდა. ამ ფაქტით ძალიან გახარებული ვიყავი. ასეთი სიხარული ცხოვრებაში სულ ორჯერ ვიგრძენი. პირველი, როცა უნივერსიტეტში ჩავბარე და ჩარიცხულთა სიაში ჩემი გვარი ამოვიკითხე და მეორე სიხარული იყო, როცა ჯანეტი „მის საქართველო“ გახდა. მამამისსაც ძალიან გაუხარდა, თუმცა არ სჯეროდა, რომ გაიმარჯვებდა. სუთელში რომ მოხვდებოდა, მჯეროდა, მაგრამ პირველ ადგილს არც მე ველოდი.

— რას წამსწავს დედისთვის, როცა საქვეყნიოდ აღიარებული ლამაზი შვილი ჰყავს?

— ძალიან ძნელია. ბევრს ვნერვიულობ.

„ანეტას ძლიან უყვარდა, ხოცა ჯანეტი ჰინინოზე უკეთესა, მივიღოდა და უხმენდა. ჯანეტი ახლაც ჰინინოსთან დაჯდება ხოცე, უკეთეს, თან დის სუხათებს უყუხებს... ახე, ხოცა ჯანეტი სახიდან გაიღოდა, სეც მეუბნებოდა, ეედა, კეთილი გზა მისუხეეო, ახა ჯი ანეტას ეედაჰაჰაჰა.“

ადვილად არსად ვუშვებთ, სახლში დაღამებამდე უნდა დაბრუნდეს.

— მკაცრი არ ვართ — თქვით, მაგრამ, ვამბოხის, რომ მკაცრად ზრდიდით.

— მე იმდენად არ ვარ მკაცრი, რამდენადაც მამამისი. ჯემალი ეუბნება ხოცე, 9 საათზე სახლში იყავიო. ჯანეტიც, როცა ბუნებურად,

ხერხეული და სხსრების დაავადებების მეურნეობა ეფექტური და სწავლი მეთოდით

ცირა გვიშიანი (44 წლის, პედაგოგი, თბილისი).

ლიანგოზი: ხერხეულის გავრცელებული ისტორიკული დროა.

— პირველ ყოვლისა, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან მიიღე მიველოცო შობა-ახალი წელი მანანა ექიმს, მის ვაჟიშვილს — სოსო ექიმს და მთელ კოლექტივს! უსუსურო უფლის წყალობა და წარმატება ყველაფერში.

მინდა გითხრათ, რომ 44 წლის ასაკში თავი ინვალიდად ჩავთვალე, გამოჯანმრთების ყოველგვარი იმედი დაკარგე და თითქმის ლოგინს მივეჯაჭვე. ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა მანუებდა, მტკიოდა აბსოლუტურად ყველაფერი: ხერხეული, სახსრები, კუნთები, ხელები, ფეხები... ტკივილით ვიღვინებდი და ვიძინებდი, თუ ამას ძილი ერქვა. საში წელია, დამეწყა და წელ-წელა დამძიმდა, ბოლოს კი... ქვეყნის წამლები ვსვი, ნემსები ვიკეთე, მასაჟები, მალაშიები — ვინც რა მასწავლა, ყველაფერს ვაკეთებდი. შედეგი რამდენიმე საათში დგებოდა და მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

ქაბატონ მანანასთან თქვენი ჟურნალის დახმარებით მოხვედრი. პირველივე პროცედურამ გასაოცარი შედეგი მომცა: ლაბით მშვიდად მეძინა და, დილით რომ ადევქი, თავი სიზმარში მეგონა — თავისუფლად ჩავიცვი, გავ-

წერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკოს თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი — აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიოპოლი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადასურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

იარე... მერე და მერე კიდევ უკეთესობა დამეტყო. მომიხსენიებდა წნევეც, უკვე 12 დღეა, ვმკურნალობ. ამ ხნის განმავლობაში ტკივილი აღარ განახლებულა, ინვალიდობაზე პანიკური მიმი მომეხსნა. ღმერთმა დაგლოცოთ და გავაძლიერო!

რაზო ანასთასია (ინჟინერი, 58 წლის, თბილისი).

ლიანგოზი: პოდაგრული პოლიართრიტი.

— ეს დაავადება დიდი ხანია, მანუხებს. ხშირად მიმწვავდება ტკივილი, რომელსაც ლაბის კედლებზე აფეყვარ ხოლმე. ხან კოჭები მტკივა, ხან მუხლები, ბოლოს მავლები და თითებიც ჩაერთო.



ალექსიოპოლის კლინიკას მოვაკითხე. ისეთ დღეში ვიყავი, ლამის ვტიროდი ტკივილის გამო. არ დაიჯერებთ, ალბათ, მაგრამ, ასე მოხდა — რამდენიმე საათში შევბა ვიგრძენი, ტკივილმა და შესიებამ უკან დაიხია, მერე დილით კი მინიმუმ 60-70 პროცენტი ალაგებული იყო ყველაფერი. დღეს მესუფ დღეა, ჩვეულებრივ დავდივარ, მაჯებიც აღარ მტკივა, არც თვალით ემწნევა შესიება. მოკლედ, ისე ვარ, როგორც ჯანმრთელ კაცს შეეფერება.

გაიხარეთ, მრავალ ახალ წელს დაესწარით, ქაბატონ მანანა, უღრმესი მადლობა დახმარებისთვის!

მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, წინასწარი ჩანერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

უკვე სახლშია. ზამთარში ხომ ადრე ბნელდება, გამოდის, რომ 6 საათზე სახლში უნდა იყოს. ამიტომ ზაფხული უფრო უყვარს, გარეთ უფრო გვიანობამდე. სხვათა შორის, როცა ჯანეტზე მეუბნებოდნენ, რა ლამაზი ბავშვიაო, ამას ვერც ვამჩნევდი. ალბათ შობილი ვერ ამჩნევს. ჩემი შვილების შინაგან სილამაზეს უფრო ვხედავდი, ვიდრე გარეგნულს. მათ თბილი და კარგი გული აქვთ.



ქაქო ანასთასია პრთაქ

— **ჯანეტს ბევრი თავყანის-მცხელი ყოვლია. მათ შესახებ მშობლებსაც იცით?**

— ჯანეტი ყველაფერს მიყვება. შეიძლება ერთი დღე, ორი დღე დამალოს, მაგრამ მერე მაინც მეუბნება. ძალიან გულახდილია. მეც დამალავარ შემოიღია, თან მეშინია, რომ მისი პირადი მართო მე არ ვიცოდე და წელ-წელა მამამისსაც რაღაცებს ვუბნებდი.

— **როგორი სახისი მოგეწონებოდა, როგორი მამაკაცი წარმოგიდგინათ თქვენი შვილის გვერდით?**

— გემოვნება აბსოლუტურად სხვადასხვანაირი გავქვს. მე უფრო ელევანტური, კლასიკური სტილის ბიჭები მომწონს, ქერათმიანი, მთლად ნაზი გარეგნობის — არა, მაგრამ უფრო ასეთი ტიპაჟი მომწონს. ჯანეტს პირიქით, უფრო კაცური გამოუმეტყველება მოსწონს. პირველ რიგში, თვლებს აქცევს ყურადღებას. სხვათა შორის, ჩემი სიძე ჩემს ბიჭს რომ ჰგავდეს, ძალიან გამიხარდებდა. ხასიათითაც რომ ჰგავდეს, მშვენიერი იქნება. ჯანეტი ცოტა ფეთქებადი იქნებოდა, თან ლიდერობაც უყვარს. მისი მეუღლე ალბათ ცოტა სხვანაირი უნდა იყოს.

— **როცა ჯანეტი „მის საქართველო“ ვინდა ბეგრს ქორაბიძენს, რომ ის განათხოვარი თუ გათხოვილი იყო.**

— მასსოვს და ეს ყველაფერი ძალიან განვიცადე. მხოლოდ იმით მანყარებდნენ, რომ შავი პიარიც პიარია, რომ ყველა ცნობილი ადამიანი ასე იწყებს კარიერას და ამაზე არ უნდა მენერვიულა.

„მე იმენად ახ ვახ მყახი, ხამენადაც მამამისი. ზუმალი ეუბნება ხოცმე, 9 საათზე სახლში იყავიო. ჯანეტიც, ხოცა ბნელდება, უკვე სახლშია“.

ქმარი არ დადიოდა. არც „მის საქართველოზე“ წამოსულა. როცა რაიმე კონკურსი ტარდება, ჯანეტი ევხენება, რომ წამოვიდეს, მაგრამ ძალიან ემოციურია და ურჩევნია, სახლში ტელევიზორში უყუროს. როგორც კი ჯანეტი იცეკვება, მამამისი მამინეფ ურეკავდა, ეუბნებოდა, რომ კარგი იყო.

— **ჯეკო როგორი ბიჭია, როგორი ხასიათი და მადრეკულებები აქვს?**

— ჯეკო ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე სწავლობს, დიპლომატის განხრით. პირველი კურსის სტუდენტია. მალე 19 წლის გახდება. სწავლა ძალიან მოსწონს. ჯანეტი მესუბრება ხოლმე, ჯეკოს, პიჯაკში გამოწყობილს, სხვადასხვა ქვეყნებში დიპლომატიით ხელში ვხედავო. ხასიათით ძალიან მეგობრულია, კონფლიქტური არასდროს ყოფილა. ორივენი ძალიან

— **პროექტში „ცეკვაქს გარსკვალაქებ“ მთავრობითი თქვენი შვილის გამოსვლები?**

— ჯანეტიც და ჯეკოც ქართულ ცეკვებზე დაიოდნენ, მაგრამ დიდხანს — არა. ჯანეტს უფრო ლათინოამერიკული ცეკვები მოსწონდა. ყოველ წელიწადს ვაპირებდით შეყვანას, მაგრამ სულ რაღაც ხდებოდა. თან ჩვენ ქართული, ეროვნული ცეკვები გვერჩინება. რაც შეეხება „ცეკვებში“ ჯანე-

„ჯეკო ჯანეტისგან განსხვავებული ბავშვი იყო, ჩემ გახეშე ყოფნა ახ შეეძლო, ახ სტუმრად სიახლი უყვარდა“.

ტის მონაწილეობას, ძალიან მოგვწონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ მოუწონია ცეკვა. იმდენად ნიჭიერი, მეტი შანსი რომ მისცემოდა, ალბათ უფრო მეტს გააკეთებდა. მის საგულმემატკივროდ დავდიოდი, დარბაზში ვიჯექი. ჩემი

კარგად სწავლობენ. ჯანეტი ახლა ჟურნალისტიკაზე, მეოთხე კურსზე სწავლობს.

— **და-მა კრიტიკითან ახლან არიან?**

— ძალიან და ეს მიხარია. ჩემს დედამიშვილებს ერთმანეთთან ძალიან თბილი დამოკიდებულება გვაქვს და ესენიც ასე რომ არიან, მიხარია. მათ შორის ორი წელია სხვაობა და ეს საერთოდ არ ეტყობათ. სამეგობრო წრეც ერთი აქვთ. ჯეკო მისი მეგობარი ჰგონიათ. ბევრი იმასაც ამბობს, ტყუპები არიანო.

— **თქვენი პატარა გოგონას დაღუპვის ამბავი მესხიეთ გავრდა, ყველამ ვინცადა, ვინც ის ამბავი გავიო. თქვენი მესხილბები ამბობენ, თუ ვინაზა-**

ვათ საყვარელი ბავშვი იყო...
— ანეტა 2001 წელს შეგვეძინა. მასა და ჯანეტს შორის 10 წელია სხვაობა. 9 წლის იყო, როცა ტრაგედია მოხდა.

ანეტა ძალიან საყვარელი, თბილი შვილი იყო. სულ მინდოდა, რომ ჯანეტს და ჰყოლოდა, ამიტომაც გავჩინეთ ასეთი დიდი ინტერვალი. ანეტას და-მა ძალიან ანებიერებდნენ, მასზე არც ეჭვიანობდნენ. არადა სულ მეუბნებოდნენ, ის უფრო გიყვარსო.

ამ ყველაფრის დაძლევაში ალბათ ის დაგვეხმარა, რომ მთელი ოჯახი ერთად ვიყავით შეკრული. მამინ შოკის მომენტი გვეწონდა, ახლა კი უფრო მიმიძმის. ყოველ ახალ წელს მის საფლავთან ვატარებთ. ჯანეტს მის საფლავზე წასვლა არ უყვარს. სახლში პიანინოსთან ანეტას პატარა კუთხე გვაქვს. მისი ფოტოები გვიკვიდა. ანეტას ძალიან უყვარდა, როცა ჯანეტი პიანინოზე უკრავდა, მივიდოდ და უსმენდა. ჯანეტი ახლაც პიანინოსთან დაჯდება ხოლმე, უკრავს, თან დის სურათებს უყურებს. საზღვარგარეთ რომ მიდის, მისთვის საჩუქრები ჩამოაქვს. ადრე, როცა ჯანეტი სახლიდან გადიოდა, სულ მეუბნებოდა, დედა, კეთილი გზა მისურვეო, ახლა კი ანეტას ელაპარაკება.



ქანაქია ჯანეტი

✓ **კა ლეონიჯა**

კახი კახიშვილი: „ალასანიას ჩარეობა ივანიშვილისთვის სასიფათოა“



კახი კახიშვილი

ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში საკადრო წმენდა იწყება, პირველი მერცხალი ირაკლი ალასანიია. ივანიშვილის ყოფილი ფავორიტი პირველი ვიცეპრემიერი აღარ არის. პრემიერმა პოსტიდან მისი გათავისუფლება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ალასანიამ საკუთარ პარტიაში საპრეზიდენტო კანდიდატურის განხილვა პრემიერისგან დამოუკიდებლად დაიწყო. ივანიშვილი ირწმუნება, რომ ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, მათ შორის იგივე ურთიერთობებია შენარჩუნებული. მისი თქმით, ალასანიამ ამ გადაწყვეტილებას „გაგებინა მოკვლედა“.

— მოხდა ელემენტარული გაუგებრობა, რაც შეიძლება ნებისმიერ პოლიტიკოსს მოუვიდეს, მან თავის გუნდში, ვინაო წრეში დაიწყო განხილვა, შეიძლება თუ არა წამოეყენებინა თავი კანდიდატად. შემდეგ ვინაო ჯგუფში ნათქვამი გარეთ გავიდა და დასრულდა იმით, რომ ერევანში მეკითხებოდნენ ჟურნალისტები ამის შესახებ. ეს იყო ირაკლის პატარა შეცდომა“, — განმარტა პრემიერმა.

ირაკლი ალასანიია შეცდომის გამო დაისაჯა და ამით ივანიშვილმა აგრძნობინა, რომ ის რიგითი მინისტრია, ყველას ერთად კი აჩვენა, ვინ არის რეალური მმართველი. ის, რომ საკმაოდ მძიმე საუბარი ჰქონდა პრემიერთან, თავდაცვის მინისტრს არ დაუშვალავს, თუმცა არ თქმულა, რატომ გახდა ალასანიას საპრეზიდენტო ამბიციის პრემიერისთვის ასეთი გამაღიზიანებელი. გაჩნდა ვერსია, რომ ალასანიას ვიცეპრემიერობა ექსპერტთა ხელშეწყობით დაპირისპირებას შეეწირა, თუმცა ხელშეწყობა ამას კატეგორიულად გამოირიცხავს.

ალასანიას რომ ივანიშვილის გარემოცვაში ვიღაც მტრობს, ამ აზრს ავითარებს ექსპერტი კახი კახიშვილიც. „სარკესთან“ ის ამ და გასულ დღეებში მომხდარი სხვა პოლიტიკურ მოვლენებს ახვავებს, მათ შორის, ევროსაბჭოში პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვით გამოცხადება, რომელიც საკუთარი ქვეყნის მიმართ ნეგატიური განწყობით იყო გამსჭვალული:

— ცოტა უცნაური იყო, საქართველოს პრეზიდენტი რომ ივანე და საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას ლანძღავდა. მან ვერ გაითავისა, რომ ის არის და იყო საქართველის პრეზიდენტი და არა — ნაცემოდრობის. გავისსენოთ მისი მიდგომები რეგიონების მიმართ — სადაც არ იღებდა იმ რაოდენობის ხმებს, რასაც ელოდა, ნანწყინი რჩებოდა და უწყვეტად სოციალურ პროგრამებს ამ იქ აღარ ჩადიოდა. როგორც ჩანს, პრეზიდენტი განწყობილია საკუთარ ქვეყანაზე და ახლა ერთდღით, რაც დარჩენია, დადის და ცდილობს, მოახდინოს აზრის ფორმირება, რომ საქართველოს ახალი მთავრობა არის უსუსური, რომ ქვეყანა ცუდ დღეშია, რომ კრიმინოგენური სიტუაცია გაუარესდა, რომ ბიზნესგარეშე ცუდია, ანუ ყველაფერს ყველა, რაც მის დროს იყო. საქართველოს მოსახლეობაზე უკეთ არაფერს იცის, როგორ დღეში იყო ის ბიზნესი, რომელიც არ იყო სააკაშვილის პოლიტიკოსთან ასოცირებული. სააკაშვილი ამოდის პრინციპიდან, არც მე და არც

თქვენო. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მისთვის ქვეყანა არაფერია, თუ არ ექნება თანამდებობა. აი, ეს იყო მისი გამოსვლის პათოსი ევროსაბჭოში.

საკაშვილის განცხადების დიდი ნაწილი იყო უსაფუძვლო. როცა ის საუბრობს კურსის ცვლილებაზე, უნდა დაეფუძვლოს კითხვა: თვითონ რა კურსი ჰქონდა, ევროპული? სააკაშვილის კურსი ნამდვილად არ იყო ევროპული და არც ნატო-ში შესასვლელად იყო მზად.

— საკმაოდ აგრესიული გამოსვლა ჰქონდა სააკაშვილს რუსეთის წინაშე

— ეს არის, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთს ჩვენი მიზნების ოკუპაცია მოეხდინა. რა გააკეთა სააკაშვილმა, რომ რამენაირად დაძრწულიყო საკითხი ტერიტორიების დასაბრუნებლად? არაფერი! მხოლოდ და მხოლოდ გაბუტულები ისხდნენ. ამით ვინ დაზარალდა? ჩვენი ქვეყანა. ამიტომაც ვამბობ, კარგად გასარკვევია, მისი გადაწყვეტილებები ვის სასარგებლოდ იყო მიმართული.

— რატომაც იყო მილიანა, რომ ვერაპული დებუტატები უფრო კრიტიკულად იქნებოდნენ სააკაშვილის მიმართ.

— ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ სათანადოდ ვერ უნდეს ოპონირებას ნაცემოდრობას, ეს ევროსაბჭოში კარგად გამოჩნდა. პირველ დღეს, როცა ნაცემოდრობამ ვერ გამართა დებატი, ეს იყო „ქართული ოცნების“ გამარჯვება, მაგრამ, სამსუხაროდ, მეორე დღეს მოდუნდნენ და ნაცემოდრობამ ჩაანერგინა რეზოლუციაში უსაფუძვლო ტექსტი. როცა დებატები არ შედგა, კანდიდატს უთხრეს, მიშა ისეა გამწარებული, ჯობია, არ ჩამოხვიდო და მეორე დღეს მასქომალურად ეცადა, ისეთი რამ ჩაეკვებებინა რეზოლუციაში,

— გასულ კვირას არასდროს აქტუალური გახდა ალასანიას თემა რაიმე სახის ოპონირების თანხმობისთანავე. როგორ შეგეგებოთ ამ ფაქტს?

— კოალიციაში რეალურად რამდენიმე პარტიაა, მაგრამ ძირითადი მოთამაშეები იყვნენ რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“. როცა ივანიშვილის პარტია გამოჩნდა პოლიტიკურ ცენტრში, პირველად აქცენტი სწორედ ალასანიასზე გააკეთა და მხოლოდ მას შემდეგ მოხდნენ იქ რესპუბლიკელები. ამით ხაზი გაუსვა, რომ ალასანიამ იყო სერიოზული ფიგურა და არაერთხელ გვსმენია საუბარიც, რომ გამარჯვების შემთხვევაში პარლამენტის თავმჯდომარე იქნებოდა უსაფუძვლო, პრემიერი — ივანიშვილი, ხოლო პრეზიდენტი — ალასანიამ. მერე ამუშავდა შიდა ინტრიგები და ივანიშვილმა მდიდროდა არასასურველი ინფორმაციები ალასანიასზე. ცხადია, კონფლიქტი უფრო ღრმაა და არაა ისე, თითქმის პრეზიდენტობის ამბიციის გამო გაუშვა თანამდებობიდან. ახლა ვეძებთ რატომ მოხდა ეს კონფლიქტი.

— თქვენ რა ვერსია გეჭო, რატომ მიხდა?

— გამარჯვების შემდეგ მოხდა ძალაუფლების გადანაწილება. რესპუბლიკელებმა ჩაიხარეს პარლამენტი, ალასანიას პარტია — ჯარი. ამავდროულად ალასანიას გუნდის წევრები შსს-შიც ფართოდ არიან წარმოდგენილი. შესაძლებელია, მისი გაძლიერება შსს-ში კადრების დანიშნით, ასევე მეორე ძალის ივანიშვილის ხელმძღვანელობა ვიღაცას სახიფათოდ მოეჩვენა და ივანიშვილი ინფორმაცია ამ კუთხით მიანიშნა, რამაც პრემიერი გააღიზიანა.

— და დასავლეთს ალასანიას?

— ამით უჩვენა ალასანიას და „თავისუფალი დემოკრატებს“ რომ ისინი აღარ არიან მისი

„საკაშვილი ამოდის პრინციპიდან, ახვ მე და ახვ თქვენო. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მისთვის ქვეყანა ახაფეხია, თუ ახ ექნება თანამდებობა. აი, ეს იყო მისი გამოსვლის პათოსი ევროსაბჭოში“.

რომ აქ სალაპარაკო ჰქონოდა. როცა ასეთი რამ ხდება, იმაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, რამდენად ძლიერია ნაცემოდრობა, არამედ იმაზე, რამდენად უსუსურია და უმოქმედო ხშირ შემთხვევაში „ქართული ოცნება“.

— ეს არაპოპულარულია თქვენთვის?

— ნამდვილად არ ჰყოფნით პროფესიონალიზმი, თეორეტიკოსები არიან და პრაქტიკაში არასოდეს უშუშავიათ. ამიტომაც ვურჩევ „ქართულ ოცნებას“, გადახედოს თავის წარმომადგენლობას, რადგან, რამდენადაც ვიცი, მზადდება პრემიერის ვიზიტი სტრასბურგში და რადგანაც ნაცემოდრობამ ვერ გააკეთა დებატები, ახლა ცდილობს, რომ ივანიშვილის ვიზიტი ჩატარდეს ცუდ ფონზე. ახლა მაინც მოეგონა გონს და დაიწყო მუშაობა, რომ პრემიერის ვიზიტი არ ჩავლავდეს.

— რუსულენოვან რას იტყვი?

— აბსოლუტურად უსაფუძვლოა რეზოლუცია საზოგადოებრივ მუხწყებელთან დაკავშირებით. ცოტა უცნაურია, რომ ევროპული პოლიტიკოსები მოუწოდებენ მთავრობას, არ შეამოსოს ბიუჯეტებიდან დასარჯული თანხების კანონიერება. ცოტა მოულოდნელია, როცა სიტყვებზე ენდობიან კონკრეტულ პოლიტიკოსებს და ისე უჭერენ რეზოლუციას მხარს, რომ საკითხს არ სწავლობენ. ცუდი არ იქნება, თუ საქართველოს მთავრობა იზრუნებს იმაზე, რომ არ რეზოლუციის მხარდამჭერები ჩამოიყვანონ საქართველოში კონფერენციაზე, სადაც დეტალურად იქნება განხილული ყველა ეს საკითხი, რომ მსგავსი რამ სხვა დროსაც არ მოხდეს.

ფავორიტები, ალასანიამ არის რიგითი მინისტრი და არა — პოლიტიკური ფიგურა. ამით პრემიერმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ამ ეტაპზე ალასანიას არ უყურებს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს. სხვათა შორის, ირაკლის შეცდომა იყო ის, რომ დათანხმდა ზუგდიდში მაჟორიტარ კანდიდატად კენჭისყრაზე. ვინც მაშინ ივანიშვილს მიაჩნდა ინფორმაცია, რომ მხოლოდ ალასანიამ მოიგებს არჩევნებს ზუგდიდში, შეიძლება სწორედ მან ჩაუჭრა ალასანიას საპრეზიდენტო ამბიციები.

— ანუ ამით მინიმუმ რაიმე „გაფრქვა“ და აჩვენა, რომ არც ისე მგაზრან?

— სწორედ ასეა. თუ ალასანიამ ვერ გაიმარჯვებდა, ცხადი იყო, რომ ამით პრობლემები შეექმნებოდა საპრეზიდენტო არჩევნებში. ასე რომ, ამანაც დიდი როლი ითამაშა, მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — სიტუაციები სხვაგვარად ვითარდება, კოალიციაში საუბრობდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ სამართლიან საპრეზიდენტო არჩევნებს. ახლა კი გაუგებარია, რა შეიცვალა ამ მოკლე ხანში, რომ გვთავაზობენ დაქრებული ნესით კონსტიტუციის შეცვლას და მერე ისეთ მოდელს, რითიც პარლამენტიდან უნდა აირჩიოს პრეზიდენტი. მით უმეტეს, რომ ივანიშვილი აპირებს 2 წელიწადში ხელისუფლებიდან წასვლას. გაუგებარია, თუ გავაძლიერებთ პრემიერს და ის 2 წელიწადში ხელისუფლებიდან წავა, მერე ვის დარჩება ის დაუბალანსებული პრემიერის პოსტი? არ არსებობს გარანტია, რომ არ

მოგვევლინება ისეთი პრემიერი, რომელიც მოახდენს ხელისუფლების უზურპაციას 30 წლით. ამიტომ ისეთი საკითხი, როგორცაა ქვეყნის მონეობის მოდელი, არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ფრაქციებში და რამდენიმე პოლიტიკოსის მიერ. ხალხმა რეფერენდუმით უნდა გადაწყვიტოს, როგორი მოდელი სურს. ამ მოდელით, იმ კონკრეტული 15 პოლიტიკოსის გარდა, უნდა იცხოვროს მთელმა საქართველომ და შესაბამისად მთელმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი ცხოვრება სურს.

— **საპარლამენტო რესპუბლიკა რესპუბლიკების ოცნება, ეს არ არის ახალი რიცხვითი ანალოგია არაერთხელ პარლამენტს ჩემთვის ვაჩვენებ სხვადასხვა პრეზიდენტის პოსტისთვის ცვლილებების შესაფერისი ფორმული აღნიშვნის უნდა გავკეთებოდა დასკვნა რომ ცვლილება არ ამ სტატუსით განვითარდებოდა.**

— ალასანიას ასე ჩამოიხრება თვითონ ივანიშვილისთვის არის სახიფათო. ახლა გავანალიზებთ, რატომ. პირველი, პროდასავლური კურსის შენარჩუნება ალასანიას და რესპუბლიკებს მიენერვებათ. ახლა, როცა ალასანია ჩააჩრჩა, ხედავთ ნაციონალების შემოძახილებს, ხომ გუუბნებოდით, კურსი იცვლება და ალასანია იმიტომ მოხსნაო. გამოდის, რომ ამ კურსის გარანტირებად რჩებიან რესპუბლიკელები, რაც აძლევს

მონაწილეები. არ იქნებოდა ურიგო, რომ, სანამ იქნება შეხვედრა, საგარეო სამინისტრომ საფუძვლიანად შეისწავლოს საკითხები, რომ შემდგომ პრობლემა არ შეიქმნას, როგორც დღეს ხდება. სიცრუის მანქანა გასარღვევი. ამაზე საჭიროა მუშაობა, რაც ჯერ არ გამოდის საგარეო საქმეთა სამინისტროს. მათი მხრიდან არაორგანიზებულია აშკარად ჩანს და საერთოდ საჭიროა საკადრო პოლიტიკის გადახედვა.

— **რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუძლია არასაკლებ მხარეანი იყო მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ვაშაყის გადადგომის რამდენიმე მარჯვად ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლა დასასწავლად.**

— ეს არის მავალითი, როგორ დესტრუქციულად მუშაობს ნაცემორაობა. ვაშაყიე სააკაშვილის მიერ დანიშნული კადრი იყო. მოდისარ ახალი მთავრობა, რომელსაც რადიკალურად განსხვავებული ღირებულებები გაქვს და ამის პარალელურად შენი პოლიტიკის გამტარებლად ტოვებ ნინა ხელისუფლების მიერ დანიშნულ კადრს და თან გვიკვირს, რომ სიურპრიზები გხვდება?! ფანჯიკიემ განაცხადა, რომ სერგი კაპანაძესაც სთხოვა, დარჩენილიყო. კიდევ კარგი, მან მიიღო ადამიანური გადაწყვეტილება და უარი თქვა, რაც

„გაუგებია, თუ გავაძლიერებთ ჰეიმიხს და ივანიშვილი 2 წელიწადში პოლიტიკიდან წავა, მეხე ვის დხჩნება ჰეიმიხის ჰოსტი? ახ ახებობს გახანტია, ხმ ამ მოგვევლინება ისეთი ჰეიმიხი, ხომელიც ხელისუფლების უხუჩავიანა მოახეხნ“.

მათ სერიოზულ ბერკეტებს. ანუ არ არის კოალიცია დაბალანსებული და, წარმოდგინეთ, ხვალ და ზეგ რომ ვაჭრობა დაიწყო, თუ ამას არ გაკეთებთ, ჩვენც გავალთ და თან ვიტყვი, რომ ნამდვილად გვცალკეა კურსი, რა მოხდება. ამიტომაც აუცილებელია ბალანსი კოალიციაში და ახალი სახეებით გაძლიერება-გადახალისება.

— **მგონა ამ დღეში თავს თვითონ ივანიშვილი იტყობს როცა ამბობს, სიმართლა საქართველოსთვის სამეგობროა.**

— კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, სადაც ვინაო წრეში თქმული განცხადებების ასე აუტირების. მან სომხებს უთხრა, მომონს თქვენი დაბალანსებული კურსი. ხომ არ უთქვამს სტრასბურგში ან ამერიკაში, სომხების კურსი მომონსო. პირველი ვიზიტი იყო და ცდილობდა, მათი გული მოეგო. აბა, სააკაშვილივით გავკეთებინა, იქ ერთი ელაპარაკა და მერე ჩამოსულიყო და ელანდდა? ეს იგივეა, რომ მოხვედრის დაბადების დღეზე, დალით სადღეგრძელო, უსურვოთ წარმატება, დღეგრძელობა, ცოტა შეაქოთ და მერე გაკრიტიკონ, ეს რატომ თქვიო. ეს აწყობს მხოლოდ ნაცემორაობას.

— **ივანიშვილის ვაშაყის მოხვევა ჩანალიანის გათავისუფლება (ვისდაც რომელიც) პრეზიდენტ არჩევნება კლასიკურებისა და სტრატეგისა.**

— ჩახალიანს ისეთი რეკლამა გაუკეთდა, რომ ვერც კი იოცნებებდა. იგი გათავისუფლდა ამინსტიით და იყო მსჯავრდებული სააკაშვილის სასამართლოს მიერ. თუ ის ადამიანი სუპერატივი იყო, მაშინ რატომ არ ჰქონდა ამ კუთხით ბრალი წარდგენილი?! სააკაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ მისთვის საინტერესო იყო ადამიანთა იზოლაცია და არა — ის, რა დააშავა. ეჭვების მიხედვით მოქმედებდნენ. დარწმუნებული ვარ, ასეთი ინფორმაცია ნაცებს რომ ჰქონდათ, უფრო მძიმე მუხლებით „შუუკვრავდნენ“ საქმეს. არ ციცი, რატომ ავმარეს ეს მუხლები, როცა ნახევარ საქართველოს ასეთი საქმეები „შუუკვრეს“. ასე რომ, თუ რამე პრობლემას ვეძებთ, ვეძებთ იმ სამართალში, რაც ნაცემორაობის მმართველობის დროს ჩამოყალიბდა.

— **გახლ კვირას ივანიშვილი დაეცა კონსტიტუციური ფორმის სტრუქტურით იყო მსჯავრდებული რა შედეგებს შეიძლება ცვლილება ამ კონსტიტუციის?**

— მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა აუცილებელია, სადაც წარმოჩინდება ახალი ხელისუფლება სხვადასხვა ფორმაში. კარგია, რომ პრემიერი სიტყვიტაც გამოვიდა და პირადადაც პაცილო მასში

დასაფასებელია. სხვათა შორის, სააკაშვილი უკვე მოქმედებს იმ ტექტივით, რასაც შევარდნაძის დროს იყენებდა „ოპოზიციაში“ გადავლის შემდეგ — მთავრობაში დარჩენილი მისი მომხრეები ნელ-ნელა რომ გამოდიოდნენ, აცხადებდნენ, არ გვინდა ამ კორუმპირებულ ხელისუფლებაში მუშაობაო. მაშინ ამით მან საბოლოოდ ჩამოშალა სისტემა და შემდეგ, 2003 წელს, მოვიდა ხელისუფლებაში. ახლაც ამ ტექტივით მოქმედებენ და ვაშაყიე არ იქნება ბოლო, მსგავსი ნაღები კიდევ იქნება სააკაშვილის მხრიდან.

— **რატომ ვერ ხერხდება კადრების სწორად შერჩევა პრეზიდენტის ნაცემორაობა?**

— საქართველოში პროფესიონალების პრობლემა არასოდეს ყოფილა, ერთი ნახეთ, ინტერნეტფორუმებზე რას წერენ, რა ანალიტიკის უნარი აქვთ. პროფესიონალები არ უნდა ეძებო მამიდაშვილებში, ბიძაშვილებში, მეგობრებში და კურსელებში. „ოცნება“ აკრიტიკებდა ნაცებს საკადრო პოლიტიკის გამო, ახლა რა შეიცვალა? არაფერი! სხვათა შორის, საინტერესოა, რომ საქართველოს პარლამენტმა აღიარა 200 პოლიტიკური და დევნილი და ამის გამო არც ერთი პროკურორი არ დასჯილა. სწორედ ის პროკურორები, რომლებიც ამ საქმეებში მონაწილეობდნენ, დღეს დანაშაულებული არიან. ეს არ არის უცნაური?

— **არჩილ კლდიაშვილის „ბისტანს“ ისტორია კიქს მამიდაშვილებს მან დააწაქს?**

— არა, კბილაშვილის შემთხვევაში ვგულისხმობ კურსელებს, სხვა სამინისტროებში მუშაობა მამიდაშვილების დანიშვნა. როცა ადამიანი 2004-2012 წლებში მუშაობდა ოლქის პროკურორის მოადგილედ და კურირებდა საგამოძიებო ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ მის გარეშე არც ერთი საქმე აღიძვრებოდა და არც ერთი საპროცესო შეთანხმება დგინდებოდა, ნიშნავ ამავე ოლქის პროკურორად და ეუბნები, გადახედ წინა საქმეებს, რამე გადაცდომა ხომ არ იყო, რა, დაგაჭირინებს თავს?!

— **გამაძიებლის კონსტიტუციის საზოგადოებასაც აქვს**

— და მართალიცაა, რომელი რეზონანსული საქმე გაიხსნა, რომელსაც გვირდებოდნენ? თუ ახალია განტყვევების ვაცი და თუ მას ამ მუხლების მეტი ვერაფერი ნაუყენეს, გამოდის, რომ „ოცნება“ უსაფუძვლოდ საუბრობდა ნაცემორაობის დანაშაულზე. იგივე ენება შს სამინისტროს. ღარიბაშვილს ვურჩევ, გადახედოს იმათ ბიოგრაფიებს, ვინც პოლიციის უფროსებად დანიშნა და გენინსპექციის იმ სისასაც, ვისაც არ შეუტო.

რა აზრები ჩამოიტანა ევროსაბჭოს კულისაზიდან ლევან ბერკენიშვილმა

„საყვედუხს, თქვენ ჩახვეით და ერთ დღეში ხოგოხ ვეი შევადეთ სიტუაციაო, ვეი მივიღებ“

საპარლამენტო უმცირესობისა და უმრავლესობის დაპირისპირება ამავერად ევროსაბჭოს „მოედანზე“ გაგრძელდა, სადაც პრეზიდენტ სააკაშვილის მოხსენების შემდეგ ორი მნიშვნელოვანი რეზოლუცია მიიღეს. პირველში, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომს შეეხება, რამდენიმე შესწორება შევიდა — დოკუმენტი ისევ მოხვდა ტერმინი „ოკუპირებული“. მეორე, იხულებით გადაადგილებულ ყველა პირს აქვს სახლებში დაბრუნების უფლება და მესამე, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 6 პუნქტიანი შეთანხმების შესრულებას ითხოვს. რეზოლუციის მიღებას წინ მწვავე დებატები უძლოდა. მეორე რეზოლუცია კი მედიის მდგომარეობას ასახავს ევროპაში. მასში საქართველოს ხელისუფლებაზე უარყოფითი შეფასება ჩაინერა.

„ასამბლეა გამოხატავს შემფოტებას მოულოდნელ ფინანსურ ინსპექციებთან დაკავშირებით საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში, რომელსაც მოკვდა აგრესიული პოლიტიკური განცხადებები ხელისუფლების უმადლესი წარმომადგენლებისგან, პარალელურად კი სადავო შესწორებების შეტანა ტელერადიო მაუწყებლობასთან დაკავშირებულ კანონში. ეს ნაბიჯები წინ უძღოდა პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის „მეცხრე არხთან“ შერწყმის სურვილთან დაკავშირებით, რომელსაც პრემიერის მეუღლე ფლობს“, — ნათქვამია დოკუმენტში.

ექსპერტებმა ჩანაწერი უმრავლესობის მარცხად შეაფასეს, „ქართული ოცნება“ კი თვლის, რომ ეს გეორგი კანდელაკის დამსახურებაა, რომელმაც სააკაშვილის დავალებით საქართველოს რეპუტაცია შელახა. რა ხდებოდა ევროსაბჭოს კულისებში და ვინ აპირებდა სიტყვა „ოკუპაციის“ ამოღებას რეზოლუციის ტექსტიდან, ამის შესახებ სტრასბურგში ახალჩამოსული პარლამენტის დეპუტატი, რესპუბლიკელი ლევან ბერკენიშვილი გვესაუბრება.

ლევან ბერკენიშვილი:

— ევროსაბჭოს სესიაზე სამი მომენტი იყო მნიშვნელოვანი — სააკაშვილის გამოს- ➔ 18



ლევან კახიანიშვილი

ვლა, რუსეთ-საქართველოს რეზოლუცია და მედიის შესახებ რეზოლუცია. მათგან ჩვენი თვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-საქართველოს რეზოლუცია. კულუმებში ქართული 10 კაციანი დელეგაცია — 5 ძირითადი და 5 სათადარიგო — ერთად ხელმძღვანელებული მუშაობდა, რომ ტექსტი გაგვეუმჯობესებინა და შესწორებები შეგვეტანა. საქართველოს ინტერესებს იცავდა ჩიორა თაქთაქიშვილი და სამართლიანადაც. როცა ერთად ვიბრძოდით ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის, წარმატებული რეზოლუციაც მივიღეთ — რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს 6 პუნქტიანი გეგმა; რომ რუსეთი ოკუპანტები არიან; რომ ეუთო და გაერო უნდა შედიოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე; რომ დევნილები უნდა დაბრუნდნენ და ა.შ. ჰუმანიტარულ რეზოლუციაში დავსვით ძალიან სერიოზული პოლიტიკური აქცენტები.

— ვინაობა, თქვით, რომ კოპპიტაცია შედგება თან ევროსაბჭოში?

— კი, შედგება და საკმაოდ წარმატებულიც გამოვიდა.

— მაგრამ ხანმოკლე ისე, თუ ერთად მუშაობდით, რომ რეზოლუცია ასეთი ყოფილიყო, რაბომ სდებოდა იმის გადაბრუნება-გადმობრუნება, რომ საიტყვას „ოკუპაციას“ ამოღებდნენ იგუგებოდა?

— ეს იმიტომ, რომ არცერთი პუნქტი არ იქნა, რომლებმაც ან მუშაობა არ იციან, ან პროვოკატორები არიან. აბა, რატომ ვიქნები ოკუპაციის წინააღმდეგი, როცა ჩემი ქვეყანა ოკუპირებულია, მართლაც რუსეთის აგენტი ხომ არ ვგონივარ ვინმეს?! და ის პოლიტიკოსი, ვინც ასეთ რამეებს იჯერებს, ან გულუბრყვილოა, ან ასეთ საქმეებში ვერ ერკვევა. ჩვენ

„საქართველოს ინტეხეხებს იცავდა ჩიორა თაქთაქიშვილი და სამაჩხილიანადაც. ხოცა ერთად ვიბრძოდით ჩვენი ქვეყნის ინტეხეხებისთვის, ნახმატებული ხეზოლუციაც მივიღეთ“.

ჩვენი ნამუშევარი მივიღეთ — ტექსტი, სადაც ეს ტერმინიცა და ყველაფერი ისეა, როგორც საქართველოს ინტერესებს შეესაბამება.

— მაგრამ მკარე დღეს დაიდა რეზოლუცია არასახარბილო ჩანაწერებით საქართველოს ახალი სელისოფლებისთვის.

— ეს იყო რეზოლუცია მედიის მდგომარეობის შესახებ ევროპაში. ამ ტექსტში საქართველო არ იყო ნახსენები, მაგრამ უმცირესობის მეცადინეობით რეზოლუციაში განჩნდა სამი მომენტი, რომელიც შეეხო საქართველის ხელისუფლებას — პირველი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ატარებს გამართლებულ შემოწმებას საზოგადოებრივ მანუწყებელში; მეორე, რომ საქართველოს ხელი-

სუფლებამ გაათავისუფლა საზოგადოებრივი მანუწყებლის ხელმძღვანელი, თავისი კადრი დანიშნა და რომ მისი შეერთება უნდა „მეცხრე არსთან“; მესამე, რომ შეიცვალა მედიის მფლობელი. თუ ცალკაა ზანგინილავთ თითოეულს, აღმოჩნდება, რომ სულ ცოტა სამი ტყუილია. პირველი, უკანონო შემოწმებას არავინ ატარებს, ყოველთვის უნდა შევამოწმოთ ბიუჯეტის თანხების ხარჯვა; მეორე, არ მოგვისხნია „პირველი არხის“ ხელმძღვანელი, თვითონ წავიდა და მის ნაცვლად დანიშნეს უფრო ლოიალური წინა ხელი-სუფლების მიმართ. რაც შეეხება შეერთებას, ივანიშვილმა თავის დროზე შესთავაზა „პირველი არხი“, თუ გინდათ, გაჩუქებთ.

თო. ეს მათ სწორად ვერ გაიგეს და ამით ამოიწურა ყველაფერი. ახლა, სამი თვის მერე ამაზე ამბის ატეხა, უბრალოდ გასაკვირია. და კიდევ, მმართველი გამოიცვალა მარტო „იმედმა“, რომელიც დაუბრუნდა თავის კანონიერ მფლობელს. თუ ეს საკითხები არის ქვეყნისთვის დამლუპველი, კარგად ყოფილა კანდელავის და სხვა მისი ამხანაგების საქმე. ძირითადად კანდელავი აქტიურობდა. ეს აქტიურობა იყო მიმართული საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ და საკმაოდ სამარცხვინო იმ კაცისთვის, რომელსაც ამის გაკეთება დაევა-ლა საქართველოს პრეზიდენტისგან. ჩვენ ვეცადეთ ოპონირება გაგვეწია, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მომხსენებელი უმცირესობის მომხრე იყო. მე ვერ დავუშლი კანდელავს და სხვებს, იმუშაონ ამ მიმართულებით. უბრალოდ უხერხულია, როცა ასეთი ჩანაწერი იმდენად გიხარია, რომ სხვას აკვირვებ.

— საქართველიდან ეს ყველაფერი ისე ჩანდა, რომ თქვენ, უმრავლესობის წარმომადგენლებმა, არასაკმარისი და არაპროფესიონალური შემაბაბა გასწიეთ.

— მათ აქვთ 4 წლიანი გამოცდილება და ჩვენ — 0 დღიანი, მაგრამ ეს ყველაფერი გამოსწორდება. სადაც რომ რაღაც ჩანჩერებს, დელეგაციის დამარცხება კი არ არის, ეს არის იმის ნიშანი, რომ გვაქვს სერიოზული სამუშაო. ბალტიის ქვეყნების წარმომადგენლებს დღემდე ჰგონიათ, რომ მიხეილ სააკაშვილია ერთადერთი ევროპელი ლიდერი საქართველოში და ყველა მისი მოწინააღმდეგე — რუსეთის აგენტი. მათ დარწმუნებას დრო და მუშაობა დასჭირდება. იმ საყვედურს, რომ თქვენ ჩახვედით და ერთ დღეში როგორ ვერ შეცვალეთ სიტუაციაო, მაპატიეთ, მაგრამ ვერ მივიღებ, ასეთი საქმეები ერთ დღეში არ კეთდება.

— თქვენი თანაგუნდელი თელო ჯაფარიძე მიანიშნებს, რომ „ოცნება“ ნაციონალების კრიტიკიდან თვითკრიტიკაზე უნდა გადავიდეს, რადგან ნაცებს ამ საქმეში სათანადო თანხრობას ვერ უწყებს.

— სწორი შეფასებაა, მართლაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ევროპის სტრუქტურებში უფრო სერიოზულად შემოგვხედონ, ვიდრე ახლა გვიყურებენ. განსაკუთრებით ეს ეხება ბალტიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. რაც შეეხება ევროსაბჭოს, ადრე იქნება თუ გვიან, დარწმუნებული ვარ, გაიზიარებს იმ მოსაზრებებს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას აქვს, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო. ეს საქმე ჩვენ უნდა ჩაგაბაროთ 4 წლის მერე, როცა დავამთავრებთ და არა — პირველივე დღეებში. რაც ყველაზე მთავარია, ევროსაბჭოში უნდა გვყავდეს სერიოზული წარმომადგენლობა. ახლა იქ მართლაც კარგი ელჩი გვყავს, მამუკა ჟღენტი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ.

— ექსპრტები თვლიან, რომ „ოცნების“ დიდი გამარჯვება პირველი დღე იყო, როცა დებატები

არ შედგა. — არა, ეს არ იყო ჩვენი გამარჯვება, თუმცა ოპოზიციას 10-ით 0 მოუვგეთ. ჩვენი ნამდვილი გამარჯვება იყო, როცა ოპოზიციასთან ერთად დავდებთ და რუსეთის დელე-

„სააკაშვილს უკვე აღაჩავენ ახადეხს ეკითხება, ახე ჩვენს ქვეყანაში და ახე სტახსბუხგმი. თუმცა იქ ბუეხი ადამიანი ჩამოიყვანა, მეხე ვილაყეები აქეიდა, აქამა, ასვა... ახ მინდა დეყალების განხილვა, ხოგოხ მუშაობს ნაცმოდხაობა ქამა-სმის ნანიღმი, ხოგოხი მეხჩეხითი პოლიტიკა აქვს ეუხნაღისტების წაყვან-წამოყვანაში“.

გაცია მარტო აღმოჩნდა თავდაცვის პოზიცი-აში. ევროსაბჭოს 46-მა ქვეყანამ კი საქართველოსთან ერთად მხარი დაუჭირა საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას. უკეთესია, ექსპრტებმა კარგად გაარკვიონ, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო რა არის. ის, რომ დებატები არ გაიმართა, იყო იმის ჩვენება, რომ ნაცმოდრობას ყველაფერი არ შეუძლია.

— ამ რეზოლუციის შექმნე რთობი იყო თელო ჯაფარიძის და რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის შეწყვერა?

— ამას ჰქონდა მხოლოდ გაცნობითი ხასიათი. მანამდე მას პეტრე ცისკარიშვილი შეხვდა. რუსეთის დელეგაციამ კარგად იცის, რომ ამ რეზოლუციებს ვუჭერთ მხარს და არავინ გასაყვედურობს, ამას რატომ აკეთებთო. გასაგებია, რომ ჩვენ შორის არის სერიოზული განსხვავება. ისიც ფაქტია, რომ ისინი აღიარებენ აფხაზეთს და ოსეთს, და-წარჩენი მსოფლიო კი, თუ არ ჩავთვლით ნაურუს და რამდენიმე პატარა სახელმწიფოს, ჩვენ გვიჭერს მხარს. ჯერჯერობით ერთი-ერთზე იყო შეხვედრა, დელეგაციების შეხვედრა დაგეგმილი არ არის და თუ იქნება, მარტო უმრავლესობა კი არა, მთელი დელეგაცია შეხვედება, ანუ უმრავლესობა-უმცირესობა.

— სააკაშვილის გამოსვლაზე არაფერს ამბობთ? რა თქვა კულუმებში?

— სააკაშვილს პირველად ჰქონდა ასეთი სუსტი გამოსვლა. არც მისი გამოსვლა იყო მწვავე და არც მის მიმართ დასმული კითხვები. ყველა ესმის, რომ მიდის, ამიტომ მასთან კამათი არავის მოუწია. სააკაშვილს უფრო პენსიონერის გამოსვლა ჰქონდა. ალბათ წინასწარ იცოდა კიდევ, რომ სერიოზულ ომს არავინ გაუმართავდა. არც ჩვენ არ გავუმართავთ. მას უკვე ალარავინ არაფერს ეკითხება, არც ჩვენს ქვეყანაში და არც სტრასბურგში. თუმცა იქ ბევრი ადამიანი ჩამოიყვანა, მერე ვილაყეები აქეიფა, აქამა, ასვა... არ მინდა დელტალების განხილვა, როგორ მუშაობს ნაც-მოდრობა ქამა-სმის ნანიღმი, როგორი მეჩეხითი პოლიტიკა აქვს უურნაღისტების წაყვან-წამოყვანაში და ასე შემდეგ, ეს ჩემი გამოსაძიებელი არ არის, სახელმწიფო თანხები სააკაშვილს აქვს და როგორც უნდა, ისე ხარჯავს.

ჩვენ კი პროდუქტიულად ვიმუშავეთ, აქტიური იყვნენ თედო ჯაფარიძე და არაკლი ჩიქოვანი, ჰუმერაქტიური იყო უმცირესობა. ყველა თავისებურად კმაყოფილია, მაგრამ ყველაზე მეტად კმაყოფილი უნდა ვიყოთ იმით, რასაც ერთად მივალნიეთ და არა — ცალ-ცალკე.

არის თუ არა ჩახალიანი საქართველოსთვის საშიში?

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირების მორიგი მიზეზი ჯავახელი სომეხის, ვაჰაგნ ჩახალიანის გათავისუფლება გახდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამისტიით გათავისუფლებული „ერთიანი ჯავახეთის“ ლიდერი არსეთის ჯაშუშაძე, სეპარატისტად მოიხსენია და ახალი ხელისუფლება საქართველოს მტრების გათავისუფლებაში დაადანაშაულა.

— ეს ადამიანი მუშაობდა გრუ-სთან, დაარბია საქართველოს ეკლესიის ეპარქია ახალქალაქში, ქართული უნივერსიტეტის ახალქალაქში, გამგეობა ახალქალაქში, ქართული პოლიცია ახალქალაქში. ის ეწინააღმდეგებოდა ქართული შვიარაღებული ძალების გადაადგილებას ახალქალაქში და რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას. ეს ადამიანი მოითხოვს საქართველოს სახელმწიფოებრიობის დანაწევრებას, სამოქალაქო ომს. ჩახალიანის ერთადერთი პარალელი, ვინც მასხნდებდა, არის ვლადისლავ არძინბა. ის არის ამ მასშტაბის კრიმინალი! — განაცხადა სააკაშვილმა.

„ერთიანი ჯავახეთის“ ლიდერი სააკაშვილის ბრალდებებს „სისულელეს“ უწოდებს და საზოგადოებრივად გააქტიურებას ისევ გეგმავს.

— მინდა, ქართულ-სომხური ურთიერთობა იყოს ნამდვილი მშური და არა ისეთი, როგორც მიხვალ სააკაშვილი ამბობდა. უნდა მოხდეს ნამდვილი ინტეგრაცია სომეხი მოსახლეობის, — ამბობს ჩახალიანი.

„ერთიანი ჯავახეთის“ მოთხოვნებსა და ჯავახეთის პრობლემებზე ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობათა ცენტრის ხელმძღვანელი, არმენოლოგი ლელა ჯეჯელავა გვესაუბრება.

— ქობულთაში ლელა და ფეგურა ვაჰაგნ ჩახალიანი, რამდენიმე დღეა აქავე აჯობა აჯობა?

— პირდაპირ შემიძლია გათხრათ, რომ ჩახალიანი არ არის ის პერსონა, ვის გამოც ასეთი

„ამაქინმენეთ, ჩახაგ ითხოვდა ჩახალიანი ციხეში მოხვედრამდე — სომხური ენის ხიზი გახდა, ხომ ამ საკითხის აქტუალობა თავიანთი მოხსენებას. სუპრატივიზმ ჯავახეთში საყიდრი გამოყენება“.

ამბის ატყა ლირდა. ის არის ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ამოვიანებს იმ პრობლემებს, რაც ჯავახეთში რეალურად არსებობს. იმის შესახებ, რომ ჩახალიანი ჯაშუში იყო, ვერ ვისჯავლებთ, რადგან არ გვაქვს სასამართლო გადამწყვეტილება. თუკი ადამიანი შემჩნეულია ჯაშუშობაში და სახელმწიფოს არ ძალუძს, რომ ამასი ამხილოს, ეს უკვე ქვეყნის პრობლემებზე მიანიშნებს.

ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ახალი ხელისუფლების ყველა გამოიყენოს პრობლემად გადაქციოს. აგრძელებს ილეთის გამორყევაზე გადავიდა. დაფუძვით, ჩახალიანი არის ჯაშუში, თან რუსეთის, ყოველ შემთხვევაში, ასეა დეკლარირებული და აქვეა ლაპარაკი, რომ მისი გათავისუფლება ივანიშვილს სომხეთის პატრიარქმა სთხოვა, რა გამოდის, სომხეთის ეკლესია საქართველოში რუსეთის ჯაშუშების კულტივირებას ასდენს? ეს პოლიტიკოსმა რომც იფიქროს, მაღალი ტრიბუნლიდან არ უნდა განაცხადოს, რადგან ეს უკვე სახელმწიფოებს შორის გადასაწყვეტი საკითხია. ადევრატური პასუხი მიიღო კიდევ სომხური ეკლესიისგან. უხერხულია, როცა სომხური ეკლესია საქართველოს პრეზიდენტს მიუთითებს იმაზე, რომ მისი განცხადებები საფრთხის შემცველია. პოლიტიკოსისთვის ამაზე მეტი სასჯელი რა უნდა იყოს?

— ტერან ტერანისანსაც მივხსნა უხერხულად საქართველოში შეპისუფლები მსგავს რამე საშინოება ვაქცივს?

— ტროსიანი არის სომხეთის პარლამენტის დეპუტატი. ის წარმოშობით ჯავახეთიდანაა და ცდილობს, სომხურ პოლიტიკაში დივიდენდები სწორედ ჯავახეთის ფაქტორით მოიძოვოს. ამიტომ ძალიან ხშირად მოუწოვავ განცხადებებს

აქეთებს.

— რას ითხოვს ეს ხალხი რა უნდა ერთიანი ჯავახეთის?

— მათი აზრით, ისინი ჯავახეთში მცხოვრები სომეხების უფლებების დაცვას ითხოვენ, ანუ სომხურ ენას მიენიჭოს რეგიონული ენის სტატუსი, ახალქალაქში გაიხსნას სომხური უნივერსიტეტი და სადავო ეკლესიები უპირობოდ გადაეცეს სომხურ ეკლესიას.

— სავსაძილები მთი სუპრატივისტულ განწყობაზე სუპრატივისტულ ჩახალიანი თავს საქართველოს მიქალაქედ არ თვლის.

— ჯავახეთში სეპარატისტულ რისკებზე შეგვიძლია ვისაუბროთ, მაგრამ მისი ზედპირულად განხილვა შეუძლებელია. ჩახალიანი თვლის თუ არა საქართველოს მოქალაქედ თავს, ეს მისი საქმეა, შეუძლია, თავი უცხოპლანეტელადაც ჩათვალოს, მაგრამ მე თუ ვიცი, რომ ის ჯავახეთის მცხოვრებია, იქ დაბადებულია, უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეა. ჩვენი კანონმდებლობით იქ, სეპარატიზმი ისჯება და მე თუ ვარ სახელმწიფო, უნდა მიქნდეს შესაძლებლობა, რომ სწორედ სეპარატიზმისთვის ვაგებინო პასუხი და არა — ხულიგნობისთვის. არამარტო ჯავახეთში, მთელ საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის მიმართ ძალიან სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული.

— რას ვფიქროს მთი?

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს პირველად მოუხდა ეთნიკური, რელიგიური და რეგიონული პოლიტიკის წარმოება. ვიცი, რომ ეს საბჭოთა კავშირის მიერ ჩადებული ნაღმებია, რაზეც ძალიან ფრთხილად უნდა ვიაროთ, რადგან გვაქვს აფეთქების პრეცედენტები ქვეყნის ტერიტორიაზე. ადრე საქართველოს ამ თვალსაზრისით გამოცდილება არ ჰქონდა, შეცდომები იქნა დაშვებული, რაც ქვეყნის არაკეთილმოურნეობაში ძალიან კარგად გამოიყენეს. შემდეგ იყო პოლიტიკური კონფლიქტები და საომარ მდგომარეობაში მყოფმა ქვეყანამ ვერ მოიცალა სხვა ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონებისთვის, რამაც ამ მოსახლეობის გაუცხოება გამოიწვია. ის, რომ ახალქალაქელი სომეხი არ არის კარგად ინტეგრირებული ჩვენი საზოგადოებაში, ვისი ბრალია? საერთოდ გვახსოვს ეს რეგიონი? მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა ხანძარი ჩასაქრობია.

პირველი, რაც კონტაქტის ნაკლებობას განაპირობებს, იყო ენის არცოდნის ფაქტორი. წლებს განმავლობაში იქ იდგა რუსული ბაზა, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ჰქონდა ამ რეგიონზე და მათი

„იმაზე დავა, ესა თუ ის ეკლესია ქართული თუ სომხური, იხ ხალხს მოიხსი კითხიოთბან დაძაბავს. ვითიქობ, ანახ აცნობიქებან ხოგოჯ აქ, ისე სომხეთში და ამ 6 ძეგლის იქით საუბახი ახ წავა“.

აზროვნების ფორმირებაზეც. მადლობა ღმერთს, რომ რუსული ბაზის გასვლა მშვიდობიანად გავიარეთ. საბუნდუნოდ, ბოლო დროს სააკაშვილის ხელისუფლებამ უმაღლეს სასწავლებლებში პროგრამა „ერთი პლუს ოთხი“ დაამტკიცა, ანუ ერთნაირი მოსამზადებელი კურსი არაქართველი ბავშვებისათვის ენის გასამტკიცებლად. ვერ წარმოიდგენთ, ამან რამდენი გარდატეხა მოახდინა ინტეგრაციის თვალსაზრისით. ვინც ქართულ განათლებას იღებს, აბსოლუტურად სხვანაირია. მათი ტრანსფორმირება ჩვენი თვალის ხედება. სრულიად ჯანსაღი და სხვა განწყობის ანაგაზრდები მოდიან. მე უნივერსიტეტში ვასწავლი და ზუსტად ვიცი, რა ხდება ამ თვალსაზრისით. დამერწმუნეთ, რასაც ითხოვდა ჩახალიანი ციხეში



■ ვაჰაგნ ჩახალიანი

მოხვედრამდე — სომხური უნივერსიტეტის გახსნას ახალქალაქში — ისეთი დრო აღგობა თვისით მოიხსენია. ეს პროცესი თუ გაგრძელდება, სეპარატიზმს ჯავახეთში საყრდენი გამოეცლება. ამიტომაც ახლა ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ამ საკითხების გაშუქებაში მედიამაც. იმედს გამოვხატავ, რომ სომხური ეკლესიის ეს შემოძახილი უნდა იყოს ძალიან საყურადღებო და დამაფიქრებელი ნაცემოდარობისთვის, რათა ეს თქმა პოლიტიკური სპეკულაციის საგნად არ აქციონ. ჯავახეთში რაიმე პრობლემა არ არის მოსალოდნელი, თუ ისევ ჩვენ არ დაეშვებით სერიოზულ შეცდომას.

— იმდროინდელი სიტუაცია მაგრამ.

— მაგრამ არის სხვა საკითხებიც, მაგალითად, სოციალური. როგორღაც უნდა მოხერხდეს ჯავახეთის ეკონომიკური ინტეგრირება დანარჩენ საქართველოსთან. ისე უნდა აეწყოს ეკონომიკური კავშირები, რომ აქტიური მიმოსვლა დაიწყოს სხვა რეგიონებთან და პირიქით. როცა ვსწავლობდი, როგორი ეკონომიკური ურთიერთობები იყო წარსულში, აღმოჩნდა, რომ საბჭოთა პერიოდში თბილისს ჩისი პროდუქტებით ჯავახეთი ამარაგებდა. დამიჯერეთ, ამ ფორმით მისი ინტეგრირება დიდ შედეგს გამოიღებს. გარდა ამისა, რასაკვირველია, უნდა მოხდეს მათი თვითმყოფადობის შენარჩუნება და ამასი სახელმწიფომ დიდი როლი უნდა შეასრულოს.

— დათა სხუთა გამოსიყავა სომხური ეკლესიის ადგილანზე ორმინივას შეთანხმებამ რამდენი სომხური ეკლესია საქართველოში? რაც მე მათსრეს ამ რაცსებ გამოსავა.

— თუ გითხრეს ის რიცხვი, რომელიც მითითებულია კარაპეტინის ნაშრომში, იქ 640 ძეგლია აღწერილი. უნდა გათხრათ, რომ ეს სერიოზული განხილვის თემა არ არის, არც სომხურ საზოგადოებაში და, მით უმეტეს — არც ქართულში. მოდი, ვისაუბროთ იმ 6 ძეგლზე, რომელთა კუთვნილების საკითხის გარკვევაც დგას დღის წესრიგში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია არამენის ეკლესია, რომელზედაც არსებობს მოსაზრება, რომ თავიდან იყო ხარების ეკლესია. იმედი მაქვს, რომ კომისია, რომლის შექმნის იდეა საქართველოს პატრიარქს ეკუთვნის, საბოლოოდ შედეგება და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. ასევე, იმედი მაქვს, რომ საქართველო არ იქნება ვალდებული, რომელიმე მხარეს რევერანსები უკეთოს და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას მოერიდოს.

— იბიქტურად რამდენი სომხური ეკლესია საქართველოში?

— ამჯერად განიხილება 6 ძეგლი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტია. ვერ ერთი, დავინსტო იქიდან, რომ საქართველოში დიდი ხანია ცხოვრობენ სომეხები და პირველი, რასაც სომხური თემი აკეთებდა საკუთარი თავის დასამკვიდრებლად, იყო ის, რომ აგებდა ტაძარს და ხსნიდა სკოლას. ამასთანავე, როცა რუსეთის იმპერიის მეცადინეობით საქართველომ დაკარგა ავტოკეფალია და იძულებული იყო, დაეტოვებინა ეკლესიები, განსაკუთრებით თბილისის სომხური თემი ყიდულა უნდა ან სხვა მეთოდით ეპარქიონობა ქართულ ტაძრებს და სომხური არქიტექტურის შესაბამისად გადააკეთებდა. ასე რომ, ეს არის რთული საკითხი და იმაზე დავა, ესა თუ ის ეკლესია ქართულია თუ სომხური, ორ ხალხს შორის ურთიერთობას დაძაბავს. ვფიქრობ, ამას აცნობიერებენ როგორც აქ, ისე სომხეთში და ამ 6 ძეგლის იქით საუბარი არ წავა.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოაზრება მანანა გვეიამ

ზურა დოიჯაშვილი: „რუსეთში საქართველოს ხელისუფლებას მომენატრა და მოვინახე“

„ზოგჯერ ოჯახში ჰურის ფულიც არ გვექონდა“



■ **ზურა დოიჯაშვილი**

მომღერალი ზურა დოიჯაშვილი საქართველოდან გაქირვებას გაექცა. ულუკმაპუროდ დარჩენილ მსოფლიო მცხოვრებლებს მეგობრები დაუხმარებენ და უკვე ცხრა თვეა რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობს, რესტორანში მოღერის. სიმღერის საქართველოშიც ახერხებდა თავის რჩენას მაშინ, როცა შოუბიზნესში ე.წ. შავი სიები არ არსებობდა. მერე კი ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა და მისთვის ყველა კარი დაიხურა, კონცერტების მიღმა აღმოჩნდა. ცოტა ხნის წინ საქართველოში დროებით ჩამოსულმა მომღერალმა „სარკვესთან“ ის წლები გაიხსენა და მომავალზეც გვესაუბრა.

— ბატონო ზურა, თქვენსარი ოჯახის ერთგულ კაცს უცხო ქალაქში ცოლ-შვილის გარეშე ცხოვრება ადვილი ძალიან უჭირს.

— ყველა ძალიან მენატრებოდა. მეგობრებს და ოჯახს ინტერნეტით ვეკონტაქტობოდი და ამან გამაძლევინა. ჩემს შვილიშვილს სანდრიას „სკაიპით“ ველაპარაკებოდი. ჩემს ჩამოსვლას სულ ელოდებოდა და ავუსრულე კიდევ. სიმართლე გითხრათ, ჩამოსვლა არ

„ჩაც მოსკოვში წავედი, მეუ ამოვიხსენებ და ჩემმა ოჯახმაც. სულაც არ მიხიდება, ხომ ხესტოხანში ვმღერის“

დამიგეგმავს. მეგობარმა მითხრა, ხვალ დილით საქართველოში მანქანით მივდივარ და ხომ არ წამოხვალ. რა თქმა უნდა, დავთანხმდი, ოღონდ ჩემი ოჯახისთვის არ მითქვამს. გზიდან ვურეკავდი, როსტოვში ვარ და მოსკოვში მივდივარ—მეტი. დილით კი მოულოდნელად დავაფრთხილე თავზე. ეს ყველაფერს დიდი სიურპრიზი იყო. ბევრმა არ იცის, რომ აქ ვარ. ალბათ ყველას ნახვას და მოსიყვარულებას ვერ მოვასწრებ, რადგან ცოტა ხანში მოსკოვში ვბრუნდები.

— რატომ გადაწყვიტეთ რუსეთში წასვლა?

— გასული წლის აპრილში ქართული ესტრადის მომღერლებმა მოსკოვში კონცერტი გამართეს, სადაც მეც ჩავედი, ოღონდ 3 დღით, მაგრამ დიდი ხნით დავრჩი. რუსეთში სამუშაოდ წასვლა ისედაც გეგმავი მქონდა. ადრე, საქართველოში კონცერტები რომ ტარდებოდა, ბილეთებიც იყიდებოდა და შემოსავალიც გვექონდა. მერე კი დამიდაგ პერიოდი, როცა ჩემს ქვეყანაში აღარც არაფრის გასაქანი მქონდა და აღარც — ხალისი. მოსკოვში ამიტომაც დავრჩი.

— ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს ამ ნაბიჯს?

— სხვა გამოსავალი არც გვექონდა. მეუღლემ, ქეთიმ, გამიგო და არც შვილებთან მქონია პრობლემა. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ ზოგჯერ ოჯახში ჰურის ფულიც არ გვექონდა. ამ მდგომარეობას არაფერს ვბრალავ, ვთვლი, რომ ეს ჩემი გამოცდა იყო,

რომელსაც გავუძელი. დღეს ჩემზე უფრო გაჭირვებული ხალხიც არსებობს და ამ ცხოვრებაში თუ რაღაცას შევძლებ, ლუკმას ყველას გავუყოფ.

— თუ პერიოდში, როცა ასე გაჭირდათ, ვინმე გეხმარებოდა?

— მეგობრები გვერდში დამიდგნენ, მაგრამ ყველაზე მეტად თემურ თათარაშვილის თანადგომა ვიგრძენი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უბრალოდ მეგობრები ვიყავით და დიდი მძაყაც არ გვაკავშირებდა. მოსკოვში მცხოვრები მეგობრები დამეხმარნენ — ლიკა დოლიძე, ქეთა თოფურია, მანანა თოდაძე. თავიდან, 6 თვის განმავლობაში, ჩემს კოლეგა გია ძაგინიძესთან ვცხოვრობდი, არ მიშვებდა. ამაჟამად კი მის მეზობლთან ვცხოვრობ. ხალხს იქაც ვუყვარვარ. უკვე მირეკავენ, მოგვენატრო და, სიმართლე გითხრათ, მეც მენატრებიან.

— ვინ არიან თქვენი მსმენელები მოსკოვში, სად მღერით?

— თავიდან მე და თემურ თათარაშვილი ერთ რესტორანში ვმღეროდით, მერე ის დანიშნურად და სხვაგან გადავიდა, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვხვდებით. ქართველებს იმხელა მოსკოვში პატარა საქართველო გვაქვს. ჩემს მეგობარს ქართული რესტორნების ქსელი აქვს — „კაფე ხინკალიანი“, რომელიც ძალიან პოპულარულია. ბევრი ქართველი ჰყავს დასაქმებული. მის ერთ-ერთ რესტორანში ვმღერო.

რაც მოსკოვში წავედი, მეც ამოვიხსენებ და ჩემმა ოჯახმაც. სულაც არ მერიდება, რომ რესტორანში ვმღერო. გადასარევ მუსიკოსებთან ერთად ვმუშაობ. მათ შორის არის ძალიან მაგარი მომღერალი ალექს კვიციანი. გია ძაგინი ბლუზის სამყაროში ძალიან პოპულარულია, მასთან ერთად პროექტს ვამზადებ. რომ იცოდეთ, გიტარაზე დავკრავ და ვიწყე. უკვე ალბომზეც ვმუშაობ, რომელიც რუსულადაც ჩაინერგება. ასე რომ, იქ ტყუილად არ ვარ. ახალ წელს ჩემს კოლეგებთან ერთად შეხვდები. დიდი ზეიმი გაიმართა, რესტორანში, სადაც ვმღერო, სოსო პავლიაშვილმაც იმღერა. მერე სხვა რესტორანში გადავინაცვლე და ბოლოს, სადაც თემურ თათარაშვილი მუშაობს, იმ რესტორანში შევიკრიბეთ, ახალ წელსაც იქ შეხვდებით. ისიც მინდა გითხრათ, რომ რუსეთში ქართველები მაგრად ვუყვარვართ.

— მოსკოვში დარჩენას დაიხსნა აზრებთ?

— იმედი მაქვს, რომ საქართველოში ყველაფერი კარგისკენ შეიცვლება, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, მოსკოვშიც მშვენივრად ვგრძობო თავს, თუმცა ნოსტალგიამ თავისი ქნა და

„ვთვლი, ხომ გამოცდას გავუძელი. დღეს ჩემზე უფრო გაჭირვებული ხალხიც არსებობს და ამ ცხოვრებაში თუ ხალხსაც შევძლებ, ლუკმას ყველას გავუყოფ“

საქართველოს ხელისუფლებაც მომენატრა და მოვინახე. ისე, ვიტყვი, რომ ვინც ნამდვილად დასჯის ღირსია, უნდა დაისაჯოს კიდევ.

— საქართველოში რატომ აღმოჩნდით ულუკმაპუროდ? რესტორანში სიმღერა აქაც შეეძლებოდა.

— ჩემი პოლიტიკური პოზიციის გამო შავ სიაში მოხვდი. სხვებისგან განსხვავებით, ჩემი პოლიტიკური შეხედულებები ადრევე დავაფიქსირე. მე და ანსამბლი „ფორტუ“ პირველები ვიყავით, ვინც მანინდელი ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი ხმამაღლა გამოვთქვით. კონცერტში ჩამსვამდნენ და მერე მირეკავდნენ, სიაში აღარ ხართ. მართალი რომ

გითხრათ, ზოგიერთ კონცერტზე პროტესტის ნიშნად მე თვითონ არ ვიმღერებდი, მათი არც ფული მინდოდა! შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, მე ყოველთვის დამოუკიდებელი მომღერალი ვიყავი. არც ნაციონალურ სიაში ვყოფილვარ და არც — „ქართული ოცნების“. „არტ იმედი“ რომ იყო, იმის წევრიც არ გავხდი. კარგია,

„ზურა დოიჯაშვილს კოლეგაზე უფრო ახასხოს თქვენს და ახვ იყვიან! ყოფილი ხელისუფლების მხახვ მდგომი მომღერლებიც ჩემი მეგობრები არიან“

როცა ხელფასს გინდინა, მაგრამ მოწვევა არც იქიდან მქონია. „ქართულ ოცნებას“ ვუჭერდი მხარს. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილთან შეხება არასდროს მქონია, მისი გამორჩენა ძალიან გამიხსნა.

— ამბობენ, რომ რუსულ შოუბიზნესშიც არსებობს შავი სიები. ეს სიმართლეა?

— რუსულ შოუბიზნესში შავი და თეთრი სიები არც არსებობს და არც აინტერესებთ. თუ პოპულარული ხარ, გასაქანიც გაქვს. დიდი ქვეყანაა და 10 მილიონზე 5 მილიონი შენს დისკს რომ იყიდის, უკვე შემოსავალი გაქვს. ასე თუ ისე, მოსკოვში ხალხს ცხოვრება შეუძლია. კორუფციის რა თქმა უნდა, არის, მაგრამ გაგებაც შეუძლიათ, რა თქმა უნდა, შეიძლება ადამიანს ვიზა არ ჰქონდეს, დაიჭირონ, მაგრამ მერე გაათავისუფლონ.

— საქართველოში კოლეგებთან როგორი ურთიერთობა გქონდა?

— ზურა დოიჯაშვილს კოლეგაზე ცუდი არასდროს უთქვამს და არც იტყვიან! ყოფილი ხელისუფლების მხარეს მდგომი მომღერლებიც ჩემი მეგობრები არიან. ყველას თავისი შეხედულება აქვს. ისინი მუშუბნობდნენ, რად გინდა, პოლიტიკაში რომ ერევი, მაგრამ რაც არ მომწონდა, იმას მხარს ვერ დავუჭერდი.

— არავლადი წლებიდან ნანობი ვაქვს?

— ვადავრს, თავს ბედნიერ კაცად ვთვლი, რადგან ოჯახი მაქვს, მეგობრები მყავს და მყავს მსმენელი, რომელიც ვუყვარვარ. ხელოვნება კი ამაზე მეტია რა უნდა უნდა ვიყავი? მეორედ რომ დავიბადო, ისევ ასე ვიცხოვრებდი. საინტერესო გეგმები მაქვს, მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

— განსწორების მერე საშობოლოში ჩამოსულს რა გაცდა გაქვს?

— ხალხის ღიმილს ვნატრობ, რომელსაც ძველი ფილმები მასხნენს ხოლმე. მაშინ ქუჩაში ადამიანებს სახეზე სხვანაირი ღიმილი ეყვინათ. ახლა კი ყველაფერი სვედნარევი. საკუთარ თავებს ვატყუებთ, რომ ვითომ ყველაფერი კარგადაა... მინდა, ხალხს ისევე ღიმილი და ერთმანეთის სიყვარული დაუბრუნდეს. ვედავ, რომ ჩვენი გზა ორად, ზოგჯერ სამად და ოთხად იყოფა, არადა ერთი პატარა ქვეყანა ვართ, რომელსაც ერთად უნდა მოვეფეროთ, ღმერთმა ამისთვის შეგვქმნა. ომები იმდროს ხდება, რომ ვილაცას ლუკმა წაართვან და დაჩაგრონ. ამისთვის გაგაჩინა ღმერთმა?! 9 თვის განმავლობაში საქართველო არ მინახავს, ძალიან მენატრებოდა, მაგრამ აქ რისთვის დავრჩი.

— შავ სიებში ხომ აღარ ხართ, რატომ არ რჩებით?

— რომ ჩამოვიდე და აქ შემოსავალი არ მქონდეს, ახას ისევ იქ ყოფნა მიჩვევია. აგვისტოში 50 წლის ვხდები და ჩემს ქვეყანაში სოლო კონცერტის ჩატარებას ვგეგმავ.

✓ სოფიო პოპოვიძე

ანი ფურცელაქი თბილისში სასოლესთან ერთად ჩამოვიდა

ომღერალ ანი ფურცელაქის თბილისური კარიერა ციხიდან გამოსვლის შემდეგ მთლიანად განადგურებული იყო — აღარც რადიო, აღარც კონცერტების წაყვანა და არანაირი პერსპექტივა ქართულ შოუბიზნესში. ამიტომ 6 წლის წინ მოსკოვისკენ აიღო გეზი და იქ ცხოვრება ნულიდან დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში რუსეთის დედაქალაქში თავისი მუსიკით ცდილობდა თავის გატანას. გასული წლის ბოლოს კი მუსიკალურ პროექტ „ვოისში“ (მისი ქართული ანალოგია „ახალი ხმა“) წარმატებულად გამოვიდა და მომღერალ ლეონიდა აგუტინის ფავორიტი გახდა. სულ მალე კი პოპულარული რუსული დუეტის, „ნე პარას“ სოლისტ მამაკაცს ჩაანაცვლებს. ასე გადაინაცვლა ქართველმა ანიმ პატარა რუსული სცენიდან დიდ სცენაზე.

ამ დღეებში მომღერალი საქართველოში დედის დაბადების დღისთვის ჩამოვიდა, დიდი ხნის სურვილი აუხდინა და ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა. მანამდე კი მათ დედაშვილობაზე პოპულარულმა რუსულმა ტოპ შოუმ „პუსტ გოგორიატ“ („დე ილაპარაკონ“) გააკეთა გადაცემა. წამყვანმა ანდრეი მალახოვმა ანის დედა მოსკოვში სიურპრიზად ჩაუყვანა და საზოგადოებას დასმარებებსკენ მოუწოდებდა. მომღერლის დედას რთული ოპერაციის გაკეთება ესაჭიროება.

ანიმ დედას დაბადების დღეზე კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო. თბილისში საცოლით ჩამოვიდა. როგორც „სარკესთან“ აცხადებს, მისი ცხოვრების ორი უძვირფასესი ადამიანი — დედა და საცოლე — ერთმანეთს კარგად უგებენ.

— ანი, როგორ ვიცა, საქართველოში შესრულებულია ბიტი და რა გეგმები გაქვთ?

— 27 იანვარს დედაჩემის დაბადების დღე იყო. ყოველ წელს ამ დღეს მის გვერდით ვატარებ. ამ ყველაფერს დაემთხვა ისიც, რომ 26 იანვარს ერთ-ერთ კლუბში ჩემი კონცერტი გაიმართა. მეორე დღეს კი ჯგუფ „ვინდთან“ და გიგა აგლაძესთან ერთად ჩავენერე სიმღერა „ლამაზი დღე“, რომელსაც 12 წლის წინ ვასრულებდით. კლიპის გადაღებებიც დავიწყეთ.

— დედას ქვლბატონი სატელევიზიო დაბადების დღე როგორ აღინიშნა?

— მოსკოვიდან დედას ბევრი მისთვის საჭირო ნივთი ჩამოვუტანე. ბუნებრივია, ჩემს კონცერტს ისიც ესწრებოდა და, როგორც კი საათის ისრები 12-ს გააძვალდა, სიმღერით მივულოცე, მოვეფერე. დილა რომ გათენდა, ბრილიანტის ბეჭედიანი ოქროს ბეჭედი ვაჩუქე. ძალიან გაუხარდა, მისი ბედნიერი სახე არასოდეს დამავიწყდება. მისთვის ამ პატარა ოცნების შესრულებაც შეეძლო. ჩვენი ოჯახი ღარიბ-ღარიბად ცხოვრობდა, ძვირფასი სამკაულები არ გვქონდა. იმ დროს, როცა დედას უნდოდა, რომ სამკაულები ჰქონოდა, ამის საშუალება არ იყო. მინდა, რომ ოცნებები შეძლებისდაგვარად აუხსდინო.

— თქვენს კონცერტზე რა სტუმრად, როგორ შეგხვდნენ კოლეგა მუსიკელები?

— ქართველი მსმენელი კარგად შემხვდა. რამდენიმე მეგობარი დავსწრო კონცერტს — სალონ გოგიაშვილი, ნინო ბადურაშვილი, ნოე სულაბერიძე, გიორგი მამაცაშვილი. ჩემი უბნელები, ძველი ნაცნობები, მეგობრები იყვნენ კლუბში. ყველას ნახვა გამიხარდა.

— არ ახარებთ, რომ საქართველოში საქართველოს?

— 8 თებერვალს მივფრინავ, სავარაუდოდ, პეტერბურგში მექნება კონცერტი, თუ გადაიდო, 10-ში წავალ. მოსკოვური ცხოვრება ძალიან კარგად მიდის. პროექტ „ვოისის“ შემდეგ ბევრი შემოთავაზება მაქვს — კონცერტები, მონაწილეობა. ჩემი შემოსავალიც საგრძნობლად გაიზარდა.



ანი და მამა

„გაია ახის ის, ვინც მინდა, ხომ ჩემ გვეხდით იყოს. მას ახარეულები გეხეგნობა და მდიდარი მინაგანი სამყარო აქვს. იდეალური მიახლოებული ქალი“.

ასევე მივიღე შემოთავაზება რუსული ჯგუფიდან „ნე პარას“. ამ ჯგუფში ბიჭი და გოგო მღეროდნენ, ბიჭმა სოლო კარიერა წამოიწყო, მენეჯერებმა ჩემზე გააკეთეს არჩევანი და მის ნაცვლად მიმიწვიეს. ახლა მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

— პროექტ „ვოისში“ როგორ აღინიშნა?

— ტელევიზიით გავიდა რეკლამა, რომ ეს პროექტი იწყებოდა და მეგობრების დაჟინებულ-ლი თხოვნით მივიღე მონაწილეობა. მათ გამომიგზავნეს ანკეტა, შევაგეს და რამდენიმე დღეში დამირეკეს. ყოფილი ჩემი ვიდეოები ნახა, გასაუბრებლად მივიღე და სამი ტური გავიარე. ეს არ იყო მარტივი. ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა, იყო იუმორისტული ჩართვებიც, აქცენტი ჩემს ქართველობაზეც გაგვეთქვა. ამ ყველაფერმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ 22 წელია სცენაზე ვდგავარ, „ვოისი“ ჩემი პირველი მოსკოვური გამოწვევა იყო. ვფიქრობ, რომ ეს გამოცდაც ნორმალურად ჩავაბარე.

— რატომ ჩაიქნით სელი საქართველოში სიმღერაზე?

— აქედან 2006 წელს წავედი. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენს ქვეყანაში არაფერი ტარდებოდა. ჩემი სახელი დე გავარი, რომელიც ყველამ იცოდა, უცნაურად გაქრა. მანამდე რადიოში ვმუშაობდი, სხვადასხვა ლონისიება მიმეყვანა, მერე კი ერთდროულად დამთავრდა ყველაფერი, შემოსავლის ყველანაირი წყარო გამოიქრა. მართალია, პატარა ოჯახი მყავს (დედა, მე და ძალი), მაგრამ მასაც ხომ სჭირდებოდა რჩენა? ერთადერთი გამოსავალი მოსკოვში წასვლა იყო. ამ წლებმა ტყუილად არ ჩაიარა. დედას ვესმარებ, ის კი ჩემს მეგობრებს ესმარება. გამოდის, რომ დედი იქ ყოფნით რამდენიმე ოჯახის გვერდით დგამს შევძელი.

— ქვლბატონი სატელევიზიო განსაკუთრებული როლი უქონდა თქვენს ცხოვრებაში. ანდრეი მალახოვის ტოპ შოუსი თქვენს დედაშვილობაზე დიდი

აქცენტი გაკეთდა. სურპრიზიც კი მოგწვევს და დედა მოსკოვში ჩამოგიყვანს გვიანებით ამ ყველაფრის შესახებ რა და როგორ მოხდა.

— ეს ჩემთვის მართლაც დიდი სიურპრიზი იყო. პროექტში რადგან დედაჩემზე დანიწყეს ლაპარაკი, მიგხვდია, რომ მას ჩემ გვერდით ვნახავდი. ხატულა მარშან მყავდა მოსკოვში, მას სახეზე პლასტიკური ოპერაცია სჭირდება, მაგრამ არც ერთმა რუსულმა კლინიკამ მოჰკიდა ხელი. პლასტიკური ოპერაციის გაკეთება თითქოს ადვილად ყლერს, მაგრამ თურმე რთული ყოფილა. ანდრეი მალახოვმა დედა მიიწვია და ძალიან გულსამაზუყებელი ინტერვიუ გამოვიუდათ. ხატულა იმისთვის ჩამოფრინდა, რომ ამ გადაცემაში მიეღო მონაწილეობა. მადლობა მათ! მე და დედა არაჩვეულებრივი 5 დღე გავატარეთ ერთად.

— პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაც ხომ არ მისწინდა?

— არა. მისი ჩამოსვლის მიზეზი ოპერაციის გაკეთება არ იყო.

— დედას რა დაეწინა აქვს?

— 5 წლის წინ თავიდან სიმსივნე ამოაცალეს. ამის შედეგად ხატულას სახის კუნთი დაუზიანდა და სახეზე მიმიკა აღარ აქვს, კუნთი არ მუშაობს. მართალია, ოპერაციის შემდეგ წერვი არ ალუდგება, მაგრამ სახის მარცხენა ნაწილი მარჯვენის სიმეტრიული იქნება.

— კარგი შეილი ხართ, ამას ხსნადა აღინიშნავს ქვლბატონი სატელევიზიო.

— ხატულამ მალახოვთან ინტერვიუში თქვა, რომ მისი ოცნება იყო ვარდისფერი საძინებელი ოთახი, რომლის რეალობაც ქვევაც შევქედი. ამდენი წლის განმავლობაში დედას ფულს რომ ვუგზავნიდი, ის დანაზოგს აკეთებდა და შიგადაშიგ სახლსაც აღამაზებდა. ყოველ ჩამოსვლაზე ახალ-ახალი ნივთი მხვდება. ინტერვიუს სამ თვეში ერთხელ ცვლის. რა ვიცი, ჩემებურად ცვდილობ, მისი გული გავახარო.

— თქვენი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში თქვენ გვერდით სხვადასხვა ქალი იყო. დაქორწინებულაც იყავთ. ახლა რა სტატუსი უნდა?

— ის ადამიანი, ვისთან ერთადაც ოჯახს შევქმნი, ახლა ჩემ გვერდით არის. საქართველოში ერთად ჩამოვფრინდით. ქართველია, აქ ბევრი ნათესავი ჰყავს. უახლოეს ხანში დაქორწინდები.

— მის ვინაობას არ გავაგონებ?

— ვისი ვინაობაც გაგიმზილეთ, ურთიერთობა არც ერთთან ამეწყობა... კარგი, გეტყვი. ჩემი რჩეული გაია ხანიძია, შუარის სპეციალისტი, კარგი განათლება აქვს მიღებული. მართალია, არც მღერის და არც ცეკვავს, მაგრამ ჩვენი სასიათები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. გაია მედიაგამომცემლობაში მუშაობდა. მოსკოვის „პირველი არხის“ ძალიან ბევრი გადაცემის წამყვანი და სტუმარი ჩაუტყველი დარჩებოდა, გაია რომ არ აგვარებდეს ამ საქმეს.

— ეს ის არის ვისაც კვლიათ ამდენი ხანი?

— ეს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მანამდე ბევრი გოგონა იყო ჩემს ცხოვრებაში და ყველა მათგანს დიდ მადლობას ვუხდდი. მათთან ერთად ძალიან ბედნიერი ვიყავი, თუმცა გაია არის ის, ვინც მინდა, რომ ჩემ გვერდით იყოს. მას არაჩვეულებრივი გარეგნობა და მდიდარი შინაგანი სამყარო აქვს. იდეალურთან მიახლოებული ქალია. დედაჩემს გაია ძალიან უყვარს, რადგან თბილი, საყვარელი, ერთგული, ყურადღებიანია და კარგი ოჯახის შვილია. მოკლედ, ყველა ის თვისება, რაც კარგ სარძლოს უნდა ჰქონდეს, გაიას აქვს. დედა ბედნიერია, რომ ჩვენ ერთად ვართ.

✓ დანა კიკაძე

ლევან ჯიბლაშვილს 17 ათას ღოლარიანი საათი უკეთია

„ცუდად ჩაცმული გოგოსკენ შეიძლება არც კი გავიხედო“



ზომო, დავფიქრდებ, რას მოუხდება, რასთან ჩავიცვა... მაგალითისთვის გეტყვით, რომ ზაფხულში ძალიან მიყვარს, პერანგზე სვიტერს რომ მოვიგდებ ხოლმე. ალბათ 14 ფერის ზუსტად ერთნაირი, სამკუთხედყელიანი ზედატანი მაქვს, ოღონდ პატარა ზომებია. გამოირიცხულია, ისინი ჩავიცვა. მხოლოდ იმიტომ მაქვს, რომ მხრებზე მოვიგდო.

— განწყობა როგორ აისახება თქვენს ჩაცმულობაზე?

— ყოველთვის ისე მაცვია, როგორ განწყობაზე ვარ. დილით მზეს თუ ვხედავ, იდეალურ ხასიათზე ვდგები. აბაზანაში ღილინ-ღილინით შევდივარ და რომ გამოვალ, გარეთ გასასვლელ სამოსს ვიცვამ. სანამ აბაზანაში შევალ, იქამდე ვარჩევ, რას ჩავიცვამ, დავალაგებ და, რომ გამოვალ, ჯარისკაცვით უცებ გამოვწყობი ხოლმე.

— და როცა იდეალურ ხასიათზე არ ხართ?

— თუ იდეალურ ხასიათზე არ ვარ, შეიძლება რაღაც უცებ ჩავიცვა ან სამსახურში სულაც სპორტულებით წამოვიდე.

— ადამიანი სამოსით შეკეთასებათ?

— მაგალითად, შეხვედრებზე ყველაფერი ჩაცმულობით იწყება. ვილაც ინვესტორი რომ ჩამოდის და, ვთქვათ, გლდანის სასტუმროში რჩება, მასზე უკვე არასერიოზულად იწყებ ფიქრს. ასევე, როდესაც შეხვედრაზე ვილაც გემოვნებით ჩაცმული მოდის, ხვდები, რომ სერიოზული ადამიანია. მხოლოდ შეხვედრებზე უკვე კი არა, ცხოვრებაშიც ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გაცვია. კარგად რომ იცვამ, ბევრ კომპლიმენტს იღებ, რაც დადებით მუხტს გამძღვეს, თავდაჯერებულნი ხდები.

— ბუნებრივია, ქალის ჩაცმულობას კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევთ.

— ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ქალი როგორ იცვამს. ძალიან მრავალფეროვნად და მაგრად უნდა ეცვას, ყოველთვის სხვადასხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს.

„ჩემი ახიდა ხომ გამოხნათ, ფეხებით, ზომების მიხედვით ადაგია ყველაფეხი“.

ვალფეროვნად და მაგრად უნდა ეცვას, ყოველთვის სხვადასხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს.

— ფოტოების გადაღებისას სხვადასხვანაირი საათები გაცივთ, როგორც ჩანს, ბევრი გაცივთ.

— კი, საათების კოლექცია მაქვს, ძალიან მიყვარს.

— და აუცილებელია, რომ ბრენდი იყოს?

— მაქვს საათები, რომლებიც ძალიან ძვირადღირებულია. აქედან ზოგი ჩემი შექმნილია, მაგრამ ყველაზე ძვირადღირებული საათი, რომელიც ჩემს კოლექციაშია, მაჩუქეს.

— რა თანხა გადასდილი მასში?

— „კარტინი“ საათია, დაახლოებით 17 000 დოლარი ღირს. ასევე მაქვს სხვა ბრენდების საათები, რომლებიც 10 000, 12 000 დოლარი ღირს.

— ასეუი ძვირადღირებული საჩუქრებით ვინ გავაჩუქებთ?

— მეგობრები დიდხანს მიცოცხლოს ღმერთმა! ძვირადღირებულ საათებს ყოველდღიურად არ ვხმარობ.

როცა შეხვედრებზე მივდივარ, მაშინ ვიკეთებ. ყოველდღიურად ნაკლებფასიან საათებს ვიყენებ, რომლებსაც ჩემს ჩაცმულობას ვუხამებ. პირველი საათი „სკოჩის“ ვიყიდე, 125 ლარი გადავიხადე. ჩემს ცხოვრებაში ეს დიდი მიღწევა იყო. ის საათი რომ მეკეთა, უფრო მაგარი განცდა მქონდა, ვიდრე დღეს, როცა „კარტინი“ მიკეთია.

ის საათი დღესაც მაქვს. ზუსტად იგივე ემოცია მქონდა, როცა ჩემი ფულით პირველად ვიყიდე ცოტა ძვირადღირებული სუნამო, 170 ლარი გადავიხადე. იცით, როგორ ვიზოგავდი? 5 წელი ვისმარე და ახლაც მაქვს 10 მილიგრამი შენახული. საათი სამოსთან ფერებით უნდა იყოს შეხამებული, ის ისეთ წერტილს უსვამს ჩაცმულო-

ბას, რომ გეტყვიან, ვა, რა მაგარი ფერია გაააო.

— **ბევრ ისეთ დეტალს აქცევთ**



ყურადღებას, რასაც მამაკაცების უმრავლესობა ვერც მიაფიქრებს.

— კი, აბა, რა! დედაჩემი მუხნებოდა ჩემს დედაშვილ გოგოზე, იმის გარდერობს რომ გამოხსნი, ხელები თავზე უნდა დაიფარო, რომ ზემოდან ტანსაცმელი არ დაგეყაროსო. ჩემი კარადა რომ გამოხსნათ, ფერებით, ზომების მიხედვით ალაგია ყველაფერი. პიჯაკები, კლასიკური შარვლები აუცილებლად საკიდზე უნდა ეკიდოს. ჯინსის შარვლებიც ცალკე ვკვცავ. ფეხსაცმელები, სომ ნახეთ, როგორ მაქვს ჩანაწილი. ძალიან მოწონებულნი ვარ, შეხედეთ შარვებს, როგორ მილაგია დაეკცილი. მართო ვცხოვრობო და ყველაფერს მე უყვლი. დედაჩემმა ასე გამზარდა, წესრიგს მიმაჩვია.

„ჩემს ჩაცმულობას ფეხსაცმით ბოლო ნეხილს ვუხამ“.

— ლამაზი, მაგრამ უმსაღ ჩაცმული გოგო არ მიაგწონსებოდათ?

— ქალებს ვე-

ნაცვალე! შეიძლება ძალიან მაგარ გოგოს ისე ცუდად ეცვას, რომ მისკენ გახედვა არ მოგიწდება, მაგრამ ასე თუ ისე ნორმალურ გოგოს ისე გემოვნებინა და საყვარლად ეცვას, რომ მიგიზიდოს. არ მესმის, როცა ამბობენ, არ მაინტერესებს, სხვა რას იტყვისო. გემოვნებინა და კარგად ჩაცმა ძალიან მაგარია. თუ ჯიბეში ოქროც ჩხრიანებს და მილანში, პარიზში წახვალ და იქ იყიდი, ამას რა სჯობს!

— მადანაშუმი ფასდაკლებებს კლიდებით თუ როცა გჭირდებათ, მასში ყოველდღი, ფასისა მთხუნდავად?

— სამოსის საყიდლად ძირითადად ფასდაკლებებზე დავდივარ და ნახევარ ფასებში ვყიდულობ. რაღაც 200 ლარი რომ ღირს, მე 50 ლარად ვიძენ. ცოტა ხნის წინ ფეხსაცმელი 50 პროცენტთან ფასდაკლებაში ვიყიდე და მეორე დღეს მესიჯი მომივიდა, 70 პროცენტთან ფასდაკლება დაწყებული, ლამის გავვიყიდე! მოკლედ, ჭკვიანურად, მარკეტინგულად და გემოვნებინადა ვიცვამ.

✓ ქეთი დინოშვილი

მსახიობ ლევან ჯიბლაშვილს ტანსაცმელი ისეთი მოვლილ-მოწესრიგებული აქვს, რომ ნებისმიერ ქალს შეეშურდება. „სარკესთან“ რუბრიკა „სამოსი“ ჩასაწერად თავისი მინიგარდერობით მოვიდა — საკიდებზე ჩამოკიდებული შარვლები, კოხტად დაპაცილი ჯინსები, ყუთებში ლამაზად ჩაწყობილი ფეხსაცმელები... როგორც უკვე მიხვდით, ჩაცმა-დახურვის საკითხი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გოგოსაც სამოსით აფასებ. მოკლედ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, ვინც მისი გულის მოგებას ცდილობენ, ეს ინტერვიუ ნამდვილად ნაადრევია.

— ლევან, ფოტოების გადაღების დროს თვალში მომსვდა, თუ როგორ უხამებთ ფერებს ერთმანეთს. რა პრინციპით არჩევთ ტანსაცმელს რომელიც ამ დღეს უნდა ჩაიცვათ?

— ფერების ერთმანეთში არევა არ მიყვარს და სულ ვცდილობ, ბევრი ფერი არ აფერიო. ვფიქრობ, რომ ჩაცმულობაში აქსესუარები და ფეხსაცმელია მთავარი. შეიძლება ერთი შარფი გაცივთო ისეთი, რომელიც ყველაფერს შეცვლის. ფეხსაცმელი და საათები ჩემი სტიქიაა. სახლიდან გასვლამდე ჯერ სამოსს ვიცვამ და მერე ვფიქრობ, მას რომელი ფეხსაცმელი მოუხდება. ჩემს ჩაცმულობას ფეხსაცმელი ბოლო წერტილს უსვამს.

— თქვენს გარდერობში დაახლოებით რამდენი წყვილი ფეხსაცმელია?

— დაახლოებით 30 წყვილი ფეხსაცმელი მექნება. 1-2 წყვილი კედი მაქვს, დანარჩენი — კლასიკური და სპორტული.

— ყიდვისას ტანსაცმელს სწრაფად და მარტივად ირჩევთ?

— არა, ძალიან რთულად. ზოგადად, ჩაცმულობაში ვარ რთული. რაღაცის საყიდლად რომ მივდივარ, 7-ჯერ მაინც უნდა გავი-



კლიმაქტერული სინდრომი

კლიმაქტერული პერიოდი თავისი არაერთი არ წარმოადგენს დაავადებას ან დაავადებათა კომპლექსს, არამედ ქალის ცხოვრების ფიზიოლოგიური პერიოდი.

ქალის სიცოცხლის მნიშვნელოვანი პერიოდი კლიმაქტერულ ასაკზე მოდის. ამ დროს მისი პროფესიული თუ შემოქმედებითი აქტივობა ზენიტს უნდა აღწევდეს, მაგრამ, მთელ რიგ შემთხვევებში, კლიმაქტერული პერიოდის პათოლოგიური გამოვლინებები ადეკვატური მკურნალობის გარეშე ამ შესაძლებლობათა რეალიზაციას შეუძლებელს ხდის. მკვეთრად უარესდება ცხოვრების ხარისხი და იკლებს მისი ხანგრძლივობა.

ამ დაავადების განვითარებაში პერიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ქალის სასქესო ჰორმონთა დეფიციტს, რაც ასახება მეორადი ცვლილებებით სხვადასხვა ჰორმონმგრძობიარე ორგანოებსა და სისტემებში.

კლინიკურად კლიმაქტერული სინდრომი ხასიათდება ისეთი გამოვლინებებით, როგორცაა: ალები, ოფლიანობა, შემცივნება, ტაქიკარდია, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, ვაზომოტორული, ფსიქოემოციური, მეტაბოლური, კანის, გულ-სისხლძარღვთა, ძვალ-სასხროვანი, შარდ-სასქესო სისტემებისა და სექსუალური ფუნქციის დარღვევები.

ალები — ნამოსურების შეგრძნება და ჰიპერემია სახეზე, ყელსა და მკერდზე, წარმოიქმნება უცვლად ყოველგვარი წინაპირობის გარეშე ან პროვოცირდება ემოციური სტრესით. ალები გრძელდება რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე. მას თან ახლავს გულისცემის აჩქარება, თავბრუსხვევა, სიცხის შეგრძნება, რომელიც მთელ რიგ შემთხვევებში იცვლება შემცივნებით. დღე-ღამეში ალებმა შეიძლება თავი იჩინოს ერთეულიდან 30-50-მდე, როგორც მუშაობის, ასევე დასვენების დროს, რაც იწვევს გაღიზიანებას და უძილობას, შესაბამისად — საერთო მდგომარეობის დამძიმებას. კლიმაქტერული სინდრომის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო გამოვლინებაა კარდიოპათია, ტკივილი გულის არეში, რომელიც, როგორც წესი, ყრუ ან ჩხვლეტიანი ხასიათისაა, მიმდინარეობს ხანგრძლივად და, იშვიათად დაავადებისაგან განსხვავებით, არ არის დამოკიდებული ფიზიკურ დატვირთვაზე. მათი წარმოქმნა ან გაძლიერება დაკავშირებულია ნერვულ აღგზნებასთან. ტკივილის გაჩენას შეიძლება წინ უსწრებდეს ალები ან შემცივნება, ცივი ოფლი, კიდურების დაბუჟება, ჰაერის უკმარისობა. პაციენტთა 2/3-ს ახასიათებს არტერიული წნევის მატება და ლაბილობა, მისი კრიზული მიმდინარეობა. პაციენტთა უმრავლესობაში, ალების შეტევის დროს აღინიშნება გულისცემის აჩქარება, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეიძლება გამოვლინდეს.

ვესტიბულოპათია ხშირად წარმოიწინებს კლიმაქტერული სინდრომის სხვა ჩივილებთან ერთად და ხასიათდება თავბრუსხვევით, ნონასწორობის დარღვევით, სმაურის შეგრძნებით თავსა და ყურებში.

კლიმაქტერული სინდრომის შედარებით იშვიათი, მაგრამ მძიმე ფორმადიენცეფალური კრიზები. შეტევები უფრო ხშირად იწყება ღამით, ზოგჯერ ყოველგვარი მიზეზის თუ წინაპირობის გარეშე. მისთვის დამახასიათებელია: სპაზმი და ტკივილი გულის არეში, გულისცემისა და პულსის აჩქარება, სახის გაფერმკრთალება ან ჰიპერემია, თავბრუსხვევა, საერთო სისუსტე, არტერიული წნევის მნიშვნელოვანი მატება, სიკვდილის შიშის შეგრძნება.

ფსიქოემოციური დარღვევები კლიმაქტერული სინდრომის 15-25% შემთხვევაში გამოვლინდება. მას მიეკუთვნება ასთენონევროტიული სინდრომი და დეპრესია.

ასთენონევროტიული სინდრომისათვის დამახასიათებელია: გაღიზიანებადობა, ტირილის სურვილი (გულჩვილობა), უძილობა და ძილის ხარისხის გაუარესება, შიშის, დაძაბულობის და საფრთხის შეგრძნება, მეხსიერების და ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება, გუნება-განწყობის გაუარესება, ხოლო დეპრესიისათვის დამახასიათებელია: დათრგუნვის შეგრძნება, ნიჰილიზმი, საფრთხის მონოტონური შეგრძნება, სიცარიელის და უსუსურობის განცდა, თვითგვემა, სოციალური იზოლაციისადმი ლტოლვა, პიროვნებათშორისი კავშირების დარღვევა, აკვიატებული აზრები და სუიციდის მცდელობა.

კლიმაქტერულ პერიოდში ქალების 2/3-ს აღინიშნება ლიბიდოს დაქვეითება, ხოლო 5-7%-ს უფითარდება სექსუალური ლტოლვის გაძლიერება (კლიმაქტერული ნიმფომანია). სექსუალური ფუნქციის დარღვევები განსაკუთრებით გამოხატულია ლაბილური ფსიქიკის მქონე ქალებში.

კლიმაქტერულ ასაკში არსებული შეფარდებითი ჰიპერანდროგენიის (მამაკაცის ჰორმონების სიჭარბე) კლინიკურად ვლინდება ხმის ტემბრის შეცვლით, პირსუტინში (ჭარბთმინარობით), თავზე თმის გათხელებითა და ცვენით, ცხიმოვანი ქსოვილის მატებითა და მისი გადანაწილებით

ვისცერალურ — მამაკაცურ ტიპად.

ესტროგენდეფიციტი შარდ-სასქესო სისტემაში განაპირობებს დისტროფიულ ცვლილებებს. კერძოდ — იწყება ვულვისა და საშოს ქავილი, წვისა და სიმშრალის შეგრძნება. კლებულობს რეზისტენტობა ინფექციების მიმართ, რაც განაპირობებს ატროფიულ კოლპიტს, რომელიც ცუდად ემორჩილება ანტიბაქტერიულ თერაპიას, ყალიბდება შარდის შეუკავებლობა, რომელიც ვითარდება ფიზიკური დატვირთვის, ცემინების, ხველების, სიცხის, მკვეთრი მოძრაობების დროს და დიდ დისკომფორტს უქმნის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალბატონებს. ასევე ვითარდება საშვილოსნოს დანევა მის სრულ გამოვლენამდე.

ესტროგენების დეფიციტის ფონზე მენოპაუზიდან პირველ 5 წელში 30-40%-ით მცირდება კოლაგენის და ელასტინის სინთეზი, ხდება მისი ჰიალინოზი, რაც განაპირობებს კანის გათხელებას, დანაოჭებას, სიმშრალეს და გაფერმკრთალებას. ასევე მცირდება კანქვეშ სითხის შეკავება. ყალიბდება თმისა და ფრჩხილების სიმშრალე, სიმყიფე. იგივე მექანიზმი იწვევს ოსტეოართროზისა და ოსტეოქონდროზის ჩამოყალიბებას.

კლიმაქტერული სინდრომის გვიან გამოვლინდ ფორმებს მიეკუთვნება ოსტეოპოროზი, გულ-სისხლძარღვთა და ალცჰეიმერის დაავადება.

დაავადების მკურნალობის სტრატეგიაში პერიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ჩანაცვლებით ჰორმონულ თერაპიას, მაგრამ დღეისათვის, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მისი გამოყენება მნიშვნელოვნად შეზღუდულია და მოითხოვს პაციენტის აუცილებელ წინასწარ კვლევას და ადეკვატური თერაპიის შერჩევას. კლიმაქტერული სინდრომის მსუბუქი გამოვლინებების დროს შესაძლებელია გამოყენებული იყოს ფიტოპრეპარატები და რიგი სედაციური საშუალებები.

აღსანიშნავია, რომ კლიმაქტერულ პერიოდში ცხოვრების აქტიური სტილი, მსუბუქი სპორტული აქტივობა (სირბილი, ცურვა), კოფეინისა და ალკოჰოლის მიღების შემცირება დადებითად მოქმედებს კლიმაქტერული ჩივილების გამოვლენასა და ინტენსივობაზე.



ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა

ქალბატონებს, კლიმაქტერული სინდრომით, თებერვლის თვეში ამ კურონის წარდგენისას გთავაზობთ პროფესორის კონსულტაციას უზრუნველყოფით ფასად

10 ღარი ჩანერა ნინასნარ

ტელ: 222 00 65; 251 88 87; მობ: 597 51 19 13
დიღომი, ლუბლიანას 2/6, | საბურთალო
(მ. იაშვილის სახ. ბავშვთა საავადმყოფოს ტერიტორია)
www.sabakhtarashviliclinic.ge

ნიწო ნაღირაქე: „ნიწთი ხელოსანი ვერ ვიწოვე, ვინს არ მოეაზყუებს“



ბწობილი პლასტიკური ქირურგის, გუგაკუზანოვის მეორე ნახევარი, ექიმი ნიწო ნაღირაქე, დიდ დროს არ ხარჯავს იმაზე ფიქრით, სახლში სად როგორი ნივთი დადოს. ეს საკითხი კარგახნის წინ მოაგვარა. მისთვის მთავარია ოჯახის წევრები ჰყავდეს კარგად, შვილების სწავლა-განათლებაზე იზრუნოს, საინტერესო ადამიანებთან ჰქონდეს ურთიერთობა და საერთოდ ცხოვრებით დატკბეს. უყვარს ის ძველი ნივთები, რომლებიც წინაპრებისგან ერგო ან ახლობლებმა უსახსოვრეს და ძვირფას მოგონებებთან არის დაკავშირებული. ასეთი კი მრავლად აქვს. იმაზე, რომ შინ კომფორტი ჰქონოდა, 27 წლის ასაკში იზრუნა, მაშინ სახლი საფუძვლიანად გადააკეთა, კედლები დაანგრია და თავიდან ააშენა. ახლან კი მცირე კოსმეტიკური რემონტი ჩაატარა. საუბარიც სწორედ ამ თემაზე დავიწყეთ.

— ნიწო, როგორ ჩაატარა რემონტის დაძლეულობა პროცესს?

— ბინის ძირითადი ნაწილი 12 წლის წინ გავარემონტეთ. ახლა კი ზედამიწულად განვაახლეთ. ეს სახლი 1892 წელს არის აშენებული. ეზო მთლიანად ჩემი მამამთილის, ივას დიდ ბებიას პაპს ეკუთვნოდა, მაგრამ ბოლშევიკებმა წაართვეს. მერე ძირითადი ნაწილი ისევ ჩვენ შევისყიდეთ. ამ ეზოში ვცხოვრობთ ჩვენ, ჩემი მამა და ივა. ფაქტობრივად ყველა ერთად ვართ.

— თქვენ რამდენი ოთახი გქვარა?

— მეორე ბინაც უნდა შემოვიერთოთ და მთლიანობაში 7 ოთახი გამოვა. ცოტა ხანში იქ დავინწყებთ რემონტს. სამზარეულოსაც იქით გადავიტანთ. საკმაოდ დიდი ბინა იქნება.

— გუჯართ დიდი ოთახები?

— სახლში ყველაზე მეტად მაღალი ქერი



მიყვარს, ეს ჩემთვის გადამწყვეტია. ახალაშენებულ სახლებს არ ვწყალობ სწორედ ქერის გამო.

— სასლი თითქმის ერთ ტინდალიბაშია — სინჯისფერში. ეს ფერი რატომ აირჩიეთ?

— იმიტომ, რომ არ მინდა, ფერებმა გამაღიზიანოს. თვითონ ვარ იმდენად ცვალებადი და ფერადი ადამიანი, რომ აჭრელებული სახლი აღარ მინდა. შინ რომ მოვალ, სიმყუდროვე უნდა დამხვდეს. ნივთების გადაადგილებაზე არ მიყვარს.

„ჩენი ბუხაიი შესანიშნავად ასხელებს თავის საქმეს, ოღონდ მებუხემ ცვინში დამის სისხლი ჩამიქცია“.

რალაცას რომ დავდებამ, წლების განმავლობაში ადგილს აღარ ვუცვლი, ეს პროცესი მუხარება. ნივთები თვალში ზედმეტად არ უნდა მომხვდეს, არ უნდა გამაღიზიანოს. კედლის ფერიც მშვიდი უნდა იყოს. აქამდე შპალერი არ გვეკონდა გაკრული, ყველა კედელი ერთ ფერში, რძისფრად მქონდა შეღებული. ჩემი ქმარი „დროშებით“ გამოვიდა, საავადმყოფოს ფერების ატანა აღარ შემიძლია, ოდნავ მაინც შევცვალათო.

— კედლების ფერი მუქლასთან შეთანხმებით?

— ამ სახლში ყველაფერი ჩემი გემოვნებით არის გაკეთებული. ეს ბინა თავის დროზე მთლიანად მე გადავაკეთე. ძველებური სახლი იყო, სადაც მატარებელივით ერთი ოთახიდან მეორეში გადადიდი. ყველა კედელი დავანგრეე და თავიდან ბოლომდე ჩემი დიზაინით გავაკეთე.

— სასლის გადაკეთება აღობთ საკმაოდ ძვირი დაფარდა?

— 2000 წელს გავაკეთეთ რემონტი. სულ 15 000 დოლარი მქონდა და ყველაფერში უნდა გამომეზოგა. მაშინ 27 წლის ვიყავი და ელიავას ბაზრობაზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით დავებოდი.

— აღობთ ახლა უკვე ფსიქოლოგურად ექნადებით მკორე ბნის შექორთობისთვის.

— ნამდვილად! რემონტი ჩემთვის მიმე თემაა, ყველა ხელოსანი გატყუებს. მახსოვს, ერთ ხელოსანს 120 ლარი მივეცი, ქუჩის გადაღმა უნდა გადასულიყო, ლურსმანი ეყიდა, ის კი წავიდა და წავიდა, აღარ დაბრუნებულა. მაშინ ვისწავლე, რომ ხელოსანს ფული უნდა მისცე, როცა სამუშაოს დაასრულებს. ისეთი ხელოსანი ვერ ვიპოვე, ვინც არ მომაცუებებს.

— სასლში რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი?

— რაც ასაკში შევდივარ, ყველაზე მეტად იმაზე ვზრუნავ, რომ ჩემი



შვილები, ახლობლები კარგად მყავდნენ. სხვა რალაცვების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება არ მაქვს. მაგალითად, არ ვივლი, რომ სახლში აუცილებლად ძვირფასი ავეჯი უნდა მედგას ან სამზარეულო ძალიან თანამედროვედ უნდა მქონდეს მოწყობილი. მთავარია ვიყო სუფთად, კოსტად და არ ვფიქრობ იმაზე, რომ დივანში 5 000 ლარი გადავიხადო. ამ ყველაფერზე შეიძლება მაშინ იფიქრო, როცა ძალიან ბევრი ფული გაქვს, მაგრამ, თუ შენი ბიუჯეტი სულ 15 000 ლარია, არჩევანიც აღარ გაქვს გასაკეთებელი. რა თქმა უნდა, ძალიან მაგარ მაცივარს არ ვიყიდი და იმ ფულს შვილების სწავლა-განათლებაში დავხარჯავ. რად მინდა მაცივარი, თუკი ჩემი შვილები კარგად ჩაცმული არ იქნებიან ან ვერ იმოგზაურებენ?

— თუცა კომპიუტერს აუცილებელია.

— სახლში მეტნაკლები კომფორტი მაქვს, მაგრამ ამაში მილიონები არ არის ჩაყრილი. ცოტა გემოვნება თუ გაქვს, შეიძლება სახლი ლამაზად ნაკლები თანხითაც მოაწყო, მაგალითად, აქსესუარებით გაამრავალფეროვნო. ასევე შეგიძლია კარგი განათება შეარჩიო, კედლებს ფერი შეცვალო. არც იმის ნერვები მაქვს და არც პრეტენზია, რომ სახლში რომაული დარბაზები მოვიწყო, მალე 40 წლის გავხდები, განა რამდენი წელი უნდა ვიცოცხოლო! სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს წლები და ფული მიქელანჯელოს ქანდაკების შექმნაში დავხარჯო. მე ადამიანებ-

„მიყვარს, ხოცა სახლში ისეთი ნივთებია, ხითიყ გეყცობა, ხომ ედვა, ბუბია, ბაბუა გყავდა“.





ზე დეგას, ძველი ვენაა გამოსახული. ეს გუგას ბაბუამ მაჩუქა მამინ, როდესაც ინსტიტუტი დავამთავრე და ქირურგიაში 5 მივიღე. გამოცდიდან რომ მოვედი, მაშინვე მკითხა, რა ქენიო. ვუთხარი, წარმატებით ჩავაბარე-მეთქი და ეს მაჩუქა. აქ დევს ის ფიგურაც, რომელიც ახალგაზრდობის პირველ წინობაზე გუგას ბებიამ მისახსოვრა. ეს ვერცხლის სასმისი ივამ მაშინ გვაჩუქა, როდესაც ივიკო გვეყოლა. ჩვენი შვილის სადღეგრძელო პირველად სწორედ ამ სასმისით დაილია. მიყვარს, როდესაც სახლში ისტორიის ნაწილებია.

— კვლეები ნახტებით გაქვთ ვაღამაზებუ-ლი. რამდენიმე მთიანი თქვენი წამუყვარა. დიდი ხანა წაქვით?

— ახალგაზრდობაში ძალიან კარგად ვხატავდი. გადავწყვიტე, რაღაცეები დამეხატა, ჩარჩოებში ჩავსვი და ჩამოვიკიდე. რომ ვხატავდი, კედელს ნახატი სჭირდებოდა, სამსახურიდან შე-

„აჰ მინდა, ფეხებმა გამაღიზიანოს. თვითონ ვაჰ იმდენად ცვალებადი და ფეხადი ადამიანი, ხომ აჩქელებული სახელი აღაჰ მინდა“.

მოვირბენდი, მაღალქუსლიანი ფეხსაც-მლით ვიდექი და ვხატავდი, მეგრე ისევ გავგარდებოდი ხოლმე.

— რთალი თქვენი შექენილია?

— გუგას ბებიის ნაჩუქარია. ადრე მოდამი იყო, რომ სამედიცინოც უნდა დავემთავრებინა და კონსერვატორიაც. მუსიკალური ათწლედნი კი დავამთავრე, მაგრამ ამ როიალისთვის თავი არც კი ამხიდა. არასოდეს მქონდა მუსიკალური ინტი.

— ბუხარს აქტურად იყენებ?

— 19 იანვარს ჩიჩილაკები დავწვი, მას შემდეგ არ გამოგვიყენებია. ჩვენი ბუხარი შესანიშნავად ასრულებს თავის საქმეს, ოღონდ მეზუნრემ ტვინში ლამის სისხლი ჩამიქცია. ძალიან ნიჭი-ერი, მაგრამ ლოთი იყო. მოვიდოდა, 100 გრამ არაყს გადაკრავდა და ერთი კვირა დაიკარგებო-და. ბოლოს გავაგდე, რადგან მთელი 8 თვე აკეთებდა და მაინც ვერ დაასრულა. ბუხარის მარმარილოსთვის ვაშლიჯერის სამტყელოზე დავრბოდი.

— სახლში ბუხრი სარკე ვაქვთ. როგორც ჩანს, თქვენი საყვარელი ნივთია.

— კი, ყველგან სარკეს ვტენიდი. ვთქვით, ცუდ ხასიათზე ხარ და უცებ სარკეში საკუთარ ანარეკლს რომ მოკრავ თვალს, ხვდები, რომ

თან ურთიერთობებით ვცხოვრობ. ვტყებები ახა-ლი ამბების გაგებით, ვილაცის გვერდით დგომით. ქვეყანაზე ბევრი კარგი საქმეა გასაკეთებელი. ბავშვობაშიც არ მოიცნებია და არ მით-ქვამს, ნეტა, ასეთ სახლში მაცხოვრა-მეთქი. დედაჩემი გამუდმებით რემონტის კეთება-ში, ავეჯის ცვლაში იყო. ეს ყველაფერი უკვე ყელში მაქვს ამოსული!

— სახლში ძველ ნივთებსაც ვსვდებ ანტიკ-ვარიატის მოყვარული ხართ?

— მიყვარს, როცა სახლში ისეთი ნივთებია, რითიც გეტყობა, რომ დედა, ბებია, ბაბუა გაყავდა. ლანგარი, რომელიც სამზარეულოს მაგიდაზე დევს, ჩემი ნინა ბებიის (სწორედ მის სახელს ვატარებ) ნაქონია. ძალიან მიყვარს და ყოველდღე ვეფერები, რადგან მის თავს მაგონებს. როიალზე რომ ლარნაკი დევს, გუგას ბებიის ნაჩუქარია და მას დიდი ხნის ისტორია აქვს. ფრანგული ფეხიანი ლარნაკიც გუგას ბებიამ მაჩუქა, მე-18 საუკუნისაა. პატარა ლარნაკზე, რომელიც კუბიკ-



ჯოჯოსავით გამოიყურები და უნდა დალაგდე, რეალობას დაუბრუნდე. სხვათა შორის, სარკეს-თან სმირი ურთიერთობა ემოციების კონ-ტროლს გასწავლის.

✓ ქეთი დინოშვილი

www.abdiibrahim.com.tr

უაფუთნეთ „ჯაოთრის ინფექციები“ თაქვანი ოჯახის ერთგული ეპოზრების დასეკრებით

ბენეტი
ორალური სპრეი



ბენეტი კლიუსი
ორალური სპრეი

ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო ეპურნალობა

- ▶ სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- ▶ უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- ▶ აუზარაზებს ლაქვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- ▶ გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზოულაბში
- ▶ აქვს სასიოპონო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საპაროთველო, თბილისი 0112.
დ. ალბაშენაბლის გამზ. 148/III



ბენეტი
ბენზიდამინი



ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორპექსილინი

ზაზა ხუციშვილი ბელარუსში გააკეთებს მოუზიანეს ბააკითებს

მუსიკოს ზაზა ხუციშვილის გადაცემა „პირდაპირი საუბარი“, რომელიც ტელეკომპანია „მესტროს“ გადიოდა, არჩევნების შემდეგ დაიხურა. არხის ხელმძღვანელმა მამუკა ლლონტიამ ჩათვალა, რომ პოლიტიკური გადაცემის რეიტინგი უკან მიდიოდა და მუსიკოსიც დაეთანხმა. ახლა მისი გეგმა, მთელი ძალები შოუბიზნესისკენ მიმართოს და კოლეგებს დაეხმაროს. ამას კი სხვადასხვა ტელეპროექტით აპირებს, რომელიც „მესტროს“ ახალ არხზე გავა. დანარჩენს მუსიკოსი თავად გვიამბობს.

— ბატონო ზაზა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რატომ პასუხობთ, სად გაუქმდით?

— სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება მიეჩნია, რომ ადამიანები, ვინც პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულწილად ერევიან, მერე ქვეყნის მართვაშიც იღებენ მონაწილეობას. ყველამ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. იმიტომ ვაქტიურობდი, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც ბოლო მ წლის განმავლობაში გვექონდა, ცხოვრება არ მიწოდდა. ვეცადე, ჩემი წვლილი შემეტანა ამ ყველაფრის გამოსწორებაში. ხელისუფლება შეიცვალა და იმის პირველი ნიშნები გაჩნდა, რაც მიწოდდა. ისე მოხდა, რომ არჩევნების შემდეგ პოლიტიკური შოუების მიმართ ინტერესმა იკლო და ამიტომ არასახირო გადაცემის არსებობას დახურვა ვამჯობინეთ.

ჩემი საქმე შოუბიზნესია და მინდა, მხოლოდ ეს ვაკეთო. „მესტროს“ აპირებს „საერთო მაუწყებლობის“ დაარსებას, რომელიც ყველა სფეროს მოიცავს. ამ არხის რამდენიმე პროექტში ვიქნები დაკავებული. წინასწარ არ მინდა ლაპარაკი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მუსიკოსები კმაყოფილი იქნებიან და სიახლოვებით ითანამშრომლებენ ჩვენთან. ვეცდებით, რომ 1990-იანი წლების მეორე ნახევარი დავაბრუნოთ, როცა აშკარა წინსვლა იყო შოუბიზნესში.

— პოლიტიკური გადაცემა „პირდაპირი საუბრის“ წაყვანა კომპიუტერული საშუალო არ იყო თქვენთვის, როგორც მუსიკოსისთვის?

— პიროვნული ზრდისთვის და მეტი ინფორმაციისთვის ძალიან სასარგებლო იყო ის, რასაც ვაკეთებდი. ჩემთან ბევრი საინტერესო ადამიანი მოდიოდა. მათი სტუმრობისთვის ვემზადებოდი, თითოეულისგან ბევრ საინტერესო რამეს ვიკავებ. ამიტომ ძალიან გავიზარდე და ამ კუთხით „პირდაპირი საუბარი“ ძალიან მაკლია. ყველაფერს შოუბიზნესში ყოფნა მიჩვევია, მაგრამ 2-3 წლის განმავლობაში ამ საქმით თავის შენახვას ვერ შევძლებდი. ეკონომიკური წინსვლა მალე ვერ მოხდება. შეიძლება ისეთი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნას, რომ ისევ საჭირო გახდეს პოლიტიკური გადაცემის წაყვანა.

— ახალი სელისუფლებისგან რა მოლოდინები გაქვთ?

— არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც ამბობს, რომ 2-3 თვეში შედეგები უნდა ყოფილიყო და ხალხი დასაქმებულიყო. აქამდე, გარდა ტყუილებისა, არაფერი გვესმოდა. როცა ეკონომიკაში უფრო ღრმად ჩავიხედე, აღმოვაჩინე, რომ სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც ბოლო სამი წლის განმავლობაში გაცილებით მეტი ინვესტიცია შევიდა, ვიდრე ჩვენთან. პრეზიდენტი ამბობდა,

რომ მსოფლიოში ნომერი პირველი აეროპორტი გვაქვს, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ერევნის აეროპორტმა 70 პროცენტით მეტი ტვირთი გადაზიდა და ამდენივე პროცენტით მეტი მგზავრი გადაიყვანა. სწორედ არჩევნების წინ გაახსენდა პრეზიდენტი, რომ ამ სფეროში ძალიან მაღალი ფასებია. ნავთობპროდუქტები რამდენიმე კაციც ხელში აღარ უნდა იყოს. ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, ყველაფერს ვინ აკონტროლებდა. დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება ასეთ რამეს არ გააკეთებს. იქნებ ახლა მაინც არ გამოცრუვდეს იმედები, რადგან თავის დროზე ნაციონალურებსაც იმედით ვუყურებდი.

— წლებია თქვენ და მამუკა დღანტი მიგობრით, სამსახურშიც შეთანხმებით ეს ურთიერთობა თუ საქმესი კამათი მოგდაიდა?

— თუ არ ვცდები, მამუკა 1991 წელს გაიცანა. ჩვენი ურთიერთობა არასოდეს გადასულა დამაბულ საუბარში. ჩემს ბუნებაში არ ზის კამათი. „ვაკის პარკი“ 1996 წლიდან არსებობს და ჯგუფის რეპეტიცივაზე ხმამაღალი ლაპარაკიც კი არასოდეს ყოფილა. მამუკა ძალიან ნიჭიერი ადამიანია. რაც მან უკიდურესად მწირი შესაძლებლობებით შეძლო, დანარჩენებმა მილიონებით ვერ გააკეთეს. კარგი მენეჯერი და ზუსტად იცის, კონკრეტულ პროექტზე რამდენი უნდა დახარჯოს. ბოლო წლებში გრანდიოზულ კონცერტებს ვუყურებდით, რომელიც რამდენიმე მილიონი ჯდებოდა. „მესტროს“ პროექტი „საუკუნის ნოსტალგია“ კი დაახლოებით 30 000 დოლარი დაჯდა და 100 000 კასეტამდე გაიყიდა. მეტი დრო რომ გვექონოდა, გაცილებით კარგი გამოვიდოდა. ნახევრად სამოყვარულო კამერებით იყო გადაღებული.

მამუკას ხასიათიდან სიციცხვე გამოვყოფ. ყველა პროექტის დროს არაადეკვატურ რეჟიმში მამუკა ვიყავი. დამირეკავდა და მეტყოდა, რომ 12 საუკეთესო სიმღერა უნდა ამერჩია, ტექსტი დამენერა და რადენიმე დღეში გადაღებული იწყებოდა. დღესაც სწორედ ასეთი რეჟიმი მაქვს.

— არასოდეს ეწინააღმდეგებით?

— ერთმანეთს ვენდობით. როცა იცის, რომ იმ კონკრეტულ საკითხში მე უფრო კომპეტენტური ვარ, მეუბნება, შენ გადაწყვიტე და მეც ასე ვიქცევი.

— თქვენს პროტესტს ძირითადად ხმდურებით გამოხატავდით, ყველას კარგად ახსოვს „მისა, მისა“, „ბრძოლა წყისების გარეშე“. ასეთი მუსიკისთვის წინა სელისუფლებამ არ სწყალობდა. რაიმე შეწყვილა ან შეუწირა ვიღაც?

— რამდენჯერმე პირდაპირ დამბლოკეს. მუქარის ზარები არ ყოფილა, ტყუილს ვერ ვიტყვი. ერთხელ დამირეკეს და მითხრეს,



ზაზა ხუციშვილი

„ყოველწლიურად ცოცხალი დარჩებიან და ახალი თაობის ხეივანელებს მათ პოლიტიკურს უნდა გადასცემდნენ“.

კონცერტში „ვაკის პარკის“ მონაწილეობაზე უარი თქვეს. სხვა შემთხვევებში თავად მიხვდით, რომ ჩემი ჯგუფი იმიტომ ვერ მოხვდა კონცერტებზე, ვინაიდან ზედმეტად თვალში არ მოვხვედროდი.

— ამ პერიოდს წარუმატებლად მიიჩნევთ?

— ჩემს ცხოვრებაში მუსიკალური პაუზა ძალიან დიდმა სისარულმა, დაქორწინებამ და შვილის გაჩენამ შეავსო. იმ პერიოდში ჩემი ჰობი ნადირობა გახდა და ამანაც რალაცნაირად მუსიკალური სიცარიელე შემივსო. ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახია. ამიტომ იმ პერიოდს წარუმატებლად ნამდვილად ვერ ვუწოდებ.

— 39 წლის ასაკში დაოჯახდით. მანამდე მსოფლიო საქმეს კეთობდათ თქვენს დროს და სიყვარულისთვის არ გეცვლიათ?

— შეიძლება ითქვას, რომ ძალიან გვიან დავევინდით. სავსაოდ მოზრდილიც კი ბავშვური ვიყავი. რი-

სი სწავლება მხოლოდ ცხოვრებას შეუძლია და სხვა არავის, ეს სიყვარულია. სიყვარული ვინაიდან რჩევადარჩება, გამოცდილების გაზიარება წყლის ნაყვია.

— ოჯახმა, ცოლმა, შვილმა რა შეცვალა თქვენს?

— ოჯახმა ჩემში ბევრი რამ შეცვალა. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. როცა მარტო ხარ, შეიძლება რალაცაზე უარი თქვა, მაგრამ როცა ცოლ-შვილი გყავს, ამ დროს შეიძლება შემოთავაზებულ წინადადებებს მათ გამო დათანხმდე.

— პრინციპული ადამიანი ხართ?

— ალბათ — კი. არსებობს რალაც პრინციპები, რასაც არ გადავუხვევ.

— მაგრამ ცოლთან ასეთი პრინციპულობა ალბათ არ გჭირდება.

— რა თქმა უნდა. ჩხუბი — არა, მაგრამ კამათი გვექონია. პოლიტიკაზე საკმაოდ ხშირად გვიკამათია. ცოლი ჩემზე ცოტა დიდხანს დარჩა ნაციონალურ გულშემატკივარი და ამიტომ სულ ვკამათობდით, დღეს კი აღიარებს მათ პოლიტიკურ კრახს. სხვათა შორის, ამ ხელისუფლების მიმართ ჩემი მხარდაჭერა არჩევნების შემდეგ დამთავრდა. მათი წინააღმდეგი კი არ ვარ, უბრალოდ ახლა მეც და სხვებსაც უნდა დაგვიმტკიცონ, რომ ღირსეული არჩევანი გავაკეთეთ. თუკი ისინი შეცდომებს დაუშვებენ, პირველი მე მივეუბნებ. ვთვლი, რომ ხელისუფლებასთან გარიგებული ადამიანი შემოქმედებითად დაღუპულია.

— ლიზა როგორი ვიღაც იხრდება?

— დედასთან კამათი რომ მოუვა, ჩემთან გამოიბრუნა, თავშესაფარს ჩემთან ეძებს. რომ გამოიქცევა და ჩამეხუტება, უკვე ვხვდები, საქმე რაშია. რუსულსა და ინგლისურში ემზადება. რუსულად ისე ლაპარაკობს, ბევრ ზრდასრულ ადამიანს შეეშურება. მათემატიკასა და ქართულშიც აქტიურად მეცადინეობს.

✓ ქეთი დინოშვილი

რა ოსნებებს დაეშვიდობა ავღანეთის მიწაზე გიორგი ქიქაძე

„იჩაქი აღსანამ ბოდიში მომიხადა, შვიდი ცოცხალი ვეი დაგიბეხეო“

როდესაც ჯარისკაცი — ძალიან საპატიო, მაგრამ სახიფათო. ალბათ ეს ყველაფერი გააზრებული ჰქონდა სერჟანტ გიორგი ქიქაძეს, როცა სწავლა მიატოვა და სამხედრო სამსახურში წავიდა. 2009 წელს, კრწანისის სასწავლო ცენტრში საბრძოლო მომზადების კურსის გავლის შემდეგ, მე-2 ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონში ჩაირიცხა. ავღანეთში პირველად 2011 წელს წავიდა, მეორედ — 2012 წელს და 2013 წლის მაისში ჩამოვიდოდა, მაგრამ... 29 დეკემბერს 24 წლის სერჟანტის დაღუპვის ამბავმა მთელი საქართველო დააშფურთა.

გიორგი 19 დეკემბერს გაუჩინარდა და 29-ში გარდაცვლილი იპოვეს. ჯერჯერობით ოჯახისა და საზოგადოებისთვის უცნობია, თუ რა ვითარებაში გაიტაცეს, სად იმყოფებოდნენ ამ დროს მისი თანამებრძოლები ან როგორ დაიღუპა ჯარისკაცი. ეს დეტალები გამოძიების დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება.

გიორგის ცხედარი სამშობლოში 2 იანვარს ჩამოასვენეს, 5-ში კი ქალაქ რუსთაველში დაკრძალეს. ოჯახს მიუსამძიხრეს საქართველოს ხელისუფლების უმალესმა პირებმა. თავდაცვის მინისტრი ირაკლი აბაშიანი დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს კომპენსაციის სახით გარკვეული თანხის გადაცემას დაპირდა, ალბათ ეს უსტი დაპირებად არ დარჩება.

როგორი ვაჟკაცი დაკარგა ქვეყანამ, რითი ცხოვრობდა, რაზე ოცნებობდა ჯარისკაცი, მისი ოჯახის წევრები „სარკვეთს“ იხსენებენ.

ნინო მუჟანნიშვილი, დედა: გიორგი კარგი მოსწავლე იყო. კლასში პირველი თუ არა, მეორე მაინც ყოველთვის იყო. მათემატიკა ყოველთვის ყველაზე მეტად უყვარდა.

ქეთევან მუჟანნიშვილი, დედა: ეროვნულ გამოცდებზეც ისე გავიდა, არც ერთ საგანში მომზადებულა და თავისი ცოდნით წარმატებით ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხისა და მართვის აუდიტზე.

ნინო: გიორგიმ სამი წელი ისწავლა, მეოთხე წელს სწავლა ვეღარ გააგრძელა, რადგან ჯარში წავიდა. ჯარი ძალიან უყვარდა. უნივერსიტეტში აკადემიური შედეგლება აიღო. სულ სამხედრო ნაწილი იყო, ამის გამო გამოცდებს ვეღარ აბარებდა და სწავლა დროებით მიატოვა.

— ოჯახის წევრებს რაფარი დამოკიდებულება გაქნათ ვაჟის არქონისა და უწინადად ჯარში სამსახურის?

ნინო: ვატყობდით, რომ ეს საქმე მისი მოწოდება იყო. სულ ჯარზე ლაპარაკობდა, მეტი არაფერი აინტერესებდა. არც ჩემს მეუღლეს გაუწევია წინააღმდეგობა. გიორგიმ კარგად იცოდა, რა უნდოდა, ამიტომ მივეცი თანხების საშუალება.

— 2008 წლის აგვისტოს თბის შეტევამ ვადაცვალა რისკს გულახდობა ეს საქმე

ქეთევანი: კი, ასე იყო. ყველა სუფრაზე იხსენებდა დაღუპული ჯარისკაცების სულს. ვერ წარმოიდგენო, ქართული ბიჭების ტვივილს როგორ განიცდიდა.

ნინო: ჯარისკაცების სასაფლაოზე სწირად დადიოდა. სულ ვკითხებოდი, რა ნახე, ბიჭო, ამ მუხათგვერდში რას დადიხარ-მეთქი. ღამე მძაკაცებთან ერთად მიდიოდა იქ.

— მართლაც რომ ვამბობს ავღანეთს წასვლის სურვილი წინააღმდეგობა არც მამს გაუწეო?

ნინო: არ მინდოდა, მეორედაც წასულიყო, მაგრამ მაინც ჩაენერა და თავისი გაიტანა. პირველად 2011 წლის ოქტომბერში წავიდა.

ნიკა კიკაძე, ძმა: თქვა, უცქველი უნდა წავიდეო და ისეთი მონდომებული იყო, აღარ შეგწინააღმდეგე. პირველად რომ წავიდა, მაშინ კი ცოტა ყოყმანობდა, რადგან არ იცოდა, იქ რა ხდებოდა. წელს, მაისში უნდა ჩამოსულიყო. იმასაც ამბობდა, შესაძლებელია წავალო.

— ავღანეთზე ესურ ყოფილ ვიყავით?

ნიკა: დაახლოებით ვიცოდი, იქ როგორ ბირობებში ცხოვრობდა. მეუბნე-



გიორგი ქიქაძე

„სახლიც ვა სამშაყროშიც ამბობდა, შეიძლება ველს ჩამოვიდო. ჰიჯებიც ხმ მიდიდა, მაშინ მსგავსი ახაფეხი თქვამს. მეოხედ წახვინ ნინო კი ყველას უბნებოდა, იქნებ უკან ველს დავბეხეო“.

ბოდა, წინასთან შედარებით უკვე ცუდი სიტუაცია, ომი იყო. იქიდან მეტს არაფერს ამბობდა, აქ რომ ჩამოსულიყო, ალბათ მეტი მომიყვებოდა, რა ხდებოდა და როგორ ცხოვრობდა.

— რა სახშირად ასრულებდა თქვენთან დაკავშირებას?

ნიკა: უფრო ინტერნეტით გვეკონტაქტებოდა და ესემეს-ებს გვწერდა.

ნინო: მე, პირადად, ყოველდღე მირეკავდა, არ მახსოვს დღე, ჩემთან არ დაუკავშირდა. ზარს გამომიშვებდა და მე ვურეკავდი.

ნიკა: ვინც გიორგის იცნობდა, ყველა ერთსა და იმავეს გეტყვით, ჩემი ძმა ჯარის ფანი იყო. ფხიზელიც და ნასვამიც სულ ჯარზე ლაპარაკობდა. უნდოდა, ყველას გაეგო, როგორია ჯარისკაცის ცხოვრება. თავის სამშაყროს ურჩევდა, ჯარში წამოდიო, იქ კარგად იქნებოდა. გიორგის აქ კაპარალის წოდება ჰქონდა და იქ რომ ჩავიდა, სერჟანტის წოდება მიიღო.

ნინო: სუფრასთანაც სულ ჯარზე საუბრობდა. უბნებოდნენ, რა გული შეგვიწუხებო. გიჟდებოდა ამ საქმეზე, ჯარისკაცის ფორმაზე. ყველგან მაგისი ფორმა მაცქს, საფეა კარადა. ვსაყვედურობდი, რად გინდა ამდენი, ადგილიც აღარ მაცქს, სადა შევიწახო-მეთქი.

— როგორც ვცხადებო ძალიან მარტოე იყო.

ნინო: თურმე ავღანეთში ბიბლია და კიდევ ერთი საველე სიო ნიგნი იყიდა. აქედან არ გამიტანებია, ჩემი ხელით ჩავუღაგე ბარგი და ბიბლია არ ჩამიდა. ახლა კი, გიორგის ნივთები რომ ჩამომიტანეს, იქ საველესიო ტელერატურაც იყო. ბიბლიოთეკიდან უამრავი ნიგნი წაიღო. ვუთხარი, ამდენი რად გინდა-მეთქი, მიპასუხა, თავისუფალ დროს გავერთობი, წავიკითხავ სოლო.

— ვაჟის გუჟინარების ამბავი რადაც გავიგო?

ნინო: 18 დეკემბერს, დაახლოებით 12 საათზე ველაპარაკეთ. მითხრა, დედა, კარგად ვარო. მითხრა, წამლები იყიდე, ექიმთან წადიო. ყოველ დარეკვაზე ამას მეუბნებოდა. ვბასუხობდი, მე არაფერი მომივა, შენს თავს გაუფრთხილდი-მეთქი... 19-ში, 5-ის ნახევარზე, შედაცვის სამინისტროდან მოვიდნენ და გვითხრეს, გიორგი დაიკარგა, მაგრამ ცოცხალია, ნუ გეშინიათო. უამრავი კითხვა დაგესვი. მითხრეს, შედაცვის ვინმე ხელში ჩაუვარდებოდა, მაშინვე კლავენ და იმ დღესვე ბაზაზე ავღებენ, ამიტომ გიორგი ცოცხალი იქნებო. სამინისტროდან განხილად მოდიოდნენ და ახალი ამბები მოპქონდათ, გვაიმედებდნენ, თმის ღეროც არ ექნება ჩამოვარდნილიო. ის 10 დღე იმედით ვიყავი, ეკლესიაში დავდიოდი, ვლოცულობდი. სვეტიცხოველშიც ვიყავი, მამა გაბრიელის საფლავზეც ყველგან ვილოცეთ, მაგრამ... ბოლოს მითხრეს,

რომ ჩემი შვილი მკვდარი იყო.

— ვაჟის საქონელის თურმე შეყვარებულია და დაქორწინებაც აბრუნდა.

ნიკა: ბევრი გეგმა ჰქონდა და პირველი, რაც უნდა გავეთებინა, ცოლის მოყვანა იყო. შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ იმ გოგოს არ ვიცნობ. უკვე წასული იყო, როცა გვითხრა, რომ ჩამოვალ, ცოლს მოვიყვანო. ძალიან უნდოდა, მანქანა ყვიდა...

ქეთევანი: უნდოდა, ოჯახი მოეწყო, სახლი ყვიდა...

— ვაჟის ოდესმე უბნებოდა რაიმე საკონსტრუქციო რაღაც შექმნა და ავღანეთში წაიხვეწა?

ნიკა: კი, სახლიც და სამშაყროშიც ამბობდა, შეიძლება ვეღარ ჩამოვიდო. პირველად რომ მიდიოდა, მაშინ მსგავსი არაფერი უთქვამს. მეორედ წახვინ ნინო კი ყველას უბნებოდა, იქნებ უკან ვეღარ დავბრუნდებო.

ნინო: მითხრა, დედა, მე რომ რაზე დამეშარათოს, კიდევ ორი შვილი დაგრჩებო. გამეცინა და ვუთხარი, რა სისულელეს ლაპარაკობ, შენ ხარ და იმათ თავისი ადგილი აქვთ-მეთქი.

ქეთევანი: სანამ წავიდა, სოფელში ბუბისათნ იყო წასული. იქაც უთქვამს, თუ ცოცხალი ჩამოვიდი, მეტი ვეიციო. ყველასთან ამას ამბობდა. როგორც ჩანს, გული არადაც ცუდს უყარსოდა.

ნინო: ქვეყნის გადატრიალებას დავიჯერებდი და ჩემი გიორგის სიკვდილს როგორ ვიფიქრებდი! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამხელა ვაჟკაცს მინაში ჩავდებდი. გიორგის ხომ სხვა ფიქრები, ოცნებები ჰქონდა, ჩემი შვილი სულ სხვანაირი იყო. ცუდს არავისზე იტყოდა, ყველა უყვარდა. ჩემ მიმართაც სულ სხვანაირი იყო. ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით, ყველაფერს მიყვებოდა.

— ცხადია რა მდგომარეობაში იყო?

ქეთევანი: არ გვანახეს. ავღანეთში 45 გრადუსი სიცხე ყოფილა და ალბათ მიხვდებით, რა მდგომარეობაში იქნებოდა...

ნინო: ჩემი შვილის ხელები ვნახე, მოვეფერე. ჩემი ლამაზი გიორგი არ მანქნეს. სურათებში ვნახე, ავღანეთში გასუქებულა, უფრო გაზრდილა...

— თქვენს ოჯახში ბავთნი არავალი დავასანა თუ იყო მოხუცი?

ქეთევანი: დიას, მისგან გავიგეთ გიორგის დაღუპვის ამბავი.

ნინო: არავის მოუკლია ყურადღება. როგორც კი ჩემს შვილზე რაიმე ახალს გაიგებდნენ, მაშინვე გვეუბნებოდნენ. ალასანია რომ მოვიდა, ბოდიში მომიხადა, შვილი ცოცხალი ვერ დაგიბრუნებო. მითხრა, ჩვენც დიდი იმედი გვექონდა, რომ ცოცხალი იქნებოდაო.

✓ ქეთევანი



„დედა ბებიასგან ლანძვასაც იტანს და სვეასაც“

მე დედა და ჩემი ძმა ბებიასთან ვცხოვრობთ. მამა არ მყავს, რამდენიმე წლის წინ გარდაემეცვალა. მას შემდეგ ჩვენი პატრონი დედაა. ჩვენ გამო ის ბევრ რამეს იტანს, ბევრს შრომობს, მაგრამ ბებია არ უფასებს, პირიქით, ავიწროვებს. როცა მოუნდება, თავშიც კი ურტყამს.

მე ყველანიარად ვცდილობ, დედა დავიცვა, მაგრამ არაფერი გამოდის. დედა ზედმეტად ხმას არ იღებს, რადგან ბებია გვემუქრება, რომ სახლიდან გაგვყვრის. ამბობს, შვილი აღარ მყავს ცოცხალი და თქვენ რაში მჭირდებითო. დედას ეშინია, უბინაოდ არ დავრჩეთ და ამიტომ მისგან ლანძვასაც იტანს და ცემასაც.

დედა მალაზიამი გამყიდველად მუშაობს. ზოგჯერ ცვლას გადააბამს ხოლმე, რომ მეტი ხელფასი აილოს და როგორღაც გამოგვეკვებოს. ბებიამ კი ახლა ამოიჩემა, რომ ცუდ გზას ადგას და მალაზიაში კი არ მუშაობს, კაცებთან ათევეს ლაბებებს. ჩემთვის და ჩემი ძმისთვის ამის მოსმენა ძალიან მძიმეა.

ამას წინათ ჩემი ძმა ლამის ქვუდიდან გადაიყვანა. ის ჩემზე უმცროსია, მაგრამ ძალიან გონიერი ბიჭია. ბებოსთან ლაპარაკით რომ ვერაფერს გახდა, ტირილი დაიწყო. მეურ ბებიამ სპექტაკლი მოაწყო, სასწრაფო დახმარება გამოიძახა და ყველასთან თავი მოგვჭრა, რომ ვითომ შვილმკვდარ დედას ისე ვეჩხუბეთ, ცუდად გავხადეთ. სინამდვილეში ცუდად მე და ჩემი ძმა ვიყავით.

სამოწვევებით წავიდოდით მისი სახლიდან, დედას ქირის გადახდის საშუალება რომ ჰქონდეს. დედამთილს უხსნის, რომ მისი შვილის ხსოვნას არ ღალატობს, ეხვეწება, წამოყვები და ნახე, სად და როგორ ვმუშაობო, მაგრამ ბებიას არაფრის გაგონება სურს, საშინლად წყევლის. დედა ყველაფერს ითმენს.

ცოტა ხნის წინ ბებომ კიდევ ერთი საშინელება ჩაიდინა. დედაჩემის უფროსის ცოლს დაურეკა და უთხრა, შენსქმარს და ჩემს რძალს ყურადღება მიაქციე, ერთად დაძვრებიანო. ის ქალი საოცრად კარგი ადამიანია. დედას იცნობს და პატივს სცემს. ჩვენ ხშირად გვეხმარება. სექტემბერში სკოლაში რომ წავედი, მისი ნაჩუქარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელები მეცვა. იმ ქალმა ბებიას უთხრა, ჩემი ქმრის სახელი აღარ ახსენო, ჩემს ოჯახს ზედმეტად არ შეეხოო.

რომ ვერ დააჯერა, ბებიაჩემმა ახლა სხვა ამბავი შეთხზა, ის ქალი და ჩემი რძალი ერთად დადიან კაცებთანო. ეს რომ დედას უფროსის ყურამდე მივიდეს, ბებო ცოცხალი მართლა ვერ გადაურჩება. იცით, რა მიკვირს? ენას ვერ აჩერებს. არ შეუძლია, სახლში ჩუმად იჯდეს, ტელევიზორს უყუროს, წიგნი წაიკითხოს. ტელეფონზეა ჩამოკიდებული და ან ჩვენ გვლამძღავს, ან მეზობლებს.

მის გამო ძალიან მრცხვენია, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მამაჩემი რომ ცოცხალი იყოს, ასეთ რალაცემებს ვერ გაგვიბედავდა, მაგრამ ახლა ამ ყველაფრის ატანა გვიწევს.

მამისხველი, 16 წლის

„ჩემი და დედაჩემი აღმოჩნდა“

არ მეგონა, ამ თემაზე ოდესმე ვინმეს თუ დავლაპარაკებოდი, მით უმეტეს, ვერ ვიფიქრებდი, ჩემი ამბავი ჟურნალში გამოქვეყნებინა, მაგრამ იმის ატანა, რაც მანუხებს, უკვე აღარ შემიძლია. თქვენი თანადგომა და რჩევა მჭირდება.

15 წლის გოგო ვარ. აქამდე მეგონა, უფროსი და მყავდა, მაგრამ შემთხვევით გავიგე, რომ სინამდვილეში დედა კი არა, დედაჩემი ყოფილა. ჩემზე 15 წლით უფროსია. ჩემ მიმართ ყოველთვის გადამეტებულ ყურადღებას იჩენდა, მაგრამ ეჭვი არასოდეს გამჩენია. ოჯახში ნაბოლარა ვარ და ამიტომ ყოველთვის მეგონა, რომ ზედმეტ ყურადღებას სწორედ ამის გამო მაქცევდნენ.

ერთხელ შემთხვევით მოვისმინე ჩემი „დის“ და „დედის“ საუბარი. დედაჩემი, უფრო სწორად, ბებიაჩემი, ჩემს „დას“ ეუბნებოდა, რომ უკვე საკმარისი იყო ტყუილები და სიმაართლე უნდა მცოდნოდა. როცა ეს მოვისმინე, ისტერიკაში ჩავვარდი. ორივეს ვეჩხუბე და მეგობართან წავედი.

აღარ ვიცი, რა ვქნა. მათთან დაბრუნება მინდა, მაგრამ



დედასთან შერიგება არ შემიძლია. ვერ ვპატიობ, რომ 15 წლის განმავლობაში ასე სასტიკად მატყუებდა. გთხოვთ, მირჩიეთ რამე! ასე ცხოვრება აღარ შემიძლია.

„ძაქაქაცუბა მამას ჩაიჭა უთხრას. უანი შვილი „პუბანკას“ კავსო“

სახლიდან წამოსვლა მინდა. მამამ ისე მცემა, რომ მისი დანახვაც არ მსურს. ვიცი, ძალიან ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ სიმაართლეა. თქვენ იმიტომ გწერთ, რომ გულახდილი ლაპარაკი შემიძლია. სხვებთან ამდენი რამის ახსნას ვერ დავინყებ და ვერც იმის თქმას გავებედავ, რომ მამა აღარ მიყვარს. მას არ ჰქონდა უფლება, ასე სასტიკად მომქცევოდა. ისე მცემა, რომ რამდენიმე დღე გარეთ ვერ გავდიოდი, რადგან სახეზე მისი ნათითურები მეტყობო-



და. დედაც მეუბნება, რომ ამის ღირსი ვიყავი, რადგან მას არ დავუჯერე.

ჩემი ცემის მიზეზი ის გახდა, რომ მამას ძაქაცუბმა უთხრეს, შენი შვილი „პუ-ტანკასავით“ იცვამსო. ისეთი არაფერი მაცვია, რასაც მათი შვილები არ ჩაიცვამენ, უბრალოდ ჩამოსხმულს ტანი არ მაქვს, პუტყენა

ვარ. ამ ბოლო დროს წინაშე ძალიან მოვიმატე. მიზეზს მეც ვერ ვხვდები, რადგან ბევრს ნამდვილად არ ვჭამ.

ყოველთვის შარვლები და მოკლე კაბები მეცვა. სხვანაირად ჩაცმა ვერ წარმომიდგენია. კოჭებამდე კაბას ნამდვილად ვერ ჩავიცვამ. იმ დღეს მეცვა კაბა, რომელიც მუხლზე ოდნავ მაღლა იყო. თმა მქონდა გაცლილი და, ჩემდა ჭირად, წითელი პომადეც მესვა. თურმე მამას მეგობრებმა ქუჩაში დამინახეს და მაშინვე თავიანთ ძაქაცაცს აცნობეს, შენს შვილს ყურადღება მიაქციეო. ისიც სახლში მოვარდა და...

დედა მეუბნება, ვერ შეგასმინე, რომ მოკლე კაბები აღარ გისდება, არც შარვლები უნდა ჩაიცვაო. მაშინ რა ჩავიცვა? საერთოდ აღარ გავლა გარეთ! ფართხუნა კაბები ჩავიცვა?! მე ხომ ჯერ 15 წლის ვარ. რაც ჩემს თანატოლებს აცვიათ, მეც ის მინდა. ამის უფლება არ მაქვს?!

შეიძლება არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მამაჩემის ძაქაცუბმა ჯობია, თავიანთ შვილებს მიხედო. უბრალოდ მათ „ფეისბუქში“ შეიხედონ და ნახონ, როგორ ფორმაში აქვთ ფოტოები გადაღებული, რა კომენტარებს და სტატუსებს აკეთებენ. შეყვარებულებს ყოველდღე იცვლიან, მე კი მხოლოდ კლასელ ბიჭებთან მაქვს ურთიერთობა, შეყვარებული არასოდეს მყოლია. სკოლის ჟურნალში რომ ჩაიხედონ, ერთი რვიანიც კი არ მიწერიან. ახ, თავიანთი შვილების სწავლის ქულებიც შეამონმოზონ და მერე ილაპარაკონ ჩემზე!

აღარც სწავლა მინდა და აღარც ქუჩაში გავლა. ასე მეგონია, რომ მთელი ქვეყანა ჩემი მტერია. ვერაფერს მიგებს, ერთი ადამიანიც არ არის ისეთი, ვისაც გულს გადავუშლი და დავლაპარაკებ. მადლობა თქვენ, რომ ჩემი სათქმელის დაბეჭდვის საშუალება მომეცით.

თამარი
მამისხველი

პრობუმი მამისხველი

გამონათქვამის მსარეველი დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე:

296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმისხეთ ირინა მამისხველი

ან ირა ბარბაქაძე, 11-ღან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიის გამოგზავნა შეგიძლიათ სავი გზით:

1. მისხეთ სანიტ sana.ge-ს, დაწავსებით ლილას „მოგზაობა“ და დაგვავით თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნით სხ-ით ნომერზე 1779 გამოიღან და ჯარსლილან. 1 სხ-ის ზანა 50 თისი.
3. ელფოსტაზე: irmchdidze@mail.ru

ანონიმურად დამალი



«ბიჭებს ჩემი ძმის შურთ და ბაის ახასიათებს»

ჩემი ძმა განსხვავებული ადამიანია, სხვა ბიჭებს არ ჰგავს, ჩაცმულობითაც გამოირჩევა და ქცევებითაც. თავის თანატოლებზე ბევრად მაღლა დგას, ამიტომ შურიანმა ბიჭებმა ჭორები გაუზრცელეს, რომ გვია. ყველას, ვინც მსგავს სმებს ავრცელებს, ვეჩხუბები, მაგრამ ვერაფერს გავხდით. რაც მეტს ვამტკიცებ, რომ ისინი შურიანები არიან, მით უფრო მიტყვევენ.

ეს ამბავი ჩემმა ძმამაც გაიგო, მაგრამ ამაზე ბევრი იცინა. ის მართლა სხვანაირია. ეგეთ ადამიანს სხვას არავის ვიცნობ. მე რომ ასეთი რამ გამეგო, ალბათ იმ ხალხს კბილებით დავგლეჯდი, მან კი ყურით არ შეიბერტყა, მხოლოდ გაიცინა.

ჩემი ძმა სტუდენტია, თან ერთ-ერთ კერძო კომპანიაში მუშაობს და საკმაოდ კარგი ანაზღაურება აქვს. სამსახურში უზომოდ დიდ პატივს სცემენ, რადგან ნიჭიერია. შარშან მუშაობას თავი დაანება, თქვა, სწავლისთვის დრო აღარ მრჩებაო. მერე უფროსმა სთხოვა, ოლონდ არ წახვიდე და ხელს შეგიწყობთ, როცა გინდა, მაშინ მოდი და წადიო. ასაკის მიუხედავად, ნამდვილი პროფესიონალია. მისით ძალიან ვამაყობ.

ახლახან დუბაიში იყო. ზაფხულში პრალაში წავიდა, ეგვიპტეშიც დაისვენა. ახლა თქვა, რომ მანქანაც უნდა იყიდოს. ამ ყველაფერს თავისი შრომით აკეთებს, სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც უბნის ბიჭები შურით სვამდებიან. ისინი 24 საათი უქმად არიან, ჩემი ძმა კი სწავლობს და მუშაობს. ამიტომაც დაუყარეს ხმები.

სხვათა შორის, ამას წინათ მამამაც გაიგო, რასაც ჩემს ძმამაც ამბობენ. გასაკვირი ის არის, რომ მასაც გაეცინა. არ ვიცი, ეს კაცები რას ფიქრობენ, მაგრამ მე ლამის გული გამისკდეს. მინდა, იმ ბიჭებს სათითაოდ შევხვდე და ცხვირ-პირი ჩავუნგრეო. მგონი, მე მაქვს არეული სქესი, მე ვარ ბიჭი. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

მამამ ჩემს ძმას უთხრა, ყურით გაიხვრიტე, მაინც ეგერე ლაპარაკობენ და რა გენაღვლებათ. მართლა ვერ ცხვდები, მამა-შვილი ასე მშვიდად როგორ არიან. დედაც აღელვებულია, იმ ბიჭების დედები სათითაოდ გალანძლა, ჩვენი ოჯახის კაცები კი ოლიმპიურ სიმშვიდეს ინარჩუნებენ. ზოგჯერ ვფიქრობ, მე და დედა ხომ არ გადავირიეთ-მეთქი... იმ ბიჭებს ჭკუა უნდა ვასწავლო!

მამოსწავლი, 16 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოსმაურება

„სიყვარულის უღლება ყველას აქვს“

ვესმაურები ჟურნალ „სარკის“ მე-3 ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „დედაჩემი მეჩხუბება, რომ სიყვარულისთვის პატარა ვარ“. ჩემი აზრით, ჩხუბი არ შეიძლება, სიყვარულის უფლება ყველას აქვს, მაგრამ გააჩნია, როგორის.

მამოსწავლი

„შეყვარებულმა მდიდარი გოგოში გამცვალა“

უწრნალ „სარკის“ მე-4 ნომერში დაიბეჭდა წერილი — „შეყვარებულს იმის გამო ვერ მივატოვე, რომ ლარბია“. კარგი იქნებოდა, ყველა რომ შენსავით ფიქრობდეს. ჩემმა შეყვარებულმა სწორედ იმის გამო მიმამტოვა, რომ მის ცხოვრებაში მდიდარი გოგო გამოჩნდა და მანაც ფულში გამცვალა.

ერთმანეთი ორ წელზე მეტ ხანს გვიყვარდა. მეგონა, ჩვენი ურთიერთობა ბოლომდე გაგრძელდებოდა, რადგან მასთან გულწრფელი ვიყავი და მთელი გულით მიყვარდა. მის ყველა ნაკლებზე თვალს ვხუჭავდი, მან კი როგორ მიპასუხა?!

ის გოგო ჩვენს სკოლაში სექტემბრიდან გადმოვიდა. მძლოს მიჰყავს და მოჰყავს სკოლაში. დედამის ბიზნესი აქვს. ის გოგო მაგრად იცვამს, მაგრამ კურორტებზე ისვენებს, მოკლედ, არაფერი აკლია.

სკოლის ბიჭებმა მასზე ნადირობა გამოაცხადეს. ამაზე ვიცინოდი, შეყვარებულთან ვამბობდი, რა საცოდავები არიან-მეთქი. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ მათ მსგავსად მოიქცეოდა, არადა ყველას აჯობა და იმ გოგოს გული მოიგო. ახლა ისინი შეყვარებულები არიან, მე კი მარტო ვარ. ის გოგო არც შეხედულებით გამოირჩევა, არც სწავლით, უბრალოდ მდიდარია. ზოგჯერ ჩემი ყოფილი შეყვარებულზე მეტოდება და ის გოგოც, რადგან მათ მხოლოდ ფული ავაკვირებთ.

მამოსწავლი

ამაზე ხმაელთა არავინ საუბრობს

უკანა ტანის მიდამოს კანის გაღიზიანება – პერიანალური დერმატიტი – არცთუ ისე იშვიათი პრობლემაა. იგი ვითარდება ფაღარათით მიმდინარე ნაწლავის ანთებითი დაავადებების დროს, ხშირია ბუასილის, შეკრულობის და ნახეთქების შემთხვევებში. პერიანალურ დერმატიტს ახასიათებს სიწითლე, წვა, შეშუპება, ქავილი და ტკივილი.

დაავადება შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში, როგორც ჩვილებში, ასევე მოხუცებში. ბავშვებში იგი შეიძლება იყოს ჭიების ინვაზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, მოზრდილებში კი თან ახლავს ე.წ. „ჯიბის დაავადებას“, რომელიც ზოგჯერ ვითარდება ავტომობილის ხანგრძლივი ტარების ფონზე.

ამ დელიკატური პრობლემის მოგვარებისთვის საჭიროა ანალური მიდამოს ჰიგიენა, ანტისეპტიკური საშუალებების, მალამოების გამოყენება.

რითულ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ პროქტოლოგს!

რეპარონის მალამო ბუასილის და მისი გართულებების სამკურნალო ეფექტური ბუნებრივი საშუალებაა. სხვა მალამოებისგან განსხვავებით, იგი აძლიერებს ორგანიზმის საკუთარ დამცავ ძალებს და არ შეიცავს ძლიერად მოქმედ ნივთიერებებს.

ბუასილმა შეგახსნათ?



ხეპახონი
მალამო 25g, სანთლიანი №10

ეფექტურად მკურნალობს ბუასილს და მის ბართულებებს:

- ტკივილს
- ქავილს
- კანის ანთებას
- ნახეთქებს ანუსის გარშემო

უსაფრთხოა ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის

გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას. გვერდით მოვლენებზე დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.



ს.ს. ბაქრაძის სახელობის ქაიხაია ზნის ცენტრი
ქ.თბილისი, მ.თბილისის რაიონი, ს.ს. ბაქრაძის ქ. 154, ბინა: 255 00 05
მისამართი: 255 00 05

რის გამო „აბრკვიან“ ერთმანეთს თონა თავართქილაძე და აჩი არველაძე

ცნობილმა ოჯახურმა წყვილმა, დიზაინერმა თონა თავართქილაძემ და ფეხბურთელმა რეზი არველაძემ, თავიანთი უფროსი ბიჭი, ნიკა, ძალიან ადრე „გაიმეტეს“ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, როცა საზღვარგარეთ სასწავლებლად გაუშვეს. ახლა კი, როცა უმცროსს, ვატოს უყურებენ, ასეთი „ექსპერიმენტის“ სურვილი აღარ აქვთ. 18 წლის ნიკას ეკონომისტობა სურს. 14 წლის ვატო კი მამის და ბიძების კვალს მიჰყვება, მომავალი ფეხბურთელია. მის სპორტულ კარიერაზე აჩი არველაძე ზრუნავს, დედა კი სწავლას უკონტროლებს. თონას სურს, მისი შვილი, ფეხბურთის გარდა, სხვა სტაბილური პროფესიითაც იყოს უზრუნველყოფილი. ვატოს მეცადინეობისა და სპორტის შეთავსება უჭირს, თუმცა ცდილობს, არც დედას დასწყვიტოს გული და არც მამა-ბიძებს.



„აჩის უნდა, ვატომ მათემატიკის ნაცვლად აკრობატიკაზე იაროს“

— თონა, ალბათ დღესაც კარგად გახსოვთ ის შეგრძნება, რომელიც პირველი შეყვარების დაბადებას მოჰყვა.

თონა: ნიკა რომ მეყოლა, 21 წლის ვიყავი. ალბათ ბანალური პასუხია, მაგრამ ეს უსაზღვრო სიხარული იყო. ისეთი პატარა არ ვიყავი, რომ ვერ მივმხვდარიყავი, ჩემს ცხოვრებაში რა მოხდა.

— მეთრე შეიძლება გოგონას მილიადინს ხომ არ ვკისრდით?

თონა: ვაღიარებ, რომ პირველიც გოგო მინდოდა, მაგრამ ახლა ჩემი ბიჭებით კმაყოფილი ვარ. აი, რეზისთვის კი მინიშნულობა არ ჰქონდა, გოგო გვეყოფებოდა თუ ბიჭი. ვატო ფეხბურთს თამაშობს, სპორტის ეს სახეობა ნიკასაც ძალიან უყვარს, ამიტომ რეზი ძალიან ბედნიერია. გოგონებზე ვფიქრობდი, მაგრამ, როგორც ჩანს, არ მეყოლებოდა.

— ვატო, ფეხბურთი თქვენს ოჯახის ტრადიციად რომ არ ყოფილიყო, მისცდით თქვენს ცხოვრებას საჭიქდ?

ვატო: მე თვითონაც ყოველთვის მინდოდა ფეხბურთელობა, მაგრამ მამა და ბიძები რომ არ მყოლოდა სპორტის ამ სახეობაში, შეიძლებოდა, სხვა გზით წავსულიყავი.

— ვაქვთ გაცნობიერებული, რა როლი აქვთ არველაძეების გზის გაგრძელება?

ვატო: ვიცი, რომ რაც შეიძლება მეტი უნდა მოვიწოდო და კარგად ვითამაშო. ის ფაქტი, რომ მამა და ბიძები ფეხბურთელები იყვნენ, ჩემთვის მეტი პასუხისმგებლობაა. ამჟამად ბიძაჩემის, აჩის გუნდში ვთამაშობ, 35-ე სკოლაში.

— ძმები არველაძეები რას გეუბნებიან, როგორ აფასებენ თქვენს სპორტულ მონაცემებს?

ვატო: აჩი უფრო მძლევს რჩევებს და მისხნის, რა და როგორ გავაკეთო. მეც ასე თუ ისე ვუჯერებ. აჩიც, რეზიც და შოთიც ყველაფერს საჩემოდ მეუბნებიან, რომ კარგი ფეხბურთელი გამოვიდე. იმის გამო, რომ

შოთი თბილისში არ არის და მამა სხვა საქმეებითაა დაკავებული, ფაქტობრივად აჩის ყვევარ მიბარებული.

თონა: აჩი ჩვენთან რომ მოდის და ვატოს ეუბნება, კიდევ მეტი უნდა გააკეთო, ეს პასუხობს, დრო არ მაქვსო. მართლაც, ვატო ძალიან დაკავებულია. აჩი გამომატანინებს ცხრილს, სადაც ჩამოწერილია, ვატო რა ნრეებზე დადის და გამოაცხადებს, ამაზე აღარ ივლის, არც ამაზე ივლის, აქედანაც გამოიყვანო და ყველაფერს გადასაზავს ხოლმე. ამის გამო მე და აჩი სულ ვიბრძობით. მას უნდა, რომ ვატო მთლიანად ფეხბურთით იყოს დაკავებული და, დავუშვათ, მათემატიკის თუ უცხო ენის ნაცვლად აკრობატიკაზე იაროს, რადგან ეს სპორტში წაადგება. მე კი მივსივს, რომ ვატო მხოლოდ ფეხბურთით არ შემოიფარგლოს.

— ბილის რომელი რჩებით გამარჯვებული?

თონა: რა თქმა უნდა, აჩი.

ვატო: სწავლა არ მიყვარს, მაგრამ მაინც დავდივარ გაკვეთილებზე. ძირითადად მაინც ფეხბურთზე ვარ გადართული. თუ რაღაც არ მაინტერესებს, იმას იძულებით ვერ გავაკეთებ. არ მიყვარს ეს ქიმია და ფიზიკა და რა ვქნა! თანაც ფეხბურთში სულაც არ დამჭირდება ეს საგნები.

თონა: არადა ქიმიამ ათიაწები გინწერია.

ვატო: ფეხბურთელს ყველაზე მეტად ინგლისური ენის ცოდნა სჭირდება. სკოლაში ესპანურსაც ვსწავლობ, მაგრამ არ მაინტერესებს. უფრო კარგად უნდა ვსწავლობდე, მაგრამ ფეხბურთის გამო კარგი ნიშნები არ მაქვს. ხშირად მაქვს ვარჯიშები, მეგობრებისთვისაც ვიცილი, ოღონდ მეცადინეობა — არა!..

თონა: ვატო, ახლა კიდევ ერთხელ გეუბნები, ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ შეიძლე-

ბა ისეთი ტრავმა მიიღო, სამუდამოდ დამთავრო ფეხბურთელის კარიერა და აღმოჩნდება, რომ ხელში სხვა აღარაფერი გექნება. ძალიან კარგადაც რომ აგენყოს კარიერა, ცხოვრების ნახევარს გაივლი და თამაშისთვის თავის განებება მოგიწევს. იძულებული გახდები, სხვა რაღაცით დაკავდე. ფაქტობრივად ახლიდან უნდა დაიწყო ცხოვრება. ამიტომ, თუ განათლება არ გექნება, გაგიჭირდება. კი, ბატონო, ითამაშოს, მაგრამ სწავლა არ უნდა მიატოვოს.

ვატო: სწორედ ამიტომ ვსწავლობ, თორემ ისე საერთოდ არ მიზიდავს მეცადინეობა. იმდენს მოვახერხებ, ფეხბურთის თამაშს რომ დავამთავრებ, ზოგადი განათლება მაინც მქონდება. მამაც იმავეს მეუბნება სწავლასთან დაკავშირებით. მას ურჩევნია, კარგი ფეხბურთელი გამოვიდე და ნორმალური განათლება მქონდე.

— ნიკაზეც ვისაუბროთ, რომელიც 13 წლისა წავადა საზღვარგარეთ სასწავლებლად. თონა, შეიძლება არ გავაჭირდით?

თონა: ახლა ვატოს რომ უყურებ, ვხვდები, ნიკა რა პატარა ყოფილა, როცა უცხოეთში გაუშვეს. ვერც კი წარმომიდგენია, რომ ვატო სხვა ქვეყანაში წავიდე. ყველა ექსპერიმენტი პირველ ბავშვზე განვახორციელებ.

ვატო: „სადა და წინაში გოგოები მომწონს... ჩემი ჩხეული ისეთი უნდა იყოს, ხომ ჩემთვის დაცვაში ხელი შემინყოს. მე ხაც დამჭიხება, ის უნდა გააკეთოს“.

ნიკა აბსოლუტურად დამოუკიდებელი და ჩამოყალიბებული ადამიანია. ახლა ვხვდები, რომ ნიკას ძალიან გაუჭირდებოდა, ფაქტობრივად 13 წლიდან დაიწყო ცხოვრებასთან ბრძოლა. ერთი მხრივ, მისაბრია, დამოუკიდებლობას რომ შეეჩვიო, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ასეთ პატარა ასაკში სახლდან გაშვება არ შეიძლება, ცოდნები არიან.

სხვათა შორის, მივხვდი, რომ მაგ ასაკის გოგოები უფრო ძლიერები არიან, ბიჭებს კი უჭირთ დამოუკიდებლად ცხოვრება.

— ნიკა შეეცდარა იმეც თქვენს დედა-შვილთან, მათ ახსოვთადათ ცხოვრება?

თონა: ახლა მაკასთან აღარ ცხოვრობს. ნიკა უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ემზადება. მისი მონაცემები რომელ უნივერსიტეტსაც მოეწონება, სწავლას იქ გააგრძელებს. ბიზნეს-ეკონომიკის ფაკულტეტი უნდა ჩაბარება, მისი არჩევანი ჩვენც მოგვწონს.

— საქართველოში სწორად ჩამოხდის?

თონა: კი, ორ თვეში ერთხელ მაინც ერთი კვირით ჩამოხდის. ჩვენ გარეშე ვერ ძლებს და არდადეგებზე ყოველთვის აქვთ მოდის, თუნდაც 5 დღით. კარგ განათლებას კი იღებს, მაგრამ ოჯახისგან მოწყვეტა უჭირს.

— ძმები სასაითი ერთმანეთს ჰგანან თუ მშობლებისგან სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდებათ?

თონა: ორივე ერთნაირი ტიპაა. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე დაუმორჩილებელია. მე და ვატოს ძირითადად სწავლასთან დაკავ-

ნატუკა გულისაშვილი: „დეპრესიას კულინარიით შევებრძოლ“

მ სახიობი ნატუკა გულისაშვილი 29 წლის იყო, როცა ქმარს გაშორდა და 4 წლის შვილის მარტოხელა დედად იქცა. მას შემდეგ სიყვარული აღარ სწევია და არც თავად არის ამ გრძნობისთვის მზად, ეშინია კიდევ მისი. პირად ცხოვრებაში გაჩენილი სიცარიელე თეატრმა შეუვსო, იმ პერიოდში სცენით იყო დაკავებული, მერე ესეც დასრულდა — მისთვის თეატრის კარი დაიკეტა. მორიგმა კრიზისმა ახალი საქმისკენ უბიძგა — კულინარიის შესწავლა დაიწყო და მატერიალური პრობლემები მოაგვარა. მერე კი თვითნასწავლი მზარეული ეკრანზეც გამოჩნდა — „იმედის“ დილის გადაცემაში კულინარიის რუბრიკა მიჰყავდა. მისი ყველაზე დიდი გულშემბატკივარი, შვილი, ანა ბახტაძეა, რომელიც დილის 8 საათზე დედას ერთგულად უყურებს. აი, ასე დალაგდა ამ ეტაპზე ნატუკა გულისაშვილის ცხოვრება ზოგად ხაზებში, დეტალურად კი თავად გვიამბობს.

— ნატუკა, ვიცა, რომ ცხოვრებაში ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგიწიათ, ყველაზე რთული პერიოდები როდის გქონდათ?

— 29 წლის ვიყავი, როცა მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს დავშორდით. ჩვენი შვილი, ანა, მაშინ 4 წლის იყო. ფაქტობრივად მამის გარეშე გაიზარდა. ანას მამა წლებია გერმანიაში ცხოვრობს. ოჯახის დანგრევის შემდეგ მე და ჩემს ყოფილ ქმარს ვითომ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, თუმცა ყოფილი ცოლ-ქმრის მეგობრობა ბოლომ-

„ნამცხვებს ვაცხოვრებ და მალაზიებში ვაბახებდი. თუ ღმერთმა ოჰი ხელი და ფეხი მოგცა და ჯიქე — ოჰი გხამი ტვინი, სიხსენილია, ყველა ღონე ახ მოსინჯო. უღლება ახ მქონდა, ექვისთვის და შვილისთვის მელადატა.“

დე მაინც არ მესმის. ამ ურთიერთობას მხოლოდ იმიტომ ვინარჩუნებდით, რომ შვილისთვის ნაკლები ზიანი მიგვეყენებინა.

— შეიძლება მარტო როგორ ზრდიდით, რითი არჩენდით?

— სიძნელეებმა გამაძლიერა. ძალიან ბევრი სირთულე გადავლახე, გავსენი საჩუქრების სარდაფი, სადაც სალონური სიტუაცია იყო, მაგრამ 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, მისი დახურვაც მომიწია. შემდეგ ჩემი კულინარიული ცოდნა გამოვიყენე, სახლში ნამცხვრებს ვაცხოვრებდი და მალაზიებში ვაბრუნებდი. თუ ღმერთმა ორი ხელი და ფეხი მოგცა და კიდევ — ორი გრამი ტვინი მაინც, სირცხვილია, ყველა ღონე არ მოსინჯო. უღლება არ მქონდა, დედისთვის და შვილისთვის მელადატა.

— კულინარია მართლაც კარგად გამოგდით, როდის დაინტერესდით ამ საქმით?

— წლების წინ ჩემს ცხოვრებაში დადგა პერიოდი, როცა ჩემ ირგვლივ თითქოს ყველაფერი გაჩერდა, მათ შორის — თეატრალური ცხოვრებაც. დეპრესიაში რომ არ ჩავვარ-

→ 32



ნატი გულისაშვილი


შირებით მოგვდის კონფლიქტი. ერთი, რაც მანყნარებს, ისაა, რომ ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუასთან დადის, რომელიც ზოგად განათლებას აძლევს, წიგნებს აკითხებს, საინტერესო ფილმებს აყურებინებს, რომლებსაც მერე ერთად არჩევენ. მან შეაყვარა წიგნები, რაც ძალიან მახარებს. ვატოს უკვე ბევრი წიგნი აქვს წაკითხული.

თეონა: „ეხით, ჩაც მანყნარებს, ისაა, ხომ ვაყო ფსიქოლოგ ნანა ჩაჩუასთან დადის, ხომელიც ზოგად განათლებას აძლევს, წიგნებს აკითხებს, საინტერესო ფილმებს აყურებინებს, ხომლებსაც მეჩე ეხითაე აჩრევენ“.

— თეონა, თქვენ რომელი დაგემსგავსათ? თეონა: მგონი, არც ერთი. ნიკა დედაჩემს ჰგავს და ვატო — მამაჩემს. ვატო: არველაძეებს საერთოდ არ ვგავართ?

— შე უფრო მამას გამსგავსებო. ვატო, მამასთან თქვენც ჩადისართ სიღმე? ვატო: ლონდონში არ ვყოფილვართ, მაგრამ როცა თურქეთსა და შვეიცარიაში სწავლობდა, მაშინ მასთან ხშირად ჩავდიოდით. სტამბულში შოთისთან ცხოვრობდა და იქ ხშირად მივდიოდით.

თეონა: ნიკა ახლა ლონდონში, ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ამიტომ ჩვენ მასთან ისე ვერ ჩავალთ, რომ დავრჩეთ. მე და რეზი სანახავად რომ წავალთ გაზაფხულზე, ალბათ ვატოსაც წავიყვანთ.



დედა-შვილი — თეონა და ვატო

ვატო: „აჰ მიყვარს ეს ქიჩია და ფიზიკა და ჩაქნა! თანაც ფეხბურთში სულაც ახ დამჭიხება ეს საგნები“.

მგონი, შეყვარებულს არ ჰყავს, ხო, ვატო? ვატო: არ ჰყავს.

— თეონა, მომაჯადო სარძლივითან პატარ-პატარა მითსიონები სომ არ ვაქვთ? თეონა: არანაირი.

ვატო: ჩემი რჩეული ისეთი უნდა იყოს, რომ რეჟიმის დაცვაში ხელი შემინყოს. მე რაც დამჭირდება, ის უნდა გააკეთოს. იმასაც თუ ექნება სამსახური, ჩემგანაც ექნება ხელშეწყობა. მოკლედ, ერთმანეთს უნდა შეეყუწყონ ხელი.

თეონა: ჩემი შვილების არჩევანს ვენდობი.

— ვატო, უფროსი და უმცროსი არველაძეები ფეხბურთს ერთად სწირად თამაშობთ სიღმე? ვატო: კი და ამის ინიციატორი ყოველთვის მე ვარ. ამ დროს მათგან ფეხბურთელისთვის საჭირო უამრავ რამეს ვსწავლობ. მე თუ არ მოვიწადინე, ისინი არ ინდომებენ.

✓ ქეთი დინოშვილი



■ ნატკა კვლინაშვილი

იმედი მაქვს, რომ თეატრალურ სამყაროს მალე დავუბრუნდები. კინოში კი ხშირად მუშაობენ. რამდენიმე ხნის წინ საქართველოში სერგო ფარაჯანოვის ძმისშვილი იყო ჩამოსული, ფილმი გადაიღო, სადაც მეც ვმონაწილეობ.

— **გაგისწავლით, როცა ტელევიზიაში მიგიწვიან დილის გადაცემაში?**

— ეს წელი ძალიან კარგად დაიწყო. სამარშრუტო ტაქსიში ვიჯექი, როცა დამირეკეს და „იმედის“ დილის გადაცემის წამყვანობა შემომთავაზეს. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვერ დავიჯერე, ვიფიქრე, ვილაც მესჭმრება-მეთქი. სამარშრუტო ტაქსი შუა ქუჩაში გავაჩერე და მას, ვინც დამირეკა, ვთხოვე, გაემეორებინა, რაც მითხრა. ტელეკომპანია „იმედი“ ჩემთვის უცხო არ არის, იქ არაერთ გადაცემაში მიმი-

ღნილიყავი, ალტერნატივა მოვძებნე და კულინარიის შესწავლა გადავწყვიტე. მაცივარში რაც მეგულებოდა, საჭმელებს იმ ინგრედიენტებით ვამზადებდი. მაგალითად, ლო-

„მე ახავინ შემეყავიბა და ახ ვიცო, ვის ვუყავი და ვის — ახა. გამოგიყვებით, ხომ მე ამ გიძნობის მემინია იმიტომ, ხომ სიყვარულმა ქვალხილიანი გზა გამომატახა და ახ მინდა, მეოხედაც შემეშალოს“.

ბოსგან რამდენიმე სახეობის კერძის გაკეთება ვისწავლე. კერძებში ცოტა ფანტაზიას, ცოტა გემოვნებას და ბევრ ხალისიან განწყობას ვდებ.

— **კულინარიის კურსებზე დადიოდით?**
— არა, განსხვავებული საჭმელების მომზადება ინტერნეტით და წიგნებით ვისწავლე. ძნელია, დავიკვებნო, რომ მაგარი კულინარი ვარ, მაგრამ, ვინც ჩემს კერძებს აგემოვნებს, ყველას ძალიან მოსწონს.

— **ალბათ გურმანი ხართ.**
— თუ გეტყვით, რომ არა, დამიჯერებთ? რა თქმა უნდა, გურმანი ვარ და უპირატესობას ქართულ სამზარეულოს ვანიჭებ. ვერასოდეს შევჭამ ბაყაყს, ხვლიკს, გველს. ღვიძლს ვერ ვჭამ, თუმცა მისგან უგემრიელეს პაშტეტს ვაკეთებ. კულინარიის სიყვარული ოჯახიდან მოდის. ჩემი დიდი ბებია, ცნობილი ლოტბარი მარო თარხნიშვილი გახლდათ. ის ამბობდა, შეიძლება ბევრი საჭმელი არ გქონდეს, მაგრამ ლამაზი თევზებით ლამაზად გაანყო სუფარაო. მეც მომწონს სუფარის კოხტად გაშლა და არა — მაგიდებზე ფენა-ფენად დალაგებული საჭმელები.

— **თეატრის რატომ ჩამოშორდით?**
— გარკვეული მიზეზების გამო. თეატრი არის ჩემი ტკივილი... მასსოვს, როგორი იყო „თეატრალური სარდაფი“ 1997 წელს. ენთუზიანებით ვმუშაობდით, საოცრად შეკრული კოლექტივი იყო. როცა ადამიანი იზრდება, მეთი მოთხოვნა უჩნდება, ეს ეტაპები მეც გავიარე. თეატრებში კალას არ მახევენ, მობრძანდით, ჩვენთან ითამაშეთო, თუმცა

ლია მონაწილეობა და მათ კარგად ვიცნობ. არანეულებრივი წამყვანების გუნდი დამხვდა — პაატა პაპუაშვილი, ლიკა ლაბაძე, დათო ქაჭარავა, სალომე გოგიაშვილი, დათო თვალბეიშვილი, ლევან ვასაძე.

ლევანის გარდა, ყველას ახლოს ვიცნობდი. ერთი დიდი ოჯახი შევიკრიბეთ. კულინარიული ბლოგი მიმყავს. პირველ გადაცემაზე „გაგჭდე“, სიტყვა „კამა“ ვერ გავიხსენე, არადა რამდენჯერმე უნდა მეთქვა. რამდენჯერაც კამას მოვიკვდე ხელი, დამავიწყდა, რა ერქვა ამ მწვანილს. პროდიუსერმა კი არ მიკარნახა, სალომე დამეხმარა, ალბათ შენ კამაზე გინდოდა გეთქვაო. ასეთი რალაქები თეატრშიც ხშირად ხდება, როცა პარტნიორს სიტყვა ავიწყდება, მეორე ეხმარება. შეთამაშებული გუნდი ვართ.

ეკრანზე როცა ხარ, ლავირება უნდა შეგქდლოს. დღემდე ვფიქრობ, სანამ ამ ფრაზებს ვიტყვი: „ბოლოში მოუხადა“, „მადლობა გადაუხადა“. როცა პირდაპირ ეთერში მუშაობ, შეცდომის გამოსწორების საშუალება ნაკლებად გაქვს.

— **მაყურებელმა როგორ მიგივლით წამყვანის ამბლეუზი?**

— დადებით შეფასებებს ვიღებ. „ფვის-ბუტყე“ არის ჩვენი გადაცემის გვერდი, სადაც უამრავი ადამიანი მწერს. თუ რამე მეწლებს, ყველას ვთხოვ, დამინდოს, ნელ-ნელა ვისწავლი და გამოვასწორებ ყველაფერს. თურმე ჩვენი პროდიუსერთან ჩემთვის უცხო ადამიანები მიდიან და ეუბნებიან, რა მაგარია, ნატუკა რომ დაამტკიცეთ წამყვანად, მას სულ სხვა მუხტი შემოაქვსო.

ბევრი ხუმრობდა, ნატუკა რატომ აირჩიეს ამ რუბრიკის წამყვანად, მე რა, რომ დიდი ფორმები აქვს და ჭამაც უყვარსო. ერთი წლის წინ მე და ალექო თეთრაშვილს ერთ-ერთ რადიოში გადაცემა „ნატუკას და კუკუსას სამზარეულო“ მიგვავადა. კარგად გამოგვდიოდა.

— **სამუშაო რეჟიმს, დილის 5 საათზე გადაცემას როგორ მოერგეთ?**

— დილის 5 საათზე უკვე ჩაცმული ვარ და სამსახურის მანქანას ველოდები. შუადღის 12 საათზე თქვენთან შეხვედრა უფრო

გამიჭირდა, ვიდრე გამთენიისას გაღვიძება. სხვა სტიმული მაქვს, სიხარულით მივიდევარ სამსახურში. ალბათ იმიტომ, რომ იქ მივიდევარ, სადაც სითბო და სიყვარულია.

— **თქვენს გოგონა ალბათ უკვე დიდაა, რა ინტერესები აქვს?**

— ანა აბიტურიენტია. მას რომ ეკითხებოდნენ, შენც დედასავით მსახიობი იქნები თუ არაო, პასუხობდა, მე მაყურებელი გამოვალო. ბავშვს ახსოვს, დედა დილიდან შუალამემდე რეპეტიციებზე რომ იყო. მიყურებდა, პრემიერებზე როგორ ვნერვულობდი. მე რე იმ ფაქტის წინაშე დადგა, როცა დედამის ალარაფერი ჰქონდა და წვალობდა. ამიტომ სურვილიც კი არ გამოუთქვამს, რომ სამსახიობოზე ჩაებარებინა. უნდა, რომ

„მე და ჩემს ყოფილ ქმარს ვითომ მეგობრული უთიუხობა გვქონდა, თუმცა ყოფილი ცოდ-ქმის მეგობრობა ბოლომდე მაინც ახ მესმის. ამ უთიუხობას მხოლოდ იმიტომ ვინახუნებდით, ხომ შვილისთვის ნაყები ზიანი მიგვეყენებინა“.

ურნალისტი და ივენთმენეჯერი გახდეს. ძალიან კარგად ხატავს, ასევე უნდა, რომ თეატრის მხატვარი გახდეს. რატომაც არა, მხატვრობა იყო მისი ჰობი! მიხარია, რომ ჩემი ამდენი წვალბა წყალში არ ჩამყვარა.

— **ამ წლების მანძილზე, რაც მართლმადამართობა არ გამოიხატა ისეთი მამაკაცი, რომელიც გათხოვდა გეყვარებო?**

— რომ გამოჩენილიყო, აუცილებლად თავიდან ბოლომდე დავეყრდნობოდი მას და ცხოვრებასაც დაუწყებდით. არც ჩემი შვილისგან შემხედვებოდა წინააღმდეგობები. მე არავინ შემეყვარებია და არ ვიცი, ვის ვუყვარდი და ვის — არა. გამოგიტყდებით, რომ ამ გრძნობის მემინია იმიტომ, რომ სიყვარულმა ქვალორლიანი გზა გამომატარა და არ მინდა, მეორედაც შემეშალოს.

— **ალბათ სწორად ჭორობენ თქვენსუ გეკითხვას ან ცდილობენ გამოცნობას, მართლ ხართ თუ არა.**

— თქვენ ურნალისტი ხართ და მითხარით, ჩემზე რამე გაგიგიათ თუ არა. თუ მეტყვით, კიო, გამიხარდება. შეიძლება ცუდია, როცა შენზე არაფერს ჭორობენ.

— **ალბათ საბაბს არ აძლეოთ ან კარგად ნიღბავთ პირად ცხოვრებას.**

— გეფიცებით, არაფერს ვნიღბავ. თუ ჩემ ირგვლივ არაფერი ხდება, მხოლოდ პიარისთვის სულელურ ჭორობებს ვერ ავაგორებ. ჩემს პირად ცხოვრებაში თუ რამე სიახლე იქნება, პირობას გაძლევთ, რომ ექსკლუზიურად თქვენ მოგიყვებით.

— **მისწავლეთ ურთიერთობა არ გიჭირთ? ვაგონებს ამ აზაკში ბუგრა მითხოვნა, პრეტენზია უჩნდებათ.**

— მე და ანა საერთო ენას ყოველთვის ვპოულობთ. მიხარია, რომ მისთვის მრჩეველიც ვარ. თავიდან ბოლომდე მასზე ვარ გადართული, მეც და დედაჩემიც ანასავით აბიტურიენტები ვართ. ასლა სკოლაში არდადეგები ჰქონდა, მაგრამ ჩემს საყურებლად ყოველ დილას, 8 საათზე გაღვიძება არ ეზარებოდა. შეიძლება ითქვას, რომ კარგი დედაშვილობა გვაქვს.

✓ ლანა კიქნაძე

ნიკო ბერიძე: „ასლანის კარის მომღერალს მიწოდებდნენ“

დათუმელ მომღერალ ნიკო ბერიძეს, როგორც შემოქმედს, უცნაური ბედი აქვს. სადაც მიდის, ელვისებურად აღწევს წარმატებას, მაგრამ მერე თითქოს რაღაც აჩერებს. მღეროდა ანსამბლ „ლახტიში“, ბათუმის ბავშვთა ოპერის თეატრში, როკჯგუფში... ყველა დაიშალა. მონაწილეობა მიიღო მიუზიკლში „ქეთო და კოტე“, მაგრამ ეს სპექტაკლიც შეჩერდა. 24 წლის მომღერალი ახლა ძაღლების მოსწავლეს საზღვარგარეთ აპირებს. სტაბილურობა მხოლოდ მისი პირად ცხოვრებაშია, რამდენიმე წელია ერთ გოგოზეა შეყვარებული.

— ნიკო, ადრესად ჩანხართ. რითი ხართ ასე დაკავებული?

— კლიპის გადაღებას ვაპირებ. არ მეგონა, ოდესმე კლიპს თუ გადავიღებდი, რადგან ამის სურვილი არასოდეს მქონია. მეგობრის დაუინებულები თხოვნით მივედი ამ გადაწყვეტილებამდე. თუ დამიძახებს, სხვადასხვა თეატრთან ვთანამშრომლობ. როცა ბათუმში ვარ, დროს უჭიმად არ ვპარგავ, ჩემი მეგობრის სტუდიაში მივდივარ და სიმღერებს ვწერ.

— კლიპის გადაღების საქონალდმდეც რა გქონდათ?

— ქართულ კლიპებს რომ ვუყურებდი, ხარისხი არასდროს მომწონდა.

— კარგ ხარისხს დადი ფინანსებიც სჭირდება.

— კი და ამაზე ვზრუნავთ. მთავარია, რომ სიმღერა დავწერო. ჯერ დეტალებზე ლაპარაკი არ მსურს, რადგან მხოლოდ გეგმაა. ერთი ვიცი, რომ კლიპი იაფფასიანი არ იქნება. ძვირადღირებული აპარატურის და ვერტმფრენის გამოყენებაც გვინდა. ვაპირებდით, თებერვლის ბოლოს გასულიყო კლიპი ეთერში, მაგრამ ალბათ ცოტა დააგვიანდება.

— პიპულარული იყავით, მინაწილეობდით პროექტში „ჯეოსტარში“, მუსიკალში „ქეთო და კოტე“ — დღეს როგორია თქვენი ცხოვრების რიტმი?

— ახლაც დაკავებული ვარ, მაგრამ ადრინდელთან შედარებით მეტი თავისუფალი დრო მაქვს. არ მიყვარს უსაქმოდ ყოფნა. სულ რომ არაფერი ხდებოდეს, საქმეს მაინც ვამოწმებ.

— არ გეპატრონება ის დრო, როცა შემიძლება აქტიური იყავით?

— იმ პერიოდთან რეპეტიციები მენატრება. ხალხისგან ყურადღება არც ახლა მაკლია, ამას ყოველთვის ვგრძნობ. ტექნიკის მაღაზიებში დღემდე მჩუქნიან ყურსაცვალებს.

— პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ გამარჯვებული ბათუმელი ლეკა ზაქარაძე ვასდა. სიმ არ იცნობთ მას?

— კი, რამდენჯერმე შევხვედრივართ ერთმანეთს. ბათუმში ვნახე, „საქართველოს ვარსკვლავის“ კასტინგზე გავედი, მითხრა და წარმატებები ვუსურვე.

— და გამარჯვება კიდევ კარგი თვალი გქონიათ.

— პირიქით, უკვე სასაცილოა ის ფაქტი, რომ სადაც მივდივარ, ყველაფერი იშლება. ბავშვობაში რობერტ ბარძიმაშვილის სტუდია „ლახტიში“ დავდიოდი, რომელიც ჩემი მისვლიდან 8 თვეში დაიშალა. მერე ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრში დავდიოდი და ისიც დაიშალა. შემდეგ ერთ როკჯგუფში ვიყავი,

რომელიც ასევე დაიშალა. ჩემი ჯგუფი შევქმენი და ისიც აღარ არსებობს. „იმედის ტალღაში“ მივიღე მონაწილეობა და ცოტა ხანში ტელეკომპანია დაარბიეს. „ჯეოსტარში“ მივედი და მეორე წელს ეს პროექტი „საქართველოს ვარსკვლავში“ შეცვალა, მონაწილეობა მივიღე სპექტაკლში „ქეთო და კოტე“ და საერთოდ მთავრობა შეიცვალა... ახლა ვამბობ, „ახალ ხმაშიც“ მივალ, უნდა დავშალო-მეთქი.

— „ახალ ხმაში“ მართლა აპირებთ მინაწილეობას?

— არა, არა! კონკურსებზე გამოსვლა დავამთავრე. ჩემი მხრიდან უზრდელობა იქნება, რომელიმე კონკურსში რომ გამოვჩნდ. სხვათა შორის, „ახალი ხმა“ ბევრად მომეწონა, ვიდრე „საქართველოს ვარსკვლავი“. ლამა თოფურისა და მაგდა ვსაძებს ვგულშემატკივრობდი. მაგდას ვიცნობ კიდევ, ბათუმში კონცერტებზე შევხვედრივარ.

— მთავრობის შეკვლამ თქვენს ცხოვრებაშიც სიმ არ გამოიწვია ცვლილებები?

— მხოლოდ ის, რომ სპექტაკლი „ქეთო და კოტე“ შეჩერდა დროებით, სხვა ცვლილება არ მიგრძნია. საერთოდ აპოლიტიკური ადამიანი ვარ.

— არც რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდებით?

— საერთოდ ასეთი ბედი მაქვს: ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრს ასლანის თეატრს ეძახდნენ და ასლანის კარის მომღერლებს გვიწოდებდნენ. ახლა კი ჩემამდე ჯერ არ მოსულა არანაირი ხმა, რომ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ვიყავი გაიგივებული თუნდაც იმიტომ, რომ ამ მიუზიკლში ვმონაწილეობდი, თუმცა ალბათ ამგვარი აზრიც იქნებოდა.

— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდით, რომ შოუბიზნესში ბევრი „გაყვია“. რატომ ფიქრობთ ასე?

— ბავშვობიდან ვეჯახებოდი ამას — პირში ღიმილს და ზურგსუკან ლაპარაკს. ალბათ ბავშვობიდან საკმაოდ ჭკვიანი ვიყავი და ყოველთვის ვგრძნობდი, ჩემ მიმართ ვინ რა განწყობით იყო ან ვინ რამდენად გულწრფელად მუშენებოდა კომპლიმენტს. ყველაზე ცუდია, როცა ზურგსუკან შენზე ძალიან ცუდად ლაპარაკობენ, პირში კი გიღიმიან. ამას ყოველთვის ვხვდები. არ შემიძლია „შემრომა“, ვერ ვიტან უნიჭო აფერისტებს! ნიჭიერი კაცი მიყვარს და ჩემს პატივისცემას ნიჭიერი აფერისტიც იმსახურებს.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოში მომღერალს განვითარების რა შანსი აქვს?

— აქ არსებობს გარკვეული პიკი, რომლის იქითაც ვეღარ წახვალ. მე ჯერ ამ ზღვრამდე არ მიმიღწევია. აქ შეიძლება სიმღერით გქონდეს რაღაც შემოსავალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, საზღვარგარეთთან შედარება არ არის. თუნდაც უკრაინაში ამ მხრივ ბევრად უკეთესი სიტუაციაა. საქართველოში მომღერლის ფინალი რესტორანია. ცუდად არ გამიგოთ,



მაგრამ ნათქვამი მაქვს, რომ რესტორანში არასოდეს ვიმღერებ. იმიტომ კი არა, რომ მეუხერხულება, არამედ ამის ნერვები არ მაქვს. „ჯეოსტარის“ დაწყებამდე გიგი დედალაშაშიშვილმა მითხრა, საქართველოში მომღერლის ბოლო მაინც რესტორანიაო. ვუთხარი, რომ ვერასოდეს მნახავდა იქ.

— საქართველოში რესტორანში და კლუბში სიმღერა შესისხავის წყარო. სიმღერალი თუ ამაზე უარს იტყვის, რითი უნდა იცხოვროს?

— ალბათ ჩემსავით მეორე პროფესია უნდა ჰქონდეს. დიპლომატი ვარ. ძალიან კარგ შემოთავაზებებსა და სამსახურებზე მითქვამს უარი, რადგან მთელ დროს წამართმევდა და სიმღერას ვეღარ შევძლებდი. უკეთესი გეგმები მაქვს, როგორცაა თუნდაც საქართველოდან წასვლა. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩემი უხასიათობის გამო ამაზეც მითქვამს უარი. უბრალოდ ხასიათზე არ ვიყავი და არ დავთანხმდი გერმანიაში, დანიაში და ამერიკაში წასვლაზე. ახლა ვხვდები, რომ ამის დრო დადგა. ამჟამად საბერძნეთიდანაა შემოთავაზება. ვნახოთ. საბოლოოდ არსად დავრჩები, მაინც სამშობლოს დავუბრუნდები.

- „ჯეოსტარის“ დაწყებამდე გიგი დედალაშაშიშვილმა მითხრა, საქართველოში მომღერლის ბოლო მაინც რესტორანიაო. ვუთხარი, რომ ვერასოდეს მნახავდა იქ“.

— თქვენი უხასიათობა პირად ცხოვრებაში როგორ შეაჯანსაღებდა?

— მიძიმე ხასიათი მაქვს და ამას ჩემს პირად ცხოვრებაში ნამდვილად მუშელობია ხელი. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი გაგება ძალიან ადვილია. ერთხელ რომ ვიტყვი რაღაცას, გამოერება არ შემიძლია და უნდა გაიგოს პარტიკონომი. თუ რამეს ვამბობ, სიმართლეა, ამიტომ არ უნდა მკითხოს, ვატყუებ თუ არა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემი გაგება ადვილია და არც მაინტერესებს ისეთი ადამიანი, ვინც ვერ გამიგებს.

— ამიტომ არ ქორწინდებით?

— არა, უბრალოდ გეგმაში არ მაქვს ოჯახის შექმნა, მაგრამ შეიძლება სვალაც გადავწყვიტო. მაშა მეუბნება, 27 წლამდე ცოლი არ მოიყვანო. 24 წლის ვარ და მას თუ დავუჯერე, 3 წელი კიდევ მაქვს.

— ერთი წლის წინ თქვენი შეყვარებული თქო ჩიტიშვილი იყო. დღესაც მასთან ერთად ხართ?

— კი და საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს. თეო ცოტა ჯიუტია, მაგრამ ვწყობით. მეოთხე წელია გვიყვარს ერთმანეთი და ალბათ ნამდვილი სიყვარულია. თეოსაც რაღაც გეგმები აქვს, ამიტომ ოჯახის შექმნაზე ჯერ არ ვფიქრობთ. საერთოდ, კარიერისტი ქალები მიყვარს, მაგრამ თეო ასეთი დიდად არ არის. საკმაოდ ეჭვიანი შეყვარებულია. მე კი არ ვარ ეჭვიანი. ამის საბაზიცი არ მაქვს.

— მუსიკალში „ქეთო და კოტე“ თქვენი პარტნიორი სოფო ნაფრაძე იყო. დღეს როგორია ურთიერთობა გაქვთ მასთან?

— მე და სოფო ხშირად ვეკონტაქტებით ერთმანეთს, ოღონდ უფრო სოციალური ქსელით, რადგან დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო შეხვედრებს ვერ ვახერხებთ.

— მარინა ბერიძეს თუ ნახულობთ?

— ვერ ვნახულობ, მაგრამ ვურეკავ და მოვიკითხავ ხოლმე. აბსოლუტურად ყველასთან კარგ ურთიერთობას ვინარჩუნებ, ვისთანაც ოდესმე მითანამშრომლია.

✓ მანანა ნოდია

ელგუჯა ბურღული: „ზოგჯერ მგონია, რომ დღესაც გელა მქიმი პარ“

„უძინართა მზე“ — მამებისადმი მიძღვნილი ფილმი

ფილმი: „უძინართა მზე“ (1992 წელი).
რეჟისორი: თემურ ბაბლუანი.
სცენარის ავტორი: თემურ ბაბლუანი.
ოპერატორები: ვიქტორ ანდრეევსკი, ნუგზარ ნოზაძე.
მხატვარი: თემურ ხმალაძე, თამაზ ლომია.
მუსიკა: თემურ ბაბლუანი.

მონაწილეობენ: ელგუჯა ბურღული (გელა), დავით კაზიშვილი (დათო), ლია ბაბლუანი (დედა), ეკა საათაშვილი (აგნესა), გივი სიხარულიძე (ვანიკა), ფლორა შედანი (თამარ კლდიაშვილი), ლევან ფილფანი, სოსო ჯაჭვლიანი, ლიკა ქაჭვარაძე, თეიმურაზ კვანტალიანი, მამუკა კიკალაიშვილი და სხვები.

სიუჟეტი: ფილმი ეხება გაჭირვებული ქართველი ექიმის ცხოვრებას, რომელიც კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინას შექმნის. ის საკუთარი ბინის სხვეში ექსპერიმენტებს ვირთხებზე ატარებს, მაგრამ სამეცნიერო საბჭო მისი ნაშრომით არც კი ინტერესდება. გელა ექიმის ქალიშვილი, აგნესა, მისთვის აუტანელ რეალობას აუშობსდება და ვირთხებს გაუშვებს. შემდეგ გელა ექიმი საკუთარი ხელით იკეთებს ბრმა ნაწლავის ოპერაციას, რის შედეგადაც იღუპება. მისი გარდაცვალების შემდეგ შვილი, დათო, აღმოაჩენს, რომ მამის ექსპერიმენტებმა დადებითი შედეგი გამოიღო.


ფილმის ერთგვარი სავიზიტო ბარათია მელოდია, რომელსაც გელა ექიმი ლილინებს: „რიმდარირო“.

რეჟისორმა თემურ ბაბლუანმა თავისი ფილმი ექიმი მამის სსოვნას მიუძღვნა. 20 წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ფილმი კინოეკრანებზე გამოჩნდა. გადაღებით კი 4-5 წელი იღებდნენ. „უძინართა მზე“ თავისი ადამიანურებით ახლოს მივიდა ქართველ მაყურებელთან და მაყურებელმაც ისე მიიღო, როგორც მისი ცხოვრების ნაწილი. ფილმმა საქართველოს საზღვრებზე გადაკვეთა და 1992 წელს სოჭში, რუსეთის ღია კინოფესტივალზე გრან პრის მფლობელი გახდა. 1992 წელს რუსეთის კინოაკადემიის პრიზი „ნიკა“ აიღო, 1993 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე — „ვერცხლის დათვი“ და „ოქროს დათვი“, 1994 წელს კი სან რაფაელში გამართულ კინოფესტივალზე — უიურის სპეციალური პრიზი.

„ხიმდახიხოს“ ისტორია

ელგუჯა ბურღული:

— როდესაც თემურმა ამ ფილმზე მუშაობა დაიწყო, მთავარი როლი მე შემომთა-



■ ელგუჯა ბურღული



■ ბეკას როლი

ვაზა. ჩვენ მანამდე უკვე ახლოს ვიყავით, ვმეგობრობდით. მის „ბელურების გადაფრენაში“ ვითამაშე. თანაც მისი ქალიშვილის ნათლია ვარ. სცენარი რომ ვნახე, უკვე ვიცოდი, რომ ფილმი წარმატებული გამოვიდოდა, მაგრამ ასეთი არ ველოდი. როგორც იცით, ყველაფერი რეალურ ფაქტებზეა აგებული. მე თემურის მამას ვასახიერებ-

ელგუჯა ბურღული: „მთავარი მტყინი იყო ის, ხომ ჩემი ჰეხსონაჟი მხეხბში მოხილი უნდა ყოფილიყო... ხოლში შევედი და ჩემი ჰეხსონაჟის ცხოვრებით ვცხოვრობდი. სახლში შვილები სჯ მუეზნებოდნენ, გელა ექიმი ჯი ახა, გუჯა მამა გვინდაო“.

დი, დათო (კაზიშვილი) კი — თემურს. შეცდომას არც მე მაპატიებდა და არც დათოს. ეს თემურის ოჯახის უსაყვარლესი ფილმი იყო, რადგან მასში მამა-შვილის ურთიერთობა იყო ასახული. მამამისი პროვიზორიც იყო, ექიმიც და წამლებსაც ამზადებდა. თანაც, მოგეხსენებათ, რომ სვანეთში ბევრნაირი სამკურნალო მცენარეა.

თავიდან ცოტა გამიჭირდა იმ შტრიხის დანახვა, თუ როგორ უნდა მეველო, მელაპარაკა, მაგრამ ერთი რომ დავიჭირე, მერე ბოლომდე გავითავისე. მთავარი შტრიხი იყო ის, რომ ჩემი პერსონაჟი მხრებში მოხრილი უნდა ყოფილიყო.

გადაღებები ოთხ-ხუთ წელს გაგრძელდა

და ეს ცოტა რთული იყო. თემური იმას ამტკიცებდა, რომ მაგარია და ეს მართლაც გამოუვიდა. სცენარი მისია, რეჟისურა მისია, მონტაჟიც თითქმის მისია, მუსიკაც მისია და ოპერატორობაც თავად შეითავსა. სანამ კამერას ისე არ დააყენებდა, როგორც თვითონ უნდოდა ამა თუ იმ კადრის დანახვა, მანამდე არ გადააღებინებდა. კარგა ხანია ასეთი სრულყოფილი რეჟისორი არ მინახავს.

ელგუჯა ბურღული: „სცენაჟი მისია, ჰეჟისურა მისია, მონტაჟიც თითქმის მისია, მუსიკაც მისია და ოპერატორობაც თავად შეითავსა. სანამ კამერას ისე ახ დააყენებდა, ხოგორც თვითონ უნდოდა ამა თუ იმ კადრის დანახვა, მანამდე ახ დააღებინებდა“.

უამრავ დუბლს ვიღებდით. მგონი, კადრების გადაღებებით რეკორდი დავამყარეთ. თემურს ვთხოვე კიდევაც, იმდენი მასალა გავკვს, სერიალი გადავიღოთ-მეთქი. კადრების დიდი ნაწილი ფილმში არ მოხვედრილა. თემურს სულ ვეუბნებოდი, რამდენი დუბლიც გინდა, გადაიღე, მაგრამ მე სამი დუბლის მერე ვერ ვითამაშებ-მეთქი. ის უნიჭიერესი ადამიანი და ეს ამ ფილმსაც კარგად დაგვანახვა.

იმდენად დიდხანს გაგრძელდა გადაღებები, რომ იტყვიან, როლში შევედი და ჩემი პერსონაჟის ცხოვრებით ვცხოვრობდი. სახლში შვილები სულ მუეზნებოდნენ, გელა ექიმი კი არა, გუჯა მამა გვინდაო. გადაღებები დასრულდა, მაგრამ მაინც კარგა ხანს გამყვა ეგ როლი. ზოგჯერ მგონია, რომ დღესაც გელა ექიმი ვარ. მე და ჩემი პერსონაჟი ერთმანეთს ვგავდით, რადგან გელა ექიმის სიტობი და სიყვარული, რაც ეკრანმა აღბეჭდა, ყველაფერი ჩემგან გამოვიდა.

თემურს ერთი რაღაც ვთხოვე და სანახევროდ შემისრულა. მამაჩემი როდესაც ნასვამი მოდიოდა, სიმღერის „მოხვევის ქალო თინაო“ მელოდიას მღეროდა, ოლონდ არა — სიტყვებით, არამედ „რიმდარ დო, რიმდარ დო“. ჰოდა, თემურს ვთხოვე, მამაშენს ხომ ვასახიერებ ფილმში, მამაჩემის პატივსაცემად ეს სიმღერა ჩამისვი-მეთქი. მან კი მეორე დღეს საოცარი მუსიკა მოიტანა, იმ სიტყვებით, რაც მე ვუთხარი, მაგრამ სხვა მელოდიით. ასე გაჩნდა „რიმდარირო“, რომელიც ყველას მოსწონს. მთელ საქართველოში, სადაც უნდა წავიდე, „რიმდარირო“ ან მე უნდა მამღერონ, ან თვითონ მიმღერიან.

მართალია, მანამდე სხვა ფილმებშიც ვითამაშე, მაგრამ „უძინართა მზემ“ დიდი პოპულარულობა მომიტანა. ერთხელ თემურმა ჩემზე თქვა, გუჯას ფული მე კი არ უნდა მიცემა, აქეთ უნდა მომცესო.

რეჟისორი ჰეჟისოჟი

— ძნელია ისეთ გენიოს რეჟისორთან მუშაობა, როგორც თემურია. მუშაობის მომენტში არც თავს იზოგავდა და არც ჩვენ გვზოგავდა. პატარა ხარვეზსაც არ გააპა-



თემურ ბაბუნაძე თეიმურაზ კარაძე

რება. რაც უნდოდა და რაც ჩაფიქრებული ჰქონდა, ყველაფერი ზუსტად ისე უნდა გაგვეკეთებინა.

ერთხელ რალაც სცენას იღებდნენ, ოლონდ მასში ჩემი გმირი არ მონაწილეობდა. ბიჭები „სეკს“ ვთამაშობდით. რომ მოვიდა, ბანქო აიღო და დახვია. ჩვენ სხვა ბანქოს ქალაქი ვიშოვეთ და თამაში გავაგრძელეთ. რომ დაგვინახა, ძალიან გაბრაზდა. საერთოდ გაბრაზების დროს ნამდვილი ცეცხლი ხდებოდა. არადა მართალი იყო — კაცი შემოქმედებით წვაში იყო, ჩვენ კიდევ რალაცებებით ვერთობოდით. თემური „უძინართა მზეს“ თავისი სიმართლით ხედავდა.

„ეს ის კაცია, რომელსაც თქვენ ჰჩიზი ახ მიყვით“

— 1992 წელს საუკეთესო მამაკაცის როლის შესრულებისთვის რუსეთის კინოაკადემიის პრიზი „ნიკა“ მომცეს. თემურს საუკეთესო სცენარისტისთვის მისცეს პრიზი, ნიკიტა მიხალკოვს კი — საუკეთესო რეჟისურისთვის (ფილმი „ურგა — სიყვარულის ადგილი“). ნიკიტა რომ არა, ეგ პრიზი ნამდვილად თემურს ეკუთვნოდა. რაც შეგვეხება მსახიობებს, ნომინაციაში ხუთნი ვიყავით წარდგენილი. ნიკიტა ჩემი მამაკაცია, მაგრამ მაინც სწყენია, რომ მის მსახიობს არ მისცეს პრიზი და მე გადმომცეს. მე ის მენყინა, რომ ნიკიტას ენყინა, მაგრამ ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ძმები ვართ.

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომ იტყვიან, სასწაული მოხდა. ნომინაცია რომ გამოაცხადეს, სცენაზე თემური, მისი მეუღლე და ქალიშვილი ავიდნენ. გივი სიხარულით და მე გვერდიგვერდ ვისხედით. მეუბნებოდა, წამოდი, სცენაზე ავიყვანო. მაინც ვერ მოისვენა, ხელი დამავლო და სცენაზე ამიყვანა. თურმე ჟიური ერთმანეთს ეკითხებოდა, ეს კაცი ვინ არის, რა უნდაო. ერთ-ერთმა ნევრმა უპასუხა, ეს ის კაცია, რომელსაც თქვენ პრიზი არ მიეცითო.

როგორც მერე გავიგე, მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებლის პრიზი ჩემთვის უნდა მოეცათ და დენზელ ვაშინგტონს მისცეს. ჟიურის ეგონა, რომ მე პროფესიონალი მსახიობი არ ვიყავი და ფილმში შემთხვევით მოხვდი, ამიტომაც ვერ მომცეს მთავარი პრიზი. მართალია, მათ „ბელტრეზის გადაფრენა“ და „მოცურავე“ ნანახი ჰქონდათ, მაგრამ ვერ მიხვდნენ, რომ მე წსორედ ის მსახიობი ვიყავი, ვინც ამ ფილმებში თამაშობდა. ჟიურის რუსი წარმომადგენელი მოვიდა ჩვენს სუფრასთან და ყველას სახელით ბოდისი მომიხადა. შემდეგ ჟიურიმ თავის სუფრასთან მიმიპატიჟა, მაგრამ ბოდისი საქმეს ვეღარ უშველიდა, პრიზი უკვე ვაშინგტონს ჰქონდა აღებული. ერთხელ სოჭში ვიყავით ფესტივალზე.

კონკურსი ორ ნაწილად იყო დაყოფილი: ფილმი ინტელიგენციისთვის და ფილმი ყველასთვის. ჩვენ ვიყავით პირველ კონკურსზე, მერე იქ ბუნტი მოვანყვეთ და მეორე კონკურსზე გადმოგვიყვანეს, სადაც პრიზი რეჟისორს მისცეს. პირველ კონკურსში კი პრიზი მე მხვდებოდა. არ გვინდოდა იქიდან უპრიზოდ წამოსვლა და ბუნტიც ამის გამო მოვანყვეთ, ფესტივალის დატოვებას ვაპირებდით. არ მინდოდა, პრიზი მარტო მე რომ ამელო, მერჩინა, ყველა მსახიობს თანაბრად შეგვხვედროდა გამარჯვება.

ფილმის იმაზე მეტი წარმატება და დაფასება რა არის, როცა ხალხი დღემდე უყურებს და თან ტირის? ბევრი ვიცი ჩემს სანაცნობოში, როცა ტელევიზორში ეს ფილმი გადის, ეკრანს ვერ სცილდებიან. პირადად მე მისი ყურება ყოველთვის ძალიან მიჭირს, რადგან ყველა ის ვაწედა, რაც გადაღებებზე მქონდა, უკან მიბრუნდებოდა. იშვიათად, რომ ამ ფილმს თავიდან ბოლომდე ვუყურო.

აგნესა

მკა საათაშვილი:

— ბავშვობაში ანსამბლ „მარტოვს“ გოგონათა გუნდში ვმღეროდი. იქ რეჟისორის ასისტენტი მოვიდა, რომელიც ფილმისთვის გოგონას ეძებდა. როგორც კი დამინახა, ამარჩია და კინოსტუდიაში დამიბარა. მაშინ 12 წლის ვიყავი. თემურ ბაბუნაძეს რომ შევხვდი, მაშინვე გადაწყვიტა ჩემი ფილმში აყვანა. ჯერ სულ სხვა, ეპიზოდურ როლზე დამამტკიცეს. იყო სცენა, რომელშიც ქუჩის მომღერლები მათხოვრობდნენ. იქიდან ერთ-ერთის როლი მე უნდა შემესრულებინა. შემდეგ ისე მოხდა, რომ ეს ეპიზოდი ფილმიდან საერთოდ ამოიღეს და აგნესას როლზე დამამტკიცეს. როლზე სხვა მსახიობი ჰყავდათ რამ-



მკა საათაშვილი

ეკა საათაშვილი: „უკვე მივეჩვიე იმ ფაქტს, რომ 16 წლიდან მიხი სახელით ცხვოვხობ. აგნესაც ისე მაქვს გათავისებული, ხომოც ჩემი ნამდვილი სახელი“.

დენიმე სცენაში გადაღებული, მაგრამ ყველაფერი თავიდან დაიწყეს. ზუსტად არ ვიცი, ამის მიზეზი რა გახდა. ერთი კი იყო, რომ ყველამ ძალიან მიმამსგავსა ბატონი თემურის მეუღლეს, რომელიც ფილმში დედის როლს ასრულებს. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი შეხება კინოსთან.

გადაღებები დიდხანს გაგრძელდა და როცა დამთავრდა, 16 წლის გავხდი. ქალაქიდან და ქვეყნიდან ისე ვერ გავიდოდი, რომ ბატონი თემურთან არ შემეთანხმებინა. ამის გამო თითქმის ვერსად მივდიოდი, არ ვიცოდი, გადაღებები როდის დაინიშნებო-

და. რთული იყო ისიც, რომ ძილი ძალიან მიყვარდა და ღამის სცენებზე გაძლება მიჭირდა. ის ეპიზოდი, როცა ჩემი გმირი თავის ძმას სიმართლეში გამოუტყდება, ღამით არის გადაღებული. რამდენიმე დღე-ღამე გახდა საჭირო, მე კიდევ ძალიან მუძინებოდა. როგორც კი პატარა დროს გამოვინახავდი, მანქანაში ვჯდებოდი და ვიძინებდი.

იმპროვიზაციები ჩემი მხრიდან არ იყო, რადგან პატარა ვიყავი, არანაირი გამოცდილება ამ სფეროში არ მქონია. როცა კინოსტუდიაში მივედი, ისიც კი არ ვიცოდი, ფილმის გადაღება როგორ ხდებოდა. პაგილიონში აშენებული სახლი პირველად ვნახე და ეს ჩემთვის ზღაპარს ჰგავდა. ყველაფერი მუყაოთი იყო გაკეთებული და ეს იყო შოკი. დავდიოდი და ყველაფერს ხელს ვკიდებდი.

რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდი. შედუმებად არც ვთამაშობდი და არც ვიპრანჭებოდი, ვცდილობდი, ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც რეალობაში გავაკეთებდი. ჩემს პერსონაჟს არ ვგავარ. არც ეგეთი რეჟოლუციური ხასიათი მაქვს და არც ცვლილებების დიდი მოყვარული გახლავართ. ადამიანებს ისეთებს ვიღებ, როგორებიც არიან. რეალობაში მე ისე არ მოვიქცეოდი, როგორც აგნესა და მამაჩემს ისეთს მივიღებდი, როგორც იქნებოდა.

რეჟისორთან კარგი დამოკიდებულება მქონდა, მიხვდა იმას, რასაც ბავშვი შეძლებდა. ჩემგან საოცრებების გაკეთებას არც ელოდა. ფილმზე მუშაობის დროს შევითხვევით შეიტყუო, რომ მონათლული არ ვიყავი და სურვილი გამოთქვა, თავად მოვენათლე.

ოცი წელი გავიდა და ბევრი რამ დანვრილებით არც მახსოვს. მე იქ ყველაზე პატარა ვიყავი. ყველასთან კარგი დამოკიდებულება მქონდა. როცა ბატონ გუჯას ვხვდები, მამას ვეძახი. ძალიან თბილი ადამიანია. დათო კაზიშვილთან კი ურთიერთობა დღემდე მაქვს.

ამ ფილმიდან ჩემთვის ყველაზე სასაცილო და დასამახსოვრებელი ის სცენა იყო, როდესაც დათო ციხიდან ბრუნდება, მე კიდევ გახარებული ვეგებები და ამ დროს ვეცემი. ძირს ლეიბი დამიფინეს და მითხრეს, რომ მასზე უნდა დავცემოლიყავი. მე კიდევ ისე გადავეშვი, თითქოს აუზში ვხტებოდი. იმდენად დიდი ნახტომი გამომივიდა, კამერა ვერ გამოიმყვა. ატყდა სიცილ-ხარხარი და მერე მითხრეს, ისე უნდა წაიქცე, რომ კადრიდან არ გახვიდო. რამდენიმე დუბლი გადავიღეთ. ბოლოს ბატონმა თემურმა თქვა, ყველგან კარგად წაიქცა და არ ვიცი, რომელი დუბლი დავტოვო.

რაც შეეხება ვირთხებს, სულ მემინოდა მათი. კიდევ კარგი, ვირ-

თხების გაშვების სცენა არ გადაუღიათ, თორემ ამას ნამდვილად ვერ გავაკეთებდი. იმდენად მეშინოდა, მათ გალიებს ვერ მივკარებოდი.

ფილმის პრემიერაზე ბატონ თემურს ეკითხებოდნენ, შენი შვილი სად არისო. ყველამ ჩათვალა, რომ მისი შვილი ვიყავი. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ფილმში აღებული ჰონორარი მთლიანად დაგვარგე. ამ როლისთვის 12 000 მანეთი მომცეს, რაც იმ დროს 16 წლის ბავშვისთვის დიდი თანხა იყო. ფული ბანკში შევიტანე და კუპონები გამიხდა, რომელიც შემდეგ დაიკარგა. ასე რომ, მეც იმ მენაბრეებს შორის ვარ, რომლებმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ბანკში შეტანილი ფული დაკარგეს.

უკვე მივეჩვიე იმ ფაქტს, რომ 16 წლიდან ორი სახელით ვცხოვრობ. აგნესაც ისე მაქვს გათავისებული, როგორც ჩემი ნამდვილი სახელი. ფილმის გამოსვლის შემდეგ პოპულარული გახვდი. ქუჩაში ისე არ გავიდოდი, რომ ხალხი არ გამომლაპარაკებოდა. ოცი წელი გავიდა, მაგრამ ახლაც მცნობენ. მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი პერსონაჟი ვითამაშე, ადამიანებისგან მაინც სულ სითბოს ვგრძნობდი.

„უძინართა მზეს“ ვუყურებ ხოლმე, მაგრამ ხშირად — არა. იცით, როგორ ვხვდები, რომ რომელიმე არხზე ჩემი ფილმი გადის? ამ დროს მობილურ ტელეფონზე ახლობლების შეტყობინებები მომდის. განსაკუთრებით მაშინ, როცა ფილმში ყველაზე ემოციური ნაწილია და დაბო და გელა სიმღერას იწყებენ. ახლობლები მწერენ, ეს როგორ გააკეთე, შენი საქციელით მამა დალუპეო. სულ ვამბობ, რომ გამომართლა, რადგან ცხოვრებაში ერთადერთი როლი შევასრულე და ისიც ასეთი ძლიერი რეჟისორის მიერ გადაღებულ, ასეთ წარმატებულ ფილმში.

ვანიჩიას გამო გადაკეთებული სცენაში

გივი სინარულია:

— ფილმში „უძინართა მზე“ სრულიად შემთხვევით მოვხვდი. მე და თემური ვმეგობრობდით. ჩემი მონაწილეობით ფილმი „დაუმთავრებელი პორტრეტი“ რომ გამოვიდა, ვუთხარი, ნახე, როგორი ფილმია ან როგორ ვითამაშე-მეთქი. კინოდარბაზიდან რომ გამოვედით, მითხრა, ფილმი ნორმალურია, არა უშავს, მაგრამ შენ ძალიან კარგად თამაშობო. ამის მერე ორი-სამი თვე გავიდა და თემურმა დამიბარა. მითხრა, ჩემს ერთ ფილმში ეპიზოდური როლი უნდა გათამაშო. კადრში მხოლოდ ნახევარი წუთით უნდა გამოვჩენილიყავი.

გადაღება სულხან-საბა ორბელიანის ძეგლთან მიმდინარეობდა. გადაღების მერე მკითხა, ქალაქიდან ხომ არ გადისარო. ვუპასუხე, არა-მეთქი. ხოდა, მე უნდა შემითანხმო, გახვალ თუ არაო. ამის მერე ფილმზე მუშაობა 4-5 თვით შეწყდა. თურმე მან ამ პერიოდში სცენარი



გივი სინარულია

გადააკეთა. გადაღებები რომ განახლდა, მეც მიმიწვიეს და მითხრეს, რომ ვანიჩიას როლი უნდა შემესრულებინა. არ ვტრიაბახობ, რადგან თემურსაც ხშირად აქვს ნათქვამი ჩემზე, თავიდან ისე ითამაშა, მისი პერსონაჟი მისივე ტყვეებიდან გამომდინარე გაჩნდაო.

ვიცოდი, რომ ფილმი ასეთი წარმატებული გამოვიდოდა, რადგანაც თემური ფილმებით ცხოვრობს. როცა იცი, რომ ასეთ დიდ რეჟისორთან მუშაობ, იქ ყოველთვის გაიმარჯვებ. როცა ხედავს, რომ საქმეს ხუთიანზე აკეთებ, მასზე თბილი რეჟისორი მსოფლიოში არ არსებობს. გადაღებების მომენტში, რა თქმა უნდა, რალაცეები მეშლებოდა, მაგრამ თემურმა მითხრა, თუ რაზე შეგეშალა, არ გაჩერდე და როლის თამაში ჩვეუ-

გივი სინარულია: „მიღივის მანქანა გაჩეხა, მაიოხი გადმოხტა და შუბლზე იახალი დამადო. ვეი მიხვდა, ხომ ფილმს ვიღებდით და ხელიგანი ვეკონე. სანამ ხაცხმა ხმაუხი აი ატეხა, იახალი აი მომაცილა“.

ლებრივად გააგრძელე, შენ რომც შეგეშალოს, მაინც კარგად გამოგდისო. ბევრი ეპიზოდი შემეშალა და ფილმში მაინც ჩასვეს, რადგან თემურს მოსწონდა. ათას რამეს ვიკონებდი, სხვანიარად ვმოძრაობდი და მუუუნებოდა, კარგაო.

კინოთვითები

— ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღების დროს ლამის მომკლეს. ასეთი სცენა იყო: ბენზინგასამართ სადგურში სანავაგ ვასხამ. მოდის ერთი კაცი, რომელსაც მანამდე მივდევი. რომ დამინახავს, ჩასასხმელს გამომტაცებს და ბენზინი ზედ მესხმება. მე კიდეც, გამწარებული, ამ კაცს სულ ბენზინში ვაბანავებ, ანთებულ ასანთებს ვესვრი, მაგრამ არ ხვდებო.

გივი სინარულია: „ვიუხის ამეიყელი ნეხი თავჩაქინდული იჯდა. ვიფიქე, ეყყო, ჩვენების ეხოს ჩაქინა-მეთი. უცებ თავი ახნია და თვალეზე ცრემლები შევნიშე“.

გადაღება ნახალოვკაში, „პლატონას დუქანთან“ მიმდინარეობდა. ამ დროს მილიციის მანქანა გაჩერდა, მაიორი გადმოსხდა და შუბლზე იარაღი დამადო. ვერ მიხვდა, რომ ფილმს ვიღებდით და ხელიგანი ვეგონე. სანამ ხალხმა ხმაური არ ატეხა, იარაღი არ მომაცილა. მერე კი მიხვდა, საქმე რაშიც იყო და შერცხვა. ვუთხარი, ნუ გრცხვენიათ, რადგან ყველაზე კარგი მასურებელი დღეს შენ ხარ, რომ ასე ზუსტად აღიქვი ჩემი ნათამაშევი და სინამდვილე გეგონა-მეთქი. ეს კადრი

ცხვა. ვუთხარი, ნუ გრცხვენიათ, რადგან ყველაზე კარგი მასურებელი დღეს შენ ხარ, რომ ასე ზუსტად აღიქვი ჩემი ნათამაშევი და სინამდვილე გეგონა-მეთქი. ეს კადრი



დათო კაზიშვილი დათოს როლი

ფილმში აღარ ჩასვეს. ჩათვალეს, რომ კაცის დანვა სადისტობა იყო.

ერთხელ კიდეც სვანეთისუბანში გვქონდა გადაღება. იქ იდგნენ ე.წ. ძველი ბიჭები და გვაკვირდებოდნენ. როგორც მსახიობებს, ცოტა ცუდი თვალით გვიყურებდნენ და აგდებულად დაგვიწყეს ლაპარაკი. ის კი არ იცოდნენ, რომ დათო კაზიშვილი მოკრივე იყო, მე კიდეც თელი ცხოვრება მოჩხუბარი ვიყავი. ერთი სიტყვით, ისეთ დღეში ჩავყარეთ, ერთმანეთს ვერ ასწრებდნენ.

მახსოვს კიდეც ერთი ფაქტი: სანამ თემური დათო კაზიშვილს დაამტკიცებდა, ციხიდან სხვა ბიჭი გამოიყვანა და როლი მას მისცა. ეს ბიჭი როლს ვერ მოერგო, პრეტენზიებს გამოთქვამდა, თავის ქურდულ ცხოვრებას აწვებოდა. თემურმაც ვეღარ მოუთმინა და როლიდან მოხსნა. ასე რომ, ციხეში შეაბრუნეს და ხუთი წელი კიდეც იჯდა.

დათოს როლისთვის კასტინგი რომ ჩატარდა, ათასობით ბიჭი გასინჯეს. თემურმა საქართველოს იმდროინდელი ახალგაზრდების ნახევარი მაინც ნახა და მათგან დათო კაზიშვილი ამოარჩია, რომელსაც მსახიობობასთან შეხება საერთოდ არ ჰქონია, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, როგორც ითამაშა.

აკიხებული ვიუხი

— ბერლინში დიდ ეკრანზე „უძინართა მზის“ ჩვენება რომ მიმდინარეობდა, დავინახე, ჟიურის ერთ-ერთი ამერიკელი წევრი თავჩაქინდრული იჯდა და ხმას არ იღებდა. ვიფიქრე, ეტყობა, ჩვენი ფილმი მისთვის უინტერესოა და ჩაქინა-მეთქი. უცებ თავი ახნია და თვალეზე ცრემლები შევნიშე. ეს ყველაფერი თემურს მოვუყევი, მაგრამ არ დამიჯერა.

როცა ფესტივალი დამთავრდა და ვიუხიმ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, იმ ამერიკელმა ასეთი რამ თქვა: „მე ცრემლები წამომივიდა და თავი ჩავლუნე, როცა ეს ფილმი ვნახე. მამა-შვილის დამოკიდებულებას რომ ვუყურებდი, მამაჩემი და ჩემი ცხოვრება გამახსენდა“.

შემდეგ კიდეც ერთი საინტერესო რალაც მოხდა. სიზმარი ვნახე, რომ ჰაერში დავფრინავდი. მეგონა, ჩამოვვარდებოდი და დავიმტკვრეოდი, მაგრამ საბოლოოდ კარგად დავფრინდი, არაფერი მტკენია. ასეთი სიზმარი რამდენჯერაც ვნახე, იმდენჯერვე კარგად ამიხდა. თემურს რომ ვუთხარი, კარგი სიზმარი ვნახე და გრან პრის ავიღებთ-მეთქი, ამაზეც გაცინა.

✓ თონა კენჭაშვილი

ავტომობილის ქვეშ მოყოლილი ბაიკერის ავბავი „ნენებისა და ხელების მოტეხას მიჩვეული ვაჟი“

ბაიკო მხეიქემ 12 წლის წინ გაუგო ბაიკს გემო და მას შემდეგ მოტოციკლეტი მისი ცხოვრების ნაწილად იქცა. ის 40 წლის, როგორც იტყვიან, დაღვინებული მამაკაცია, კარგად აცნობიერებს, რა საფრთხეშიც იგდებს თავს, მაგრამ სხვანაირად ცხოვრება არ შეუძლია. ავარიის რამდენჯერმე მოყვა, სიკვდილს ბევრჯერ ჩახედა თვალბუმი, ბევრი შეგონებაც მოისმინა იმის შესახებ, რომ ეს სახიფათო გატაცება უნდა დაივიწყოს, მაგრამ საყვარელ მოტოციკლეტზე უარს ვერ ამბობს. რამდენიმე დღით თუ მოუწია მასთან „განმორება“, ენატრება. გაიოზი პროფესიით ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი გახლავთ, ორი შვილის მამაა.

ცოტა ხნის წინ, გასული წლის დეკემბერში, კიდევ ერთ ავარიას შეემთხვა, მთვრალმა მძღოლმა მანქანა დააჯახა. ბოლო წამს მოახერხა დამუხრუჭება და მოძრაობის შენელება, თორემ გაიოზისგან შეიძლებოდა აღარაფერი დარჩენილიყო.

ბაიკერმა „სარკვესთან“ საუბარი ამ ბოლო შემთხვევის გახსენებით დაიწყო:

— 2012 წლის პირველი დეკემბერი იყო, გარეთ თბილოდა. რამდენიმე ბაიკერმა წლის ბოლო გასეირნება მოვაწყვეთ. სულ ხუთნი ვიყავით. სამი ბაიკერი წინ მიდიოდა, ორი, მათ შორის — მეც, ჩამოვჩრით, რადგან გზაზე საცობი იყო. ამ დროს ერთ-ერთი ეზოდან მანქანა გამოვარდა, მარჯვენა მხრიდან დამეჯახა და გზის მარცხენა მხარეს გადამაგდო.

— **ჯერ შექვლით დაჯახების თავიდან აცილება?**

— ვერ ერთი, მანქანას ვერ გავასწრებდი და მეორეც, რომ გამესწრო, ჩემ უკან მომავალ მოტიციკლეტს დაარტყამდა. ავტომობილი ძალიან დიდი სიჩქარით მოდიოდა. ბიჭებმა მანქანის კარი რომ გააღეს, მძღოლი ისეთი მთვრალი იყო, ძირს გადმოვარდა. როცა ბაიკერს მანქანა ეჯახება, დამნაშავე უმეტესად მძღოლია, რადგან ჩვენ მანქანას გაცილებით ადრე ვხედავთ, მის ტრაექტორიას ვთვლით და ასე შევძლებ.

— **თუცა თქვენ მეტად რისკით, უადრე ავტომობილის მძღოლებს ძალიან სწრაფად დაეძინათ.**

— რატომ გგონიათ, რომ ჩქარა დავდივართ? სულაც არა! საერთოდ, ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე, ბაიკერმა ჩქარა უნდა იაროს, რომ ძრავი არ დააზიანოს, მაგრამ ისეთი სულელბოც არ ვართ, რომ სხვებს ან საკუთარ თავს საფრთხე შეუუქმნათ. ბაიკერებისთვის მოტოციკლეტი მხოლოდ გადაადგილების საშუალება არ არის, ის ჩვენი სულის ნაწილი ხდება, ერთად ვართ, ერთად ვცხოვრობთ.

— **ამ აუარიას დაუბრუნდით, მასზე დაზავდით?**

— მანქანის დაჯახების შემდეგ დაახლოებით 6 მეტრი ვიფრინე და ბორდიურზე დავეცი. ვეღარაფერს ვხედავდი, ვეღარც ვსუნთქავდი. ძირითადად დაბუქილობები მივიღე. ნეკნები გაზარული და დამტვრული მქონდა, თუმცა ნეკნებისა და ხელების მოტეხას მიჩვეული ვართ. ჩაფხუტმა თავის დაზიანებისგან დამიცვა. უკან ახლოებული რომ ამ ყოფილების არ ვიცი, რა დამემართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს ვხედავდი და ვერც ვსუნთქავდი, ფეხზე მაინც ავდექი. ჩემი ახლოებული მოვიდა და მან გადაამჩინა, თორემ ალბათ მანქანას შევუვარდებოდი.

— **დაჯახების მომენტი გახსოვთ?**

— რაღაც მომენტებს ვიხსენებ ხოლმე, მაგრამ დაჯახების დეტალები კარგად არ მახსოვს. ყველაფერი წამების მესაუდებში ხდება და რალაცეების გაანალიზებას ვერ ასწრებ. დრო რომ გადის, მეორე, მესამე დღეს ხელები და აცნობიერებს, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. იმ

მომენტში ამ ყველაფერზე ვერ ფიქრობ, მხოლოდ ტკივილს გრძნობ, მეტს ვერაფერს.

— **ამ ბოლო შემთხვევის დროს რასი წყალობით გადარჩი?**

— გამომართლა, რომ მანქანამ არ გადაგვიარა და გაჩერდა. როგორც ჩანს, დარტყმის ხმამ, ყვირილმა მძღოლი გონზე მოიყვანა და ავტომობილი გააჩერა.

— **სამკაცისი დახმარება არ დაეჭირათ?**

— ავტოსაგზაო შემთხვევის დროს თუ დაზარალებული სასწრაფო დახმარებას მიჰყვება კლინიკაში და მკურნალობას თანხმდება, მძღოლის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ ხოლმე. შეიძლება ბევრმა თქვას, რადგან საჭესთან მთვრალი იჯდა, დაჭერის ღირსიც იყო, მაგრამ ამისთვის ვერ გავიმეტე.

„დაჯახების შემდეგ 6 მეტი ვიფრინე და ბოხიეხზე დავეცი. ველახეხს ვხედავდი, ველახეხს ვხუნთავდი. ნენები გაბზახილი და დამცხვილი მქონდა.“



ტკივილი ძირითადად მეორე-მესამე დღეს იწყება, იმ მომენტში ვერც გრძნობ. სახლში ათი დღე ვინჯი, ვერ ვდგებოდი. თუმცა ჩემი ორგანიზმი ავარიების უკვე მიჩვეულია.

— **იმ ათი დღის განმავლობაში საკუთარ თავს აღბრუნებდით ბევრ კითხვას დაუსვამდათ, რაზე ფიქრობდით ამ დროს?**

— ახლოლებზე, მეგობრებზე ვფიქრობდი, ამ შემთხვევის ტრაგიკულად დასრულების შემთხვევაში როგორ ცუდ დღეში იქნებოდნენ. მერე ფსიქოლოგიურად ძალიან რთული აღმოჩნდა იმ მოტოციკლეტზე დაჯდომა და გატარება.

— **თუცა მასც შექვლით.**

— კი, როგორც კი მოვფიქრობდი, მოტოციკლეტზე იმ დღესვე დავეცი. ცუდი ამინდი იყო, ქალაქში — ვერა, მაგრამ იქვე 150-200 მეტრი მაინც გავიარე... ისე მოხდა, რომ რამდენიმე დღეა ჩემი მოტოციკლეტი არ მინახავს, ახლობლის ფარეში მყავს და უკვე ცუდად ვარ, სამსახურში მის წყურათებს ვათვალთვლი.

— **ჯერა რომ ერთხელ ავტომობილს ქვეშ აღმხრდით, ეს როგორ მოხდა?**

— ავტომობილმა გზა გადამიჭრა და მოტოციკლეტი ქვეშ მოთხვევარდა. ამწე დასჭირდათ, რომ ავტომობილი აენიათ, იქიდან ძლივს გამოიყვანეს. მაშინაც მქონდა მოტეხილობები. საბედნიეროდ, ქირურგიული ჩარევა არ დამჭირდა.

— **ექსტრემის მიყვარულებს სწორად კი უნდათ ამ კითხვას, მაგრამ მასც ვერ კითხვ, რომ იფიქროს არ გათხოვთ, რატომ იფიქროს თავს საფრთხეში?**

— მე ასე არ ფიქრობ. ეგერე თუ ვიმსჯელებთ, მაშინ ფეხით მოსიარულე რითია დაზღვეული, რომ ნასვამი მძღოლი არ დაეჯახება? თუმცა



■ გაიოზ მხეიქე

გეთანხმებით, რომ ჩვენს შემთხვევაში რალაც პროცენტით რისკი მაღალია.

— **თუ ამ ყველაფერს აცნობიერებთ, რატომ რისკით?**

— ისევე და ისევე ადრენალინისთვის, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ნარკოტიკია. ორი კატეგორიის ადამიანები არიან. ერთნი ბაიკზე დასხდებიან და მერე მთელი ცხოვრება ოცნებობენ, რომ მოტოციკლეტი მყავდეთ ან ვინმემ გაასეირნოს. მეორე კატეგორიის ადამიანები ერთხელ დასხდებიან და მეორეჯერ აღარ უნდათ. მაგალითად, დღეს ერთი მეგობარი გავასეირნე და მეუბნებოდა, ბაიკზე ცხოვრებაში აღარ დავჯდებო.

— **თქვენ რიდას მოსიბღუთი ექსტრემი?**

— 2000 წელს, ჩემმა ახლოებლმა მოტოციკლეტზე შემომისვა და გამასეირნა. ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო. ზუსტად ერთ წელიწადში მანქანა გავციდე და მოტოციკლეტი ვიყიდე. ბაიკი, მანქანისგან განსხვავებით, მხოლოდ რკინა არ არის, შენ და ის ერთად სუნთქავთ.

— **რამდენადაც ვიცა, მოტიციკლეტის მართვას სერიოზული მიზნადება ხქირდება. ასე მდღე რიგობრ მათხრსეთ მისი დაუფლება?**

— 2000 წლამდე მასთან შეხება არასდროს მქონია. საერთოდ, ბაიკერმა პატარაპრავიანი მოტოციკლეტი უნდა იყიდოს. ჩემი პირველი

„ავტომობილი ძლიან დიდი სიჩქარით მიდიოდა. ბიჭებმა მანქანის ვაჟი ხომ გააღეს, მძღოლი ისეთი მთხალი იყო, ძიხს გადმოვახდა. ხოცა ბაიეხს მანქანა ეჯახება, დამნაშავე უმეტესად მძღოლია, ხადგან ჩვენ მანქანას გაცილებით ახე ვხედავთ, მის ცხაუქოხიას ვთვლით.“

ბაიკი კი დიდძრავიანი იყო და მას შემდეგ სულ ასეთი მყავს. ექსტრემის უკვე სიამოვნება არ არის, ცხოვრების წესი ხდება.

— **რა შეგრძნებაა, როცა იცა, რომ სიგათი სულ ჩასაფრებულა?**

— ამდენი შემთხვევის შემდეგ ყველა ადამიანი, უბრალო ნაცნობი თუ მეგობარი, მათთან გატარებული თითოეული წუთი შენთვის რალაც სხვანაირი ხდება. თითქოს ყოველი წამი გამახსოვრდება, ყველა ნიუანსს აკვირდები. სულ გინდა, სადღაც წახვიდე, რალაც ახალი ნახო, გასინჯო. ალბათ ქვეცნობიერად ხელები, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ გრჩება და გინდა, ყველაფერი მოასწრო.

— **თქვნი თვასის წყურები აღბრთ მუდამად სურფობდებ.**

— დედა და ორი შვილი მყავს, მეუღლეს გაცილებული ვარ. ჩემი ბიჭი ბაიკზე არ მიჯდება, გოგო პატარაა და არ ეშინია. რაც შეეხება დედას, უკვე მიჩვეულია, იცის, რომ ჩემთვის დამლას აზრი არ აქვს.

✓ **გა ლეონიჯა**

თათია პაჭორიამ სამზარეულოში უზარმაზარი ყველი ამოიყვანა



■ თათია პაჭორია

წელეფურნალისტიმა თათია პაჭორიამ, ჩიხირთმა და საცივი რა სალაპარაკოა, ყველის ამოყვანაც კი იცის, თუმცა მისი კულინარიული ოსტატობა მრავალი სამიში ექსპერიმენტის შედეგად მოვიდა. ოჯახური კერძი მისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა. მომავალი ქმარიც თავისი ნახევარი ჩიხირთით ისე მოხიბლა, რესტორნისკენ გზა დაავიწყდა. მუუღლეს საუზმის გარეშე არასოდეს ისტუმრებს შინიდან და ცოლქმარი ერთად სადილობა-ვახშობის რიტუალსაც სიამოვნებით იცავენ.

■ თათია, ამ რეზინის შესაბამისად რამ დავარჯიშო გავიხარო, კვლავინა ძალიან მიყვარს. რადის დაინტერესდით ამ საქმით?

— კულინარიობა ბავშვობაში „მემომესწავლა“. ბევრჯერ არ გამომდიოდა, მეწვევოდა, მაგრამ მაინც არ ვანებებდი თავს. ჩემი დეგუსტატორი უმცროსი ძმა იყო. ერთი პერიოდი კუჭმა შეანუხა და მითხრა, ეს იმის ბრალია, ბავშვობაში საშინელებებს რომ მაჭმევდით. ერთხელ საჭაპურის გამოცხობა მოვიინდომე, მაგრამ ყველი ვერ ვიპოვე. ვიფიქრე, ყველი ხომ მარილიანია-მეთქი, ამიტომ ცოში მარილი გავასვიე, გამოვაცხვე და ჩემს ძმას ვაჭაბე. მხოლოდ ინტერდინტებს და კი არ ვაფუჭებდი, ვწავდი ქვაბებს, ტაფებს. დედაჩემი გადარეული იყო. ამდენი მარცხის შემდეგ კარგ დიასახლისად ვიქცეი.

ყველის ამოყვანაც ვიცი და წელს მე და ჩემმა მუუღლემ ღვინოც კი ჩვენი ხელით დავწურეთ. ჩიხირთის და საცივის გავუთვინებ ხომ საუბარიც ბარ მაქვს! სხვათა შორის, ჩიხირთმა საცივზე არანაკლებად რთული მოსამზადებელია. ზუსტად უნდა იცოდეს, რის მერე რა ჩაყარო, ტემპერატურასაც კონტროლი უნდა. ჩემი კულინარიობა ყველას უყვარს და, ისტორია რატომ? ყოველთვის მოწონებულა ვარ. არ ვიცი, რატომ თვლიან, რომ დიასახლისი აუცილებლად აჯავაული უნდა იყოს და თმა შესალები ჰქონდეს. ბევრ ქალს სახლში ხელმეფანე ცეცხლი გასდის, მაგრამ გარეთ ძალიან ლამაზად გამოიყურება. ჩემს თვალში ასეთი ქალები ძალიან მაღლდებიან.

— რა დროს მაქვს სამზარეულის?

— ბევრი, მაგრამ არასოდეს ვწუნუნებ. გადაცემა „ჭადრაკის დავას“ რომ ვაკეთებდი, სახლში ზოგჯერ ღამის 3 საათზე ვბრუნდებოდი. ერთხელ ჩემი შვილიც წავიყვანე. იქიდან რომ წამოვდები, არც კი მინახავს, რომელი საათი იყო და მაღაზიაში გავუშვი, ნახე, ქათმის ხელი თუ აქეთ-მეთქი. იქიდან მაღაზიის დაცვასთან ერთად გამოვიდა, ხალხი ვერ მიხვდა, 10 წლის ბავშვის ღამის 3 საათზე მაღაზიაში რა უნდოდა. მაშინ მივხვდი, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო. ასე რომ, სამზარეულოსთვის ყოველთვის მზრება დრო. ქალს თუ სახლში ელოდება ადამიანი, ვინც მის ნახელავს სულმოუთქმელად ელის, დამიჯერეთ, ყველა შემთხვევაში კუთების მოტივაცია ექნება. შემოიძლია ნახევარ საათში ისეთი სუფრა გავშალო, რომ იფიქრებთ, ალბათ მთელი დღე კერძების კეთებით იყო დაკავებული.

შევიდგ.

— თქვენ არ მისჯდარდისნარი თქვენს დედაბილითან ერთად სამზარეულის?

— ის ცალკე ცხოვრობს და ასეთი შემთხვევა არ გვექონია.

— მაინტერესებს ნახევარი საათში რა საქმეებს მაძინავდით.

— უკვე გავაკეთებ ცეზარის სალათას და მჭადებს დავაცხობ. შეგწავც ხორცს კარტოფილითან ერთად... ქმარს ვუთანხმებ, რას ვაკეთებ. სახლში თუ საუზმის, სადილის და ვახშმის რიტუალი არ არსებობს, ალბათ ძალიან რთულია ურთიერთობის გამყარება.

— თქვენ ყოველთვის ახერხებთ, რომ სუფრას ერთად მოესწო?

— კი. არ მიყვარს ქალი, რომელიც დილით ქმარს უჭმელად, ყავის დაღვევის გარეშე უშვებს სამსახურში და თვითონ ძილს აგროძლებს.

ერთ ისტორიას მოგიყვებო. გიორგი ახალი გაცნობილი მყავდა, როცა მითხრა, ძალიან მიყვარს ჩიხირთმა და ამა და ამ ადგილს ნავიდეო, გემრიელად აზნადებენ. ჯერ არ იცოდა, მეროგარე ჩიხირთმას ვაკეთებდი. იმ რესტორანში ჩიხირთმას შევხვდი თუ არა, არ მომეწონა. გიორგის ვუთხარი, ამ დღეებში ჩემთან ამოდი, ჩემს გავუთვინებ გაგაფრე-მეთქი. ასეც მოიქცა. მას შემდეგ გიუფება ჩემს ჩიხირთმაზე.

— ჩემს მკითხველსაც სია არ გავუზარებდით თქვენს ოსტატობას?

— სოფლის ქათამი (გაყინული არ უნდა იყოს!) მოსახარბად დავდგამთ. რომ წამოდულდება, წყალს გამოვუცვლით. მეორეჯერ რომ წამოდულდება, ქაფის მოხდას შევუდგებით. ბულიონის ხარისხს და მის სისუფთავეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ქათმის გასუფთავებისას შიგნით არავითარ შემთხვევაში ჩაგ-

„ჯახტოფილი და ბინჯი ერთად ჯატასტოფა! ჩიხინგულ ახიხებს, ვინც ასეთი ხალაყებს აშუქებს, კუჩჩე, ხომ ასეთი ჯატასტოფა კეხი მამუხებელს ახ აჩვენონ!“

რჩეთ ფილტვები, თორემ ბულიონს გააშავეს. 2 თეთრ ხახვს დავაბლენდერებთ ან წვრილად დავჭრით და ქათმის ცხიმში მოვშუშავთ. ხახვი უნდა შევარდისფრდეს, არ უნდა დაგვეწვას, თორემ ბულიონში ამოტივტივდება და ცუდია. ბულიონს ჯერ საცერში გავატარებთ, შემდეგ ისევ გახუჭურავთ დავდგამთ და მერე შევურევთ მომუშულ ხახვს. ცალკე ავთქვევთ ორ ცალკვრცხს და ვუზამთ თეთრ ძმარს. ცოტა ბულიონის წვეწმი ორი სუფრის კოვზ პურის ფქვილს გაუხსნით, ქვაბში ჩავასხამთ, მერე კი კვრცხსა ჩავუშავებ. ეს ყველაფერი ადულე-ბამდე უნდა მოვასწროთ. თუ ადულეზულ ბულიონში ჩავასხამთ კვრცხს, აუცილებლად აიჭრება. კვრცხი ერთხელ რომ ამოტრიალდება, განზ-

მამინვე უნდა გავითმოთ. ბოლოს დაჭრილ ქინძს ჩავყარით. დამარილებული ქათამი ცალკე უნდა დავჭრათ. გაითვალისწინეთ, რომ ქათმის ხორცი სუფრაზე ცალკე უნდა მიიტანოთ.

— ასეთი დეტალები პრაქტიკამ გასწავლით თუ სადმე ამოიყვანეთ?

— კახეთში ერთი ქალი ვილაცხს ეუბნებოდა, ქათამს ფილტვი აუცილებლად უნდა გამოაცხალო, თორემ ბულიონი გაგმზავდება. მას შემდეგ ფილტვებს სულ ვაცლავ. ერთი ნათესავისგან

„ახ მიყვარს ქალი, ხომელიც ქახის დილით უჭმედა, ყავის დაღვევის გახეშე უშვებს სამსახურში და თვითონ ძილს აგძილებს“

საცივის კეთება ვისწავლე, მეორისგან — სხვა საჭირო დეტალები და ასე დავდექი კარგი დიასახლისი.

— როგორ ჩანს არც სასმელითან სარი ცუდ დამსჯელობას?

— ერთადერთი, რასაც არ ვსვამ, არაყია. ვსვამ ნითელ და თეთრ ღვინოს, კონიაკს, ვისკის. ვახშობისას ერთ ჭიქა ჩვეს დაწურულ ღვინოს აუცილებლად გვახლებთ.

— ყველის ამოყვანა სად ისწავლეთ?

— სამეგრელოში. ჯერ ბუბიას ვუყურებდი, როგორ აკეთებდა და შემდეგ ერთ ნათესავს, რომელსაც კამეჩების ჯოგი მყავდა. 13 წლისამ უზარმაზარი ყველი ამოვიყვანე.

— კარგი კულინარიის თვისება ყველას უყვარს მისგან. წინა სტრატეგიაზე გავიქვ?

— მეგობრებს ჩემი მომზადებული კერძებით ვუმასპინძლებდი, მაგრამ არა — ყოველდღიურად. არ მიყვარს ადამიანებთან ინტენსიური ურთიერთობები. მინდა, რომ მომენტალურად და მერე მოვიდნენ. მეგობრებს თვეში ერთხელ მაინც ვმასპინძლებ.

— თქვენი გემრიელი საჭმელის სადღეობი რაში მდგომარეობს?

— ინდაური კარგად უნდა გავასუფთავოთ, შავ წერტილებს მჭადის ფქვილით მოვამოვრებთ. მის ბულიონსაც საცერში გავატარებთ. ინდაურს კი ღუმელში შევდებთ და გადავბრუნავთ. ცოტა რომ გაცივდება, ხორცს ძვლებს გამოვაცლით. დამიხს-სოვრეთ, რომ ცხელი არ უნდა იყოს, თორემ ხორცი დაიშლება. გატარებულ ან დაქუცმაცებულ ნივთში შევურევთ უცხო სუნებს, სხელ ქინძს, ყვითილი ყვავილს, ნითელ წინაპას და ჩიორს. დარიჩინს არ ვუშვებთ. ნიორი კერძის იმდენი უნდა უქნათ, რომ გემო თან იგრძნოთ და თან — ვერა. საცივიც მთავარი ისაა, რომ ნივთებიან ზეთი გამოიყვანო და საცივს მოასხას. სუნელებიან თასში ცოტა ადულეზულ წყალს ვასხამ და ხელით ვხელებ. გრძნობ ხოლმე, ზეთი როგორ გამოდის. ამ ყველაფერს ვუმატებ ბულიონს, მარილს. მასა არც ძალიან თხელი უნდა იყოს, არც სქელი, რადგან ხორცს რომ ჩავანყობთ, ის იწოვს. ხორცის ჩალაგებამდე კი საცივს საცერზე ვცრთავ, რომ ნივთის ჩენში არ შემიყვას. თეთრი, ქათქათა და ფაფუკი გამოდის.

— გემრიელი კერძები თქვენს წინაშე როგორ ასახება?

— ცუდად. სულ ვცდილობ, რომ საქმელს ზედმეტი ცხიმი მოვამოვრო. ერთხელ გადაცემამი ვუყურე, რომ ათუხთუხებულ ზეთში მოხარშული კარტოფილი მოზილეს, შიგნით ჩაყარეს სოკო, ხორცი, ჩაასხეს მაიონეზი. ამ ყველაფრით ბურ-თები გავკეთეს და ბრინჯის საფანქელი ამოავლე. კარტოფილი და ბრინჯი ერთად კატასტროფა! არსებს, ვინც ასეთ რაღაცებს აშუქებს, ვურჩევ, რომ ასეთი კატასტროფა კერძი მამუხებელს არ აჩვენონ!

✓ ქეთი დინიშვილი

არაჩვეულებრივი გამოფანა ელდარ შენგელაიას მე-80 დაბადების დღეზე

„მინდა, კიდევ რამდენიმე ფილმი გადავიღო, თუ მოვასწარი...“

26 იანვარს დიდი ქართველი რეჟისორი, ელდარ შენგელაია, 80 წლის გახდა და ეს საიუბილეო თარიღი საზოგადოებამ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში აღნიშნა. მუზეუმის დირექტორმა, გიორგი კალანდიაშვილმა რეჟისორის იუბილესთან დაკავშირებით გამოფენა მოაწყო, სადაც მისი ფილმებიდან და ცხოვრებიდან საინტერესო ფოტოკადრები გამოფინა. გამოფენას, რა თქმა უნდა, „არაჩვეულებრივი გამოფენა“ უწოდეს. მუზეუმის „უკვდავთა თაღში“ ელდარ შენგელაიას თითების ანაბეჭდის დაფა გაიხსნა.

რეჟისორის დაბადების დღეზე ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოცხადდა და იუბილარი ბრწყინვალეობის ორდენით დააჯილდოვა.

— საქართველოს სახელმწიფო იერარქიაში გენიოსობის ორდენი არ არსებობს, ამიტომ ბატონ ელდარ შენგელაიას პიროვნებას ყველაზე მეტად რაც შეესაბამება, ბრწყინვალეობის ორდენია, რომელიც მას საქართველოს სახელით მინდა გადავცე...



■ გარსნიდან: ელდარ შენგელაია, მიხეილ სააკაშვილი და მანანა გარიკაშვილი

თუკი რამე გამოსახავს ქართულ სულსა და იდენტობას, ეს ელდარ შენგელაიას ფილმებია. ჩვენ ვეღარც ვამჩნევთ, თუ როგორ დავიწყეთ მისი ფილმის გმირებით ლაპარაკი. ისინი ჩვენი ცხოვრების ნაწილი გახ-



■ გიორგი შენგელაია



■ იუბილარი

დნენ და მათი ციტატებით ვსაუბრობთ... მინდა გითხრათ, რომ ჩვენ, ყველანი, აუცილებლად გავფრინდებით, ჩვენი ქვეყანაც გაფრინდება ყველა მათ ჯინაზე, ვისაც უნდა, რომ დაგვამინოს და ცხრაკლიტულში დაგვამწყვდიოს, არაფერი გამოუვით! ჩვენი ყველაზე მთავარი ნატვრა ახდება და საქართველო ისეთი იქნება, როგორც ერთაოზს წარმოედგინა და ჩვენ ყველას გვინდა, — თავისი სიტყვა მიხეილ სააკაშვილმა ჩვეული პათოსით წარმოთქვა.

კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა იუბილარს სამინისტროსგან საჩუქარი გადასცა და მასთან ურთიერთობიდან რამდენიმე ძვირფასი ეპიზოდი გაიხსენა.

რეჟისორს სიყვარულით ულოცავდნენ მრგვალ თარიღს კოლეგები და მეგობრები, რომლებიც მუზეუმის ეზოში მრავლად იყვნენ.

— მისი ფილმები ყოველთვის უსწრებდა დროს. ფილმში „შერეკილები“ მან ციხიდან გამოაფრინა გმირები, „ცისფერ მთებში“ კი რეჟისორმა საბჭოთა კავშირის დანგრევა იწინასწარმეტყველა. იუმორით, სიბრძნითა და სიღრმით საცხე კაცია. მისი ფილმები ფილოსოფიურია, მაგრამ მისი გაგება ყველას →40



ზინერიტი®

ერთობლივი ციხი-40მგ, თუთიის აცეტატის დიჰიდრატი-12მგ

გაუსწორეთ თვალი ცხოვრებას!
ჩვენ გაქვთ საშუალებას გაუმკლავდეთ ფარიმჭამელას

ფარიმჭამელას სამკურნალო, სწრაფი კლინიკური ეფექტის მქონე კომბინირებული პრეპარატი

შესამჩნევი ეფექტი მეკურნალობის დაწყებიდან 2 კვირაში



ზინერიტი დაიტანება კანის ზედაპირზე, დილა-საღამოს. პრეპარატი არ უნდა მოხვედეს თვალში, პირის ღრუსა და ცხვირის ღორწოვან გარსებზე. ზოგჯერ შესაძლებელია აღინიშნოს კანის ჰიპერემია და წვის შეგრძობა

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



დისტრიბუტორი: „აურსი ფარმა“, აღმაშენებლის 148/2



■ **მარსენიძან:**
ელდარ შენგელაია,
მისილ სააკაშვილი
და ნინო ანანიავილი

შეუძლია, — აღნიშნა „სარკვესთან“ კინორეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა.
— ერს რომ ელდარ შენგელაია ჰყავს, უდიდესი ბედნიერებაა. ის რესურსი, რაც მას გააჩნია, ამოუწურავია და, დარწმუნებული ვარ, ქართველ ხალხს კიდევ ბევრ სიხარულს მიანიჭებს, — გვითხრა მომღერალმა თამარიკო ჭოხონელიძემ.

ან მიყვარს! მთავარია ღმერთმა ჯანი მისცეს, რომ კიდევ ბევრი ფილმი გადაიღოს.
როგორც თავად რეჟისორი გამოგვიტყდა, არც აპირებდა და არც ელოდა საკუთარი დაბადების დღის ასეთ აღნიშვნას, ის კი, რაც ნამდვილად დაგეგმა და სურს, ფილმების გადაღებაა.



■ **მარსენიძან:**
თამარიკო ჭოხონელიძე,
ელდარ შენგელაია და
ნინო სუნიავილი



■ **იმედო კახიანი**



■ **მარაბ**
კოკოჩაშვილი




■ **ზურაბ**
შიფუჩია

— ელდარ შენგელაია ჩემი დიდი მეგობარია. ნაღდად დიდი რეჟისორია! მსოფლიო კინოში თავისი ხელწერითაა გამორჩეული, არავის ჰგავს. ბევრს ჰგონია, რომ ის უფრო კომედიური ჟანრის რეჟისორია, მაგრამ ყველა მისი ფილმი სიღრმისეულია, რაღაც სევდასაც მოიცავს. როგორც ვიცი, კიდევ ორი ფილმის გადაღებას აპირებს, უნდა გადავილო, მითხრა და ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს. ისეთი კაცია, თუ მოინდომებს, გააკეთებს, — იმედიანად გვითხრა მსახიობმა იმედო კახიანმა.

ბუბა კიპაბიძე:

— ელდარ შენგელაიაზე უკვე ყველაფერი ნათქვამი. გენიოსი კაცია! ძალი-



■ **ბუბა**
კიპაბიძე



■ **მუკრანა**
გაბუნია



■ **ოთარ**
ველიწეთუხუცესი

— ამ გამოფენის მოწყობას არ ვაპირებდი. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის თანამშრომლებმა ძალიან დიდი შრომა ჩადეს, რომ ეს ყველაფერი გამოემზეურებინათ. ჩვენს პრეზიდენტსაც მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო. მოვიდა, იუბილე მომილოცა და ბრწყინვალეების ორდენი გამომცა. არ ვფიქრობ, რომ ამის ღირსი ვარ, მაგრამ ასე გადამწყვიტეს. ყურადღება არც ჩვენი პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან მაკლია და მასაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. ღმერთი ამქვეყნად ცხოვრების უფლებას სადამდეც მომცემს, მინდა, ჩემს ქვეყანას ვემსახურო და კიდევ რამდენიმე ფილმი გადავიღო, თუ მოვასწარი.
ამ სურვილს „სარკვე“ უერთდება და ბატონ ელდარს დღეგრძელობას, სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს, მიზნების მიღწევას უსურვებს.
✓ სოფო ბოჭორიძე

პიმაფუცინი® თათრად ზღის სამკურნალოდ
ნატაფიციანი



უსაფრთხოა ორსულობის დროს

**ვაგინალური კანდიდოზის
ეფექტური მკურნალობა**



გაიცავე
ურაცხავოდ

**ნებადართულია ორსულობის
ყველა ტრიმესტრში
და ლაქტაციის დროს**

1 სათელი ვაგინალურად ძილის წინ 3-ნ დღე-
ეკიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება
სანგრძლივი დროით. სოფჯერ შეიძლება
აღინიშნოს წვის შეგრძნება.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას
გვერდითი შოვლელების შესახებ დეტალური
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ეკიმს


ნანა მელქაძის მოდის სახლი 10 წლისაა



■ ნანა მელქაძე

დიზაინერი ნანა მელქაძე უკვე 10 წელია, რაც მოდის სფეროშია. ამ წლის განმავლობაში მ ჩვენება გამართა და მშვენიერ სექსს თავისი ბრენდით შეაყვარა. მის კოლექტებს შორის ბევრი წარმატებული ქალია.

წელს დიზაინერი მრგვალ თარიღს განსაკუთრებულად შეხვდა. 26 იანვარს თბილისში „ნანა მელქაძის მოდის სახლი“ გაიხსნა. საღამოზე მოდელებმა და ცნობილმა სახეებმა ნანა მელქაძის ახალი კოლექცია წარმოადგინეს — თხელ პერანგებთან შესამებული ბუნების ფილტვები, მოკლესახელოიანი ქურქები, საღამოს და საპატარძლო კაბები... ფოტოკამერების წინ ბრენდის სახე, მოდელი კრისტი პოზიორობდა. კოლექციაში ძირითადად გამოყენებული იყო შავი, კრემისფერი და ყავისფერი.



■ კრისტი



■ თაფუნა მუსკაჩია

2013 წელი „ნანა მელქაძის მოდის სახლისთვის“ საეტაპო იქნება, დიზაინერი მოდის სფეროში კიდევ უფრო გააქტიურებას გეგმავს.

ფატუნა გუშიკაძი მესამე შვილის დედა გახდა

კასული წლის მინურულს, 28 დეკემბერს, დიზაინერ ფატუნა ბუშიკაძეს მესამე შვილი, გოგონა შეეძინა, რომელსაც მშობლებმა ანდრეანა უწოდეს. ფატუნა სამშობიაროში საკუთარი მანქანით წავიდა, საჭესთანაც თავად იჯდა. მშობიარობას მისი ქმარი, ჯანი ბუშიკაძე დაესწრო. ბედნიერი დედა თავს ძალიან კარგად გრძნობს, შვილის გაზრდას არავის ანდობს, არც ძიძის ყოლის აუცილებლობას ხედავს და თავისი სამი შვილით, ორი ქალიშვილით და ერთი ვაჟით, ძალიან ამყოფს.



ფატუნას ძალიან კარგი ორსულობა ჰქონდა, 7 თვის ფეხმძიმემ ამერიკაში 18 საათი იფრინა, იქ ჩვენება გამართა და არც ლონდონიდან შეთავაზებებზე თქვა უარი. აპრილში კი თავის პატარასთან ერთად აპირებს კანში სპეციალურად ჰოლივუდის მსახიობებისთვის გამართულ ჩვენებაზე გამგზავრებას, სადაც დიზაინერი თავისი საღამოს კაბების კოლექციას წარადგენს. ფატუნა აპირებს, პოდიუმზე თავის ქალიშვილებთან ერთად გამოვიდეს.

✓ ლანა კეჩაძე

სოცრტული წიგნების პირველი ფესტივალი საქართველოში

15 იანვარს პირველად საქართველოში ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“, კოტე მა-



■ დიმიტრი ტუკაშვილი

ხარაძის მედიადარბაზში, სოცრტული წიგნის ფესტივალი გაიმართა. გამოფენილი იყო დემიკო ლოლაძის, რომან რურუას, მამუკა კვარაცხელიას, დათო ტურაშვილის, კახი კახიშვილის, გარუნ აკოფოვის და სხვათა სოცრტულ თემატიკაზე შექმნილი წიგნები.

გამუბა გვარცხელია

— შწერალი, ფესტივალის ორგანიზატორი:

— ეს ფესტივალი საქართველოში პირველად ჩატარდა. გუშინდელ ღამემდე დავრბოდი წიგნებზე, ძალიან ბევრი ავტორი გამოგვრჩა და თქვენი ყურნალის საშუალებით მათ ბოდიშს ვუხადი. ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ ამ ფესტივალის გამართვას.

პატარა რომ ვიყავი, ისე მიყვარდა ფეხბურთი და „დინამო“, სტადიონის რიკულებს ვეფერებოდი. გარუნ აკოფოვის წიგნებზე გავიზარდე. ახლა თავად გამოვეცი სოცრტული წიგნი „ქართულ-ინგლისურ-რუსული ლექსიკონი“.

გამოფენა-გაყიდვას სპორტის სფეროდან ბევრი ცნობილი ადამიანი დაესწრო.

✓ ლანა კეჩაძე

ზაზა მარგველანის განახლებული სტომატოლოგიური კლინიკა

ტელ: 599-11-00-03

წინასწარი ჩანაჩიტი

ქბილუბი ერთი დღეში

www.margvelani.ge

რესტავრაციის შემდეგ



ერთ დღეში



რესტავრაციის შემდეგ

რესტავრაციის შემდეგ



ერთ დღეში



რესტავრაციის შემდეგ

რესტავრაციის შემდეგ



ორ სანსუნი



რესტავრაციის შემდეგ

ბერძენ ხანა

ლეილა ქობრაშვილი: „თურქი ძლიერი ვყოფილვარ, რადგან ამხელა ტრაგედიას გაკვივდი“

ლაშა და მამუკა
კიკალეიშვილების დედა —
არაპოპულარული გმირი ქალი



ძველი ბერძენი ტრაგიკოსი პოეტი ამბობს, სანამ ადამიანი თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეს არ იხილავს, ნურავინ იტყვის, ბედნიერი ვარო. არ ვიცი, რამ განაპირობა ჩემი ცხოვრების ტრაგიზმი, ან იყო თუ არა ამაში რაიმე მისტიკური. ჩემი მეუღლე, ანდრო კიკალეიშვილი, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა, შვილები კი — ლაშა 42 წლისა მიეზარა უფალს, მამუკა — 39 წლის. ხშირად დამისვამს კითხვა საკუთარი თავისთვის — რატომ მერგო ამხელა ჯვარი? ეს ხომ ერთი ადამიანისთვის ძალიან მძიმეა. თურმე ძლიერი ვყოფილვარ, რადგან გავუძელი...

ცხოვრებაში არ მქონია შურის გრძობა, ყველას სიკეთე მიხაროდა, სხვის სისარულს ვიზიარებდი. ურთიერთობებს განსაკუთრებით ვუფრთხილდებოდი. რაც უნდა მწყენოდა, გულში ვმაღავდი, არავისთან მქონია შეჯახება, მცირე უსიამოვნებაც კი. ამხანაგებში სიარულისა და გართობისთვის ახალგაზრდობაშიც არ მეცალა. 19 წლისამ დავამთავრე ინსტიტუტი და შემდგომ გამუდმებით ვმუშაობდი — თავდაუზოგავად... ბოლოს ვთამაშობდი რუსთაველის თეატრის სპექტაკლებში „კავკასიური ცარცის წრე“ და „შორაპნელი ქალბატონი“. ბოლო რამდენიმე წელია სახლში ვზივარ. თეატრიდან კი მთელი მსოფლიო მოვიარე. „დედა, შენ არ ყოფილხარ იქ?“ — გაცვებით მეკითხებოდნენ ცხოვრების მასალებში რომ ვერ მხედავდნენ. რა მექნა, აპარატთან ხომ ვერ დავდგებოდი?! კადრში თუ მოვხვდებოდი, კი, ბატონო!... მთელი ცხოვრება მოკრძალებული ვიყავი, შეიძლება არაფერი მოვიგე ამით, მაგრამ სხვაგვარად არ შემეძლო.

და დღეს... ყავისფერ ფერებში დანახული სამყარო — სულ სადღაც მივიჩქარი და მაგვიანდებოდა... არ ვიცი, რა სპექტაკლი მაქვს, მაინც ვეშურები... ვთამაშობ, მაგრამ ტექსტი არ ვიცი... სულ ვკარგავ რაღაცას, შვილებს კი ვერ ვხედავ... მსგავსი სიზმრები არ მასვენებს, შემფოთებული ვიღვიძებ. ჩემი დადებითი ენერჯის წყარო შვილთაშვილებია... და წიგნები, წიგნები... ერთის კითხვას რომ ვამთავრებ, მეორეს ვიწყებ, შუალედი არ უნდა მქონდეს. არ მინდა, საზოგადოებას ჩემი განწყობა მოვავიჯო, ამ ინტერვიუსაც თავს ვარიდებდი, ხათრით დაგთანხმდით — ალბათ ღვთის ნება იყო.

ახლა კი, თქვენი ნებართვით, გავხსნი წარსულის ფარდას და თვალს გადავაკლებ ჩემს განვლილ გზას.

— 1926 წელს დაბადებულმა თითქმის მთელი საუკუნე განვლე. მამაჩემი, ამბერც ქობრაშვილი, ისტორიკოსი იყო. ხოლო დედას, თავადის ქალს, სალომე ფავლენიშვილს, კეთილშობილ ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, სადაც საგნებს მხოლოდ რუსულად ასწავლიდნენ. მისი მოხატობიდან მასსოვს, იმ გიმნაზიაში ქართული სიტყვის თქმა არ შეიძლებოდა და თუ ვინმეს მაინც წასცდებოდა, დასჯის მიზნით მუხლებზე აყენებდნენ. შესაბამისად, დედამ რუსული ძალიან კარგად იცოდა და მოგვიანებით, იმუამინდელ „ქალაქის კავშირში“ (ახლა რომ მერიას ეხმარებ) კანცელარიის გამგედ მუშაობდა.

მამაჩემის წინაპრები იმერეთში, ვანის რაიონში სახლობდნენ. 1981 წელს სახალხო არტისტის წოდება რომ მივიღე, ვანის აღმასკომის თავმჯდომარემ შემომითვალა, თუ ჩამობრძანდებით, შემოქმედებით საღამოს გაგიმართავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დატვირთული გრაფიკის გამო ჩასვლა ვერ მოვახერხე...

ძიგრაშვილებად კი ვწერებით, მაგრამ სინამდვილეში ჩვენი გვარი იაშვილია — ეს ჩემმა ჩხირკედელმა ბიძაშვილმა, პროფესიით გეოლოგმა, არკადი ძიგრაშვილმა მოიკვლია (სხვათა შორის, ის გურამ თიკანაძის დედის ძმა იყო). მამაჩემს და მის ძმას მშობლები ადრე დაეღუპათ და ვანში კეთილმა მეზობლებმა, ძიგრაშვილებმა გაზარდეს, ამიტომ მათი გვარი მიუღიათ. ბაბუაჩემი და მამაჩემის ძმა საკვლესიო

პირები ყოფილან. მამაჩემიც თავის დროზე ვანის ეკლესიაში გალობდა, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და თბილისში დამკვიდრდა.

როგორც დედისერთა, მარტო გავიზარდე. ამას ძალიან განვიცდი. არავის ვურჩევ, შვილი კენტად დატოვოს. ცხოვრებაში ყვე-

ლა სიმძიმის გადატანა მარტოს მომიწია. დედამიშვილი რომ მყოლოდა, უფრო წელ-გამართული ვიქნებოდი. ვორონცოვზე, საბჭოს ქუჩის დასაწყისში ცხოვრობდით. რაკი ნურა-კითხვა ვიცოდი, მამამ სკოლაში ძალიან ადრე, 5 წლისა შემეიყვანა. ახლა ეს აღარავის გაუკვირდება, მაშინ კი ამ ასაკის მოწაფე მარტო მე გახლდით, მაგრამ მშობლების იმედი გავამართლე, კარგად ვსწავლობდი.

ბავშვობიდან ვოცნებობდი მსახიობობაზე, სკოლის პერიოდში კი სცენაზე დგომის საშუალებაც მომეცა. ჩვენს სკოლაში (31-ე საშუალო სკოლა ვორონ-



■ მამუკა ლეღასთან ერთად

„მამუკა სმაურიანი განვლდათ — შინ რომ მოდიოდა, მთელმა კორპუსმა იცოდა. თუმორთან იყო წილნაყარი. ყველაფერი მასთან დაკავშირებული სიცილს იწვევდა“.

→ 44

ცოვზე) სპექტაკლი დადგეს — გუნიას „და-ძმა“. როლები გაგვინა-ნილეს მზია მახვილაძეს, ჯუმბერ აბულაძეს (თენგიზ აბულაძის ძმა, შემდგომში რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი) და მე. რეჟისორობას თენგიზ აბულაძე გვიწვედა (სკოლაში ერთად ვსწავლობდით). მუსიკა გოგი ცაბაძემ დაგვიწერა, რომელიც ჩვენი სკოლელი იყო და უკვე დამწყები კომპოზიტორი გახლდათ. ამ სპექტაკლმა სასკოლო ფესტივალზე გაიმარჯვა და პიონერთა სასახლის სცენაზე გავიტანეთ. ჩემი პირველი გრიმი, პუბლიკის მადლიერი თვალები, შეგრძნება იმისა, რომ რალაც ვითამაშეთ — მაშინდელი განცდა დღემდე მომყვება.

სკოლა წარჩინებით დავამთავრე 15 წლის ასაკში (ოქროს მედლები მომდევნო წელს შემოიღეს). პასპორტი ჯერ კიდევ არ მქონდა ალბუმი, ისე ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობოზე.

— ასე პატარა რატომ მოხვედი? — მკითხა მისაღებ გამოცდაზე აკაკი ხორავამ.

- სკოლა დავამთავრე.
- დედაშენს უნდა, რომ მსახიობი გახდო?
- არა, დედას უნდა, ექიმი გამოვიდი.
- მერედა რა გრჯის? სამედიცინოზე ხომ უგამოცდოდ მიგიღებენ.

როგორც ფრიადოსანს, თეატრალურის გარდა, ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებელში გზა ხსნილი მქონდა — უგამოცდოდ ჩავირიცხებოდი. გარდა ამისა, შესახედობით არ ვზრწყინავდი და ალბათ ბატონმა აკაკიმ იფიქრა, თეატრში მუშაობა გამიჭირდებოდა.

— არა, მე აქ მინდა! — მივუგე დაბეჯითებით.

— კეთილი, წაგვიკითხე რამე, — მითხრა ბატონმა აკაკიმ.

დავინწყე სანდრო შანშიაშვილის ლექსი — „დედისერთა ლენინთან“. მძიმე შინაარსის, გულსამაჩუყებელი ლექსია. კრიტიკულ მომენტთან რომ მივიღე, დრი-ალი ამიტყდა და თავში ხელი წავიშინე.

— გაჩერდი, საეპარისია, — შენუხდა ბატონი აკაკი.

ერთი სიტყვით, სამსახიობოზე ჩავი-რიცხე. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი დოღო ალექსიძე გახლდათ, საოცრად ნიჭიერი რეჟისორი (თანაბარი სიძლიერით დამადა კომედიას და ტრაგედიასაც), უკეთ-თილშობილესი პიროვნება და არაჩვეულებრივი ალ-მზრდობა-შედაგოგი. სიყვარულის განსაცვიფრებელი უნ-არი ჰქონდა და დღემდე მიკვირს, როგორ ახერხებდა, ყველა განურჩევლად ყვყვარებოდი!

ჩვენს ჯგუფში სწავლობდა ეროსი მანჯგალაძე, რომელიც ჩვენზე უფროსი იყო (ორი წელი გაუცდა). ომიანობის დროს, ქვეყნის ძნელბედობის უამს, თავისი საუცხოო და შთამბეჭდავი ხმის წყალობით, რადიოში მუშაობდა. დღისით თუ ღამით მნიშვნელოვან ცნობებს გადმოსცემდა (როგორც ლევიტანი). ხშირად ღამისთევა უწევდა და ლექციებზე ეძინებოდა. ლექტორები უთანაგ-რძობდნენ, გვთხოვდნენ, ჩუმად იყავით, ძილს ნუ დაუფრთხობთ.

იმავე კურსზე, სარეჟისოროზე სწავლობდნენ თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე, თეორიულ საგნებს ერთად გავდიოდით. ჩემს ჯგუფში იყო რეზო ჩხეიძის მეუღლე, თინა ლაბაშვიძე. მასთან ვემგობრობდი, ერთად ვემცადინებდით ხოლმე (მარჯანიშვილის თეატრში იყო მსახიობად, შემდეგ მუშაობას საერთოდ დაანება თავი). ლილი იოსელიანმა მოზარდ მაყურებელთა თეატრში დადგა სადილომო სპექტაკლი „ბლაპარი სიმართლეზე“, რომელიც ზოია კოსმოდეიანსკიას ცხოვრებას ასახავდა. მაშინ ეს საკმაოდ წელგამართული თეატრი გახლდათ, რომელსაც არაჩვეულებრივი რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ზაფხულ-ში სპექტაკლი საგასტროლოდ წაიღეს ქუთაისში. ერთი სახასიათო როლის შემსრულებელი მოულოდნელად ცუდად გახდა და სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა.

— შენ უნდა წაგიყვანო ქუთაისში და ეს როლი ითამაშო! — შემომთავაზა ლილი იოსელიანმა.

ძალიან გამიხარდა. ერთი რეპეტიციაც კმაროდა, რომ სპექტაკ-ლში „შევერდნილიყავი“. ეს როლი ვითამაშე და ამგვარად მოზარდ მაყურებელთა თეატრში შევერჩი. მორიგ სპექტაკლში ლილი იოსე-ლიანმა ბიჭის როლი შემომთავაზა და გოგუცა კუმარაშვილთან ერთად ვითამაშე. სპექტაკლ „ალმასის საბადოებში“ ვითამაშე ობოლი შვავკანიანი გოგო — ძალიან საცოდავი და გაჭირვებული. ემოციური სპექტაკლი იყო, ჩემთან ერთად მაყურებელი ბავშვებიც ტიროდნენ. თეატრის წინ იყო სასწრაფო დახმარების განყოფილება.

მეტიჩარა გოგონები სპექტაკლის წინ იქ შეივლიდნენ ხოლმე და წვეთებს ითხოვდნენ — სატირალი დადგმა უნდა ვნახოთ და რამე დამამშვიდებელი მოგვეცითო. ერთხელაც იმ ორგანიზაციის წარ-მომადგენლები თეატრის დირექციასთან მოვიდნენ კითხვით — რა ხდება, რა სპექტაკლს უჩვენებთ ისეთს, რომ ბავშვები წვეთებს სვამენო.

თავად მსახიობზე ძალიან მოქმედებს ტრაგიკული როლის თამაში. სერგო ზაქარიაძე „ანტიგონეში“ მეფე კრეონტის როლს ასრულებდა. ბოლო სცენაში მეფეს ატყობინებენ, რომ მისი ვაჟიშვილი, ჰემონი, ანტიგონესთან ერთად ცოცხლად ჩაიმარხა აკლდამაში — მახსოვს, თავზარდამცემი განცდისგან სულ თეთრდე-ბოდა ბატონი სერგო (საერთოდ, უგრავად გამოდიოდა სცენაზე). მისი ცოლი და შვილი ამ დადგმას ვერ უყურებდნენ, არადა იქვე ტრიალებდნენ. იმ ღამით, სპექტაკლის შემდეგ, სერგო ზაქარიაძეს არ ეძინა, ვერ წყნარდებოდა. ერთხელ მოსკოველი კრიტიკოსი, თუ არ ვცდები — გვარად მარკოვი, ჩამოვიდა და სცენაზე ამხელა ემოციის რომ იხილა, სერგოს მიმართა: „სერგო ალექსანდროვიჩ, რას უშვრებით თქვენს ნერვებს? ამ ემოციას რუსი მსახიობი მთელი წელი იკმარებდა“.

ვერ გავკადნიერდები, საკუთარი თავი სერგო ზაქარიაძეს



„პრინესა ტარალოში“. ლილა კიბრაშვილი და თეარ სიხარულიძე

„ნ ებობულიანია გერთიანას“ (არაბობულიანულ გმირ ქალს) მეპხნდენ, რადგან ამ კუთხით, კინოს ხალხისა და მსახიობების გარდა, არავინ მიცნობდა“.

შევადარო, მაგრამ ჩემი გმირების ბედს მეც საოცრად განვიცდიდი. მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლ „ნე-როვებში“ ვითამაშე იაპონელი დედის როლი, რომელიც ხიროსიმას ძეგლთან თავმყერილ ბავშვებს თავისი შვილის ამბავს უყვებდა — ერთ საბედისწერო დღეს თუ როგორ ჩამოვარდა ატომური ბომბი და ბედნიერ იოჯას მომავლდინებ-ლი დაავადება შეჰყარა. ერთხელ მის ავადმყოფ შვილს ძილბურანში ვილაც მოეჩვენა, რომელმაც უთხრა, თუ ქალა-დისგან ათას წეროს გამოჭრა, აუცილებ-ლად გამოჯანმრთელდებიო. ბავშვიც ჭრის და ჭრის ამ წეროებს, მაგრამ მაინც კვდება... ბოლო მოწოდება, რომელსაც პარტურში ჩასული ვკითხოვლობდი, ძალი-ან მძიმე იყო. ეს სპექტაკლი მოსკოვის ცენტრალურ საბავშვო თეატრში გავიტა-ნეთ ფესტივალზე, სადაც 32 თეატრი

მონაწილეობდა. დიდი წარმატება გვექონდა. დედის როლის შესრულებისთვის პრემიაც მივიღე.

მოგესხენებათ, ბავშვებს მსახიობების მიმართ რო-გორი სიყვარული აქვთ — უკან დაგდევნენ, კარვებსა და კედლებზე გინერენ — „გვიყვარხარ“ და ა.შ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლში „გიქო-რი“ ვითამაშე. ჩემი გმირი, ვაჭრის ცოლი, გაპრანჭუ-ლი, თავმომონე, ამპარტავანი და გულქვა ქალბატონი იყო. ბოლო სცენაში პატარა მოჯამაგირე ბიჭი გიქორი უკვე ავადა და ერთი მოხუცი პერსონაჟი ქალი ამბობს:

- სანყალი! იწვის, იწვის ბავშვი...
- მე კი ვასუსობო:
- დაინვას, მაგის ჯანი, კარგი რამეც ეგ იყო!
- ამ დროს ერთხმად წამოხტა მთელი დარბაზი და

დამიყვირა:

— შენ დაინვივი!..

ასე გამწირეს ერთ წუთში. მაშინ, როდესაც ვარსკვლავებიჭუნას დედის და სხვა როლებს შესრულებისთვის ბავშვები ლამის მეთაყვანებოდნენ, უარყოფითი გმირის გამო ერთხმად გამწირეს და მომანყევლეს. მაშინ ვთქვი, ასეთ როლს ალარ ვითამაშებ-მეთქი.

სერგო ჭელიძემ იაპონელი პრინცესა ტურანდუტის როლი მომცა (შილერის ნაწარმოების მიხედვით). საგონებელში ჩავვარდი, ამ როლისთვის მედია ჯაფარიძისეული სილამაზე იყო საჭირო. მე როგორ უნდა ვითამაშო-მეთქი, ვწუხდი და ბავშვების მოსალოდ-ნელი რეაქციის მემინოდა — ხომ შეიძლებოდა, პროტესტის ნიშნად რალაც დაეყვირაო!..

სცენაზე გავიღე არაჩვეულებრივი გრიმით, თავზე უზარმაზარი ჯილით, პირბადით. ამ ყველაფერს მორგება, შეჩვენვა უნდოდა, მაგრამ სილამაზე? ჩემი უპირველესი განცდა იყო, პირბადეს რომ ავიხდიდი, ბავშვებს არ ეთქვათ: „ეს არის ლამაზი“...
ამას წინათ ნანა ფაჩუაშვილმა მიხარა: მახსოვხარ მაგ როლში და ძალიან ლამაზი იყავიო. ბუნებრივია, მიხარია, ამას რომ ვისმენ.

1949 წელს დამიძახეს კინოსტუდიაში სინჯვებზე ფილმის გასახ-მოვანებლად, სადაც უამრავ გოგო-ბიჭს მოეყარა თავი. წარმოგვიდ-გინეს ერთი რუსული ფილმი, რომელზეც უნდა გვემუშავა. ამიყვანეს და მას შემდეგ არ მქონია თავისუფალი ერთი კვირაც კი, სანამ თბილისის ომი არ მოხდა და კინოსტუდია არ დაინგრა. რაც კი

რუსული ფილმები შემოდის, იქ ვახშოვანებ- დით. ოლგა ოსტროუმოვას, ნატალია გუნდარე- ვას, გალინა პოლსკის და სხვა ცნობილ რუს მსახიობ ქალებს ვახშოვანებდი, ასევე უცხოურ ფილმებს.

„ნეპოპულიარნაია გეროინიას“ (არაპოპულარულ გმირ ქალს) მეძახდნენ, რადგან ამ კუთხით, კინოს ხალხისა და მსახიობების გარდა, არავინ მიცნობდა. შემდეგ მედია ჯაფარიძისა და სოფი- კო ჭიაურელის თითო გმირის გახშოვანებაც მომიწია. ფილმში „ნარსული ზაფხული“ მედია ჯაფარიძე მთავარ როლს ასრულებდა რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად. ამ ფილმის გახშოვანება რომ შემომთავაზეს, უარი ვუთხარი, თავად გააკეთოს-მეთქი (მედიკო ქალიან მიყვარდა) და კინოსტუდიიდანაც წაშოვედი, მაგრამ მაინც და- მარბურენ. ბოლოს ისე გავხშოვანე, ვერავინ ხვდებოდა, რომ ეს მედიკოს ხმა არ იყო. მერე სოფიკომ პირველი როლი ითამაშა ფილმში „ჩვენი ეზო“. სოფიკო და გიორგი (შენგელაია) მოსკოვში სწავლობდნენ და ფილმის გახშოვანების შემდეგ მალევე გაემგზავრნენ. მათი გმირების გახშოვანება კი მე და რეზო თავართქილაძეს მოგვიწია. ასევე გავახშოვანე ფატიმას როლი ფილმში „ფატიმა“, რომელსაც ყაბარდოელი ქალი ასრულებდა, არიანდა შენგელაიას გმირები ფილმებში „შერეკილება“ და „თეთრი ქარავანი“, ლია კაპანაძის გმირი ფილმში „დიდი მწვანე ველი“, ნანული სარაჯიშვილის გმირი ფილმში „გარიგება“ (ორივე ნაწილი)... ეს კიდევ ცალკე პროფესიაა, თან ძალიან რთული. ხასიათს უნდა მიაგნო და ორგანულად გაითავისო. ერთბაშად უნდა გააკეთოს ის, რასაც რეჟისორი მსახიობებ- თან თვეების განმავლობაში ამუშავებს. სასიამოვნო განცდაა, როცა მოსწონთ ის, რასაც აკეთებ. ეს საქმე ძალიან მიყვარდა — ალბათ ალღოს წყალობით გამომდიო- და. რაც უნდა იყოს, დოდო ალექსიძის ალზრდელი ვიყავი. მახსოვს, როგორ გვმოძ- ლვრავდა ხოლმე:

— თქვენი ნერვული სისტემა ზედმინე- ვით წათლილი, წვერნაბასული ფანქრები- ვით არის, ამიტომ ის აგზნებაც უცებ უნდა მოხდეს — ეს აუტიკლებელია, გარდასახვის დროც არ გაქვს.

თავად ფილმებში კი მონაწილეობა არ მიმი- ღია. შვილებს მართო ვზრდიდი, დამხმარე არ მყავდა და გადაღებებზე ვერ დავდიოდი.

38 წლის ვიყავი, რუსთაველის თეატრში რომ მისმეს. გვინდა, ჩვენთან გადმოხვიდეთ, მითხრა მიშა თუმანიშვილი.

— რაღა დროს ჩემი გადმოყვანა?! 18 წელია მოხარდ მაყურებელთა თეატრში ვმუშაობ.

— გესურს, შენ და ზაზა ლებანიძე გადმოიხვი- დეთ (ზაზა მაშინ რუსთავის თეატრში თამაშობ- და).

ასე მოვხვდი რუსთაველის თეატრში. მის კოლექტივში თითქოს ორგანულად შევედი. მაშინ იქ მზადდებოდა ნახევრად ლიტერატურული სპექ- ტაკლი — „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა, სადაც შემეყვანეს. შემდეგ მომცეს როლი „ხოგაის მინდიაში“. მინდიას როლს კოტე მახარაძე ასრუ- ლებდა, მე დედის როლში ვიყავი. ეს ჩემი პირველი როლი იყო რუსთაველის თეატრში. მოლიერის „გაანაზურებულ მდაბიოში“ ჟურდენის ცოლი ვითამაშე (ჟურდენი — ეროსი მანჯგალაძე), „ფედრაში“ გამზრდელი ენონა (ფედრა — ზინა კვერენჩილაძე), „სამანიშვილის დედინაცვალში“ ორნაქმარევი და უშილო ქვრივი, „კავკასიურ ცარცის წრეში“ გრუმე ვაჩნაძის დედამთილი და ა.შ. საუბრო მსახიობების გვერდით ვიყავი, რომელი ერთი გავიხსენო?! სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვალს“ დირექციის მხრიდან სამი გასინჯვა ჰქონდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, სცენები — დამუშავებული, მაგრამ მაინც არ ჟღერდა საჭიროებისამებრ. პირველმა გასინჯვამ სამცხეთი ჩაიარა, მერე სერგო ზაქარაიძე (რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) თავად ჩაერთო საქმეში, ბეკინას თამაშობდა. სპექტაკლში სიახლე არ ჩანდა.

— მე თუ „სამანიშვილის დედინაცვალს“ ვერ გავაკეთებ, თეატრიდან წავალ! — კატეგორიულად განაცხადა ბატონმა სერგომ



„სოგაის მინდია“, დედის როლი



„პეპაი პიპა“ — ლილია კიპრაშვილი და გოგი გეგეჭკორი

ბავშვობიანი ფატიმას როლი ფილმში „ფატიმა“, რომელსაც ყაბარდოელი ქალი ასრულებდა, არიანდა შენგელაიას გმირები ფილმებში „შერეკილება“ და „თეთრი ქარავანი“, ლია კაპანაძის გმირი ფილმში „დიდი მწვანე ველი“, ნანული სარაჯიშვილის გმირი ფილმში „გარიგება“ (ორივე ნაწილი)... ეს კიდევ ცალკე პროფესიაა, თან ძალიან რთული.

მეორე გასინჯვის შემდეგ. სამივე რეჟისორი — თემურ ჩხეიძე, რობიკო სტურუა და მიშა თუმანიშვილი ერთად მუშაობ- დნენ. მერე რობიკოს საინტერესო იდეა დაებადა: — მსახიობებს თითქოს მივაგვლებნთ სიმონე- ში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში და ამ ნაწარმოების კითხვას ვიწყებთ.

ანუ წარმოსახვა უნდა ჩაგვეერთო. გოგი გეგეჭკორი იწყებდა კითხვას და სხვები ვაგრძელებ- დით, როლებს ვინაწილებდით. ასე მოიქცნა ხერხი, რომელმაც ძალიან სწრაფად შეცვალა მსახიობის დამოკიდებულება გმირის ხასიათის მიმართ და ემოცია უფრო გაამაჟრა, მეტი იუმორიც შესძინა. 2-3 რეპეტიციის შემდეგ სპექტაკლი უკვე აულერდა. საუკეთესო დადგმად ითვლებოდა, დიდხანს ვითამაშეთ. ამ სპექტაკ- ლით ლამის ნახევარი მსოფლიო მოვიარეთ.

ერთხელ თბილისში სპექტაკლის დროს მაყუ- რებელთა რიგებიდან კაცის როზროხი მოგვესმა, გულიანად იცინოდა. ეს გერმანელი რეჟისორი დედკინდი გახლდათ, რომელიც საქართველოს პირველად სტუმრობდა. სპექტაკლის დასრულე- ბის შემდეგ სცენაზე ამოიჭრა, ყველას მოგვეხვია და გადაგვკოცა.

— ეს სპექტაკლი გერმანიაში რომ არ წავიღო, არ შემიძლია! — ვერ მალავდა ემოციებს.

ასეც მოიქცა. ბერლინში რობიკო სტურუა მიაგლინეს და ადგილობრივი მსახიობების შესრულებით პიესა დად- გეს. შემდგომ გერმანიაში ქართული კულტურის დღეები გაიმართა და ჩვენც ჩავედით სხვა ხელოვნებთან ერთად. გერმანელებმა ბერლინის სცენაზე მათ მიერ დადგმული „სამანიშვილის დე- დინაცვალი“ გამოიტანეს. სპექტაკლის დასრულების შემდეგ გამოაცხადეს, ახლა ქართველები ითამაშებნო.

მაყურებელი ჩვენს გამოსვლას მო- უთმენლად ელოდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ლამის პირველი საათი იყო, დარბაზი არავის დაუტოვებია. გერმა- ნელი მსახიობები, ვინც ამ სპექტაკლში იყვნენ დაკავებული, პირველ რიგში ჩაცუცქულიყვნენ და ამჯერად ჩვენს თამაშს უყურებდნენ. მათთვის ეს ყვე-

ლაფერი გასაგები და იოლად აღსაქმელი იყო, მაგრამ ჩვენი რიტმი და ტემპერამენტი განსხვავებული გახლდათ — მოქმედებები თითქოს ელვის სისწრაფით ვითარდებოდა. პუბლიკამ მხურვალე ტამით დაგვაჯილდო- ვა, პერანგებს აფრიალებდნენ ემოციისგან. მერე გერმანელ მსახიობებს ხელი გავუნო- დეთ და სცენაზე ვუხმეთ. სპექტაკლს ადგი- ლობრივი მთავრობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც ალფრთოვანე- ბით განაცხადეს:

— განა რამდენი სხდომა უნდა გაიმარ- თოს, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობა შედგეს?!.. და ეს გააკეთეს ამ მსახიობებმა ერთ წუთში!

ეს ვედკინდის დამსახურება გახლდათ. არაჩვეულებრივი კაცი იყო. სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. ბერლინის შემოგა- რენში თავის აგარაკებზე წავიყვანა. იქ, კახური კოლორიტის ანალოგიით, პატარა სახეივანი დაგვხვდა, თავად ვედკინდს კი თავზე კახური ქუდი ეხურა (საქართველოში სტუმრობისას თითქმის ყველა კუთხე მოატარეს და ადათებიც გააცნეს). სახლის დირეზე ამოკვეთილი ჰქონდა წარწერა: „ვედკინ- დავილი“ (ქართველების ღრმად პატივსაცემად). სხვათა შორის, იმ აგარაკის კედელზე ჩვენი გვარებიც არის მიწერილი. არაჩვეულებ- რივი შეხვედრა გვექონდა. მაშინდელი კულტურის მინისტრი, ოთარ თაქთაქიშვილიც ესწრებოდა. ძალიან ბედნიერები ვიყავით.

ჩვენი ყოველი წინსვლა და მოგზაურობა დაკავშირებული იყო მოსკოვთან. როცა დაინახეს, რომ უცხოეთის ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში გავედით საგასტროლოდ, მოსკოვის კულტურის სამინისტროს „გოსკონცერტის“ განყოფილებამ ხელი ჩაგვავლო და მთელი ჩვენი შემოსავლის ორი მესამედი მოითხოვა. რუსთაველის თეატ- რიდან მთელი მსოფლიო მოვიარეთ — დიდი ქვეყნებიდან მხოლოდ იაპონიაში არ ვყოფილვართ. საგასტროლოდ

ბედის წაწი

გაგვქონდა ჯერ „სამანიშვილის დედინაცვალი“, შემდეგ — „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ მესამე“...

— 21 წლის ვიყავი, ჩემი მომავალი მეუღლე, ანდრო კიკალაიშვილი რომ გავიცანი. ის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი გახლდათ. სპექტაკლში „სიჭაბუკე ბელადისა“ ახალგაზრდა სტალინის თამაშობდა — იერსახით ძალიან ჰგავდა. ბელადის როლს ძალიან ორგანულად თამაშობდა. ნიკიტა ხრუშჩოვმა რომ დაგმო სტალინის კულტი, ხალხის გამოსვლები დაინიშნა ბელადის სახელის დასაცავად. მაშინ საქართველოს ცკ-ის მდივანი ვასილ მუხვანაძე გახლდათ. თბილისში მოქალაქეები სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან გროვდებოდნენ. ეს ძეგლი მაღალ კვარცხლბეკზე იდგა. ხალხი ნაკადად მოედინებოდა და გვირგვინებით ამკობდა ბელადის ძეგლს. ბოლოს იმდენი ყვავილი მოგროვდა, რომ სტალინის გამოსახულება უკვე აღარც ჩანდა. ამ გამოსვლებზე ჩემი მეუღლეც მიჰყავდათ ხოლმე მანქანით — სტალინის გრიშში და სასცენო კოსტიუმში გამოწყობილი...

ხალხის პროტესტს უსასტიკესი შედეგი მოჰყვა. სამხედროები ხიშტებით გაუსწორდნენ, ბევრი დახოცეს და მტკვარში გადაყარეს. მთავრობამ ეს საქმე მიჩქმალა, არ გაახმაურა. ჩვენი თეატრის დირექტორ აკაკი შანიძესაც მოუკლეს შვილი, ჩვენ თვალნინ გაზრდილი, არაჩვეულებრივი ბიჭი, რომელიც გამოსვლებში მონაწილეობდა. ჩუმად დამარხეს, ისე, რომ ცხედარს პატრონიც არ გააკარეს. ოჯახი სახლში უხდიდა პანაშვიდებს, სადაც მიცვალებული არ ესვენა...

დიდი განზილება და გაუცხოება მივიღეთ. ეს სიმძიმე ჩვენი თაობის კისერზე გადავიდა.

— 26 წლის ვიყავი, მე და ანდრო რომ შევეუღლდით. მაშინ არ გვქონდა იმის ფუფუნება, რომ ეს საზეიმო ვითარებაში აღგვენიშნა. ქვეყანაში გაჭირვებული ყოფა იყო. ანდრო შესანიშნავი პიროვნება, კარგი მეუღლე და იშვიათი მამა გახლდათ. რაც უნდა დატვირთული ყოფილიყო თავისი საქმეებით, ყოველთვის გამოყოფდა დროს შვილებისთვის — ეს იყო ბავშვების დღე. ნუცუბიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ანდრო შვილებთან ერთად აწყობდა ლაშქრობას მთაზე, რომელსაც კუმალა შეარქვეს მათი სახელების პირველ მარცვალთა მიხედვით — კუკური (ანდროს შინაურები კუკურის ეძახდნენ), მამუკა და ლაშა. იმ ბედნიერი დღეების სახსოვრად, თავიანთ სახელებს ქვებზეც აწერდნენ.

ჩემი მეუღლე თავისი საქმის პროფესიონალი გახლდათ. ორგანიზატორული ნიჭი აღმოაჩნდა და მსახიობობას თავი დაანება — შეეძლო თეატრისთვის უფრო მეტი გაეკეთებინა, ვიდრე არტისტობა იყო. პირველად მუსკომედის თეატრის დირექტორად დანიშნეს... 1967 წელს, როცა ახალგაზრდა თაობის მსახიობები (ოთარ მელვიეთუხუცესი, ირაკლი უჩანეიშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გურანდა გაბუნია, ქეთევან კიკნაძე და სხვები) გამოეყენენ მარჯანიშვილის თეატრს და ახალდაარსებულ რუსთავის თეატრში გადავიდნენ (სამხატვრო ხელმძღვანელი გიგა ლორთქიფანიძე გახლდათ), ანდრო დირექტორად მიიწვიეს. არაჩვეულებრივი გასტროლები ჰქონდათ. ძალიან კარგად მუშაობდნენ. შემდგომ სერგო ზაქარიძემ მოინდომა, ანდრო რუსთაველის თეატრში გადმოეყვანა დირექტორად.

— დაანებე, რა, თავი, სერგო, ხომ ხედავ, როგორ აწყობ რუსთავის თეატრს, — სთხოვა ოთარ თაქთაქიშვილმა, მაგრამ ბატონი სერგო ბუნებით შეუვალი გახლდათ.

გადმოიყვანა. ანდრომ 2 წელიწადი იმუშავა დირექტორად. ერთადერთი მიზეზი, რამაც ამ საქმეში ხელი შეუშალა, ვადამყოფობა იყო... სერგო ზაქარიძეს ჩემს მეუღლესთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. მასსოვს, მოსკოვში რომ წავიდოდა, დამირეკავდა ხოლმე და მეტყოდა:

— ლეილა, დაუძახე ერთი შენს ქმარს!

ყურმილს მეუღლეს გადავცემდი.

— ისეთი წამალი მომაქვს შენთვის, ქვას გახეთქავს! — ეტყოდა ანდროს.

წამალი გულით ჩამოჰქონდა, მაგრამ რას უშველიდა!.. ჩემს



■ ანდრო კიკალაიშვილი



■ ლეილა კიკაშვილი

მეუღლეს ვერაგი დაავადება — კიბო აღმოაჩნდა. სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჩემი უმცროსი ვაჟი, მამუკა, მაშინ 10 წლის იყო, ძალიან ჰგავდა მამას... მოზარდ შვილებთან ერთად სრულიად მარტო დავრჩი. ერთადერთი სამუშაო, რომელიც ფინანსურად ხელს მიმართავდა, კინოგაზმომავნებია იყო. ერთი ქართული ფილმის გახმომავნებაზე 400, 500, 600 მანეთს მიხდიდნენ.

ჩემს მეუღლეს ვერაგი დაავადება — კიბო აღმოაჩნდა. სრულიად ახალგაზრდა, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა. უმცროსი ვაჟი, მამუკა, მაშინ 10 წლის იყო, ძალიან ჰგავდა მამას... მოზარდ შვილებთან ერთად სრულიად მარტო დავრჩი“.

უფროსი ვაჟი, ლაშა მამუკაზე 7 წლით უფროსი გახლდათ. ლაშა 1953 წელს დაიბადა, მამუკა კი — 1960 წელს. ხასიათით და გარეგნობითაც ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდნენ. შემოდგომაში ვთქვა, რომ ლაშა არაჩვეულებრივი იყო — ვინც იცნობდა, ყველა დამეთანხმება. პატარაობიდან ვასწავლიდი ინგლისურს (მაშინ ეს ენა ცოტამ თუ იცოდა). სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა საზოგადოებათმცოდნეობას — საგანს, რომლის მიმართაც ბავშვები ყველაზე ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ. შემდგომ კი პროფესიად სოციოლოგია აირჩია.

ჩემი მეუღლე უკვე ცუდად იყო, ლაშამ რომ უმაღლესში ჩააბარა. ენა ისე კარგად იცოდა, მომზადება არც დასჭირვებია. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, მაგრამ იქ გაჩერება აღარ მოისურვა.

— არავითარ შემთხვევაში არ გაგიშვებ, უნდა დაამთავრო სწავლა, — ეუბნებოდა ფაკულტეტის დეკანი, ლეთისნიერი ქალბატონი.

— არავითარ შემთხვევაში არ გაგიშვებ, უნდა დაამთავრო სწავლა, — ეუბნებოდა ფაკულტეტის დეკანი, ლეთისნიერი ქალბატონი.



■ ლაშა ლეილასთან ერთად

ლაშა ცუდად რომ იყო და თანკალიფიურ საავადმყოფოში იწვა, უწმინდესმა ორჯერ აღუკვლინა პარაკლისი ტაძარში. შეუფე დანიელი კი მგალობლებთან ერთად აკითხავდა პალატაში და ლოცავდა. მთელი ცხრასართულიანი შენობის ავადმყოფები მათთან გროვდებოდნენ და დერეფნიდან ისმენდნენ გალობას“.

ტონი ნელი კრავიშვილი და მართლაც, ბოლომდე დაასრულებინა. მანამდე სოციოლოგია, როგორც საგანი, უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამაში არ შედიოდა. ეს დარგი ვენორ ქვაჩაჩიამ დააფუძნა — სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციოლოგიის კათედრის გამგე გახლდათ. ლაშამ მასთან მოისურვა თემის გაკეთება.

— შენ ყველას იცნობ და ეგებ დაგვეხარო, ვენორ ქვაჩაჩიასთან გვეშუამდგომლო, — ვთხოვე მედიკო ჯაფარიძეს, რომელიც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ.

მედიკო არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, მეგობრებისთვის თავადებუ-ლი. დიდხანს სდია ვენორ ქვაჩაჩიას, მაგრამ ვერაფრით მოიხელთა. მერე კარზე მიუწერა, საქმე მაქვს შენთან და ვენორმაც თავად მოძებნა.

ლაშას მისი შემწეობით გაეხსნა გზა უნივერსიტეტში სოციოლოგიის მიმართულებით. ამ განხრით დისერტაციაც დაიცვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა. ტელევიზიაშიც, საზოგადოებრივ არხზე ჰქონდა თავისი გადაცემა. ქმედითი და შრომისმოყვარე იყო. გასული საუკუნის 80-იან წლებში, ნგრევის პერიოდში, სამეცნიერო-პოპულარული



■ მამუკა

გაზეთი „დვრიტა“ დააფუძნა, რომელიც ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ლაშას გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე უნივერსიტეტში კონფერენცია მოეწყო, სადაც მონაწილეობდნენ მეცნიერები, გაზეთ „დვრიტას“ რედაქციის წევრები...

■ მამუკა ბავშვობიდან ცელქი იყო.

მამუკა კიკაელიშვილის მშობელი მოვიდესო, დამიბარებდა მასწავლებელი. „ნეტა ამჯერად რა დასაშავა?!“ — ვფიქრობდი.

— გაკვეთილზე ხელი შემიშალა, — მეტყოდა საყვედურით.

— რატომ, რა ჩაიდინა? — რალაც თქვა ისეთი, რომ მთელი კლასი ახარდა.

ხარდა, გოგონები მისცვივდნენ და ლოყებზე კოცნიდნენ, — ვითომ გულისწყრომით მიყვებოდა პედაგოგი და ამ დროს თავადაც ვერ იკავებდა თავს სიცილისაგან.

— რატომ იცინით? თქვენ რომ იცინით, ისიც თამამდება, — შევებდე.

სკოლა რომ დაამთავრა, მასწავლებელმა საკლასო ოთახში მისი სურათი გამოფინა.

— რატომ გიკვირიათ მამუკას სურათი, ფრიადოსანი იყო? — ეკითხებოდნენ მოწაფეები.

— ფრიადოსანი კი არა, უფრო მეტი იყო... — პასუხობდა მასწავლებელი.

მამუკა ძალიან ხმაურიანი გახლდათ — მთელმა კორპუსმა იცოდა. იუმორთან იყო წილნაყარი. ყველაფერი, მასთან დაკავშირებული, სიცილს იწვევდა.

— სად მიდიხარ? — ეკითხებოდა დილით, თუ წასასვლელად ემზადებოდა.

— საქმეები მაქვს, — ასე რომ მეტყოდა, ესე იგი, სხვისთვის რალაც საქმეს აგვარებდა...

ასე გაგრძელდა მთელი ცხოვრება. სულ ვილაცისთვის ირჯებოდა. მისი მეგობრები, გოგა პიპინაშვილი და ზურა ყიფშიძე ხუმრობდნენ კიდევ: „მიდი ერთი, მამუკას უთხარი, ტანკის ლულები მინდაო და ნახე,



■ მამუკა — ლაშა და მამუკა



■ სანჩო პანსა — მამუკა კიკაელიშვილი. დონე ქონოტი — კახი კახსაძე

აბა, რას გეტყვის!“. ალბათ იტყოდა: „ჰო, ჰო, ვიშოვი“ და საშოვნელად გაიქცეოდა.

კინოსტუდიაში ცალკე გააკეთა სტუდია. დიდი ოდენობით კრედიტი მისცეს (მაშინ იყო ამის საშუალება). ამასობაში აფხაზეთის ომი დაიწყო. მამუკა შეუდგა იარაღის შეგროვებას სამხედროებისთვის, სტუდია არსენალს დაამსგავსა.

სა. არაერთხელ მქონდა შემთხვევა — ვილაც ქუჩაში შემხვედრია და უთქვამს:

— ვაიმე, რა მადლობელი ვარ მამუკასი, ჩემს შვილს ფრონტზე თბილი ქურთუკი გაუგზავნა.

აეროპორტით აგზავნიდა საჭირო არსენალს და მთელ ფულს ამაში ხარჯავდა. იმ სტუდიაში მხოლოდ ერთი ფილმი გადაიღეს, რომელიც თაროზე შემოიღო. მამუკა თამაშობდა მთავარ როლს. მერე სამოგზაუროდ წავიდა მოსკოვში.

— მაინც აქ ხარ და, მოდი, კულტურის ატაშედ იმ უშავე ჩვენს საელჩოში, — შესთავაზა ვაჟა ლორთქიფანიძემ. მას შემდეგ წლების განმავლობაში დიპლომატიურ სამსახურში იდგა.



მესამე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც პირველად მიიღო პრემია ფილმ „კვანძიმოდოში“ საუკეთესო როლის შესრულებისთვის. ეს დიტო ცინცაძის და ლევან ერისთავის სადიპლომო ფილმი გახლდათ. ახალგაზრდული ფილმების დათვალიერებაზე შეაფასეს, თავმჯდომარე ნიკიტა მიხალკოვი იყო.

მამუკა 23 წლის გახლდათ, როცა რეზო ჩხეიძემ დაამტკიცა სანჩო პანსას როლზე ფილმში „დონ კიხოტი“. შემდგომ ამ როლის შესრულებისთვის პრემია მიანიჭეს. ფილმზე რომ დაამტკიცეს, წონაში მისამატებლად დიდი რაოდენობით ღვეულის და წვენის მიღებას აძალბებდნენ. ორ კვირაში ისე გასუქდა, რომ ფესსაცმელს ველარ იკრავდა — მუცელი უშლიდა ხელს. გადაღებები 9 წელიწადს გაგრძელდა. მამუკა და კახი (კახსაძე) სულ ერთად იყვნენ. მათ შორის დიდი მეგობრობა ჩამოყალიბდა. კახი ისედაც ძალიან მიყვარდა, მაგრამ მას შემდეგ მასთან ყოფნა ჩემთვის ორმაგად სასიხარულო გახდა.

ერთხელ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი ბაქოში ჩავიდა. იქ ბაქოელმა რეჟისორმა ვაგიფ მუსტაფაევიმ ნახა მამუკა და გადაწყვიტა, თავისი სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის აეყვანა, რომელსაც „ნაძირალა“ ერქვა. მამუკამ ამ ფილმში 1989 წელს ითამაშა და ძალიან დიდი გამოხმაურება ჰქონდა. მოსკოვის ერთ-ერთ ცნობილ გაზეთში მთელი გვერდი დაუთმეს სტატიას, სათაურით „ნახეთ, ვინ მოვიდა!“, სადაც მამუკაზე წერდნენ — ასეთი მსახიობი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ უნდა გამოგვეგონაო.

მე ვამაყობ ჩემი შვილებით, მართლაც საამაყო შვილები მყავდა.

ძმები თითქოს ანტიპოდები იყვნენ. ლაშა უფრო ინტელიგენტური, მოკრძალებული იყო, მამუკა — თამამი, შემტევი. ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება: ლაშას ავეჯის შეკვეთა ჰქონდა მიცემული და გაუჭიანურეს. სახლში დაიჩივლა, არ მიკეთებენო.

— მომეცი მისამართი! — უთხრა მამუკამ (მოსკოვიდან იყო ჩამოსული).

მერე იმ კაცს თავზე დაადგა, ვისაც ავეჯის შეკვეთა ჰქონდა ალებული:

— იცოდე, სამი დღის ვადას გაძღვე. თუ არ გააკეთებ, შენს თავს დააბრალებ, რაც გაქვს, აღარაფერი გექნება!

მართლაც, ავეჯი სამ დღეში მოუტანეს.

ერთხელ ლაშა განმეორებით წაიყვანეს ჯარში, ორთვიან სამხედრო სამსახურში. თავისი ლექციებით და საქმეებით იმდენად იყო დაკავებული (პირველ სკოლაში დამამთავრებელ კლა-

სებშიც ასწავლიდა ეთიკა-ფსიქოლოგიას ექსპერიმენტის სახით, რომ ამ ყველაფრისგან მონყვეტა არასახარბიელო იყო. ახალციხის სამხედრო ნაწილში განათავსეს. დარეკა და გვიტხრა:

— დრო ტყუილურალოდ მიცდება, არაფერს ვაკეთებ, ფიცრებზე ვწევარ, ამ ფიცრების ქვეშ კი წყალია.

მამუკა ჩამოვიდა მოსკოვიდან და იკითხა:

— ჩემი ძმა სად არის?

— ჯარში წაიყვანეს, — ვუბახსუხე.

— როგორ, ვერაფერი გააკეთეთ? — ისე შემომიტია, თითქოს მართლაც შემქმლო იმ საქმის მოგვარება, — უურნალი მომეცი, გარყედაზე რომ ჩემი სურათია! — მითხრა, უურნალი გამომართვა და ახალციხისკენ გასწია.

„დონ კიხოტის“ გადაღებები (სანამ ესპანეთში წავიდოდნენ) ახალციხეში მიმდინარეობდა და სამხედროებიც ესწრებოდნენ ხოლმე. ახალციხეში ჩასვლისთანავე მამუკა პირდაპირ რუს გენერალთან მიიჭრა და უურნალი მაგიდაზე დაუგდო. გენერლის ბავშვები შემოესივნენ: „მამუკა პრიეხალ, მამუკა პრიეხალ!“. როდესაც გენერალმა გაიგო მამუკას ჩასვლის მიზეზი, უყოყმანოდ უთხრა: „წაიყვანე შენი ძმა, წაიყვანე!“. მართლაც, ორი დღის შემდეგ ლაშა ჩამოვიდა.

ახალგაზრდობაში ეკლესიური არ ვიყავი, მაგრამ დედა მყავდა ძალიან ღვთისმოსოში. შეზინდებისას მეტყოდა ხოლმე, შვილო, წავიდეთ ეკლესიაში, შენ სამჯერ შემოუარე ტაძარს, მე კი შევალ და ვილოცებო...

ღვთის რწმენა ჩემში განსაცდლების შემდგომ უფრო ძალუმად შემოვიდა. მე და ჩემს რძალს, ნათიას (ლაშას მეუღლე), რამდენჯერმე გვეკონდა პატივი, უწმინდესთან მივსულიყავით. დღეს ნათია ხშირად ესწრება ლიტურგიას, მე უფრო მიჭირს. ჩვენს სახლშიც მოაბრძანებენ ხატებს. ღმერთს ვმადლობ, რომ ლოცვის საშუალება მეძლევა. ახლახან სასწაულთმოქმედი წმინდანის, სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხატი გყავდა მობრძანებული. მის ღვანლს რომ გავეცანი, განცვიფრებული დავრჩი.

ჩემს შვილებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ უწმინდესთან, განსაკუთრებით — ლაშას. ძალიან მორწმუნე იყო, სულ ლოცვანს კითხულობდა. პატრიარქს ჩემი ბიჭები ყველა მნიშვნელოვან დღესასწაულს ულოცავდნენ. ახლაც, აღსაყდრების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით, ლაშას და მამუკას ოჯახების სახელით მის უწმინდესობას მისალოცი ბარათი გაუუგზავნე.

საოცრად ძლიერი, მაღლიანი და ღვთივკურთხეული ჩვენი პატრიარქი — ეხება თუ არ ეხება, ყველას სიმძიმე თავად აქვს ნატვირთი... როტვეილერის ჯიშის ძაღლები ჰყავდა. ერთი მოუკვდა. მამუკა დაპატიმრდა, რომ ისეთივე ჯიშის ძაღლს უშოვიდა მოსკოვში და პატარა ლეკვი ჩამოუყვანა. უწმინდესი მღვდელმთავრებთან ერთად საპატრიარქოს ეზოში ბრძანდებოდა, სადაც ხალხს მოეყარა თავი.

— ლეკვი მოვიყვანე, — უთხრა მამუკამ და ძაღლი დაბლა დასვა. ლეკვი ჯერ შემინებული იყურებოდა, მერე უცებ სირბილი დაიწყო, ყველა მოიარა და ბოლოს უწმინდესს დაუჯდა ფეხებთან. ეს ნამდვილი სასწაული იყო, იმდენ ხალხში გამოარჩია.

ასეთი შემთხვევაც იყო: მამუკას მოსკოვში ჰყავდა საკმაოდ მძიმეწონიანი (60 კგ) როტვეილერის ჯიშის ძაღლი, სახელად სანჩო. ერთხელ თბილისში ჩამოიყვანა. საპატრიარქოსკენ გასწია და ძაღლიც გაიყოლა. სანჩო მანქანაში დატოვა და თავად გადავიდა. თუ ვინმე მიუახლოვდებოდა ან შეხედავდა, ძაღლი ბრაზობდა — მისი მძვინვარებისას ავტომობილი ჯანჯღარებდა. პატრიარქმა მოისურვა ძაღლის ნახვა და მამუკაც გაუძლევა მანქანისაკენ. კარი რომ გაუღო, ძაღლი გადმოვიდა და უწმინდესს სრულიად მშვიდად დაუჯდა ფეხებთან.

— ლაშას თავის ტელეგადაცემაში სასულიერო პირებიც სტუმრობდნენ. პირველად რომ გზა გაიხსნა თურქეთისაკენ, უწმინდესმა ლაშა მიავლინა სტამბულში ქართული ეკლესიის მოსახალხულებლად. იმ ეკლესიას ადგილობრივი მკვიდრი, გვარად ზაზაძე, პატრონობდა,



ლაშა ქობაჩილი შეილიშვილთან ერთად

ლობრივ ეკლესიაშიც აღუვლინეს წირვა. მკურნალობა ძალიან ძვირი ჯდება. ვალი ავიღეთ, შეგვეწინე კიდეც, მაგრამ თანხა სრულად მაინც ვერ დავფარეთ. მერე იქაური ეკლესიის მრევლი ძალიან დაეხმარა — ყველამ გაილო შემოწირულობა. კლინიკიდან ძაღლის შემდეგ ლაშას და ნათიას გერმანელი მღვდლის ოჯახმა გაუწია მასპინძლობა.

ლაშას ავადმყოფობის დროს მამუკამ ძალიან ბევრი იტვირთა. მთელმა სიმძიმემ მის კისერზე გადაიარა... გასტროლზე ვიყავი, ლაშამ ხმა რომ დაკარგა. ეს მისთვის ტრაგედია გახლდათ, ვინაიდან მთელი მისი საქმიანობა მეტყველებასთან იყო დაკავშირებული. ძალიან გაუჭირდა. ყელის კიბო აღმოაჩნდა — ეს დაავადება მაშინ იშვიათი იყო. ოპერაციის დროს ყელი სრულად ამოუღეს. მამუკა ძმის დიაგნოზს მიმალავდა — დედაჩემი მოკვდება, ვერ გადაიტანსო. თბილისში რომ დავბრუნდი, მითხრა, პოლიპები ამოკვეთესო. როცა გართულდა, მერე უკვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მამუკა დედას უფრთხილდებოდა, თავად კი ძმის დარდს შეენირა.

მამუკამ პირველად 19 წლის ასაკში მოიყვანა ცოლი, მაგრამ მალე გაშორდა. ეს მისთვის ალბათ უფრო ბავშვური გატაცება იყო. შემდგომ მეორედ დაქორწინდა. მომავალ მეუღლეს, ხათუნა ძამაშვილს, „დონ კიხოტის“ გადაღებისას შეხვდა. ხათუნა მხატვარია და ფილმზე მუშაობდა. მათი ვაჟი,

ანდრო, ლონდონში სწავლობს, 18 წლისაა, ლიცუუმს ამთავრებს და უმაღლესში გეგმავს სწავლის გაგრძელებას. ნორმალური ურთიერთობა მაქვს.

ლაშას ორი ქალიშვილი დარჩა: სალომე და ნუცა. სალომე კინომცოდნე და უურნალისტია. მისი ნამუშევარი ლიკა ქაჯარაძეზე, რომელიც ერთ-ერთ უურნალში დაიბეჭდა, წლის საუკეთესო ნარკვევად აღიარეს. ცალკე ცხოვრობს, ჰყავს 12 წლის შვილი ანა, ჩემი უფროსი შვილთაშვილი, ძალიან კარგი გოგონა. მანამდე ბავშვი ჩემთან ცხოვრობდა, აქვე დადიოდა ფრანგულ სკოლაში. მერე სალომემ თავისთან წაიყვანა და ძალიან დამაკვლდა, განვიცადე, მაგრამ სალომეს მხრიდან ეს ალბათ სწორი გადაწყვეტილება გახლდათ — ბავშვი სამ ოჯახში იყო გაჭრილი და ჯობდა, დედასთან დაფუძნებულიყო. სალომეს ყოფილი მეუღლე — ანას მამა, რეჟისორ ოთარ იოსელიანის შვილიშვილი გახლდათ. სხვათა შორის, ოთარმა თავის ბოლო ფილმში — „შანტრაპა“ პატარა ანაც ათამაშა.

მე და ჩემი რძალი ნათია ერთად ცხოვრობთ. ჩემი შვილიშვილი ნუცაც ჩვენთანაა ქმარ-შვილთან ერთად. მისი შვილი (ჩემი უმცროსი შვილთაშვილი), ნია, 6 წლისაა, უკვე სკოლაში დადის. პატარებმა ჩემს ყოფაში პოზიტიური მუხტი შემოიტანეს, თავიანთი ხალისით და ინტერესებით მავსებენ. ანა და ნია ერთმანეთისგან განსხვავდებიან — ანა ძალიან დამთმობი და თვინიერია. ნია თანამედროვე ბავშვია, 21-ე საუკუნის პროდუქტი. 3 წლის ასაკიდან ეკომპიუტერს უზის. მის მშობლებს ვეხვეწები, და-ძმა გაუჩინონ, ჩემსავით მარტო რომ არ დატოვონ — დედამამიშვილის გარეშე ცხოვრება რთულია და ამის გამო ძალიან დავიჩაგრე.

ისინი არიან ჩემი ნუგეში, მათი იმედით ვსულდგმულობ.

ნანა კობახიძე

ვალერიან შიუკაშვილი იაპონიაში კლავინისა და ბრკლის რიოლზე დაუკრა „ვატიკანი ბახის მუსიკას ჰგავს“

3 იანვრის ვალერიან შიუკაშვილი 12 წელი უცხო ქვეყანაში გაატარა, მაგრამ მასწავლებლის, ნოსტალგია რა იყო, არ იცოდა. ახლა კი, როცა საზღვარგარეთაა, საქართველო საშინლად ენატრება. უცხო ქვეყნებს მუსიკის დონეზე შეიგრძნობს. ყველაზე შთაბეჭდილი და დასამახსოვრებელი მისთვის ისრაელში მოგზაურობა აღმოჩნდა. წმინდა მინასთან შეხებით გამოწვეული ემოციებით მერე, კონცერტზე „თითებით“ გადმოსცა.

ბოლო დროს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხანგრძლივ მგზავრობებს უკლებლობა. ასაკის მატებასთან ერთად პერიორიტეტებიც შეცვალა, ახლა საზღვარგარეთ ღირსშესანიშნაობების თვალღრუბებზე მეტად იმ ინვენტარის შექმნა უფრო აინტერესებს, რაც მის „ხელოვნების აკადემიას“ გამოადგება.

ვალერიან შიუკაშვილი:

— საზღვარგარეთ ჩემი გამგზავრება ყოველთვის კონცერტებს, მასტერკლასებს უკავშირდება ან რომელიმე კონკურსის ჟიურის წევრი გახლავართ ხოლმე. წელიწადნახევრის წინ ვინფარტი და კლინიკური სიკვდილი გადავიტანე, ამიტომ ბოლო პერიოდში ჩემი ავადმყოფობის გამო მოგზაურობაზე ხშირ შემთხვევაში უარის თქმა მიწევს, თუ, რა თქმა უნდა, ვიზიტი ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის. მუსიკოსების მოვალეობა მხოლოდ აქეთ-იქით სიარული ხომ არ არის? თუ საქმის კეთება გინდა, ყველგან გააკეთებ.

— ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, თქვენთვის ფრენა საშუალო არ არის?

— არ ვიზღუდები, შეგრძნებაც არ მაქვს, რომ ავად ვიყავი. ამის შემდეგ გერმანიის საერთაშორისო კონკურსზე გრან პრიც ავიღე, ბევრი კონცერტი მქონდა და ორ კონკურსზე ჟიურისაც ვიჯექი. ხშირად გადაღლილი ვარ, რადგან ხელოვნის ცხოვრება არ არის სტანდარტული და დაძინება-გაღვიძების საათებს წინასწარ ვერ იტყვი. ჩემს ჯანმრთელობას კი გარ-

„საფრანგეთში ისეთი აუხა, იქ დაბადებული ყველა ადამიანი მომხიბვლელი ხდება“.

კვეული რეჟიმის დაცვა სჭირდება, რაც ჩემს ხელოვნებაში ვერ ჯდება და შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს.

მოგზაურობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, თუმცა ფრენას საშინლად ვერ ვიტან. ბოლო დროს ცოტა შევეჩვიე, მაგრამ ადრე ძალიან მუშინოდა. ხშირად მესმოდა, თვითმფრინავის საჭმელი მიყვარსო, მე კი შიშისგან საჭმელსაც ვერ ვჭამდი. ახლა ნელ-ნელა შიში მომეხსნა, მაგრამ ფრენის დროს რაღაც უსიამოვნო შეგრძნებები მაინც მაქვს. ახლაც წუთებს და წამებს ვითვლი, სანამ ჩავფრინდები. დამამშვიდებელ აბებს მუდმივად ვიღებდი, მაგრამ ფრენის დროს არასოდეს მშველოდა. თვითმფრინავი რომ ჩაფრინდებოდა და გადმოვიდოდი, მერე იწყებდა წამალი მოქმედებას. იყო პერიოდი, როცა ალკოჰოლს

ვიღებდი და ის უფრო მშველოდა.

— ფრენის შიში ალბათ რაიმე ცუდ შექმნევას უკავშირდება.

— თქვენ წარმოიდგინეთ — არა. უბრალოდ ყოველთვის მიჭირდა წარმოდგენა, ამხელა „მახინა“ როგორაა პაერში გამოვიდებოდი. ეს იწვევდა შიშს. ადრე მგზავრებს მფრინავს აცნობდნენ, რომელიც ხანდახან გამოდიოდა და ტაშს ვუკრავდით. მახსოვს, ერთხელ თვითმფრინავი აფრინდა თუ არა, მფრინავიც გამოვიდა და უკან წავიდა. გადავირიე, ისე შემეშინდა! მერე გავიგე, რა იყო ავტოპილოტი.

— უცხო ქვეყანაში ჩახულს რა გაინტერესებთ ყველაზე მეტად?

— ალბათ — ის, რაც უცხოელებს საქართველოში აინტერესებთ. ადრე ყველა ქვეყნის კულტურა მაინტერესებდა, ახლა კი ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც ნამყოფი არ ვარ. ახლა უკვე სხვა რაღაცეები მაინტერესებს. არ არსებობს, სადმე ჩავსულიყავი და მუზეუმები და ღირსშესანიშნაობები არ დამეთვალაყრებინა. რაც უფრო ემატება ადამიანს წლები, მით უფრო მეტი საზრუნავი და საფიქრალიც უჩნდება. რაც „ხელოვნების აკადემია“ დავაარსე, სულ ბავშვებზე ვარ გადართული. რამდენიმე ბავშვს ვიოლინო არ ჰქონდა. ვანო ჩხარტიშვილი „ხელოვნების აკადემიას“ თანხა მოგვცა, რომლითაც საზღვარგარეთ ვიოლინოები შევიძინე. ადრე მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი, ახლა კი მომავალ თაობაზე ზრუნვა მიწევს.

— თქვენ ბიურ ნანახს ქვეყნებს შორის რა უყვარებას გააკეთებდით?

— ყველა ქვეყანას თავისი სახე აქვს. საფრანგეთზე ამბობენ, რომ ყველაზე ლამაზია. იტალიური ქალები არ არიან ლამაზები,



ვალერიან შიუკაშვილი

„თვითმფრინავი ხომ დაემშენა და სამებას დავინახავ, ცხელები თავისით მომდის. საქართველოს გახდა ვეხსად ვიცხოვრებ. ჩემს ქვეყანაში ძალიან უნდა მანერინონ, ხომ აქედან წავიდე“.

მაგრამ შინაგანად იმდენად დიდი მომხიბვლელობა აქვთ, რომ ისე უყურებ, როგორც ყველაზე ლამაზს. მსახიობი კატრინ დენევი დიდი სილამაზით არ გამოირჩევა, მაგრამ შარმზე ბევრად მეტი რაღაც ისეთი გააჩნია, რასაც ვერსად გაეცქევი. საფრანგეთში ისეთი აურაა, იქ დაბადებული ყველა ადამიანი მომხიბვლელი ხდება.

რომზე ხომ ყველა გიჟდება, მე ვატიკანზე ვგიჟდები. ვატიკანი ძალიან ლამაზი და მდიდარია. იქაურობა ბახის მუსიკას ძალიან ჰგავს. ის სიდიდე, რაც ბახს გააჩნია, ზუსტად ამის შემხედვარე დაინერებოდა. საფრანგეთს ფრანგული მუსიკაც ჰგავს. რომს რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მომწონს. სიმართლე გითხრათ, იქ ცოტა შებოჭილი ვარ ხოლმე, მაგრამ არ ვციცი — რატომ. ჩემთვის ყველაზე კარგი პორტუგალია. იქ, რაც გინდა, ის აკეთე, ყველაფერზე გიჟდებიან და მოსწონთ. რასაც აკეთებ, ყველაფერი გამართლებულია.

— ყველაზე დასამახსოვრებელი მოგზაურობა რომელი იყო?

— ამდენი კონცერტის მიუხედავად, ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც 1987 წელს მქონდა კონცერტი და დღემდე მახსოვს. 22-23 წლის ვიყავი, როცა ისრაელის საერთაშორისო კონკურსზე გრან პრი ავიღე. წმინდა ადგილები მაშინ პირველად მოვიარე, რამაც ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ მოვახერხე და ეს ყველაფერი თითებით გადმოვიცევი. თუ როგორ ხდება ბგერაზე მუშაობა, ამის მერე დავინტერესდი. ისრაელში ყველაზე ემოციური და კულტურული მსმენელია.

— საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები თუ ესწრებიან თქვენს საღამოებს?

— ყოველთვის. არიან ადამიანები, რომლებსაც საქართველო სიგიჟედ უყვართ, ენატრებათ აქაურობა და ის სიტბო, რომელიც აკლიათ და



ბარსელონაში

სურთ, რომ ჩვენში დაინახონ. გასტროლოზე სადაც ჩავდივარ, ყველგან დარჩენას მთავაზობენ, მაგრამ არ შემიძლია. 12 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი. ერთხელ ჩამოვედი, კონცერტი მქონდა. შუქის

„12 წლის განმავლობაში მოსკოვში ვცხოვრობდი. ერთხელ ჩამოვედი, კონცერტი მქონდა. შუქის ჩამოხვევს თითი ხომ ავჯახი და ახ ანთო, ისეთი ნეკროზი დამენო, მეოხე დღეს ისევ მოსკოვში გავფრინდი.“

ჩამრთველს თითი რომ ავკარი და არ ანთო, ისეთი ნეკროზი დამენო, მეორე დღეს ისევ მოსკოვში გავფრინდი.

— **სამშობლო არ გენატრებოდა?**

— მაშინ, ნოსტალგია რა იყო, არ ვიცოდი. ახლა ძალიან მიჭირს და 5 დღეზე მეტს ვეღარსად ვძლებ. თვითმფრინავი რომ დაეშვება და სამებას დავინახავ, ცრემლები თავისით მომდის. საქართველოს გარდა ვერსად ვიცხოვრებ. ჩემს ქვეყანაში ძალიან უნდა მანყენინონ, რომ აქედან წავიდე!

— **რომელმა ქვეყანამ გავაოცათ?**

— იაპონია და ჩინეთი რადიკალურად განსხვავებული ქვეყნებია. ისინი ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან. მე ისიც კი მოვახერხე, რომ ერთმანეთისგან ჩინელებს და იაპონელებსაც კი ვახსოვებ. ეს თვითონ ადამიანმა უნდა შეძლოს, თორემ გადმოცემა რთულია. იაპონიაში ბევრი რამე გაგოცებთ. პირველ რიგში, რამაც გამაკვირვა, ის იყო, რომ აეროპორტი დაპრესილი ნაგვისგანაა აშენებული და წყალში დგას. კიდევ რამ გამაკვირვა, იცით? უზარმაზარი საცობებია, მაგრამ ისეთი სიჩუმეა, როგორც ოთახში. გაღიზიანებულ ხმას ვერ გაიგებთ, მანქანებიც კი ჩუმად მოძრაობენ. სტუმარმასპინძლობა ხომ საოცარი იცინა! კონცერტზე რომ გავედი, შეგარძნება მქონდა, რომ დარბაზში მარტო ვიჯექი. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა.

— **თქვენს შემოქმედებასთან დაკავშირებით უცხოეთში რაიმე კურიაზი ხომ არ გახსენდებო?**

— ეს საზღვარგარეთ არ მომხდარა, მაგრამ უნდა მოგიყვებ. 1987 წელს თბილისის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გავხდი. სავალდებულო ნაწარმოები რევაზ ლალიძის „რონდო ტოკატო“ იყო, რომელსაც მეორე ტურში ყველა მონაწილე, უცხოელიც და ქართველიც, უკრავდა. გარდა იმისა, რომ ლაურეატი გავხდი, პრიზი საუკეთესო შესრულებისთვისაც ავიღე. ერთ დილასაც რადიოში ამ კონკურსის ჩანაწერს ვისმენდი. ვილაც ბავშვმა ლალიძის ნაწარმოების დაკვრა დაიწყო. შევწუხდი, კატასტროფულად უკრავდა. რა უბედურებაა, როგორ შეიძლება პატარა ბავშვს ამ ნაწარმოებს რომ აძლევინ-მეთქი, გავიფიქრე. ცოტა ხანში გამოაცხადეს, ეს ნაწარმოები საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, ვალერიან შიუკაშვილმა შეგისრულათო.

— **მიგზაურობის დროს პუნქტუალური ხართ?**

— ბრილიანტები, ოქროული და საერთოდ საიუველირო ნაწარმი ძალიან მიყვარს, განსხვავებულ ნაკეთობებზე ვკრძალობ. ამსტერდამიდან საქართველოში მოვფრინავდი, აეროპორტის მალაზიაში ოქროულობის დათვალეირებას შეყვევი, რეისზე დავიგვი-

ანე და დავრჩი.

— **გიყვართ უცხოეთში შობიანი?**

— სუნამოების კოლექციონერი გახლავართ. როგორც კი საზღვარგარეთ ჰონორარს ავიღებ, რაც ახალი სუნამოა გამოსული, ყველაფერს ვყიდულობ. სუნამოები როგორ მიყვარს, ყველამ იცის და თუ დაბადების დღეზე 3-4 ცალი ერთნაირი მაჩუქეს, იმ შემთხვევაში შემიძლია რომელიმე გავაჩუქო. ამ მხრივ ძუნწი არ ვარ.

— **სამოსის მადანებს არ სტუმრობთ?**

— ეს საქმე ადრე უფრო მაინტერესებდა, ახლა უკვე — ნაკლებად. ხან ისე გბრუნდები, რომ საერთოდ არანაირ სამოსს არ ვყიდუ-



სტამბულში

ლობ და ხან სპეციალურად გავდივარ და ძალიან ბევრ ტანსაცმელს ვიძენ. სუვენირების ყიდვა რატომაც არ მიყვარს.

— **ალბათ მუსიკალური ინსტრუმენტებიც გაინტერესებთ.**

— თუ ბავშვების ინსტრუმენტებისთვის რალაც დეტალი მჭირდება, აუცილებლად მივდივარ დიდ სავაჭრო ცენტრში, სადაც უამრავ საჭირო ნივთს ვყიდულობ. სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ ჩემს როიალზე დეკა გამებზარა და დაზიანებულ ინსტრუმენტზე

„ხშირად მესმობა, თვითმფრინავის საქმელი მიყავსხო, მე კი შიშისგან საქმელსაც ვეხ ვჭამდი. ახლა ნენ-ნენა შიში მომეხსნა“.

მუშაობა მიწევს, მაგრამ ვერავის ვერაფერს მოვთხოვ, უბრალოდ, სირცხვილია. სადამდეც გაუძლებს, დავუკრავ და მერე რამეს ვიღონებ.

საზღვარგარეთ მუსიკალურ მალაზიებში სიარული ძალიან მიყვარს. იაპონიაში „კავაის“ ფირმის როიალის ფაბრიკაშიც გახლდით, სადაც მასტერკლასები ჩავატარე, თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ როიალი. ამ როიალს ვერანზე ძალიან ხშირად აჩვენებენ, პლატინისა და ბროლისგან შედგება. მერგო პატივი, მიმიწვიეს და 89-ე პიანისტი ვიყავი, ვინც ამ როიალზე დაუკრა. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე ლამაზი ქალებიც იაპონიაში ვნახე. არც ესპანელებს ჰყავთ ცუდი

ქალები. ქალს როდესაც შარმი აქვს, ის უკვე ლამაზია. ქალი ყველგან ლამაზია, თუ ის საკუთარ თავს ქალად თვლის.

— **საზღვარგარეთ თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ხანდახან მაქვს ბედნიერება და თავისუფალი დროც მრჩება. მეგობარი თითქმის ყველა ქვეყანაში მყავს. თუ არავინ მყავს, სულ საქართველოში მინდა. მქონია კიდევ შემთხვევა, ზედმეტი 2 დღე დამრჩენია, მაგრამ ვერ გაჩერებულვარ და ჩემს ქვეყანაში გამოვქცეულვარ. როცა მარტო ხარ, უცნობმა ქალაქმა შეიძლება 1-2 დღე გაგიტაცოს და იბოდილო, მაგრამ მეტს ვერ გავჩერდები.

— **უცნობ ქალაქში გზის გაგნება არ გიჭირთ?**

— ფანტასტიკური ორიენტაცია და მეხსიერება მაქვს. წლების წინ სადაც ვარ ნამყოფი, ის ტერიტორიები დღემდე მახსოვს და რომ დამჭირდეს, ყველაფერს მივაგნებ. მერვე კლასში რა ნაწარმოებებიც მაქვს დაკრული და მას შემდეგ შეხება არ მქონია, შემიძლია დავვდე და დაგიკრათ. ტელეფონის ნომრებს ერთი აკრეფით ვიმასსოვრებ. სახელებისა და გვარების დამასსოვრების პრობლემა კი მაქვს.

— **არსებობს ქვეყანა, სადაც ყოველთვის სიამოვნებით მოდისართ?**

— კი, როგორ არა, გერმანია. ფრანკფურტში წასვლა ყოველთვის მიყვარს. ჩემი მეგობარი მანანა თანდაშვილი იქ გოეთეს ინსტიტუტის ლექტორია. მასთან სტუმრობა საოცრად მიყვარს და ძალიან ხშირადაც ჩავდივარ. ამ ადამიანს იქ თავისი ლიტერატურული სალონი აქვს, სადაც ხელოვნების მოყვარულები ხშირად იკრიბებიან. ამ სალონის ისეთი ქართველებიც სტუმრობენ, რომლებიც საქართველოს ყოველთვის ძალიან ეხმარებიან. გერმანელებს ბავშვობიდან ვერ ვიტანდი, კომუნისტების პერიოდს შევესწარი და მათზე სხვა წარმოდგენები მქონდა, მაგრამ თავი შემაყვარდა. პირველად ძალიან ცუდი შეგრძნებებიც კი ჩავედი, თუმცა მალე მივხვდი, რომ არ არის ცუდი სახლი. იქ ერთხელ ახალ წელსაც კი შევხვდი.

— **როგორი ახალი წელი იცნა გერმანიაში?**

— რალაც საიუფეთი იყო. მასსოვს, იმდენი სალუტი გაუშვეს, მეორე მხრეს ვერაფერს ვხედავდი. მთელ ქალაქში ისეთი ბული დადგა, აღარაფერი ჩანდა.

— **უცხო კრიტიკის დაგემოსება გიყვართ?**

— ჩინური სამზარეულო გამორჩეულად მიყვარს, ოღონდ, საქართველოში რომ ამზადებენ, ის კი არა, ნამდვილ ჩინურ სამზარეულოზე ვამბობ. ხვლიკის და გველის დაგემოსება არ შემიძლია, მიუხედავად იმისა, რომ სადაც ჩავდივარ იქაური ტრადიციული კერძები უფრო მაინტერესებს. ყოველთვის ისე ხდება, რომ საქართველოდან გამზადებული საქმელი რალაც მაინც მიმაქვს, თუ არ მიმაქვს, ქართველები ყველგან არიან და არაფერს მომანატრებენ. ინდოეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ მათ სამზარეულოზე ვგოუდებ. თანამედროვე ინდოეთში ჩასვლა ჩემი ოცნებაა. ფრანკფურტიდან ინდური სახელებლები ჩამომაქვს და ინდური სამზარეულოდან რალაც-რალაცებს ვამზადებ. როცა „არტ-იმედი“ არსებობდა, თითოეულ წევრს ემეხსოვრება, როგორ ტორტებს ვაცხოვობდი.

✓ სოფიო პოპოროძე

ტოლედო — მოგზაურობა შუა საუკუნეების ესპანეთში

ესპანეთისა და მისი კულტურის სიმბოლოდ ქვეყნის ქალაქი ტოლედო კასტილია ლა მანჩას ავტონომიურ რეგიონში, მადრიდიდან სამხრეთით, 70 კილომეტრში მდებარეობს. ქალაქი, რომელიც მდინარე ტახოს მარჯვენა სანაპიროზეა გაშენებული, ტოლედოს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი და მისი დედაქალაქია. ასობით ისტორიული ძეგლის წყალობით, 1986 წელს იუნესკო-მ ტოლედო მსოფლიო საგანძურთა სიაში შეიტანა.

მცხე ხამ ისკოიიდან

უძველესი დროიდან ქალაქი დასახლებული იყო იბერიელი ტომებით — კარპეტანებით. ძვ.წ.ალ-ის მე-2 საუკუნეში კი ის რომმა დაიპყრო. მე-6 საუკუნის შუა წლებიდან ვესტგუთების სამეფოს დედაქალაქი იყო. 711 წელს ტოლედო არაბებმა აიღეს. სამი საუკუნის შემდეგ ალფონსო მეექვსე მამაცმა ქალაქი არაბებს წაართვა და ტოლედო კასტილიისა და ლეონის სამეფოს, ხოლო 1479-1561 წლებში გაერთიანებული ესპანეთის დედაქალაქი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტოლედოში არაერთხელ შეიცვალა მმართველობა, საუკუნეების განმავლობაში აქ კვლავაც ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობდა ქრისტიანული, მაგრიტანული და ებრაული კულტურა.

კლიმატი

ტოლედოსათვის ზომიერი კლიმატია დამახასიათებელი. ქალაქში ცხელი ზაფხული და წვიმიანი ზამთარი იცის. მიუხედავად ამისა, იანვარში საშუალო ტემპერატურა 8-12 გრადუსამდე მერყეობს, ხოლო ივლისში 28 გრადუსამდე აღის.

ტოლედოში თოვლი იშვიათად მოდის. ყველაზე ცხელი თვე აგვისტოა. გირჩევთ, ქალაქს ზაფხულზე ან ზაფხულში ეწვიოთ, ამ პერიოდში ყოველთვის ნათელი და კაშკაშა დღეებია.

ენა

ტოლედოს ოფიციალური ენა ესპანურია. გარდა ამისა, მოსახლეობა კატალონიურს, ბასკურსა და გალიციურსაც იყენებს. ქალაქის ქუჩებში შესაძლებელია არაბულად, თურქულად და სხვა აზიურ ენებზე ლაპარაკიც გაიგონოთ.

მაღაზიებში, რესტორნებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე მომსახურე პერსონალი მუშაობს. ჩვეულებრივი ადგილობრივის, მათ შორის ახალგაზრდა თაობისგანაც კი, ინგლისურად საუბარს ნუ მოითხოვთ.

ფული

ტოლედოს, ისევე როგორც მთელი ესპანეთის, ოფიციალური ვალუტა ევროა. 2002 წლამდე მიმოქცევაში ესპანური პესეტა იყო. გაითვალისწინეთ — ტურისტულ სეზონზე ფასები საგრძნობლად იზრდება!

გირჩევთ, ვალუტის გადასაცვლელად ბანკებს მიავითხოთ, რადგან მაღაზიებში, სასტუმროებსა და გადასაცვლელ ჯისურებში დაბალი კურსია და ისიც თავისუფლად შეიძლება, ყალბი ფულიც შემოგაპარონ.

გადაადგილება

ტოლედოს საკუთარი აეროპორტი არ გააჩნია და მადრიდის ბარახასის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ემსახურება, რომელიც ქალაქიდან დაახლოებით 75 კილომეტრში მდებარეობს. აეროპორტიდან ტოლედოს მიმართულებით ყოველ ნახევარსაათში გადიან ავტობუსები, დანიშნულების ადგილამდე ერთ საათში ჩახვალთ.

გაცილებით კომფორტული და სწრაფია თანამედროვე მატარებლით მგზავრობა, რომლის ბილეთის ფასი 12-21 ევრომდე მერყეობს.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ტოლედოში მოხვედრას ავტობუსით, მატარებლით ან სულაც მანქანით შეძლებთ. შიდა გადაადგილებისათვის ავტობუსი ყველაზე მოსახერხებელია. ბილეთი 1 ევრო ღირს. თუ ერთთვიანი ბარათს შეიძინებთ, ნახევარ ფასს იმგზავრებთ. ქალაქში ღამით მგზავრობას ე.წ. ღამის ავტობუსებით შეძლებთ, რომელიც 20 წუთიანი ინტერვალებით დადიან.

გაითვალისწინეთ, რომ ტოლედოში ველოსიპედით სიარული სახიფათოა, რადგან ამ ტრანსპორტისათვის შესაბამისი გზები არ არსებობს.

სამზახელი

ესპანური სამზარეულო თავიდან ბოლომდე ჯანსაღ კვებასთან ასოცირდება. ესპანელები წინა დღეს მომზადებულ საჭმელს არასოდეს მიირთმევენ. ნაციონალური კერძების უმრავლესობა ზღვის პროდუქტებითა და ბოსტნეულითაა მომზადებული. ცნობილია პომიდვრის ცივი წვნიანი გასპანო. ქაშაყი შავი ზრინჯით კი ტურისტების საყვარელი კერძია. არ გაგიკვირდეთ, როდესაც თევზსა და ღორის ხორცს სანებელთან ერთად ერთი და იმავე თევზით მოგართმევენ. ქალაქელებისათვის ეს საყვარელი კერძია და მას მარ ი მუნტანიას უწოდებენ.

ადგილობრივები ნებისმიერ კერძს ზეითუნის ზეთზე ამზადებენ. ბოლო დროს ზღვის პროდუქტების შემდეგ ხორცი ყველაზე პოპულარული გახდა. ხორცეულით მომზადებული საჭმელებიდან აღსანიშნავია ღორის, ქათმის ხორცისა და ბოსტნეული-საგან გაკეთებული ესკვედელა კარნ ილა.

ესპანელები რძის პროდუქტებს იშვიათად მიირთმევენ. სასმელებს შორის კი ყავა ყველაზე პოპულარულია, თან იმდენად, რომ ჩნის მოყვარულების მოთხოვნა რესტორნებ-

სა და კაფეებში შეიძლება ვერც კი დააკმაყოფილონ. ადგილობრივებს ძალიან უყვართ ტკბილეული და, როგორც თავად ამბობენ, ნამცხვრების საიდუმლო რეცეპტები აქვთ. ამაში მათ მიერ მომზადებული ნუგბარის გასინჯვა დაგარწმუნებთ.

დაბოლოს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი ესპანური ღვინო!

ლიხსმესანიშნაობები

ტოლედოს ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ძველი ქუჩები შუა საუკუნეებში გადაგისვრით. ციხესიმაგრეებსა და ხიდებს ახლაც აქვთ შემორჩენილი ძველებური ხიბლი. ერთი სიტყვით, ტოლედო არ არის ტიპური ევროპული ქალაქი. რკინიგზის სადგურის შენობაც კი აღმოსავლური სტილითაა აგებული. აქ შემორჩენილია რომაული ცირკის ნანგრევები.

დღეს ტოლედოს ცენტრში ასზე მეტი კულტურული ძეგლია განთავსებული. ყველაზე შთამბეჭდავ შუასაუკუნოვან ნაგებობებს წარმოადგენს მდინარე ტახოზე გადებული ორი ხიდი, რომელთაგანაც ერთი (სან-მარტინი) ქალაქის აღმოსავლეთითაა აგებული, ხოლო მეორე (ალკანტარა) დასავლეთით. შეუძლებელია, მნახველმა გვერდი აუაროს უფერტა ნუევა დე ბისაგრას — უზარმაზარ კარიბჭეს, რომელიც ძველ გალავნიან ქალაქს იცავდა.

საკმაოდ შორიდან შეიძლება დაინახოთ ორი ნაგებობა. პირველი ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე მართუთხა ფორმის მასიური ციხესიმაგრე ალკაზარია. საუკუნეების განმავლობაში ის წარმოადგენდა რომის მმართველის რეზიდენციას, ვესტგუთ მონარქთა სასახლეს, არაბთა ციხესიმაგრესა და ესპანეთის მეფეთა რეზიდენციას. ამჟამად აქ სამხედრო მუზეუმი და დიდი ბიბლიოთეკაა განთავსებული. მეორე ნაგებობა ტოლედოს ცენტრში აღმართული უზარმაზარი გოთიკური ტაძარია.

სწორედ ტოლედოში მდებარეობს ელ გრეკოს სახლ-მუზეუმი. ებრაელთა ძველ უბანში, სადაც ის ცხოვრობდა, ახლა გახსნილია მუზეუმი, რომელშიც ელ გრეკოს რამდენიმე ევრნერული ტილოა გამოფენილი.

მე-10 საუკუნეში აგებული მეჩეთი სანტო-კრისტო დე ლა ლუსი ქალაქის იმ ნაწილში მდებარეობს, რომელსაც მედინა ეწოდება. აქ ძველად მდიდარი მუსლიმები ცხოვრობდნენ.

უსაფრთხოების ნესები

კრიმინალური თვალსაზრისით, ტოლედო უსაფრთხო ქალაქია, მაგრამ ტურისტულ სეზონზე ძარცვის შემთხვევები მატულობს. სიფრთხილის გამოჩნა ნებისმიერ ხალხმრავალ ადგილზე გამართებთ.

ქალაქის ქუჩები ლაბინენტის წააგავს, ამიტომ ადვილად შესაძლებელია, დაიკარგოთ, მაგრამ ადგილობრივი პოლიციის იმედი ყოველთვის შეიძლება გაქონდეთ.

უბის ნიგნაუი

ქვეყანა — ესპანეთი;
ქალაქი — ტოლედო;
მოსახლეობა — 78 618;
ვალუტა — ევრო.

✓ მოაზრება თათის ბოჭორისძე



ტოლედო

ორჯერ ხელიდან გაუჩინილი სიყვარული

„მის ცოლს ასეთ სიბოროტეს ვერ გავუკეთებდი...“



იყო. მის გვერდით თავს მსუბუქად და თავისუფლად ვგრძნობდი. მას ნამდვილად შეეძლო გოგოს გაბედნიერება.

დაცილებილით ერთმანეთს, ვიდრე შემიძებოდა დაგეგნაო.

— გეტანხმებით, ალბათ ასე ჯობდა, მაგრამ ამ ურთიერთობისგან საშინელი ტრავმა მივიღე. რომ დავინახე, შეყვარებულს ცოლად აღარ ვუნდოდი და მხოლოდ სქესობრივი კავშირით ვმაცხოვრებოდა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და დავშორდი. ეს ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა — მასთან ყოველი ურთიერთობა უკვე ტანჯვად მექცა, ასე ცხოვრებას ველარ გავაგრძელებდი.

ცხოვრება რთულია, მაგრამ მის ნარმართვაში არსებითი მაინც ჩვენი როლია. ზოგჯერ კარს მომდგარ ბედნიერებაზე თავადვე ვამბობთ უარს სხვადასხვა მიზეზით, მერე კი ვნანობთ, საკუთარ თავს შეცდომას ვერ ვპატიობთ. ჩვენი რესპონდენტი, შუახნის სიმპათიური ქალბატონი თათული, ორჯერ იდგა საბედისწერო არჩევანის პირისპირ. იყო თუ არა მაშინ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეცდომა, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვიჩნდება.

თათული:

— უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ზურა რომ გავიცანი. ჩემი თანაკურსელის მეგობარი იყო და ბანკეტზე ახლდა. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კონტაქტური ვიყავი და იოლად ვამყარებდი ურთიერთობებს, მაგრამ ზურასთან სხვაგვარად მოხდა — იმ საღამოსვე გამოვჩნხე საერთო ენა, უცებ, რამდენიმე საათში, ისე დავახლოვდით, თითქოს მთელი ცხოვრება ვიცნობდით ერთმანეთს. ალბათ იმიტომ, რომ თავად იყო ლალი, გახსნილი და კომუნიკაბელური. შეიძლება ამას სხვა ფაქტორიც განაპირობებდა: ერთ ჩემს კურსელს, ვაკოს მოვწონდი. ძალიან თავდაჯერებული, ეგოისტი და, ცოტა არ იყოს, უტიფარი ბიჭი გახლდათ. იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც ერთად ვსწავლობდით, ვერაფრით შევასმინე, რომ ის ჩემთვის მხოლოდ ამხანაგი იყო და მეტი არაფერი. ჩამომავალი ყველა ბიჭი, ვისაც კი ჩემთან დაახლოების სურვილი გაუჩნდებოდა. არადა საამისო საბაზი არ მიმიცია. ჩვენს ბანკეტზე კი ბედად გამოჩნდა ზურა, სიტუაციას უთქმელად მიხვდა და ყველა „პარტი“ ჩემ სასარგებლოდ დამიღგა.

— ანუ ვაკო ჩამოგავსო?

— გააკეთა ის, რასაც ვერავინ ბედავდა. ვაკოსთან ისე მომიგვარა საქმე, არც კი დალაპარაკებია. ზურა ძალიან ძლიერი, ქარიზმატული ბიჭი გახლდათ. ვაკომ ვერაფერი გაუბედა. ალბათ იგრძნო, რომ მასზე ბევრად ძლიერი იყო.

— ბანკეტის შემდეგ ზურასთან ურთიერთობა გააგრძელებო?

— ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. ზურა ყველასთან ურთიერთობაში თვითონ მართავდა სიტუაციას, ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა (თუმცა ვერ ვიტყვი, რომ იოლად დასაყოლიებელი ან საშარბო ვარ). ურთიერთობა იქით წაიყვანა, რომ შემყვარებოდა.

— მასაც უყვარდით?

— ახლანდელი გადმოსახედიდან ვთვლი, რომ ეს მისი მხრიდან მხოლოდ ინტერესი იყო, აინტერესებდა ჩემი ნატურა, ჩემი სამყარო, რომელიც არაფრით ჰგავდა სხვებისას. საერთოდ ძალიან გულწრფელი ბიჭი

— არათ გვერდს ამ ბედნიერებაში?

— ვფიქრობ, შეცდომა დავუშვი, გრძობას ძალიან მივედე. მიჭირს ამის აღიარება... მანამდე არავინ მყვარებია, ბიჭთან ახლო ურთიერთობაში გამოცდილება არ მქონდა. ასე მეგონა, მე და ზურა ერთმანეთისთვის ვიყავით გაჩენილი და ვერაფერი დავაგაშორებდა. თითქმის დანიშნულები ვიყავით, თავისი მშობლები გამაცნო, ჩემებსაც წარვუდგინე. წინააღმდეგი არავინ იყო, მხოლოდ მამაჩემმა მითხრა, ეგებ ჯობდეს, ქორწინება არ იჩქაროთ, ჯერ კარგად გავიცნოთ ერთმანეთი. მოეჩვენა, რომ ყველაფერი ძალიან სწრაფად ვითარდებოდა და ამ საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადასადგმელად დრო და გამოცდილება იყო საჭირო.

— მამის აზრი გათვალისწინეთ და ამან დაგაბრკოლა?

— მე და ზურა თითქმის შეთანხმებული ვიყავით, ჯვრისწერა როდის გვექონოდა. ვფიქრობდი, რომ მისი პიროვნების შესაცნობად დრო არ მჭირდებოდა, მაგრამ მამაჩემი თავისებური კაცი იყო, ადამიანების ამოჩემა იცოდა — უცებ შეყვარებაც შეეძლო და შეძლებაც. ჩემი დის ქმარს ვერ იტანდა და არ მინდოდა, ზურასთვისაც ცუდად შეეხედა, ამიტომ მისი აზრი გავითვალისწინე და შეყვარებულს ქორწინების თარიღი სამი თვით გადავტანინე.

— ასეთი შეუკავშირებელი ბიჭი ადვილად დაგთანხმდა?

— ამაზე კი დავითანხმე, მაგრამ... ჩვენი ურთიერთობა უკვე შორს იყო წასული. მოსახდენი მაინც მოხდა. მერე სიტუაცია შეიცვალა. ვფიქრობ, მამის გამო არ უნდა დამებრკოლებინა.

— ანუ ინტიმური კავშირის შემდეგ თქვენი ურთიერთობა დაინდგა?

— ზურამ იმ სამი თვის განმავლობაში თანდათანობით ჩემ მიმართ ინტერესი დაკარგა. უზომოდ მიყვარდა და რაც შემეძლო, ყველაფერს ვაძლევდი. უბრალოდ მან ჩათვალა, რომ ყოველმხრივ შემისწავლა და ჩემთან ურთიერთობის იმ ფაზაზე გადასვლა, რასაც ცოლქმრობა ჰქვია, საჭირო აღარ იყო.

— ამთ დადასტურა, რომ ის გრძობდა მისი მხრიდან სიყვარული არ იყო. ვფიქრობ, ხანსებულად არ უნდა გქონდეთ, რომ არ დაქირაწინდით. ალბათ ჯობდა კიდევ თავის დროზე

„ხუჩამ იმ სამი თვის განმავლობაში თანდათანობით ჩემ მიმართ ინტერესი დაკარგა. უზომოდ მიყვარდა და რაც შემეძლო, ყველაფერს ვაძლევდი. უბრალოდ მან ჩათვალა, რომ ყოველმხრივ შემისწავლა და ჩემთან ურთიერთობის იმ ფაზაზე გადასვლა, რასაც ცოლქმრობა ჰქვია, საჭირო აღარ იყო.“

საბედისწეროდაც გვექცეს. ჩემს შემთხვევაში ასე მოხდა.

— სხვა მამაკაცთან ურთიერთობის აწყობაზე, ახალი სიყვარულზე უარი თქვით?

— ახალი სიყვარულის მიღება ძალიან გამიჭირდა, ვინაიდან ბიჭი, რომელიც სიყვარულში გამომიტყდა, ზურას ძმაც იყო.

— დაწერილით მოგვიყვით ეს ამბავი.

— ზურას უნდოდა, ირაკლი მეჯვარედ წამოეყვანა ჩვენს ქორწილში, იმდენად ახლობლობდნენ. ბუნებრივია, ირაკლის მეც კარგად ვიცნობდი. ერთმანეთს საერთო წრეში ვხვდებოდით. როგორც ჩანს, ჩემ მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მეგობრის გამო გრძობას გულში იკლავდა. ზურას რომ დავშორდი, სამ თვეში დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. სურდა, გაერკვია, რატომ დავშორდი.

— ამას თავისი ძმაცაც ვერ ვაარკვევდა?

— მაგიტომაც არ შეხვდით. შემდეგ კიდევ

რამდენჯერმე დამირეკა, მაგრამ ავირიდე. მაშინ საკუთარ თავში ძალიან ჩავიკეტე, არავის დანახვა მინდოდა, მით უმეტეს, ზურას ძმაცაცის. მდგომარეობიდან რომ გამოვედი, ისე, რომ საზოგადოებრივ წრეში გამოჩენა შემეძლო, მეგობრებთან ერთად ქალაქში გავედი. იქ შემთხვევით შევხვდი ირაკლის. მართალი გითხრათ, მისმა დანახვამ ზურასთან დაკავშირებული უსიამოვნებანი გამახსენა და ძალიან დამთრგუნა, ამიტომ მასთან დალაპარაკების სურვილი არ გამჩენია. მისვლა და თავი მომარიდა... მერე შევიტყვე, რომ ზურას სხვა შეყვარებული გაუჩენია. ქალურმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და ირაკლის თავად დავურეკე, შესვედრა დავუთქვი, რომ ზურას ამბები გამეგო. მასთან საუბრისას კი, გალიანების ნაცვლად, უცნაურ შევება ვიგრძენი.

- **ირაკლის სხვა თვალთ შეხვედრები?**
- ირაკლი საოცრად მშვიდი პიროვნება იყო. თანაც ზურას ახალ სიყვარულზე საუბარი სრულიად ამართლებდა ჩემს განწყობილებას დამორებისთან დაკავშირებით და ალბათ შინაგანად სწორედ ეს მინდოდა. მაშინ ზურა ჯერ კიდევ მიყვარდა და მის გამო ვიტანჯებოდი. მერე ისე აენყო, რომ ირაკლის რამდენჯერმე შეხვედი მეგობრულად. მასთან თავს თითქოს საიმედოდ და დაცულად ვგრძნობდი — ზურას შემდეგ ეს განცდა არავის მიმართ მქონია. ირაკლის ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ნუგეშისცემა კი ნამდვილად შეეძლო. მასთან ბევრს არც მე ვლაპარაკობდი. ვგრძნობდი, რომ უსიტყვოდ მიგებდა.
- **თქვენ ურთიერთობა განვითარდა?**
- ვმეგობრობდით მანამ, სანამ სიყვარულში არ გამომიტყდა.
- **მისი სიყვარული არ მიაღწია?**
- ირაკლი დინჯი, ჭკვიანი და საიმედო ბიჭი გახლდათ. შეიძლება მის გვერდით ბედნიერად მეგრძნო თავი, მაგრამ რატომღაც არ ვენდე — ალბათ იმიტომ, რომ ზურას მეგობარი იყო. ვიფიქრე, ალბათ იცის, ჩემსა და ზურას შორის რაც მოხდა

და მასაც იგივე ზრახვა ამოძრავებს-მეთქი. არადა ირაკლის ჩემთან ურთიერთობაში არაფერი შეშლია, თითქმის არ დაუკარებია, უხამსი სიტყვაც კი არ ნამოსცდენია.

— **მასთან ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?**

— მეგობრობაში თავს უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობდი. ჩემთან სახლშიც მოდიოდა. მართალი გითხრათ, მამაჩემს ის უფრო მოსწონდა, ვიდრე ზურა. ამბობდა, სერიოზული ყმაწვილი ჩანს და მისი ნდობა შეიძლება, მაგრამ რაკილა ჩემი ყოფილი შეყვარებულის ძმაცაც იყო, მეგობრულის გარდა სხვა ურთიერთობისკენ არ მიბიძგებდა. მაინც მგონია, მე და ირაკლის შეუღლება რომ გადაგვეწყვიტა, მამა ამ ნაბიჯს მიესალმებოდა.

- **ირაკლიც დახვედრდა თქვენთან მეგობრობას?**
- პირველ ხანებში ამყვამ, მაგრამ მერე ძალიან გაუჭირდა, გულწრფელად ვუყვარდი.
- **ზურამ ამის შესახებ იცოდა?**
- ზურამ კი არა, ეს არავინ იცოდა ჩემ გარდა. მე რომ თანხმობა მიმეცა, არ ვიცი, როგორ განვიტანდებოდა მოვლენები, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცი. მაშინ მეგონა, რომ ჯერ კიდევ ზურა მიყვარდა, არადა თურმე საქმე სხვაგვარად იყო — ირაკლი მყვარებია.
- **ამას როდის მისხვდით?**
- ირაკლი რომ დავკარგე, მაშინ. რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთში წავიდა საცხოვრებლად და მერე იქაური ქალი შეირთო ცოლად. მასთან ერთად ბიზნესი წამოიწყო, შვილებიც შეეძინათ. ძალიან მენატებოდა და ვიტანჯებოდი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვდარდობდი. ალბათ ჩემი განცდა იგრძნო, ჩამოვიდა და მნახა. ძალიან თბილად შეხვდა, თავი ვერ მოვთოკე, მთელი ჩემი განცდა და მონატრება ერთბაშად ამოვანთხე. მაშინ მითხრა, ვერაფრით გივინყებ, თუ ცოლად გამომყვები, ყველაფერს მივატოვებ და თბილისში შენთან ერთად

- ახალ ცხოვრებას შევეჭიდებო.
- **უარი უთხარით?**
- ჩემს თავს იმის უფლება ვერ მივეცი, ცოლისთვის ქმარი წაშორებოდა და შვილებსთვის — მამა. ვუთხარი, მეგობრებად დავრჩეთ-მეთქი. რუსეთში რომ დაბრუნდა, მერე დაგვიხარე, რა შანსი გავუშვი ხელიდან და რამხელა ძალისხმევის ფასად. ვგრძნობდი, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო. რამდენიმე ხანს როგორღაც გავტყე და მერე დავურეკე, მინდოდა მეთქვა, რომ არანორმალურად მენატრებოდა, ძალიან მაკლდა და მასთან ერთად ახალი ცხოვრების დაწყება მსურდა, მაგრამ...
- **რამ შეგიშალათ სულა?**
- რომ დავურეკე, გაბზარული ხმა მქონდა. ვითხე, ხომ მშვიდობა გაქვს-მეთქი. აღმოჩნდა, რომ მისი ცოლი შეუძლოდ იყო და ვერასოდეს გამოჯანმრთელდებოდა. ძალიან განვიცადე და ველარ ვუთხარი ის, რაც ჩაფიქრებული მქონდა... საბრალო ქალს ასეთ სიბოროტეს ვერ გავუყვებოდი. არც ის ვიცი, შეძლებდა თუ არა ირაკლი ამ მდგომარეობაში ცოლის მიტოვებას.
- **მას შემდეგ ალბათ წლები გავიდა. ახლა რა მდგომარეობა გაქვთ?**
- მისი ცოლის ჯანმრთელობა მეტნაკლებად დასტაბილურდა, მაგრამ მუდმივ მკურნალობას საჭიროებს. ჩემს ხვედრს შევეგუე, მომავალზე აღარც ვფიქრობ. შევებას ჩემს საყვარელ საქმიანობაში და დისშვილების მოვლაში ვპოულობ.
- **თქვენმა პირველმა შეყვარებულმა, ზურამ, ცხოვრება ააწყო?**
- ორი წლის წინ დამირეკა, ეტყობა, მარტო იყო და ურთიერთობის განახლება სცადა, მაინც კენჭად ხარ და რას კარგავო. კინაღამ გავგიჟდი!.. როგორც ჩანს, პიროვნული სიძლიერის მიუხედავად, ცხოვრებამ მასზეც იქონია ზეგავლენა, შეცვალა. ეს ის ზურა აღარ იყო, ადრე ამას არაფრით მეტყვოდა. ჩემთან დარეკვა აუკრძალე... როგორც გავიგე, ახლახან ცოლი მოიყვანა. არ ვიცი, ის ქალი ვინ არის და არც მაინტერესებს.

✓ ნანა კობახიძე

ძროკი და დღილობას მართი რაჟიმი გააქრობს

ყურადღების კონცენტრაციის პრობლემა, მესხიერების დაქვეითება, ძილის დარღვევა, კუნთში ტკივილი — ქრონიკული გადაღლის ტიპური ნიშნებია. ექიმები გვაფრთხილებენ: ხანგრძლივი გადატვირთვის პირობებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი იზრდება, ნერვული და იმუნური სისტემები იტანჯება. ჯანმრთელობას ზიანი რომ არ მიყენოთ, სპეციალისტთა რჩევები გაითვალისწინეთ.

1. სამუშაო ძალა გონივრულად განაწილეთ. სამსახურში გვიანობამდე დარჩენა რომ არ მოგიწიოთ, სამუშაო დღე სწორად დაგეგმეთ და დასვენების დღეებში სამუშაო შინ არ წამოიღოთ. სტრესულ სიტუაციებს მსუბუქად მიუდგეთ. ბოლოს და ბოლოს ეს სამუშაო და არა მთელი ცხოვრება.

- 2. დასაძინებლად დროულად დაწე-ქით. დამტკიცებულია: ძილის უკმარისობა ტვინის შრომისუნარიანობას ამცირებს და ნევროლოგიური დაავადებების რისკს ზრდის. სრულად აღდგენისთვის ორგანიზმს 7-8 საათიანი ძილი ესაჭიროება.
- 3. ვიტამინური კომპლექსი მიიღეთ. ის არამხოლოდ აუცილებელი ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტს აღმოფხვრის, ასევე სტრესული დატვირთვის დროს ორგანიზმის გამძლეობას ამაღლებს, ნერვული სისტემის დარღვევებს თავიდან აგაცილებს.
- 4. რეგულარულად და სრულფასოვნად იკვებეთ. ხშირად ჭამეთ ხილი და ბოსტნეული, რძის მუყაუ პროდუქტები, მწვანელი, უცხიმო ხორცი და თევზი, თხილენი. მოერიდეთ ცხარე და ცხიმოვან საკვებს (ცხიმები უფრო ნელა გადამუშავდება, ვიდრე ნახშირწყლები, ამან შეიძლება თქვენი

- აქტივობა შეამციროს). მომატებული გონებრივი დატვირთვისა და სტრესის დროს, ორგანიზმს განსაკუთრებით ესაჭიროება **C, E** და **B** ჯგუფის ვიტამინები. პირველი პასუხისმგებელია იმუნოლოგი, მეორე — უჯრედების შესაძლებლობებსა და აღდგენაზე, ხოლო **B** ჯგუფის ვიტამინები — ნერვულ სისტემაზე.
- 5. ფიზიკური და გონებრივი სამუშაო შეანაცვლეთ. ერთი საათის მუშაობის შემდეგ ცოტა შეისვენეთ, რათა დაძაბული კუნთები გასწორდეს.
- 6. გადაღლას ხშირად იწვევს ფიზიკური აქტივობის უკმარისობა. სამუშაოს შემდეგ, რომელიც დიდ გონებრივ დაძაბვას ითხოვს, ძალიან სასარგებლოა მცირე ფიზიკური დატვირთვა: ორი გაჩერება ფეხით გაიარეთ, პარკში გაისეირნეთ.

✓ **მიაჩხადა აზა გავოშიძე**

ამირან ქორიძე: „უზვინო ქაჟის მინახავს და ქალი, მებრამ, საბოლოო ჯამში, ქალი გინს ჭკვიანი“



ამირან ქორიძე

ცნობილ გინეკოლოგს, პროფესორ ამირან ქორიძეს თამამად შეუძლია თქვას, რომ ქალს მართლაც კარგად იცნობს. მომსწრე, როგორ ხდება მასში გარდატეხა, როგორ ეცვლება გამომეტყველება, ხასიათი, როცა ახალდაბადებულ შვილს ხედავს. ქალი მშობიარობისას ყველაზე გულწრფელია, მაშინ მთლიანად ამჟღავნებს თავის ბუნებას. ამ დროს ზოგს მოფერება სჭირდება, ზოგს პირიქით — სიმკაცრის გამოჩენა.

რთულმა საქმემ ბატონ ამირანსაც რთული ხასიათი გამოუჩვენა. სწორედ ამიტომ მთავარი თვისება, რითაც მომავალმა მეუღლემ მოიხილა, თმინის უნარი გახლდათ. მისი მეორე ნახევარი, ტატიანა ქორიძე, პროფესიით ეკონომისტი, მაგრამ ისიც ქმრის გვერდით, კლინიკაში მუშაობს. ინტერვიუს ვწერდით, როცა ქალბატონი ტატიანა შემოვიდა და მეუღლეს თბილად შეახსენა, რომ სტომატოლოგთან იყვნენ ნასაცვლელი. ქმარიც ღიმილით დაეთანხმა. „პაციენტებთანაც ასეთი თბილი ხართ?“ — ვითხებ ბატონ ამირანს.

ამირან ქორიძე:

— რა ვიცი... მთელ თბილისში ხმები დადის, რომ უხეში ვარ, მაგრამ მახრალბენ... შეიძლება ადრე, ახალგაზრდობაში, მშობიარებებთან მკაცრი ვიყავი, მაგრამ ხანდახან ეს საჭიროც არის, მით უმეტეს — მაშინ, როცა ის ჭკუიდან ძალიან გადავა. მის მოჭკვიანებას აუცილებლად სიმკაცრე სჭირდება და ეს მეთოდს ჭრის კიდევ.

— ახლა სიმკაცრის გამოჩენა უფრო ნაკლებად გჭირდება?

— კი, ჯერ ერთი, ძირითადად საკეისრო ოპერაციები კეთდება. ვინც ფიზიოლოგიურად მშობიარობს, ესეც გაუტკივარებით ხდება, ალარ ნივიან და ალარ გიჟობენ, თან უფრო დამჯერებებიც არიან. ადრეც იყო ქალთა კონსულტაციები, სადაც ორსულების ფსიქო-

„მთელ თბილისში ხმები დადის, ხომ უხეში ვარ, მაგრამ მახრალბენ... შეიძლება ადრე, ახალგაზრდობაში, მშობიარებებთან მკაცრი ვიყავი, მაგრამ ხანდახან ეს საჭიროც არის, მით უმეტეს — მაშინ, როცა ის ჭკუიდან ძალიან გადავა. მის მოჭკვიანებას აუცილებლად სიმკაცრე სჭირდება და ეს მეთოდი ჭრის კიდევ.“

ლოგიურად მომზადება ხდებოდა, ახლა კი ეს ყოველივე გაცილებით მალალ დონეზეა. ინტერნეტი ბევრი ინფორმაციის გაგება შეუძლია მშობიარეს. რა არის პირველი, მეორე

პერიოდი, სამშობიარო ტკივილები, რა დროს რას უნდა ელოდოს, ყველაფერში გაცნობიერებულია და ამ ამბავს უფრო მომზადებული ხვდება.

— რატომ ვაზნარდა მშობიარე ქალების მოთხოვნა საკეისრო კვეთაზე?

— ზოგს უბრალოდ თავის შეწუხება არ უნდა, ზოგიც ფსიქოლოგიურად არ არის მომზადებული და ფიზიოლოგიური მშობიარობის ემინია. ისე, უბრალოდ საკეისროს არავინ იკეთებს. ქალი რადგან ითხოვს, მას შინაგანად ისეთი რალაც აქვს, რომელიც აიძულებს, რომ ფიზიოლოგიურად არ იმშობიაროს. ქალმა შეიძლება ვერ მითხრას, ოპერაციის გაკეთებას რატომ მთხოვს, მაგრამ მე ვამჩნევ, რომ შინაგანად აქვს რალაც, რაც ფიზიოლოგიური მშობიარობის საშუალებას არ აძლევს. ამ დროს თუ შევწინააღმდეგებ, შეიძლება ცუდადც დამთავრდეს. ზოგისგან ისიც კი მსმენია, დაორსულების დღიდან იმისთვის ვარ მზად, რომ შვილი ფიზიოლო-

„ძნელად ასახანი ობიექტი ვარ. ტატიანას კი მაშინვე შევატყუე კოქებში, ხომ დიდი მოთმინება ჰქონდა და ჩემს ატანას შეძლება.“

გიური მშობიარობით არ გავაჩინო და საკეისრო გავიკეთო. მოდი და, ასეთ დროს გეტყვოს ექიმი და ფიზიოლოგიური მშობიარობა დაგაძალოს, ხომ შეიძლება ფსიქოლოგიურად ვერ აიტანო და საქმე გაართულო? ადრე საკეისრო კვეთის ყველას ემინოდა, დღეს კი ეს ოპერაცია იმდენად უსაფრთხო გახდა, რომ უკვე პირიქითაა, ფიზიოლოგიური მშობიარობის ემინიათ. საკეისრო კვეთის რიცხვის ზრდა იმითაა გამოწვეული, რომ ბავშვს და დედაც გვიანა, მაქსიმალურად დაცული იყვნენ. 40 წლის ქალს ალარ უნდა, გარისკოს და ფიზიოლოგიურად იმშობიაროს. ადრე, როცა რუსეთიდან ვიღებდით დირექტივებს, ვიცოდი, რომ მეორე საკეისროს მერე საშვილოსნოს მიღები უნდა გადავანაწილო, მაგრამ ახლა მესამე, მეოთხე და მეხუთე საკეისროსაც ვაკეთებთ.

— ასაკით ყველაზე დიდი მშობიარე რამდენი წლის იყო?

— დაახლოებით 7-8 წლის წინ 50 წელს გადაცილებულმა ქალმა იმშობიარა, ოღონდ ხელოვნური განაყოფიერებით იყო დაფუძნებული. სამხედროების ოჯახი გახლდათ. შვილი გარდაეცვალათ, ისიც სამხედრო პირი ყოფილა. დედა შვილის გაჩენა მოინდომა და გააჩინა კიდევ.

— თქვენ ბევრ წყვილს ხვდებით. როგორია მათი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ?

— ადრე ახალგაზრდა წყვილები საკუთარ ოჯახებზე იყვნენ დამოკიდებული, მშობლები არჩენდნენ. ახლა თვითონ ირჩენენ თავს. მაგალითად, ქალი კარიერაზე უფროა გადართული, ვიდრე ოჯახზე. იციან, რომ გათხოვება და შვილის გაჩენა რიტმიდან დროებით მაინც ამოგადებთ. არსებობს დანესებულებები, სადაც დეკრეტში გასულ ქალს სამუდამოდ ათავისუფლებენ სამსახურიდან. დღესდღეობით კი სამსახურის შოვნა ცოტა რთულია. ამიტომ ქალები ოჯახს გვიან ქმნიან. კარიერის გამო ქალმა ჯერ ბავშვის გაჩენის რაოდენობა შეზღუდა, მერე მშობიარობის ასაკიც გადასწია. საზღვარგარეთაც ასეა.

შვილის გაჩენას 35-40 წლის ასაკში იწყებენ. — ამ ტენდენციას როგორ აფასებთ, კარგა თუ ცუდა?

— დადებითად ვერ შევფასებ, რადგან ასაკთან ერთად რისკებიც იზრდება. ყველაფერი თავის დროზე უნდა მოხდეს. შვილის გაჩენისთვის ყველაზე კარგი ასაკი 20-27 წელია. ახალგაზრდა მშობიარეები ადრე გაცილებით მეტი მყავდა, ვიდრე დღეს.

— მაშინ მოხარდა ორსულიც არავის უკვირდა. ალბათ თქვენც ვიცხადებ პატარა გოგონების მშობიარობა.

— ძალიან პატარა მშობიარე არცთუ ისე ხშირი მოვლენა იყო, თუმცა 14-15 წლის ბავშვები მეც ვამშობიარე. კომუნისტების დროს ასეთი პაციენტი რომ შემოდოდა, პროკურატურისთვის უნდა შეგვეტყობინებინა და საქმის ძიება იწყებოდა... არასრულწონევილ მშობიარობის რისკები მეტია, ამიტომ ყოველთვის საკეისრო კვეთა ხდება საჭირო. პატარა ასაკში შვილის გაჩენას არანაირი პლუსი არ აქვს. მათთვის დედობის გათავისება რთული ხდება, თუმცა ზოგს შეიძლება ეს გრძნობა 35 წლის ასაკშიც არ ჰქონდეს და 15 წლისას კი გათავისებული ჰქონდეს. ქართველები სულ სხვანაირი დედები არიან.

— თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ქართველი დედის ფენომენი?

— საზღვარგარეთ მშობლები შვილებს უფრო დამოუკიდებლობისკენ უბიძგებენ, აქ კი პირიქითაა. ყოველთვის მივიკრიდა, როცა საპენსიო ასაკის თანამშრომელს ვეკითხებოდი, პენსიაზე რატომ არ გადისარ-მეთქი და მპასუხობდა, როგორ გავიდე, ბავშვებს დახმარება უნდათო. ზოგის „ბავშვი“ 45 წლის

„ქალი სანამ იმშობიარებს, მის თვალს და სახეს სუც სხვა გამომეტყველება აქვს. ბავშვი დაიბადება თუ არა, სხვანაირი ხდება. მომსახეუ ჰეხსონარის მიმართაც კი განსაკუთრებულ სითბოს იჩენენ.“

იყო და ზოგის — 50-ის. ქართველი დედა შვილის დახმარებას ყოველთვის ცდილობს. სანამ დავოჯახდებოდი, რუსეთში საკმაოდ დიდხანს ვმუშაობდი. დედაშვილობა იქაც ნელთბილი იყო, ჩვენთან კი საკმაოდ მძაფრია.

— თქვენს სელში არაერთი თაობის ქალები გააბარა, დღევანდელ ახალგაზრდა ქალებში რა ცვლილებებს ამჩნევთ?

— კი, ქალი ძალიან შეიცვალა, უფრო ემანსიპირებული, ერუდირებული და საქმიანი გახდა. დღეს უკვე ისეა საქმე აწყობილი, რომ ოჯახში ნამყვანი როლი ქალს უჭირავს. ბევრი მამაკაცი არ მუშაობს და უმეტეს შემთხვევაში ოჯახის „პარაფოზი“ ქალია, თანაც — ახალგაზრდა, ქვეც იმიტომ, რომ 40 წლის შემდეგ არც ქალი და არც კაცი აღარავის სჭირდება. სადაც გაიხედავთ, ყველაგან თქვენნაირი, პატარა „გოგოშვილი“ მუშაობენ. ამას კი მივესალმები, მაგრამ იმ თაობის ჩამონერა არ შეიძლება. შეუძლებელია ახალგაზრდა ყველაფერი იცოდეს, გვერდში აუცილებლად სჭირდება ძველი თაობის წარმომადგენელი, რომლის გამოცდილებასაც გაითვალისწინებს. ახალგაზრდამ უნდა გააკეთოს საქმე, აბა, მე ახლა ვეღარც ბავშვს გავაკეთებ

და მალე ალბათ ვეღარც — საქმეს. გვერდში მეც ახალგაზრდები მყავს, რომლებსაც ჩემს საქმეს ვასწავლი.

— როგორია ქალი შრომობრიბადე და მას შექმდე?
— შრომობრიბის ტკივილებს ზოგი კარგად იტანს, ზოგიც — ცუდად. როცა პაციენტთან მუშაობა დიდხანს გინევს, ძალაუნებურად აკვირდები. ქალი სანამ იმშობიარებს, მის თვალებს და სახეს სულ სხვა გამომეტყველება აქვს. ბავშვი დაიბადება თუ არა, სხვანაირი ხდება. მომსახურე პერსონალის მიმართაც კი განსაკუთრებულ სიბოხს იჩენენ.

— როგორია უნდა იყოს ქალი, რომ მოგეწონოს?
— ყველაფერი კარგი უნდა ჰქონდეს. ლამაზი და, რაც მთავარია, ჭკვიანი უნდა იყოს. ზოგი ამბობს, ქალს ჭკუა არ აქვსო, მაგრამ სინამდვილეში მას იმდენი ჭკუა აქვს, ათ კაცს მაინც ეყოფა. უტვინო კაციც მინახავს და ქალიც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ქალი მაინც ჭკვიანია. მთავარია, ტვინი ნორმალურად გამოიყენოს, მაგრამ თუ სხვა მიმართულიებით „მოგრიხა“, მტრისას! თბილი, მეგობრული, მომხიბვლელი, ოჯახისა და შვილების მოყვარული უნდა იყოს. მამაკაცთან შედარებით ბევრად მეტი მოვალეობა აკისრია. ერთადერთი, რაც კაცს ავალბა, ისაა, სამსახურში წავიდეს და ოჯახი ფინანსურად უზრუნველყოს. დანარჩენი კი — შვილების აღზრდა, მათი ცნობიერების ჩამოყალიბება და სწორი მიმართულების მიცემა, ყველაფერი მანიფილსანხა დამოკიდებულია.

„უთადეხთი, ჩაც ვაცს ავალბა, ისაა, სამსახურში წავიდეს და ოჯახი ფინანსურად უზრუნველყოს. დანარჩენი კი — შვილების აღზრდა, მათი ცნობიერების ჩამოყალიბება და სწორი მიმართულების მიცემა, ყველაფერი მანიფილსანხა დამოკიდებულია.“

— მოგეცემათ, როგორ შენდით მომავალ მეუღლეს.
— რალა მასსოვს! ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩემი მეუღლე ტატიანა ქორიძე გახლავთ.

— მაშინ ის გვითხრობს, რით მოგხნობათ ამ ადამიანმა?
— ძნელად ასატანი ობიექტი ვარ. ტატიანას კი მაშინვე შევაცდებო, რომ დიდი მოთმინება ჰქონდა და ჩემს ატანას შეძლებდა.

— შეილება თქვენ გვიამბოთ.
— ქალ-ვაჟი მყავს, 35 წლის ლიანა და 26 წლის შაკო. მათ დაოჯახებაში არ ჩავერულებარ, მაინც არავინ შემეკითხებოდა. ჩემი მოუცლელობითაც ისარგებლეს და... ვთვლი, რომ ასეთ საკითხებში მშობლის ჩარევა უკვე ზედმეტია. ცხოვრების თანამგზავრის არჩევაში დედ-მამის ჩარევა კარგი არასოდეს მოუტანია.

— როგორ ანაწილებთ ოჯახისთვის დროს?
— სულაც არ ვანაწილებ, რადგან ოჯახისთვის დრო არასოდეს მქონია. მთელი ჩემი დრო სამსახურისთვისაა, ოჯახისთვის — ნაკლებად. ეს საქმე თავიდანვე ჩემს მეუღლეს ებარა. გაზარდა ბავშვები და გზაზეც დააყენა. ღვთის წყალობით, ძალიან კარგი შვილები მყავს.

— თქვენ ოჯახს ქალების მიმართ პატივისცემის როგორ გამოხატავთ?
— სიყვარულს შეძლებისდაგვარად გამოვხატავ. თუ მაქვს საშუალება — საჩუქრით, თუ არადა — ვეფერები. ეს უფრო იაფიც ჯდება.

— როგორია მამა ხართ?
— ეს ალბათ ჩემმა შვილებმა უნდა თქვან. ჩემს თავს კარგ მამას ვერ ვუნოდებ, რადგან მათთვის დრო არასდროს მქონდა. მამები შვილებს სად აღარ დაატარებენ. მე კი ისიც არ ვიცოდი, რომელი შვილი რომელ კლასში სწავლობდა. როდის ჩააბარეს ინსტიტუტში და როდის დაამთავრეს, ესეც გაკვირთ ვიცოდი. ხანდახან მრცხვენოდა კიდევ, მაგრამ რომელ კურსზე იყვნენ, ჩემს ცოლს ამასაც ვეკითხებოდა.

— შეილება თქვენ ურჩიოთ, ექიმები გამოსულიყვნენ?
— არა, არ მინდოდა, რომ ექიმები გამოსულიყვნენ, მაგრამ არც ამასი ჩავრეულებარ. ლიანა ჩემთან მუშაობს, ექიმი. ბიჭი კი დოქტორანტურას ამთავრებს, მაგრამ ვეუბნები, პაციენტებს არ გაეკარო, მართვა ჯობია-მეთქი.

— რატომ არ გინდათ, მამის გზას გაჰყვილიყნენ?
— ჩემი შვილები არიან, მტრები ხომ არა?! მე რა ვნახე ცხოვრებაში?! 24 საათი საავადმყოფოს კედლებში ვარ გამოკვტილი. არც ძილი, არც დასვენება, არც მოგზაურობა, არც შევებულება...

✓ სოფიო ბოჭორიძე

შაკირამ და პიკემ ბავშვს სახელი შეურჩიეს

22 იანვრის საღამოს ცნობილ კოლუმბიელ მომღერალ შაკირას და „ბარსელონას“ და ესპანეთის ნაკრების მცველ პერარდ პიკეს შვილი შეეძინათ. ბედნიერმა მშობლებმა შვილს, რომელმაც ორმაგი გვარი პიკე მებარავი მიიღო, სახელიად მილანი დაარქვეს.



პიკე და შაკირა

ფეხბურთელმა „ტვიტერში“ დაწერა, რომ შაკირა ბავშვთან ერთად ბარსელონას კლინიკაში იმყოფება და დედა-შვილი თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობენ. მომღერლის ვებგვერდზე კი გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბიჭუნა უკვე გახდა საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ წევრი.

მომღერლისა და ფეხბურთელის რომანს საფუძველი 2010 წელს ჩაეყარა, ოფიციალური განცხადება კი 2011 წლის მარტში გააკეთეს. პიკე „ბარსელონას“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, რომელთან ერთადაც მან ორჯერ მოიგო ევროპის ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში მან 2010 წელს — მსოფლიოს, ხოლო 2012 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

რაც შეეხება შაკირას, ის ცნობილია არამარტო, როგორც ლათინოამერიკელი პოპვარსკვლავი, არამედ როგორც მუსიკალური პროდიუსერიც. გარდა ამისა, მომღერალი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა.

ვანესა მენი სოჭის ოლიმპიადაში იასპარაზებს

სოხილი მევიოლინემ ვანესა მემი დაადასტურა, რომ სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ტაილანდის ნაკრების შემადგენლობაში ასპარეზობა სურს. 34 წლის მუსიკოსმა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობაც აქვს და ტაილანდისაც, ჯერ კიდევ 2010 წელს მიმართა ტაილანდის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში შეყვანის თხოვნით და ოლიმპიური კომიტეტიც სიამოვნებით გამოეხმაურა.



ვანესა მენი

ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად მემი, როგორც მინიმუმი, ხუთ შეჯიბრში უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომელიც სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გაიმართება გიგანტურ სლალომსა და ასევე სლალომშიც.

სახელგანთქმული მევიოლინე იმ ხუთ ტაილანდელ ათლეტს შორის მოხვდა, რომლებიც სოჭის ოლიმპიური თამაშების პოტენციურ მონაწილეებად არიან დარეგისტრირებული. წარმატების შემთხვევაში მენი შესაძლოა ისტორიაში მეორე ტაილანდელი სპორტსმენი აღმოჩნდეს, რომელიც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. პირველის, პრავატ ნავგახარას დებიუტი 2002 წელს ოსლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა სათხილამურო რბოლებაში.

— ხალხს უკვირს, როდესაც მთის ფერდობზე მხედავენ, — განაცხადა მემი, — მაგრამ სამთო-სათხილამურო სპორტი ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. მსურს, ტაილანდის სახელით ვიასპარეზო, ვინაიდან არსებობს ჩემი ცხოვრების მხარე, რომლის აფიშირებაც არასოდეს გამოკეთებია. მამაჩემს, ისევე როგორც ტაილანდელთა უმრავლესობას, არასოდეს უსრილია თხილამურებით, მაგრამ იგი ჩემს წამოწყებას მხარს უჭერს. რა თქმა უნდა, იმის ილუზია არ მაქვს, რომ ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ავალ ან უძლიერესთა ასულში მოვხვდები, ასევე ყოველთვის არსებობს ტრავმის რისკი, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ხანმოკლეა და ამიტომ ყოველთვის უნდა გააკეთო ის, რისი გაკეთებაც გინდა. სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა კი ჩემი ოცნებების ასრულება იქნება.

✓ მთაწახა კახა ხატიშვილი

**ავსტრალიაში
5 კილოგრამიანი ოქროს
ზოდი მიწაში იპოვეს**

ავსტრალიელმა მოყვარულმა ოქროსმაძიებელმა, რომელიც



საკუთარ გვარსა და სახელს ასაიდუმლოებს, ვიქტორიას შტატის ქალაქ ბალარატის ახლოს 60 სანტიმეტრის სიღრმეზე 5,505 კილოგრამიანი ოქროს ზოდი აღმოაჩინა.

სპეციალისტ კორდელ კენტის თქმით, თუ ზოდს გადაადნობენ, მიის გაყიდვა და-

ახლოებით 315 ათას დოლარად შეიძლება.

შვილმა მამის ცხედახი მოიჭახა

დეტროიტის პოლიცია საზარელი ფაქტის მომსწრე გახდა. 48 წლის კლერენს ბრაინსის სახლის სარდაფში მაცივარში დამალული 93 წლის მამის გვამი აღმოაჩინა. სხეული მას შემდეგ იპოვეს, რაც გამომძიებლებმა დაასკვნეს, რომ კუბო დეტროიტის სასაფლაოდან მისმა შვილმა მოიპარა.

როგორც კაცმა აღიარა, ეს იმისთვის ჩაიდინა, რომ მამა ლოცვით გაეცოცხლებინა.

საკუთარი თავის ჰაჰარაჩი

21 წლის ეიმი ჯონსმა ინტერნეტ აუქციონზე საკუთარი მიშველი ფოტო შემთხვევით ატვირთა. საქმე იმაში იყო, რომ



გოგონას აუქციონზე თავისი კაბის გაყიდვა უნდოდა 15,99 ფუნტ სტერლინგად და ყვეთელი კაბა სურათის გადასაღებად გარდერობის კარზე ჩამოკიდა. ამ დროს კი კარის გვერდით სარკის არსებობა დაავიწყდა, რომელშიც ის შემთხვევით ქვედა საცვლის გარეშე გამოჩნდა.

ეიმის სურათისთვის აღარც შეუხედავს, ისე ატვირთა საიტზე. რამდენიმე წუთში კი ფოტო ინტერნეტ სენსაციად იქცა. მისმა მეგობარმა ბიჭმა, ენდიმ, ეს ყველაფერი იუმორით აღიქვა.

ნიანგის მეგობარი ბიჭი



ბავშვების უმეტესობა სათამაშოებით ერთობა, ავსტრალიელი 3 წლის ჩარლი პარკერის შემთხვევაში კი საქმე სხვაგვარდაა. ის უფრო მეტ საერთოს საშიშ ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან პოულობს. მეტიც, ალიგატორს, სახელად გამპის, თავად უვლის და ეს საკმაოდ წარმატებით გამოსდის.

ერთი სიტყვით, ჩარლი ავსტრალიაში ყველაზე პატარა რეინჯერია. მისი ოჯახი ქალაქ ბალარატში მდებარე ველური ბუნების ცხოველთა პარკს ხელმძღვანელობს და, რა გასაკვირია, რომ ბიჭუნას ქვეწარმავლები დაბადებიდან უყვარს.

ავღანეთში 136 წლის ქალი გარდაიცვალა

ავღანეთში 136 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოს უხუცესი ქალი ჰასანო. შვილიშვილის განცხადებით,



ჰასანომ მთელი სიცოცხლე ისლამის რელიგიის პრინციპების შესწავლასა და მათ დაცვას მიუძღვნა. მიუხედავად ასაკისა, იგი დამოუკიდებლად ასრულებდა ყოველდღიურ ხუთგზის განბანვას.

ჰასანოს 7 ქალიშვილი ჰყავდა, რომელთაგან ორი გარდაცვლილია, ხოლო მისი შვილიშვილების, შვილთაშვილებისა და მათი შვილების რაოდენობა 465-ს აღემატება.

**მგზავრი 70 პერანგითა
9 ჯინსის შარვლით**

ჩინეთში, გუანჯოუს აეროპორტში, თვითმფრინავის მგზავრს, რომელიც კენის დედაქალაქ ნაირობიში მიფრინავდა, შემონმებისას დასაშვებ ლიმიტზე მეტი ოდენობის ბარგი აღმოაჩნდა.

კაცს დასამატებელი ფული არ ჰქონდა, ამიტომ 60 პერანგი და 9 წყვილი ჯინსის შარვალი ჩაიცივა, მაგრამ ვერც ამან უშველა — ჯიბეებში აღმოჩნდა კომპიუტერის მესხიერების ბარათები, ბატარეები და ხურდა ფული, რამაც საკონტროლო შემონმებისას საგანგაშო სიგნალი გამოწვია.


მამაკაცმა ეუჩნაღისტებმა სამშობიარო ტკივილები გამოსცადეს



ორმა ჰოლანდიელმა ტელენამყვანმა, დენის სტორმმა და ვალერიო ზენამ, გადაწყვიტეს, სამშობიარო ტკივილები საკუთარ თავზე გამოეცადათ. ამისათვის მათ მუცელზე სპეციალური ელექტროდები მიამაგრეს, რომელთა მეშვეობითაც კუნთები იკუმშებოდა და ისეთივე ტკივილს იწვევდა, როგორც სამშობიარო ტკივილები.

თავიდან ურუნალისტები გმირულად უძლებდნენ, მაგრამ მოგვიანებით ტკივილისაგან ყვიროდნენ და ილანძლებოდნენ. საერთო ჯამში, კაცებმა ამ წამებს 2 საათი გაუძლეს.

ყველაზე ძვირადღირებული ძროხა



მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული 3 წლის შავ-თეთრი ჰოლანდიური ჯიშის ძროხაა, რომელიც „ოქროს მისი“ გახდა. ის რამდენიმე დღის წინ ტორინტოში, ზამთრის სამეფო ბაზრობაზე 1,2 მილიონ დოლარად გაიყიდა. ძროხა ქალაქ ფრენფორტის გარეუბანში, ბლოის ტოსმანის ფერმაში გაჩნდა.

— ამჟამად ის ყველაზე ძვირადღირებული ძროხაა მსოფლიოში, — განუცხადა ურუნალისტებს ტოსმანმა, რომელიც ჰოლანდიური ჯიშის საქონლის გამრავლებითაა დაკავებული.

მექსიკურ ეკლესიაში კალაუბი და კაჭაბი დალოცეს

მექსიკაში, სან ბერნანდოს სახელობის ეკლესიაში, სპეციალური ცერემონია გაიმართა, რომელსაც არამხოლოდ ადამი-



ანები, მათი საყვარელი ცხოველებიც დაესწრნენ. პატრონებმა ძაღლები, კატები და ჩიტებიც კი მიიყვანეს ეკლესიაში დასალოცად და იმედოვნებენ, რომ ეს მათ საყვარელ ცხოველებს უბედურებისგან დაიცავს.

ეს ტრადიცია უკვე 500 წლისაა და დასაბამს წმინდა ანტონისგან იღებს, რომელმაც ადამიანებთან ურთიერთობაზე უარი თქვა და ცხოველების გარემოცვაში ცხოვრობდა. მღვდლის განცხადებით, ადამიანებმა უნდა დააფასონ სიყვარული, რომელსაც ცხოველები გასცემენ.

6.7 მეტრიანი ნიანგი ბინების რეკორდსმანია



გიგანტური ნიანგი, სახელად ლულუნი, რომელიც გასულ წელს ფილიპინებზე დაიჭირეს, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე დიდი ქვეწარმავალი. მისი სიგრძე 6,7 მეტრია და 1075 კილოგრამს იწონის.

ლულუნი მხოლოდ დიდი ზომებით არ არის ცნობილი, მან ბავშვი და მეთევზე შეჭამა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მასზე ნადირობა და 2012 წელს დაიჭირეს კიდევც.

ტაქსის მძღობა მილიონი დოლარი კატრონს დაუბრუნა

სინგაპურში ტაილანდელ ტურისტ ცოლ-ქმარს ტაქსიში 1 მილიონი დოლარი დარჩათ. გაგვიკვირდებოდა და, ტაქსის მძღობმა, 70 წლის მამაკაცმა, ეს ფული მათ უკან დაუბრუნა. როგორც მძღობმა ივარაუდა, შავ პაკეტში დაახლოებით 200 ათასი ამერიკული დოლარი იქნებოდა, იქ კი გაცილებით მეტი აღმოჩნდა.

— 31 წელია, რაც პატიოსნად ვმუშაობ ტაქსის მძღობად და ასეთი რაღაცის გამო სახელს ნამდვილად არ გავიფუჭებდი, — განუცხადა მან გაკვირვებულ ხალხს.

❖ ევროპაში ყველაზე მალ-მალა მდებარე სარკინიგზო სადგური შვეიცარიაშია, იუნგ-ფრაუს ხეობასთან ახლოს და მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3.454 მეტრს შეადგენს.

❖ საუდის არაბეთის ტერიტორია 9-ჯერ აჭარბებს ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ფართობს, 4-ჯერ — საფრანგეთისას და ამერიკის შეერთებული შტატების ფართობის დაახლოებით 1/3-ს შეადგენს.

❖ კოლორადოს უცნაური მძარცველი შეეჭვია. მან 118 ძარცვა განახორციელა და 120.000 დოლარის ღირებულების სიგარეტი მოიპარა. ქურდს სხვა ფასეულობები არ აინტერესებს.

როგორ აღვზარდოთ ლედი და ჯენტლმენი



მშობლებისგან ხშირად გაიგონებთ, რომ მათი გოგონა სიამოვნებით თამაშობს მანქანებით, თოფებით და სრულებით არ აინტერესებს თოჯინები. სხვები კი ამბობენ, რომ მათ ვაჟებს არ აინტერესებთ ბიჭური თამაშები და გოგონებისთვის განკუთვნილი სათამაშოებით ერთობიან. რა ინვესტ ასეთ ქმედებას და როგორ ჩამოვუყალიბოთ ბავშვს თავისი სქესისთვის ადეკვატური ქცევა?

ჰორმონების გავლენა. ბავშვების ემოციური განვითარებაზე ზემოქმედებენ როგორც ესტროგენები, ისე ანდროგენები. მამაკაცური ჰორმონი ტესტოსტერონი, რომელსაც აგრესიის ჰორმონსაც უწოდებენ, კაცებს (ვაჟებს) საკუთარი მისწრაფებების შესრულებისკენ უბიძგებს. ბიჭებში გარდატეხის პერიოდში ტესტოსტერონის დონე დაახლოებით 20-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ამავე პერიოდში გოგონებში.

რაც შეეხება ქალურ ჰორმონ ესტროგენს, ის სიამოვნების შეგრძნებას აღძრავს. ძირითადად სწორედ ის განსაზღვრავს ქალის ქცევას მანერას და მის ბუნებრივ მოწოდებას, გაზარდოს შვილები, დაიცვას საკუთარი „ბუდე“. მეორე ჰორმონი, პროგესტერონი, დამამუხრუჭებელი ფუნქციას ითავსებს — ამშვიდებს და შეუძლია, დემრესიული მდგომარეობა გამოიწვიოს.

აღვზარდოთ ნამდვილი ლედი. პატარა ასაკში ყველა გოგონას აქვს სურვილი, რომ დედიკოს დაემსგავსოს, მიბაძოს, მისი ჩვევები გაითავისოს. ეს კარგია, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: როცა ბავშვი მზადაა, საკუთარი დამოუკიდებლობა და ინტერესები დაიცვას, ეჯახება პრობლემას, რომლის გამოც ისე უწევს მოქცევა, როგორც მისგან ითხოვენ, ანუ ქალურად — იყოს დამჯერი და მორჩილი. ამას იქამდე მივყავართ, რომ გოგონებში სულ უფრო ხშირად იჩენს თავს შინაგანი კონფლიქტი.

სკოლის ასაკში გოგონები უფრო გამოხატავენ დაგროვილ აგრესიას. კონფლიქტურ სიტუაციებში კი ბიჭებთან შედარებით ბევრად უფრო ემოციურები არიან, ნერვიულობენ და განიცდიან, ხშირად ადანაშაულებენ საკუთარ თავს. ამის მიზეზად ფსიქოლოგები პატარა ასაკში არასწორ აღზრდას ასახელებენ. გოგონას არ ეძლეოდა საშუალება, საკუთარი ემოციები თავისუფლად გამოეხატა, თამაშად გამოეთქვა აზრი და რაც მთავარია, მისი პოზიცია სავსებით უმნიშვნელო იყო მშობლებისთვის.

ეს ყველაფერი შემდგომში გოგონაში დათრგუნვას და საკუთარი ემოციებისა და

გრძნობების არაკონსტრუქციულად გამოხატვას განაპირობებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ყველა მშობელმა ქალიშვილს პატარობიდანვე ასწავლოს საკუთარი გრძნობების თამაშად და კონსტრუქციულად გამოხატვა.

შესაძლებელია, გოგონამ საკუთარი თავი იპოვოს სპორტში, მუსიკაში, ხელოვნებაში, ამიტომ ის ყოველმხრივ უნდა წახალისოს.

ხშირად გარდატეხის პერიოდის შემდგომ ამგვარი პრობლემები თანდათანობით თავისთავად გვარდება და სერიოზულ გართულებებს არ წარმოშობს.

აღვზარდოთ ნამდვილი ჯენტლმენი. ბიჭები არცთუ იშვიათად ვარდებიან ოჯახში არასახარბიელო სიტუაციაში. როგორც წესი, დედიკოსგან დადმევად ისმენენ მამაკაცური ქცევების შესახებ და მისგანაც კაცურად მოქცევას მოითხოვენ. ბიჭს ხშირად უმეორებენ: „კაცივით მოიქციე!“, მაგრამ რეალურად პატარა ასაკში ბოლომდე გაცნობიერებული არ აქვს, როგორი უნდა იყოს კაცი და როგორ უნდა მოიქცეს.

გოგონებზე და ბიჭებზე ერთი და იმავეს განიცდიან, მაგრამ სხვადასხვაგვარად გამოხატავენ. ბიჭები ცდილობენ, უფრო ადრე დაკავდნენ, რის გამოც ხშირად იქცევიან გამომწვევად და თვალმისაცემად — ჩხუბობენ, კონფლიქტურ სიტუაციებში ვარდებიან. ამ ყველაფერს მშობლები ასე ხსნიან — ამას ყველა ბიჭი აკეთებს და ამაში განსაკუთრებული არაფერია. მაგრამ, როგორც კი მსგავს მდგომარეობაში გოგონები აღმოჩნდებიან, მამინევი იწყებს მათი ქცევის კრიტიკას და მიზეზების ძებნას.

ბიჭების აღზრდის პროცესში მნიშვნელოვანია მათი ცნობისმოყვარეობის დაცვა-ყოფილება, მიზანსწრაფვის, აქტიურობის და სიჯიუტის გათვალისწინება. არ არის სწორი მისი ემოციების ხელოვნურად მოთკვან. თუ სურვილი აქვს, დედაშვილობანა ითამაშოს, მიეცით ამისი უფლება. ერთად უყურეთ ფილმებს, იკითხეთ წიგნები, განიხილეთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პერსონაჟები. როცა თქვენი ვაჟი სკოლის ასაკის გახდება, აუცილებლად ატარეთ სპორტზე. ეს არამარტო ჯანმრთელობისთვისაა კარგი, უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლებისა და განტვირთვისათვისაც სასარგებლოა.

არსებობს ისეთი ტიპის თამაშები, რომლებიც ერთნაირად მოსწონთ ბიჭებსაც და გოგონებსაც. ისინი კარგია ბავშვის ხასიათის, უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის.

აგრესიული ბავშვებისთვის სასურველია ე.წ. გამათავისუფლებელი თამაშები, სადაც საჭიროა ყვირილი, ბურთის სროლა რაც შეიძლება შორს ან მაღლა და ა.შ.

თუ პატარა ძალიან ემოციურია და ადვილად ღიზიანდება, კარგია, მაგალითად, ქვიშაში თამაში, მშენებლობა, კონსტრუქტორები. გარდა იმისა, რომ ასეთი გართობა მათზე დამამშვიდებლად მოქმედებს, პატარების შემოქმედებით უნარსაც ასტიმულირებს.

იმპულსური ბავშვებისთვის რეკომენდებულია სამაგიდო ტიპის თამაშები — ლოტო, ჭადრაკი, შაში, რომლებიც ყურადღების კონცენტრაციაში ეხმარება.

ორი ერთნაირი ბავშვი არ არსებობს, ამიტომ მშობელი შვილს ინდივიდუალური და პიროვნული თვისებისა და თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მიუღდეს. ეს ეხებათ როგორც ვაჟებს, ისე გოგონებს.

როგორ ვითამაშოთ ბიჭებთან. მეტყველებისა და ემოციური სფეროს განვითარებისათვის ძალიან კარგია სიტყვებით თამაში, მაგალითად, კროსვორდების შექმნა, „ცივა-ცხელას“ ტიპის და სიუჟეტური თამაშები. ხშირად იმსჯელებთ და იკამათებთ მასთან. ხატვის და ძერწვის დროს ხშირად დაუსვით კითხვები, რატომ შეარჩია ის გოგონებს. ფერი, რას გამოხატავს და ა.შ.

როგორ ვითამაშოთ გოგონებთან. ადრე თვლიდნენ, რომ გოგონები ბიჭებთან შედარებით უფრო რთულად ახდენენ დროსა და სივრცეში ორიენტირებას, უჭირთ მათემატიკური უნარების განვითარება. უკანასკნელი კვლევების მიხედვით კი ეს მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ასე რომ, თქვენს გოგონას ხშირად შესთავაზეთ კროსვორდების, თავსატეხების, რებუსების ამოხსნა, კონსტრუქტორების აწყობა. თუ მის საოჯახო საქმიანობის კეთება მოსწონს და აშკარად გამოთქვამს დახმარების სურვილს, მიეცით ამის უფლება. თან ასწავლეთ და თან ამ ყველაფერს თამაშის სახე მიეცით. ხშირად შეცვალეთ ოჯახში ინტერიერი, დაიხმარეთ თქვენი ქალიშვილიც და თან მისი გემოვნება გაითვალისწინეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისათვის.

გვიხიდა სუხოს წინააღმდეგ

ეს სამკურნალო ყვავილი ძალიან პოპულარულია მთელ მსოფლიოში, მის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულით კი შვეიცარიელები გამოირჩევიან. შვეიცარიაში ძალიან პოპულარულია გვირილას ნაყენი ინჰალაცია, რომელსაც ანთების საწინააღმდეგო ეფექტი აქვს. კარგია ინჰალაციის ჩატარება გაციების, ტრაქეიტის, ბრონქიტის, სურდოს დროს. ინჰალაცია თბილი (და არა — ცხელი) ორთქლით ტარდება, ერთი პროცედურის ჩატარებას საშუალოდ 15 წთ სჭირდება.



✓ მოაწხადა ნათია ტოტიკაშვილი

გვჯახებოხმს ექიმი



— რა პერიოდულობით შეიძლება მივიღო ინგლისური მარილი, რამდენ ხანში აქვს შედეგი და რამეს სიმ არ დამიზიანებს?

— ინგლისური მარილი შეგიძლიათ 10 დღეში ერთხელ მიიღოთ, უფრო ხშირად მისი მიღება დაუშვებელია. მოქმედება შეიძლება ძალიან სწრაფად ჰქონდეს, ამიტომ, ეცადეთ, მისი მიღებისას სახლში იყოთ.

— აუცილებელია, რომ სისხლის საერთო ანალიზის ჩატარებისას პაციენტი მშვიდი იყოს?

— დღეს ანალიზები თანამედროვე ანალიზატორებით ტარდება და მისი სიზუსტე აღარ მოითხოვს, რომ პაციენტი მშვიდი მივიდეს ანალიზის ჩასატარებლად. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სისხლის საერთო ანალიზს ეხება. არსებობს ანალიზები, რომელთა ჩატარება დღის კონკრეტულ მონაკვეთში უნდა მოხდეს.

— ჩემს შვილს, რომელიც 12 წლისაა, ძალიან ხელა ეხრება თბა. მიიღო წლის განმავლობაში შეიძლება 1 ხანტამეტრით გაეზარდოს. მასტურეკებს, რისი ბრალია. ბავშვი მსუქანია, შეიძლება ეს იყოს მიზეზი?

— ე.წ. გარდატეხის ასაკში ხშირად იჩენს მსგავსი ნიშნები თავს, ამიტომ გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ეს არის პათოლოგია, მაგრამ, რადგან ბავშვი მსუქანია, გასათვალისწინებელია მისი ჰორმონალური მდგომარეობაც. რაიმე ცვლილება რომ არ გამო-

გეპაროთ და შემდგომში პრობლემებმა არ იჩინოს თავი, მიმართეთ ბავშვთა ენდოკრინოლოგს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ შეიძლება ეს იყოს ბუნებრივი, გაითვალისწინეთ გენეტიკური ფაქტორიც.

— ვარ 57 წლის. დამე მაქვს თიფლანობა, რის გამოც ვცვადები. მირჩიეთ, რა ვქნა ან ვის მივმართო?

— მიმართეთ თერაპევტს, აუცილებელია იმუნური სისტემის გაძლიერება. გვერნუნეთ, ექიმის ჩარევის გარეშე სასურველ შედეგს ვერ მიიღებთ. გირჩევთ, კონსულტაცია ფტიზიატრთანაც გაიაროთ.

— მასტურეკებს, კვრცხუჯრედი მხოლოდ ორგანოს დროს გამოიყოფა?

— კვრცხუჯრედი ძირითადად მენსტრუაციული ციკლის 12-დან მე-20 დღემდე გამოიყოფა. ეს ციკლის სანგრძლივობაზე დამოკიდებულია. ზუსტი დღის დასადგენად უნდა ჩაიტაროთ ექსოკოპიური გამოკვლევა.

— ვარ 22 წლის, გათხოვილი. სახეზე მაქვს გამონაყარი, ნაწიბურები. კანი ცხიმოვანია. ვთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვაგვარო პირობები სახლის პირობებში.

— სამწუხაროდ, ამ პრობლემას სახლის პირობებში ვერ მოერევი, რადგან, სავარაუდოდ, ჰორმონალური დისბალანსია. ამიტომ გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგს მიმართეთ.

— რა მოუყურნო მუდმივ სურდოს და გრავს? ვის მივმართო ან რომელი წამალი გამოვიყენო?

— თქვენ ალბათ ალერგიული რინიტი გაქვთ და არა — გრიპი, რომელიც მძიმე ვირუსული დაავადებაა და უსიცხოდ თითქმის არ მიმდინარეობს. გრავს უამრავი სხვა სიმპტომები ახლავს. მიმართეთ ყელ-ყურ-ცხვირის სპეციალისტს და ასევე ალერგოლოგს. შეპირად წამლის დანიშვნა დაუშვებელია, რადგან შეიძლება ალერგიული ფორმა იფერო გამწვავდეს.

— ვარ 25 წლის, მაქვს ხშირი თავბრუსხვევა, თითქმის ყოველ დღე სწრაფად მიცემს გული, ძალიან მალე ვიზიანდები. რისი ბრალი შეიძლება იყოს?

— სავარაუდოდ, ვეგეტონეგროზი გჭირთ, ამიტომ ნევროპათოლოგს მიმართეთ.

— ვარ 43 წლის ქალი. ფეხის ფრჩხილზე მაქვს სოკო. როგორ მოვიარინო სახლის პირობებში?

— სახლის პირობებში, ანუ ე.წ. შინაური ნამლებით სოკოს მორჩენა წარმოუდგენელია. აუცილებელია დერმატოლოგის დანიშნულებით მკურნალობა.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომარზე 1779 გაბთიდან ან ჯაოსალიდან. თქვენს კითხვებს შეპლანისდაგვარად გავხვით პასუხს. ერთი სეს-ის ფასია 50 თეთრი.

მთქნარება სასარგებლოა



მთქნარება ერთ-ერთი ყველაზე ძველი რეფლექსიაა, რომელიც არამხოლოდ ადამიანებს, ასევე ცხოველებსაც (ძუღუმწოროებს, ფრინველებსა და რეპტილიებსაც კი) ახასიათებს. მთქნარების ნამდვილი მიზეზი არავინ იცის, სამაგიეროდ ზუსტად არის ცნობილი, რომ პირველად ადამიანი ჯერ კიდევ მუსკულდყოფის პერიოდში დაახლოებით მე-12 კვირას ამთქნარებს. ამ გავრცელებულ რეფლექსზე ცნობილია ისიც, რომ მთქნარება სასარგებლოა. მისი წყალობით, ფილტვები იფილტრება, გაცვლითი პროცესები ჩქარდება, ორგანიზმის შრომისუნარიანობა აღდგება, სისხლის მომარაგება უმჯობესდება არამხოლოდ თავის ტვინში, ასევე სახის კანშიც. მასთანადავე, მთქნარებას დამატებით გამაახალგაზრდავებელი ეფექტი აქვს.

ზამთარში ადამიანები უფრო ხშირად ამთქნარებენ. მთქნარების დროს ქვედა ყბის კუნთების მუშაობის ხარჯზე სისხლის ცირკულაცია ძლიერდება, ხოლო ცივი ჰაერის ნაკადი სითბურ ცვლას ხელს უწყობს, ტვინის ბუნებრივი თერმორეგულაცია ხდება.

მთქნარება გენეტიკური რეაქციაა სტრესზე. შინაგანი გადაძაბვის დროს ორგანიზმს სუფთა ჰაერის ნაკადი ესაჭიროება, რათა სისხლში ჟანგბადით გააჯეროს, ტვინის მუშაობა გაააქტიუროს და ყველაზე შეუფერებელ მომენტში არ გამოაშტეროს.

ყველაზე ხშირად ადამიანები დილაადრიან ან გვიან საღამოს ამთქნარებენ. ეს ტვინის აქტივობის შენარჩუნებას ეხმარება, ჟანგბადით მის მომარაგებას აუმჯობესებს.

მთქნარება — საბაზო დასვენებისთვის. გაძლიერებული გონებრივი დატვირთვისას (მაგალითად, სტუდენტებში), ნერვული უჯრედები თავდაცვის მიზნით, თავიანთ მუშაობას ანელებენ. აღმოცენდება იძულებითი მთქნარება — ტვინის ყვირილი დასაბმარებლად.

ოთახში, რომელიც დიდი ხანია არ განიავებულა, აბსოლუტურად ყველა ამთქნარებს. ტვინი საკმარის ჟანგბადს არ იღებს და ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით მის შევსებას ცდილობს.

მთქნარება გადამდებია, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვისაც თანაგრძობა შეუძლია. მეცნიერებმა გამოავლინეს: იმ ადამიანის ცქერისას, რომელიც ამთქნარებს, თანაგრძობაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის ზონები აქტიურად მუშაობას იწყებენ, რასაც მთქნარება მოჰყვება.

მთქნარება საშუალოდ არაუმეტეს 6 წამისა გრძელდება, ხოლო უფრო ხანგრძლივი — იდივიდუალური ჩვეულებისა და მანერების შედეგია. ვილაც მთქნარების დროს სხვადასხვა ბევრებს გამოთქვამს, მაგრამ ფიზიოლოგიურ მთქნარებასთან ამას არავითარი კავშირი აქვს.



ურთიერთობა არაბუნქტუალურ ადამიანთან

სრიან ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ ესმით, რა არის დრო. სანამ „ერთ წუთში“ ტელეფონზე ისაუბრებენ ან ფინჯან ჩაის დალევენ, მთელი საათი გადის. ასეთებს ზღაპრიებს უწოდებენ. როგორ მოვიქცეთ მათთან? უმჯობესია, მათ ტემპს შევეწყოთ. 18 საათზე შეხვედრაზე შეთანხმდით? შეგიძლიათ ნახევარი საათით გვიან მიხვიდეთ. ისიც მშვიდადაა, რომ ჩიჩინით გულს არ უწყალებენ და თქვენი ნერვებიც წესრიგშია.

ისეც ხდება, ადამიანი იმიტომ იგვიანებს, რომ ყურადღება მიიქცევა. ეს ძალიან ეფექტურია: რამდენი ემოციაა, როდესაც ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება! ასეთ შემთხვევაში უფრო მკაცრი იყავით. პიროვნებას აცნობეთ, რომ მისი ქცევა თქვენს ურთიერთობას ხელს უშლის. მაგალითად, თუ კინოში წასვლას აპირებთ, კინოთეატრთან ნუ დაელოდებით. უბრალოდ ერთი ბილეთი ადმინისტრატორთან დატოვებთ და თქვენ კი დარბაზში შედით.

იცნობთ ისეთებს, რომლებსაც ორი სამუშაო, დღეში ხუთი შეხვედრა აქვთ და საღამოს სწავლობენ? და, თუ თქვენთვის დროს გამოინახავენ, ამას დიდ მიღწევად თვლიან. ასეთ შემთხვევაში მათზე გაბრაზება ძნელია, ვინაიდან ადამიანი მართლა დაკავებულია საქმით. თუ განრიგის განსაზღვრითად დახმარებას შესთავაზებთ, მაღლობელი იქნება და თქვენი ურთიერთობა ჰარმონიული დარჩება.



1. სოფელი ყაზბეგის რაიონში; 2. წილი ბიზნესში; 3. მცირე არია; 4. შაშის მსგავსი თამაში; 5. მცირე შეიარაღებული ჯგუფი; 6. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 7. პატარა მტაცებელი ცხოველი; 8. კარის შიგნიდან ჩასაკეტი; 9. ... სმითი; 10. შავიზღვისპირა ქალაქი რუსეთში; 11. მამაცი, კეთილშობილი მამაკაცი; 12. ... ტოლსტოი; 13. ქვეყნის პოეტთა კრებული; 14. მოკლე საეკლესიო საგალობელი; 15. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 16. საფლობი ტალახი; 17. დღე-ღამის ნაწილი; 18. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 19. სახსრის დაჭიმულობა; 20. სამეურნეო საქმეების ორგანიზატორი; 21. გადამდნარი კარაქი; 22. სანაძლეო; 23. მღვიმე ეშერის პლატოზე; 24. აბრეშუმის თხელი ქსოვილი; 25. ასო ნ-ს სახელი; 26. შეძახილი ცეკვისას; 27. პარიზის უნივერსიტეტი; 28. დიდი ზომის ანტილოპა; 29. ნელა, დინჯად მუსიკაში; 30. მიწის საზომი ერთეული დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში; 31. დიდი ბუ; 32. ხანმოკლე შესვენება საუბრის დროს; 33. კათოლიკური ეკლესიის მღვდელი ბელგიაში; 34. ნარკოტიკის მისაღები ტროპიკული ბუჩქი; 35. „ჩვენი ...“; 36. ნაკლოვანებებზე მითითება; 37. ქვმარიტად; 38. რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი; 39. ქართული მათემატიკოსი; 40. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 41. ყორნისებრთა ოჯახის ფრინველი; 42. ... ბესისფერი; 43. სიმებიანი საკრავი; 44. ნოტი; 45. თეორიის თანმხლები მოქმედება; 46. ესპანელი დრამატურგი; 47. ესპერანტოს ვარიანტი; 48. ეთიკის მიმდინარეობა, რომლის მიხედვითაც ცხოვრების მიზანი სიამოვნება, ტკბობაა; 49. ცომის ასაფხევი ნიჩაბი; 50. ძვირფასბუნჯიანი ცხოველი; 51. თამბაქოს სახეობა მომწვანო ყვავილებით; 52. მეტყველების თანმხლები მოძრაობა ხელებით; 53. ... ნიუტონი; 54. იალქანი; 55. რკინისა და ნიკელის ერთგვარი შენადნობი; 56. საგაზეთო წერილი; 57. დოლი; 58. ქალაქი ნავსადგური ჩილეში; 59. წრენიის ნაწილი; 60. ჯამბაზი იტალიაში.



სიყვან-კოდი

1	2	3	4	5	6

მაღალი ხე დატოტვილი ვარჯით



წინა სკანორკლი გამოყვანული კოდიანი სკანორკლის პასუხები

1. ორე; 2. პიანო; 3. მაიორი; 4. მე; 5. იო; 6. კაა; 7. ნოკია; 8. აიდაპო; 9. თართი; 10. ია; 11. კლიო; 12. პიკული; 13. კორეა; 14. სავანე; 15. ტაბული; 16. ურო; 17. ნიპა; 18. ას; 19. ლიე; 20. ძუა; 21. ვაჟინა; 22. ყერარ; 23. ისიდა; 24. ტელეპათია; 25. „ამარკორდი“; 26. პრასი; 27. ამია; 28. სერ; 29. კარლსრუე; 30. ბის; 31. ცერმელო; 32. არსენ; 33. ბრეზენტი; 34. ერგი; 35. რაიონი; 36. ბარაკი; 37. კარდალა; 38. კერკ; 39. ერნესტ; 40. ლიანა; 41. დაბა; 42. ერბიუმი; 43. ბე; 44. ადამსიტი; 45. ალლო; 46. ნოე; 47. ანტი; 48. არსი; 49. რეპლიკა; 50. არისა; 51. ნაირა; 52. ლობიო; 53. ლეგატი; 54. ტო; 55. ხაბანერა; 56. ბუნგალი; 57. ლოინი; 58. ველი; 59. ნუტრია; 60. ნასპერი; 61. პრესი; 62. ანკარა; 63. იზაი; 64. ზორე; 65. ადრესატი; 66. ირანი.სურათებზე: პელე; ლიონელ მესი; კრიშტიანუ რონალდუ; ანდრეს ინიესტა.

ჯგუფი: ნეხონა.

მწიკნი სკანოკრი

												
				1. ყვაილი								
				2. სარწყავი არხი								
				3. საყანე მასალა								
4. მდინარე ციმბირში								5. ფუჭი, უნაყოფო		6. ინდუიზმის მთავარი ღვთაება		
		7. რძის პროდუქტი			8. ... კემპბელი							
										9. ერთგვარი ცოცხი		
		10. ფრანგული ავტო		11. სოლო პარტია ოპერაში	12. ... ბრანდო							
					13. განდეგილი	14. ... მაყაშვილი						
						15. დაბა ხაშურის რაიონში		16. წონის ერთეული ძველად		17. პერას ქურუმი ქალი		
					18. ურანის თანამგზავრი							
	19. კრივის მოედანი					20. სპორტული სირბილი		21. მუხის ნაყოფი	22. ეროვნება			
					23. სამიანი ნარდში							
						24. ... პაჩინო						
						25. ორთხთვალა ეტლი						

წინა ნომერი გამოქვეყნებული მწიკნი სკანოკრის პასუხები

1. სე; 2. ბუ; 3. ბარბი; 4. ილარიონი; 5. ელი; 6. პაი; 7. პესო; 8. პოი; 9. ქარიბდა; 10. ტენორი; 11. ომარ; 12. ობერონი; 13. ესე; 14. ეტოლო; 15. სურათი; 16. მერაბ; 17. აგუნა; 18. რუმბა; 19. მის; 20. მოლოქა; 21. ორთი; 22. არ. სურათი; 23. ფეხბურთი; 24. კალათბურთი; 25. ჩოგბურთი; 26. ფრენბურთი.

გაკლიათ თუ არა თავდაჯერება?



1. როგორ ხელის ჩამორთმევას ანიჭებთ უპირატესობას?

- ა) მოკლეს და ძლიერს.
- ბ) ხანგრძლივს და ინტენსიურს.

გ) მსუბუქი შეხებით.

2. ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული?

- ა) ლომი, ვერძი, თხის რქა, კურო.
- ბ) ტყულები, მორიელი, მერწყული, მშვილდოსანი.
- გ) თევზები, კირჩხიბი, ქალწული სასწორი.

3. როგორი ტიპის კანი გაქვთ?

- ა) ნორმალური, მაგრამ სპეციალურ მოვლას ითხოვს.
- ბ) მგრძობიარე.
- გ) მშრალი და მგრძობიარე.

4. სკვერში სკამზე ქალი ზის, რომელიც ფიქრებშია ჩაძირული. თქვენი აზრით...

- ა) სიამოვნებს მარტო ყოფნა.
- ბ) სურს, რომ შეიცოდონ.
- გ) მას რაღაც პრობლემები აქვს.

5. რა არის თქვენთვის დამახასიათებელი?

- ა) სწრაფად ვიციწყებ უსიამოვნებებს.
- ბ) მხოლოდ საკუთარ თავზე არ ვფიქრობ.
- გ) თუ ვიღაცას ვატყუებ, სინდისი მქენჯნის.

6. რომელი ფიგურა უფრო მოგწონთ?

- ა) სამკუთხედი.

- ბ) რომბი.
 - გ) წრე.
7. სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდით სიამოვნებით?

- ა) საპარაშუტო სპორტს.
 - ბ) წყალში ხტომას.
 - გ) ალპინიზმს.
- დაითვალეთ, რომელი ვარიანტი ჭარბობს და შესაბამისი პასუხები წაიკითხეთ.

შედეგები:

„ა“ ვარიანტი — საკუთარ თავში საკმაოდ დარწმუნებული ხართ, მაგრამ არის სიტუაციები, როცა თავს შედარებით სუსტად გრძნობთ. როცა ნაკლებად თავდაჯერებულად გრძნობთ თავს, ამის აღიარებას არ ერიდებით, რადგან ძლიერი ნატურა გაქვთ. როგორც წესი, არასოდეს გჭირდებათ დიდი ძალისხმევა, რათა სასურველ მიზანს მიაღწიოთ.

„ბ“ ვარიანტი — თქვენი თავდაჯერებულობა ხანდახან მოიკოჭლებს. უცნობი ადამიანები, ახალი დავალებები ცოტა გაღიზიანებთ. ასეთ სიტუაციაში ადვილად კარგავთ წონასწორობას და საკუთარი თავის რწმუნას. ამ დროს ან საკუთარ თავში იკეტებით, ან ზედმეტად თავდაჯერებული ხდებით, რის გამოც შეცდომებს უშვებთ.

„გ“ ვარიანტი — საკუთარი თავის დადებითი თვითშეფასება ნამდვილად გაკლიათ. როგორც ჩანს, გარშემომყოფებს ნაკლებად ენდობით. თავს მოგონებებითა და საყვედურებით ტანჯავთ. ეს კი ცხოვრების სიხარულის სრულად შეგრძნებაში ხელს გიშლით. მოძებნეთ დრო, რათა გააანალიზოთ, რატომ გაკლიათ თავდაჯერებულობა. თუ ამ საკითხში დამოუკიდებლად ვერ გაერკვევით, გირჩევთ, სპეციალისტს მიმართოთ.

რა გზოგზარეობაში გაქვთ ღვიძლი?

1. ოდესმე ბოტკინით გიავადმყოფიათ?

- ა) არასოდეს — 0
- ბ) დიას, ბავშვობაში — 2
- გ) დიას, მოზრდილ ასაკში და ექიმმა მითხრა, რომ ღვიძლი ცუდ მდგომარეობაში მაქვს — 4

2. ოდესმე ცხიმიანი ან შემწვარი საკვების ჭამის შემდეგ ღვიძლის შეგრძნება გქონიათ?

- ა) არა — 0
- ბ) ხშირად მაქვს — 4
- გ) ადრე მქონდა, ვიკურნალე და ახლა ყველაფერი ნესრიგშია — 2

3. საჭმლის მომწელებელი სისტემის პრობლემები ხომ არ გაქვთ, სპაზმი მუცლის არეში ან აირების დაგროვება?

- ა) ეს პრობლემები მუდმივად მანუხებს — 4
- ბ) იშვიათად — 2
- გ) არა — 0

4. ოდესმე ნაღვლის ბუშტს თუ შეუნუხებიათ?

- ა) ბოლო 2 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შემანუხა — 4
- ბ) რამდენიმე წლის წინ შემანუხა — 2
- გ) არასოდეს — 0

5. ხშირად გრძნობთ აბათიას, დაღლილობას, გიჩნდებათ დასვენების სურვილი?

- ა) იშვიათად — 0
- ბ) საკმაოდ ხშირად — 2
- გ) მუდმივად — 4

6. ალკოჰოლს ყოველდღიურად სვამთ?

- ა) არა, ალბათ კვირაში 1-2-ჯერ — 0
- ბ) ყოველდღიურად, ოღონდ 2-3 კაფსა ლუდს ან ღვინოს — 4
- გ) დიას, ყოველდღიურად — 5

7. წამლებს ხშირად სვამთ?

- ა) ხშირად, მაგრამ არარეგულარულად — 2
- ბ) დიას, ყოველდღიურად — 4

8. ხშირად ცივდებით და გრიობით ავადობთ?

- ა) არა, ალბათ წელიწადში ერთხელ — 0
- ბ) ხშირად, მაგრამ იოლ ფორმებში — 2
- გ) ხშირად და სერიოზულად — 4

9. თქვენი ნონა ნორმაზე 10 კილოგრამით მეტია (პლუს-მინუს 2 კგ)?

- ა) დიას, ნორმაზე ბევრად მეტს ვინონი — 4
- ბ) არა — 0
- გ) დიას, ცოტა მეტს ვინონი — 2

10. სისხლში ქოლესტერინის დონე მომატებული გაქვთ?

- ა) არა მგონია, დიდი ხანია არ შემოიწმენებია — 0
- ბ) დიას — 4

11. სამსახურში ან სახლში გადაღლას გრძნობთ?

- ა) დიას, ასეთი პერიოდები ხშირად მაქვს — 2
- ბ) არა, იშვიათად — 0
- გ) გადაღლას მუდმივად ვგრძნობ — 4

12. ხშირად ხართ დეპრესიულ ან აგრესიულ ხასიათზე?

- ა) არა, გამონაკლისი მხოლოდ ცალკეული ცუდი დღეებია — 0
- ბ) დიას, ხანდახან რამდენიმე დღე გადაბმულად — 2
- გ) მუდმივად — 4

შედეგები:
0-10 ქულა — თქვენი ღვიძლი გადატვირთული არ არის, მაგრამ მას მაინც სიფრთხილით მოუყარით.
11-20 ქულა — თქვენს ღვიძლის სასწრაფოდ სჭირდება დახმარება, რადგან გადატვირთვის ზღვარზეა. გირჩევთ, ნაკლები რაოდენობით მიიღოთ ალკოჰოლი.
21-30 ქულა — თქვენი იმუნური სისტემა დასუსტებულია და ხშირად ავადობის რისკი გაზრდილია. თქვენი ღვიძლი სისხლს სათანადოდ ვერ წმენდს და ვერ ამდიდრებს მკვებავი ნივთიერებებით. სერიოზული ზომების მიღებაა საჭირო.
31-48 ქულა — თუ საკუთარი თავი ობიექტურად შეაფასეთ და კითხვებს გულწრფელად უპასუხებთ, ე.ი. თქვენი ღვიძლი კატასტროფულ მდგომარეობაშია. შესაძლოა, ჯერ სერიოზულ პრობლემებს არ გიქმნით (თუ ახალგაზრდა ხართ), მაგრამ დაფიქრდით მომავალზე. გირჩევთ, სრული გამოკვლევა ჩაიტაროთ და კატეგორიული უარი თქვათ ალკოჰოლზე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები იხ. გვ. 78

ს უ ლ ო კ უ ს

სულოკუს არის იანონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპიწვებათ.

№ 1

	6			7	3	4		
8							1	
		9	1					2
	5		6				4	
1				9		3		
	4	7			1			8
				8	9	5		
		2			4			7
		3	7					2

№ 2

	9		6		3			
		2				9		8
1	7				5			
	8			9			3	
4					7			1
		6	2				4	
	5	9			8			6
3						5		
		7		1				2

სულოკუს შედგება 9-9 პორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ პორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

პართული ანაკლოზები

— ქაღაბონო, ხამდენი წლის ბიძანდებით? — თქვენ ხამდენს მომცემდით? — ამ გაჭიხვებულ ცხოვრებას ხა ვუთხახი... ახე, 10 ლახხ.



— მასწავლებლო, არ შეიძლება, სკოლა ცოცხლებმა რომ დავამთავროთ?

— რა ღირს პოშიდორი? — 20 ლარი, მაგრამ ჯანდაბას, თქვენ 11 ლარად აგინონით.

— ეჰ, სკოლა მაინც სულ სხვა იყო, სულ სხვა! — ოხრავს მიშიკო, — წაიყვანდი გოგოს ბუფეტში, მერე მიუტანდი ჩანთას სახლამდე და მორჩა, შენი იყო... გადაიწერე და გადაიწერე, რამდენიც გინდა!

ორი ლოთი ჩურჩულებს: — შედი ახლა შენ ჩუმად ჩემს საძინებელში, — ეუბნება პირველი, — იქ სკამზე კონიაკიანი ბოთლია. ცოტა აქვს მოკლებული და წამოიღე, გაიგე?

მეორე მიდის და მალე ბრუნდება გაბრაზებული: — შენ მე რას მაგალახავებ?! შევედი და იქ შენი ცოლი ვილაც კაცს ებუძგურება, თავზე საბანი აქვთ წაფარებული. — ხო და, დროზე შედი, შე ჩემა, სანამ საბანს გადაიხდინ! ის კონიაკი იმ კაცისაა.



მთხილი ძივს მიბანცადა სახლში, მუხლები ეყუცება. ხედავს, ხომ მისი ცოლი უცხო მამაკაცთან ნებიჯობს ღოგინში. — ნეჯი თქვენ, მაგის თავი ხომ გაქვთ!

ზურვატივი გენბავთ, არა? — ძალიან გვიანაა... ბავშვის საფენები მინდა.

დაქალი დაქალს: — გოგო, წუნელ რესტორანში ვიყავით თანამშრომლები და იქიდან ჩემი მანქანით წამოვედი. ვერა და ვერ ვაგნებდი სახლს. ისევ პატრულს ააშენებს ღმერთი, გამაჩერა და მითხრა, კაპოტი დახურეო.

— ა, ამ სურათში ოთხი წლის ვარ. — დაუჯერებელია პირდაპირ!

— რა, კაცო, ოთხი წლის რომ ვარ? — არა, ოთხი წლის რომ ხარ, მჯერა, მაგრამ მაგ ასაკში მელოტი როგორ ხარ?

— მოიცა, მაჩვენე... გადმოაბრუნე სურათი, შე კაცო, თავდაყირა გიჭირავს. — ბნელ ქუჩაში გოგოს დანიანი კაცი გადაუდგა: — არ გეშინია, ღამით მარტო რომ დადიხარ?

— კი, მეშინია, რომ არ აგაცილო, — იარაღი გადატენა გოგომ. — ექიმო... შეიძლება, რალაცა გთხოვოთ? — ეკითხება პაციენტი მკურნალს.

— რა თქმა უნდა, — უღიმის ექიმი. — შეიძლება რომელიმე უფრო ნაკლებლირებული დაავადების დიაგნოზი დამისვათ? — შეკრიბა მურმან მურკოლიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები



— ექიმო, ჩემმა შვილმა ხუხა ფული გადაყაპა. — მაგაზე ვუი ვინვადებ ახლა. შეუცადეთ, 100 ღოგინი გადაყაპოთ ხოგოში.

მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ყურის ექიმს ეკითხება: — უკაცრავად, ექიმო, მე აქ ბიკინი ხომ არ დამრჩენია? — არა. — აბა, კბილის ექიმთან დამრჩა?

მთვრალ სვანს ფეხი დაუტყდა და პირდაპირ საქონლის ნაკელში ჩაემხო სახით. ადგა, სახე მოიწმინდა და კმაყოფილმა თქვა: — კიდევ კარგი, ფეხი რომ არ ჩავკარ შიგ.

— ყოჩაღ, დღეს შენი დავალება გაცილებით უკეთესია, ვიდრე ადრე იყო ხოლმე, — ეუბნება მასწავლებელი მოსწავლეს.

— მამაჩემი ველარ მომეხმარა, მასწ, მთვრალი იყო!

ორი ბიზნესმენი საუბრობს: — ახალი მდივანი მივიღე.

— კაია? — არი, რა! — ესე იგი არ ვარგა? — თუ გინდა, წაიყვანე ერთი ღამით.

მეორე დღეს: — როგორაა საქმე, მოგეწონა? — არი, რა, შენს ცოლთან ვერ მოვა.

— ბავშვებო, ვინც კარგად ისწავლის, სამოთხეში მოხვდება, ვინც ცუდად ისწავლის, ჯოჯოხეთში!



ცოც-ქაში სეუმად მიღას და ვაიშივლს აფიხიხილებს: — ქეჯიანად იყავი, ნაცნობი გოგოები ახ მოიყვანო, მაცივარში ხომ კონიაკია, ახ დელიო, სანუხი მაგიდის უჯაში ხომ მანქანის გასაღებია, ახ აილო და მანქანა ახ დაქოქო! — სალამოს ბუნდებიან. — ახ გაჭია! — ბლავის ჯაცი, — ხოგოხც დაჯოჯუეთ, იხუე იხუ აგდია ჯომჭიუტეხთან!

— მიყვარხახ, — მთაგონებით ეუბნება მხატვარი მენაქუე ქალს. — შენ ყველა მენაქუეს ახე ეუბნები? — ეკითხება ქალი.

— ჯი, ახე ვუთხახი საზამთხოს, ჯომბოსტოს, ყუიქენს და ხახვს. შენ მეხუეთუ ხახ.

— გამარჯობა, ტატიკო, — სიხარულით ეგებებიან თანაკლასელები ერთმანეთს, — ძლივს გიცანი, ქალო, როგორ გასუქებულხარ! — მე კიდევ მაშინვე გიცანი, მეუთე კლასში რომ გეცვა, ისევ ის კაბა გაცვია.

აფთიაქში: — თქვენ ალბათ პრე-



კოვისრის ქუდი

სველმა სრეშმა ხმამალა გაიღრჭილა ფეხქვეშ. მამაკაცმა სწრაფად გადააბიჯა გაზონში, შეჩერდა, მიმოიხედა და კმაყოფილებით შენიშნა, რომ მის კვალს მალე წვიმა ნაშლიდა.

მან გზა გააგრძელა, თან ქურთუკის ჯიბეში მარჯვენა ხელი ჩაიყო და რევოლვერის ცივი მეტალი მოსინჯდა. მამაკაცი დაუბრკოლებლად მიუახლოვდა აგარაკს, რომლის ერთ-ერთი ფართო ფანჯარა ოდნავ ღია იყო. დარწმუნდა რა, რომ არავინ უთვალთვალებდა, ოდნავ გადაიხარა წინ.

ოთახში მყოფი ადამიანი მხოლოდ ბუნდოვნად ჩანდა. ის სანერ მაგიდაში ეძებდა რაღაცას. უფრო ფართოდ რომ გაეღო, გარეთ მყოფმა მამაკაცმა ოდნავ უბიძგა ფანჯარას. ამას შიგ მყოფის რეაქცია მოჰყვა — ის წელში გასწორდა და თავი ფანჯრისკენ შეაბრუნა.

გარეთამ აღარ დააყოვნა, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, დაუმიზნა და ესროლა. მიზანი ზუსტი იყო, ადამიანი შეტორტმანდა და უხმოდ ჩაიკეცა იატაკზე.

მკვლევი, ვალტერ მარანი, 40 წლის ექიმი იყო. ახლა ის ყვირთელი „ოპელის“ საჭესთან იჯდა და შინ ბრუნდებოდა. თითქოს შერცხვა კიდევ — განაჩენის აღსრულება სურდა, სინამდვილეში კი მარტივი, ამაზრზენი მკვლელობა გამოუვიდა. ცოლის სიძულვილით სახვე სახვე წარმოიდგინა, როცა ეტყოდა, რაც ჩაიღინა.

მარგიტ მარანი ფანჯარასთან იდგა და გზას მოუთმენლად გასცქეროდა. ის წასასვლელი იყო, რაც ვალტერმა მშვენივრად იცოდა.

არადა, ექიმი ვალდებული იყო, პაციენტს დახმარებოდა. მას უხვი კლიენტურაც სჭირდებოდა, რისი მიღწევაც საკმაოდ ძნელი გახლდათ: კურორტ ბერნეკის დამსვენებლები ხელახლა აქ იშვიათად ჩამოდიოდნენ, ადგილობრივები კი, როგორც წესი, მოხუც რიუბელანდს მიმართავდნენ. „ოსეზე „ოპელი“ გამოჩნდა და მარგიტმაც შევებით ამოისუნთქა. ის იყო, პალტო ჩაიცვა და სარკეს მიუახლოვდა, რომ კარი გაიღო და გამხდარი, ლოყებჩაცვენილი ვალტერი შემოვიდა.

- მადლობა ღმერთს, — თქვა ქალმა, — წასასვლელი ვარ.
- ბრუმერუსი მკვდარია, — ოდნავ გასაგონი ხმით თქვა ექიმმა.
- რა თქვი?
- ჰო, მკვდარია. მე ვესროლე.

მალტერსა და მარგიტს შვილები არ ჰყავდათ. ქმარი ძირითადად კლიენტურის გაფართოებით იყო დაკავებული, ცოლი კი საოჯახო საქმეებს უძღვებოდა, რაც მათი სამი-ოთხი შინამოსამსახურისათვის დავალებების მიცემასა და შესრულების თვალყურის დევნებაში მდგომარეობდა.

მარგიტი ქმარზე ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო. ასეთ მეუღლეს მეორე ნახევრის მხრიდან მეტი ყურადღება და აღერსი სჭირდებოდა, რაც მას ბოლო ხანებში ნამდვილად აკლდა. ვალტერი თუ მთელ დროს სამსახურს ანდომებდა, მარგიტს ახალ-ახალი რაღაცეების ყიდვა შეუყვარდა, რომლებიც მალევე ბუნდობლად და თავის დაქალებს ჩუქნიდა. ეს თითქოსდა უსარგებლო ქმედება რაღაცაში მაინც ამართლებდა: მათ სახლს სულ უფრო ხშირად სტუმრობდნენ გავლენიანი პაციენტები და ავტორიტეტული კოლეგები, რაც ვალტერის წინსვლას ხელს უწყობდა. მან იმპოზანტურ ბერნეკში კერძო კლინიკის გახსნაც კი გადაწყვიტა და ალბათ ასეც მოხდებოდა, ბრუმერუსი რომ არ გამოჩენილიყო...

დაახლოებით სამი წლის წინ ბაირეტიში ისინი რესტორან „ოქროს გირსაში“ შემთხვევით ერთ მაგიდასთან მოხვდნენ. თავიდან ეს ვალტერს არ ესაზიარდა, მაგრამ მერე ბრუმერუსის მანერებითა და მხიარული ანექლოტებით ისე მოიხიბლა, რომ დიდი ხნის მეგობრებით დაშორდნენ ერთმანეთს.

აქედან დაიწყო ყველაფერი: მარგიტს ბრუმერუსი შეუყვარდა, ამ უკანასკნელმა კი ამით მაშინვე ისარგებლა.

-მყვილია! ტყუილი! — აღმოხდა გაფითრებულ მარგიტ მარანს.

— არა, მარგიტ. მართლა მოვკალი.

მარგიტი ქმარს მიეჭრა და სილა გაანწა. კაცს სათვალე დაუვარდა, ქალი კი სასტუმრო ოთახში შევარდა, ტახტზე პალტოიანად დაეშო და მწარედ აქვითინდა.

მვიმა გაძლიერდა. ვალტერი ოთახში შევიდა და ტახტის კიდებზე ჩამოჯდა.

- მარგიტ, — დაიწყო საკმაო პაუზის შემდეგ, — შენ მას ვერ დაშორდებოდი და ამიტომ მოვკალი... რაკი ეს გავბედე, საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო.
- ღმერთო... კიდევ რას აბირებ? — ქალი ტახტზე წამოჯდა და შეშინებული მზერა მიაპყრო ქმარს.
- პოლიციაში დავრეკავ, — ყრუ ხმით მიუგო ვალტერმა.
- ვალტერ... შენ საშინელება ჩაიღინე... ადამიანის მოკვლა დიდი ცოდვაა.
- ვიცი, მარგიტ... მაგრამ ეს შენი გულსათვის გავაკეთე... არ მსურდა,

დამცირებული მენახე...
— ახლა, როცა ეს მოხდა... ველარაფერს შეცვლი... პოლიციაში გაცხადება გამოსავალი არ არის, უარესი კი შეიძლება მოხდეს...
— ცხედარს იქ ვერ დავტოვებ. თან არ მინდა, როგორც ვიღაცა მკვლელს...

- მკვლელი ხარ, აბა რა! — მიაძახა ცოლმა.
- ...ვიღაცა მკვლელს, სულ მეშინოდეს, ანუ დევნის მინამ შემიპყროს... მოკლედ, ვრეკავ, ოღონდ სად? ბაირეტი ჯობია თუ ნიურნბერგი? — მარანმა სატელეფონო ცნობარი აიღო და ფურცვლა დაუწყო.
- არ გინდა, რა! — შესძახა მარგიტმა, — რაც იყო, იყო! იმედია, არავინ დაგინახა. წლების მერე კი ეს ამბავი აღარავის ემახსოვრება.
- ვშიშობ, რომ შენს სურვილს ვერ შევასრულებ.
- ვალტერ, შენ თუ ციხეში ჩაგასვამენ, მე ხომ მარტო დავრჩები? ამაზე გიფიქრია?
- ჰო, მაგრამ...

სისხლის სამართლის პოლიციის კომისარი გროლი თავისი მასიური სხეულით ხის საფარქლიდან წამოდგა, პალტო ჩაიცვა, ფეტრის ქუდი დაიხურა, რომელსაც ხუმრობით სომბრეროს ეძახდა და გვერდითა ოთახში მყოფ ასისტენტ გრისბულს გასძახა:

- თქვენ არ მოდიხართ?
- მოვდივარ, მოვდივარ!
- ის იყო, ასისტენტი მაგიდას მოშორდა, რომ ტელეფონი აწკრივდა.
- გისმენთ, — ჩასძახა ყურმილში გრისბულმა, — მოიცა, ახლავე ჩავიწერ... მიკარნახეთ, თუ შეიძლება...
- რა მოხდა? — შეეკითხა კომისარი.
- თავად მკვლელმა დარეკა, კაცი მოვკალიო. თან მისამართიც მიკარნახა და დაამატა, გელოდებითო, — მოახსენა ასისტენტმა.
- ამგვარი რამ არ ხდება, — თავი გააქნია გროლმა, — ნალდად გვაპაშულებს ვიღაცა.
- ასეა თუ ისე, უნდა წავიდე.
- სად?
- ბერნეკში, ბატონო კომისარო. მკვლელი გველოდება.

მვიმამ გადაიღო და ატალახებული გზები დატოვა. ბერნეკამდე ათ კილომეტრში მათ დანჯღრეულ მანქანას შევსა „მერსედესმა“ გაუსწრო და საქარე მინას ტალახი შეაშხევა. გრისბულმა ხმადაბლა შეიგინა და მინის მწმენდავები ააშუშავა.

ბენზინგასამართს რომ მიუახლოვდნენ, იგივე „მერსედესი“ შენიშნეს, რომლის ღია კარში ვიღაცა გადანოლილიყო და რაღაცას ეძებდა.

- გრისბულმა დაასიგნალა.
- უცნობი მანქანას მოსცილდა, ახალმოსულებს გახედა და ისევ ძებნა განაგრძო. გროლს მისი ჟღალი თმა, ვინრო სახე და თხელი ტუჩები დაამახსოვრდა.
- გრისბული მანქანიდან გადავიდა და „მერსედესს“ მიუახლოვდა:
- რა ხდება?
- ფულს ეძებს, — დამცინავად ჩაერთო სადგურის მუშაკი.
- ამჯერად გროლმა დაასიგნალა.
- ცოტა ჩქარა! — უცნობის მისამართით ისროლა ასისტენტმა, — ბერნეკში გველოდებიან!
- ჟღალთმიანი წელში გაიმართა:
- მართლა? მეც იქ მივდივარ.

მრივე ჩუმად იყო, ქალაქში შესვლისას კი გროლმა თქვა:
— დოქტორ მარანის სახლი აქვეა. ჯერ მას მარტო მე დაველაპარაკებ, თქვენ კი უფრო შორს, ნაბლის ხეივანს გავლით, მოკვლელის აგარაკს მიადგებით. ადგილობრივი პოლიციის დახმარება კეთილ საქმეში ჩაგეთვლება.

მომისარი ზღურბლზე შეჩერდა. დიდ ოთახში, მარცხენა კუთხეში, მხოლოდ ტორშერი ენთო. სიგარეტის კვამლით გაბოლილ სივრცეში ორი მამაკაცი დალანდა. ერთ-ერთი მკვლელი უნდა ყოფილიყო, მეორე კი ის ჟღალთმიანი ტიპი იყო, ფულს რომ ეძებდა. გროლი სწრაფად მივიდა მათთან და მკაფიოდ თქვა:

— ბატონებო! როგორც ვხვდები, ერთ-ერთი თქვენგანი მკვლელია!
— ეს რა ხუმრობაა? — აბუზღუნდა ჟღალთმიანი, — ამ სახლში მკვლელები არ არიან!



გარაკმა, სადაც მკვლელობა მოხდა, თავი განახიხებულნი ფანჯრებით გასცა. ასისტენტმა მანქანა ჭირვართან დატოვა, პოლიციის მუშაკს პირადობის მონიშნა ნარეუდგინა და ხუმრობით შენიშნა:

— რეპორტიორი არ ვარ.
— აქ უკვე იყო ერთი ასეთი აბეზარი! ვერ ვხვდები, ყველაფერს ასე უცებ როგორ იცნოსავე!
— პროფესიული ჩვევაა, — მიუგო ასისტენტმა და სწრაფად მიაშურა სახლს.

პირველი, ვინც მას შეეგება, ინსპექტორი ბიფერლი იყო. მან ასისტენტს მაშინვე მოახსენა საქმის ვითარება.

მკვლელობა 19 და 20 საათებს შორის მოხდა საფეთქელში პირდაპირი გასროლით, ღია ფანჯრიდან, რასაც გარეთ აღმოჩენილი ნაფეხურები ადასტურებდა. მკვლელობის იარაღი ჯერ ნაპოვნი არ იყო.

— ბრუმერუსის შესახებ რა იცით? — დაინტერესდა გრისბული.

— თითქმის არაფერი. აქ იშვიათად იყო, გაურკვეველ დროს, თან თითქოს... ვიღაც ქალთან ერთად.

— ფრაუ მარანს ხომ არ გულისხმობთ?
— არა, არა, — მხრები აიჩეხა ბიფერლი, — ეს ჩვენ არ ვიცით!

— სახლს ვინ ულაგებდა?
— აქაურებიდან არავინ.
— იქნებ იგივე ფრაუ მარანსი?
— არა მგონია, — მიუგო ინსპექტორმა,

— როგორც ვიცი, დოქტორ მარანის მეუღლე თავის სახლსაც არ უვლის და დაქირავებულებს ხელმძღვანელობს.

— კარგით. ახლა მარანებს უნდა ვენვიო და ყველაფერი კომისარს მოვახსენო.

— დოქტორი მარანი შესანიშნავი ექიმი, — თქვა ბიფერლი, — მისი პაციენტი ვარ. ელენის ანთება მაქვს.

— ალბათ ამიტომ, პირველად თქვენ რომ დაგიჩვენათ და თავისი ნამოქმედარი შეგატყობინათ.

— დოქტორმა დამირეკა? — გაოცდა ბიფერლი, — არა, ეს არ მომხდარა.

— მართლა? — ამჯერად გრისბულის გაცხების ჯერი დადგა, — აბა, ვინ დაგიჩვენათ?

— არ ვიცი, — მიუგო ინსპექტორმა, — ალბათ იმან, ვინც გასროლის ხმა გაიგონა ან ყველაფერი დაინახა.

— მერე არ დააკავებთ?
— რანაირად? — ეწყინა ბიფერლის, — არც თავისი გვარი უთქვამს და არც ადგილსამყოფელი. ისე კი, ვის ხიბლავს შარში გახვევა, თუნდაც მონის როლში?

— არავის, — დაეთანხმა გრისბული, — კარგით, ახლა წავალ. კომისარი ალბათ მეღის.



ღალთმიანი ტიპი, იგივე ადვოკატი ზუკ მეტცენდორფერი, მარანის სკოლისდროინდელი ამხანაგი თუ სიყრმის მეგობარი იყო და დოქტორის ცოლს გამოეხებებინა ქმრის ნების საწინააღმდეგოდ. მან მარგიტისგან შეიტყო საქმის ვითარება და ახლა ვალტერის გამამართლებელი ფაქტების მოძიებას ცდილობდა.

— ათობით წელია, დოქტორ მარანს ვიცნობ, — განაცხადა მან, — ასეთი კულტურული, განათლებული, წარმატებული ადამიანი განზრახ მკვლელობას არ ჩაიდინდა. ბატონო კომისარო, მინდა გაითვალისწინოთ, რომ მკვლეელი ალბათ აფექტურ მდგომარეობაში იყო და ნორმალურად ვერ აზროვნებდა. მარანი იურისტი არ არის. მისმა ჩვენებებმა შეიძლება შეცდომაში შეგყვანონ.

— თქვენს აზრს ვიზიარებ და ვითხოვ, ექიმთან მარტო დამტოვოთ, — განაცხადა კომისარმა.

— ქალბატონო, — მიმართა ადვოკატმა მარგიტ მარანს, — ბატონი გროლი მართალს ბრძანებს.

და მათ ოთახი დატოვეს.

კომისარი დოქტორს მიუბრუნდა და, მიუხედავად მისდამი სიმპათიისა, სცადა, მკაცრი ყოფილიყო:

— და თქვენ დოქტორი გქვიათ? აღარ მიკვირს, როცა ერთ დროს, გერმანიაში, ექიმები პაციენტებს მავანთა დახმარებით კლავენდნენ!

— მართალი ხართ. ალბათ გავგიჟდი.

— ეს არგუმენტი ადვოკატმა მოგანოდათ? ამგვარი თქვენი დაცვის სქემა?

პასუხად მარანმა მხოლოდ ამოიკვნესა.
— კარგით, დავიწყოთ, — გროლის ხმა უფრო მშვიდი გახდა, —

მართალია, რომ ბრუმერუსი თავის აგარაკზე თქვენ მოკალით? ასე დიწყო დაკითხვა და დიდხანსაც გაგრძელდა.

— რეჟოლვერს რა უყავით? — ჰკითხა კომისარმა ბოლოს და მარანის გაშტერებულ მზერას რომ ნაწყყდა, დაამატა, — მჭირდება. ნივთიერი მტკიცებულება.

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, — თითქოს გაეღვიძა დოქტორს და ქურთუკის ჯიბეები მოიქექა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო, — თითქოს თან მქონდა და... არ ვიცი, სად გაქრა.

— იქნებ მანქანაში დაგრჩათ?
— ვნახოთ.

გავიდნენ და მალევე დაბრუნდნენ უკან, ოღონდ უშედეგოდ.

— ისე, საინტერესოა, რატომ დაგვირეკეთ? — შეეკითხა გროლი, — ადგილობრივ პოლიციას არ ენდობოდით? თქვენ ხომ მათაც დაურეკეთ.

— ღმერთო ჩემო, — მარანი გაოცებული ჩანდა, — მე მხოლოდ თქვენ დაგირეკეთ!

— მაშინ თქვენი მეუღლე იქნებოდა.

— არა, არა! აქედან მხოლოდ ორგანო დავრეკე, თქვენთან და ჩემს მეგობართან! — მარანმა შუბლზე მიიღო ხელი, — გამოდის, რომ... ეს საქმე ბიფერლის ხელში მოექცევა?

— ალბათ.

— ცუდი კაცია, ქალივით ჭორიკანა. ჩემთან მკურნალობს და კარგად ვიცნობ.

უცერად გარედან გაბმული სტვენა მოისმა.

— ჩემი ასისტენტი, — თქვა ბრახით გროლმა, ღია ფანჯარასთან მივიდა და გასახა, — თუ შეიძლება, ბატონ მეტცენდორფერს სთხოვეთ.

შემობრუნდა თუ არა, ჟღალთმიანი უკვე ოთახში დახვდა. გროლი მასთან მივიდა და მცირე პაუზის შემდეგ ხმადაბლა თქვა:

— ბატონო მეტცენდორფერ, თქვენ იცით, რომ შემქმნელი, დოქტორი მარანი ახლავს დამუხატებლობას, განზრახ მკვლელობა თუ შემთხვევითი, წესი ერთია!

მაგრამ, გავცანი რა საქმის გარემოებებს, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ამ მომენტისათვის მისი მიმალვის საშიშროება არ არსებობს, რაკი თქვენც იძლევიტ გარანტიას, რომ ხვალ დილით დოქტორი მარანი ჩვენს განკარგულებაში იქნება.

— ამის გარანტიას გაძლევთ! — მაშინვე მიუგო ადვოკატმა.

— შესანიშნავია! — თქვა გროლმა, — მამსადაამე, პასუხისმგებლობას თქვენ იღებთ, — ის მკვეთრი მოძრაობით შეტრიალდა, გასასვლელს მიაშურა და მოულოდნელად თქვა, — კეთილად ბრძანდებოდით!

როცა ის პალტოს იცვამდა და თავის სომბრეროს იხურავდა, გარედან ისევ მოისმა გაბმული სტვენა და გაბრაზებულმა გროლმა სწრაფად დატოვა იქაურობა.

ლაქმ დაბრმავა, მაგრამ მალე მიეჩვია, მანქანასთან მივიდა, შიგ მოკალათდა და თქვა:

— აბა, რა ხდება, ასისტენტო?
— გვამი არც ისე შეუხედავია, — მიუგო გრისბულმა, — მაგრამ ექიმის არ მშურს. მას ხომ მისი გაცვეთა მოუწევს.

— ჩვენ ყველას ჩვენ-ჩვენი საქმეები გვაქვს, — ფილოსოფიურად შენიშნა კომისარმა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა ასისტენტი და მანქანა დაძრა.



სასტუმროს ლამის პორტიე ორივეს თავაზიანად შეეგება. მან მათგან ორი ერთადგილიანი ნომრის შეკვეთა მიიღო, ბლანკეტიც გააფორმა და აუხსნა კიდევ, როგორ მიეგნოთ ნომრებისათვის.

გროლი უკვე თავისი ნომრის შუაში იდგა თვალბრახული, როცა უკნიდან რალაცა ფაჩუნი შემოესმა და სწრაფად შეტრიალდა.

ეს გრისბული იყო. მან ნომრების შემაერთებელ კარზე მითითა და სიცილით თქვა:

— ნამდვილი სასიყვარულო დუბლექსია, კომისარო! აქ ჩადენილ დანაშაულთან პოლიციაც კი უძლური იქნება!

გროლმა თავი გააქნია:

— თავი დაშანებეთ, გისბულ! ძალიან დავილაღე და დასვენება მჭირდება!

— რალაცა უნდა მკითხა, — დასერიოზულდა ასისტენტი, — გითხრათ თუ არა მარანმა, ბიფერლისთვის რომ არ დაურეკავს?

— ვთქვით, მითხრა. მერე რა? ვიღაცამ ყველაფერი დაინახა და ეს პოლიციას აცნობა, მოწმედ გამოსვლა კი არ სურს. ეს ხომ ბევრს არ საიამოვნებს!

— სრული ჭეშმარიტებაა, — თქვა გრისბულმა, — სხვათა შორის, ბიფერლიც ასე თვლის.

— თქვენ რა, მაგ ტიპს მადარებთ? — წარბები აზიდა კომისარმა.

— არა, მაგრამ... — გრისბულმა თავის ნომერში გასასვლელ კარს მიაშურა, — იქნებ ამაზე ერთხელ კიდევ გეფიქრათ და თავში რამე ახალი მოგესლოდათ? მე ნამდვილად არაფერი მომდის. იმის შიში კი მაქვს, რომ ხვალ სიურპრიზები გვეღის! ლამე მშვიდობისა!

გაბრძნობა ზიზღა ნომერიში

✓ თარგანა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი



ნეტავ, რას ვერჩი ამ სიმღერას ან ამ გადასარევე კაცს? შეხედავ, კარგ ხასიათზე გაყენებს, გელიმება, მოუსმენ:

— ვოუუ! — როგორც ახლა იტყვიან და — აუუ! — როგორც ადრე იტყოდნენ. ლამისაა სიმღერაც შევიძულო და კაციც.

ლუი არმსტრონგზე ვამბობ და მის სიმღერაზე „What a wonderful world“.

ადრე, ცუდ განწყობაზე როცა ვიყავი ხოლმე, ვრთავდი და ვუსმენდი და ვუსმენდი. დაიწყებდა ლუი, ჩაახვევდა თავისი გაბზარულ-გამორჩეული ხმით და ავეყვებოდი ჩემი, ქალისთვის შეუფერებელი, ბოხი ხმით:

„...What a wonderful world“.

ერთგვარი აუტოტრენინგი იყო, მშველოდა, სხვათა შორის. მახსოვს, ვთარგმნე კიდევ ტექსტი და ხანდახან ქართულადაც ნაწილობრივ ვამბობ:

მე ვხედავ მწვანე ხეებს, ვხედავ წითელ ვარდებს, ვხედავ ჩვენთვის გაბრწყინებულს, და ვფიქრობ ჩემთვის, რა კარგია სამყაროო...

ეს ისე, ჩემთვის ვთარგმნე, თორემ რომელი მთარგმნელი ან ინგლისურის მცოდნე მე ვარ. ვუსმენდი და მართლა „რა კარგია სამყარო“ ხასიათზე ვდგებოდი. განა ამისთვის საკმარისი არ იყო ეს სიმშვიდით სავსე მგლოდია, ლუის ხმის ტემბრი და მარტივად ლამაზი და შინაარსიანი სიტყვები?

იყო, კი, ბატონო, მაგრამ ერთხელ ხომ ყველა ცდება და მეც შეეცდი. კონკრეტულ შეცდომაზე ვამბობ, სხვა შეცდომების ჩამოთვლა შორს წამიყვანს და გადაამკარგავს, არც მინდა გახსენება. მართალია, ეს ბევრი არაფერი შეცდომაა, მაგრამ მაინც...

მოკლედ, ეს ჩემი ლუის სიმღერა მობილურში მალვიძარას ზარად დავიყენე, ვიფიქრე, მშვიდად გამაღვიძებს, კარგ განწყობას შემიქმნის დილიდან-მეთქი და, აჰა, რა კარგი ხასიათი, რის „What a wonderful world“... ყოველ დილას ლამის გინებით ვდგები და მობილურთან მივალსასებ გამოსართავად. მობილური სანოლიდან შორს, კომოდზე მიდევს. თავთან რამდენჯერაც დავიდე, იმდენჯერ გამოვრთე და ძილი გავაგრძელე. არადა ადრე ადგომა მჭირდება, ერთ სერიოზულ პროექტში ვარ ჩართული და ბევრი სამუშაო მაქვს, თანაც ტოროლა ვარ, ადრე თუ არ ავდექი, მერე მთელი დღე დაშლილ სათამაშოსავით აზრი ცალკე მიგორავს, გონება ცალკე.

„არა, დღესვე შეეცვლი ამ ზარს!“ — გავიფიქრე, როცა ძილში ლუის ხმა ჩამესმა, ჩამესმა კი არა, ეკალივით ჩამერჭო ტვინში. მართალია, ზარის შეცვლა ჩემს სავალდებულო უთენია ადგომას ვერაფერს უშველის, მაგრამ საყვარელ სიმღერას შეძლებისგან გადაამჩინებს. ძლივს ავდექი და ხმას გავყევი. ვიარე, ვიარე, ცხრა მთა და ცხრა ზღვა არ გადამივილია, ოთახში ვიბოდილა თითქმის ისევე მძინარემ და ხმამ კარადასთან მიმიყვანა.

— აქ რა მინდა? — გავიფიქრე, კარადა გამოვალე და პიჯაკის ცისფრად გამონათებული ჯიბე დავინახე.

— ან მობილურს რაღა უნდა პიჯაკში? — უფრო მეტად გამიკვირდა.

ნეტავ, რა იყო გასაკვირი, ეგეთები მომსვლია? ბუზღუნით გამოვრთე მალვიძარა, ბუზღუნითვე შევედი აბაზანაში, მოვწესრიგე და მერე ყავა შემოვდგი გაჩქურაზე.

ქალური ინტერვიუ

ლელა
სუსურიძა

ყავის გარეშე ვერ ვაზროვნებ, არაფერი სჯობს დილის თურქულ ყავას, რომელსაც ლებტოპის ჩართვა და წერილების გახსნა მოჰყვება პაკეტით.

ყავა თვალდახუჭულმა მოვსვი, ააჰ, რა კარგია! და დავუარე ყველაფერს, სადაც შეიძლებოდა ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილები მენახა. მეილი ბოლოს გავხსენი, გამეხსნა თავიდანვე, ვინ მიშლიდა? წერილი იყო, თანაც რა შინაარსით, უჰ-ოჰ!

„მოგესალმებით და გაცნობებთ, რომ ჩვენი მომავალი შეხვედრა გაიმართება სასტუმრო „კობეში“, შაბათს, თერთმეტი საათიდან 18 საათამდე.

ინფორმაცია სასტუმროს შესახებ მითითებულია თანდართულ ბმულზე.

გთხოვთ, წერილის მიღება დამიდასტუროთ.

პატივისცემით, ელზა“.

აი, ეს მესმის! სწრაფად გამოვფხიზლდი.

„გიდასტურებთ და გმადლობთ, სასიამოვნო ინფორმაციაა.

პატივისცემით, ქეთევანი“, — ვუბახუხე მაშინვე და მოცემულ ბმულზე შევვარდი. იქ კი დამხვდა: ეს რა სასტუმრო, რა მშვენიერი, რა ნომრები, რა საკონფერენციო დარბაზი, რა ტერასები, რა ეზო, რა ინტერიერი!..

მართლაც რომ „What a wonderful world“ — ავლილინდი და სულ დამავიწყდა, ცოტა ხნის წინ ამ სიმღერამ როგორ წამომავლო ფეხზე ნახევრად მძინარე.

რას ნიშნავს კარგი ინფორმაციის მიღება, სხეული ჩიტები ამიჭიკჭიკენენ, ძალა მომეცა ისეთი, სამ ოთახს კი არა, ამ წუთას ცხრა ოთახს დავალაგებდი. წამოვდექი კიდევ შემართებით, მაგრამ მერე ისევ დავჯექი. მორჩენილ საქმეს მივხედე, შაბათისთვის მისატან მასალას თვალს გადავავლე, რამე რომ არ გამპარკოდა, ისედაც მიყვარს ყველაფრის მოწესრიგება, თან ახლა ამას სიამოვნებით ვაკეთებ, შემოქმედებითი და საინტერესო სამუშაოა.

— მიდი, რა, ყავა მომიდულე, — თავზე დამადგა ლაშა და მონიტორს შეხედა.

სასტუმროს ბმული სწრაფად ჩაკვეცი, ცოტა ეჭვიანია და სულაც არ მინდა, სასტუმრო ვუხსენო, თუნდაც იქ სამსახურის გამო მიწვევდეს მთელი დღით ყოველი. ოფისში მივდივარ და მორჩა, რა საჭიროა დანერვილანება?

მაგიტომაც არ მივეყვები! როგორც კი ეჭვიანობის შეტევა მოუვლის, მაშინვე მშვიდად ვისტუმრებ სახლიდან და სინდისი სულაც არ მქენჯნის. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, იქნებ თავადაც აწყობს ასე? აბა, რას მიდი-მოდის, ან სულ წავიდე, ან სულ დარჩეს. არა, არა, სულ რომ წავიდე,

გავგიჟდები! სულ რომ დარჩეს, მგონი, მაშინაც გავგიჟდები. მოკლედ, ისევე ასე მირჩევნია. მოაწყოს ხანდახან სცენები, დიდი ამბავი, სასიამოვნოც კია, როცა შენზე ეჭვიანობენ. მოვიგონე ზღაპარივით გახალსურებული გამოთქმა იმის თაობაზე, რომ რაც უფრო მეტად ეჭვიანობს, ესე იგი უფრო მეტად უყვარხარ. სინამდვილეში ასეთი სისულელის სრულიადაც არ მჯერა.

— ლაშასგან დამკვირვებია, ასეთი თანამედროვე აზროვნების და ეჭვიანი? — უკვირს ხოლმე ეკოს ყოველთვის, როცა კი ლაშას მორიგი შეტევის შესახებ ველაქვამქები.

— აბა, აბა, ევროპულად მოაზროვნე კაცი, ერთი შეხედვით და აზიელი, ორი შეხედვით. ეჭვიანი არა, ის, — ვბასუხობ მერე უდარდელად, ნუ, ვითომ უდარდელად, — როცა აქ არაა, მაშინ რატომ არ ეჭვიანობს? უბრალოდ ხანდახან ერეკება. მგონი, ყველა კაცი ასეა, არა?

— რა ვიცი მე, — აღშფოთებით მიყურებს ეკო.

ეკო იმდენი ხნის წინ იყო გათხოვილი, აღარც ახსოვს, საერთოდ ქმარი ჰყავდა თუ არა. კაცის ანუ ბოიფრენდის ყოლაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ვინ გაუბედავს?! დახვდება ხმლით და ისტერიკით. პოდა, მიზის ეგეც სახლში. როცა ლაშა არაა, მაშინ ხომ სულ აღარ დგამს ფეხს გარეთ.

აი, დიდი პარადოქსია ჩემი და ეკოს მეგობრობა. ის ზედმეტად კონსერვატორია, მე ლაითი ვარ, სიგარეტით. რა ვიცი, კარგად კი ვენწყობით ერთმანეთს და თანაც უკვე იმდენი წელია, რა მახსოვს.

— ოცდაათი, — მახსენებს ეკო.

— ოჰ, მოინდომა ამანაც, მაგ დროს საერთოდ თუ ვარსებობდით?

— ჩემთან მაინც ნუ დაიტანჯავ თავს ასაკის მოტყუებით, — გამოცდელად მიყურებს.

გწომდები, რა უნდა ვუთხრა? ეკო ლაშას დედა ხომ არაა, მოვატყუო? ლაშას დედა ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ტრადიციული ქალია. ჯერ ის ვერ მოუწვდებია ბოლომდე, რომ მისი ერთადერთი შვილი ჩემთან დადის თუ ცხოვრობს და ახლა იმის გაგებაც, რომ უფროსი ვარ, ნამდვილად არ ესიათვინება. მეც ვიტყუები, ვამბობ, რომ... ნუ, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლის ვარ? სულაც არ მეტყობა ასაკი.

— ქეთ, ყავა მინდა, — ისევ გამომძახა ამასობაში ლაშამ.

მართალია, წერილის მიღების შემდეგ ცხრა ოთახის დალაგების ძალა მომეცა, მაგრამ ყავის მოდულება მაინც დამეზარა. იძულებით მოვადულე.

— შაბათისთვის გუჩოსთან ვართ აგარაკზე დაპატიჟებული, — მითხრა ლაშამ, ყავა რომ დალია, — შანსი არაა, არ წავიდე, დილიდანვე გველოდება.

— შაბათს ტრენინგი მაქვს, იქაც შანსი არაა, რომ არ წავიდე, — წამოვძახე.

— რა ტრენინგი? — გაბრაზდა ლაშა, — ადამიანმა დავგვაპატიჟა განსაკუთრებულად, დილიდან საღამომდე.

— და რატომ დავგვაპატიჟა განსაკუთრებულად? — შევუბრუნე კითხვა.

— რაღაც საქმეს ვინწევთ ერთად და ძალიან მნიშვნელოვანია, ცოლთან ერთად მივიდე, გუჩოს ოჯახობაც იქ იქნება.

ისე თქვა, თითქოს მართლა ცოლქმარი ვიყო. თუმცა, ერთი, ხელი არ გვაქვს



მონერილი და ჯვარი დაწერილი, თორემ ფაქტობრივად, სკუპ და, ნახევარი ნახტომი გვაშორებს ცოლქმრობამდე.

— იქნებ მარტო წახვიდე, რა, — ვთხოვო ლაშას.

სიამოვნებით წაყვებოდი სხვა დროს, მაგრამ ახლა ტრენინგზე წასვლა მირჩევნია, სულაც არ მინდა გაცდენა და ფარული საყვედური. თან წესიერ, კომფორტულ, საქმიან გარემოში ყოფნა მირჩევნია და არა გუჩოსთან, სადაც კაცები დასხდებიან, თავიანთ საქმეებზე ილაპარაკებენ განცალკევებით, მერე მოიდგამენ ჭიქებს: „აბა, შენ იცი, ძმაო, ჩვენს საქმეს გაუმარჯოს...“ ქალები კი უნდა მოვემსახუროთ, დაღლილები მივეუსხედეთ სუფრას და ა.შ.

— არა, გმადლობთ, ჩემს საქმეს მივხედო, მირჩევნია, — გამოვუცხადე ლაშას და ისევ ლებტოპს მივუბრუნდი.

ვერ გავიგე, მაინც რა ეტაკა ამ ბიჭს, რა ბზიკმა, ფუტკარმა და კელამ უკბინა. თანდათან დაიქოქა, გამახსენა ყველა უარი, რაც მანამდე მითქვამს (ნეტავ როგორ დაიმახსოვრა?); აღმოაჩინა, რომ თურმე არ მიყვარს ისე, როგორც საჭიროა (მაინც როგორ უნდა მიყვარდეს?); რომ მარტო საკუთარ თავზე ვფიქრობ (და რატომ არ უნდა ვფიქრობდე?); რომ მე ალბათ სხვა მიყვარს და ტრენინგზე კი არა, იმ სხვასთან ვაპირებ წასვლას (სულ გარეკა, ხომ იცი?); რომ ამდენი ხანია, დედამისსაც კი არ დავლაპარაკებია ვისიერად (ეს საერთოდ რაღა შუაშია?); რომ ასეთ მნიშვნელოვან დღეს მის გვერდით უნდა ვიყო (ნეტავ რა ისეთი მნიშვნელოვანი დღეა?)...

მოკლედ, მივყევით და სერიოზული კამათი მოგვივიდა.

კამათი ვის არ მოსვლია ოჯახშიო, მეტყობა ეკო, ეს რომ მეთქვა, მაგრამ ოჯახი სხვაა და ჩემი და ლაშას ურთიერთობა — სხვა. რაღაც ოჯახის მსგავსი, კი, ბატონო, მაგრამ არა — ოჯახი. ჰოდა, მშვიდი სინდისით მივუთითე კარისკენ, სად მქონდა მაგისი ნერვები? სიმართლე რომ ვთქვა, არც თავად ჩამოუხევია ჩემთვის კალთები, არიქა, ფეხსაც არ გავადგამ, ეს როგორ მოგვივიდაო.

„ძალიანაც კარგი, წავიდა და წავიდეს, ისედაც ბევრი საქმე მაქვს და მარტო ყოფნა ჩემთვის შეუბაა“, — ვფიქრობდი იმ დღეს. მეორე დღესაც იმავეს ვფიქრობდი. მესამე დღესაც, მაგრამ აი, ამ მესამე დღის საღამოდან, ცოტა არ იყოს, ავფორიაქდი, მერე უფრო და უფრო და შაბათს მალევიარამ რომ გამაღვიძა, უკვე შევატყე ჩემს თავს, რომ აჭრილი ვიყავი. ჩაგრეთ ჩემი საყვარელი, შეძლებას გადარჩენილი სიმღერა და მეც აყვევი:

— „What a wonderful world“... — თანაც არა ლილინით, არამედ თითქმის ბოლო ხმაზე, რომ დამეჯერებინა სამყაროს მშვენიერება, თორემ უკვე ეჭვი მეპარებოდა ამაში და საკუთარ თავს გამოვუტყდი, — კარგი, ჰო, მიყვარს.

ამან თითქოს შევბოძა მომგვარა. წარმოვიდგინე, როგორ გაახარებდა ლაშას ეს სიტყვები და გადავწყვიტე, როგორც კი ტრენინგი დამთავრდებოდა, ან გუჩოს აგარაკზე ავსულიყავი და თავზე დავდგომოდი მოულოდნელად, ან... მოკლედ, რაღაცას ვიზამდი. მართლა სადაა ასე გადასადგები ბიჭი! მეორე წელია ერთად ვართ, თითქმის ცოლ-ქმარი, ბოლოს და ბოლოს.

სასტუმრო იმაზე უკეთესი გამოდგა,

ვიდრე ფოტოებზე ჩანდა. აუზით, დახვეწილი დიზაინით, სინყნარით, სისუფთავით, მწვანე მცენარეებით, კედლებზე გემოვნებით შერჩეული ფარდაგებებით და ტილოებით, ჰოლში მოფუსფუსე უცხოელებით...

— მაგარი სასტუმროა, არა? არც მეგონა, თბილისში ასეთი კერძო სასტუმროები თუ იყო, — მითხრა დათომ. ისიც პროექტის მონაწილე იყო, გზაში გადავეყარეთ ერთმანეთს.

— არ მითხრა, — დავთანხმე მაშინვე, — თან რამხელაა, ქვედა სართულები ნახე, რა, — ჩავიხედე კიბის უჯრედიდან. ეს სართულები ფასადის მხრიდან არც ჩანდა.

— მოიცა, ვიკითხავ, სადაა საკონფერენციო დარბაზი, თორემ მოგვიწევს ხეტი-ალი აღმა-დაღმა, — მითხრა დათომ და ადმინისტრატორისკენ წავიდა.

ისე, ყოჩაღ ამათ, სტუმრებიც ჰყავთ. ქვევით ალბათ ნომრებია. ინტერესით გადავინეო კიბის მოაჯირზე და ლამის ჩავვარდი. მარტო იმიტომ არა, რომ გადავინეო, ვილაც დამეჯახა უკნიდან. გალიმებული მოვტრიალდი, ახლა უცხოელს დაბღვერილ და გაბრაზებულ სახეს ხომ არ ვაჩვენებ, ქარ-



თველი ვარ ბოლოს და ბოლოს, სტუმარმასპინძლობის წესი სისხლში მაქვს გამჯდარი. თანაც ეს უცხოელები ისე გაგილიმებენ, ისეთი შეწუხებული სახით მოიხდიან ბოდიშს, რომ უხეშად ვერაფერს ეტყვი.

— ქეთა? — უცხოელის მაგივრად ლაშა შემჩნა ხელში, — შენ აქ რა გინდა?

— აა... არაფერი, რა უნდა მინდოდეს?

— ისე დავიბენი, თითქოს ტრენინგზე კი არა, რომელიმე უცხოელთან ვიყავი მოსული პაემანზე.

ჰმ, რა მშვენიერი დღეა! მთა მთას არ შეხვდება, თორემ ქეთა და ლაშა კიო.

— მოიცა, თავად რა გინდა აქ? — კვითხე, — გუჩოსთან არ უნდა ასულიყავი?

— გადაიდო, — მითხრა მოკლედ.

შემომხედა და მომეჩვენა, რომ რაღაც ისე ვერ იყო. ახლა ვუთხრა, რომ ტრენინგი აქ მაქვს თუ ვაეჭვიანო? ვუთხრა თუ ვაეჭვიანო? ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ დაიწყო ტვინმა ფიქრი.

— აქ რა გინდა-მეთქი? — გამიმეორა.

ჰოჰოო, ხანდახან რა კარგია ასეთი ლაშას ნახვა და იმ გახალხურებული სისუფთავის დაჯერება „თუ ეჭვიანობს, ესე იგი უყვარხარ“.

— ქვევით ყოფილა, მარჯვნივ, — მოგვიახლოვდა ამასობაში დათო, — გამარჯობა, — ლაშას მიესალმა მერე.

სულაც არ ვაპირებდი რაიმე ფანდების დაგებას, ღმერთმა ხომ იცის, რომ

დილას იმასაც კი ვფიქრობდი, ვეტყვი, მიყვარხარ-მეთქი, მაგრამ ასეთი კარგი ინტრიგით სახვე სიტუაცია...

— ჰოდა, წავიდეთ, ძვირფასო, — დათოს შევლიმე, თითქმის ჩავეკარი და ამაყად დავეშვი კიბებზე.

სიმართლე რომ ვთქვა, ვერც მივხვდი, რატომ გავაკეთე ეს. მახსოვს ცალკე დათოს გაოცებული სახე ჩემს სიტყვებზე, კაცი საერთოდ წესიერად არც მიცნობდა და უცებ ბრახ — „ძვირფასო“, თბილი მზერა და ლამის ჩახუტება...

ლაშას გამოხედვა ხომ საერთოდ!

ეჭვით გახელებული და შეურაცხყოფილი მამაკაცის კლასიკური ნიმუში: „აა, ოფისში ხარ, არა, ტრენინგზე? აა, არავინ გყავს, არა, სხვა? აა, სასტუმროში დადიხარ, გოგონი?“ და ამ გამოხედვას ვინ ჩივის, ტკაც! ახლაც მახსოვს სილის გემო, მწარე, მლაშე, ცხარე...

როგორ გამიბედა მაგ ლაწირაკმა! მაგრამ ფაქტია, რომ გამიბედა. თანაც ამ ყველაფერს რა მოჰყვა გარნირივით, აღარ მინდა გახსენება, შევრცხვი იმ სერიოზულ და წესიერ ხალხთან, პროექტის მონაწილეებს ვგულისხმობ, თორემ გაკვირვებული უცხოელები და სასტუმროს დაცვა, გარეთ რომ გამოგვიყვანეს ვითომ ზრდილობიანად ლაშაც და მეც, რა მოსატანია.

— ეგაც შენი „What a wonderful world“, — ეკოს ვუთხარი.

მაშინვე მოვარდა, როგორც კი დავურეკე და ვუთხარი, გამოდი რა, მეგობარო, შენი თავი მჭირდება, ცოტა თანადგომა, ცოტა გულის მოხება, გამოდი რა, პატარა ბიჭი დამეკარგა, წითელპერანგა-მეთქი...

დამეკარგა რა, იქნებ არც დაკარგულა, ჯერ ერთი სრულყოფილი დღეც არ გასულა ამ ამბიდან.

— კი მაგრამ, თავად რა უნდოდა იმ სასტუმროში? — მკითხა გაკვირვებულმა ეკომ, — ვისთან მივიდა? იქნებ თავდასხმა თავდაცვის საუკეთესო საშუალება?

ჰმ, თავი მომაქვს, რა მაგარი ქალი ვარ-მეთქი და ეს კითხვა აქამდე არ მომაფიქრდა. კი ვკითხე ლაშას დანახვისთანავე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

არადა მართლა რა უნდოდა?! ვისთან ერთად ბრძანდებოდა?! გამორჩდება, როცა იქნება და მაგას მაინც ვკითხავ, ისე რა მომასვენებს. მერე იკითხოს ბიჭმა!..



გახვრეტილი ქვა

მაია პლიაკა
დასაწყისი
№4



მოლოდნელობისგან მეტყველების უნარი დავკარგე. ლევანმა თითქოს ჩემი ფიქრები წაიკითხაო. შევეცადე, თავი ხელში ამეყვანა, რომ ლევანს არაფერი შეემჩნია და ვუთხარი:

— არსად, სახლში დავბრუნდი. ასე ჯობდა.
— ვითომ?
— მაშინ ასე ჯობდა.
— ახლა როგორ გგონია?
— ახლა მაგაზე არ ვფიქრობ და უკვე დიდი ხანია მაგ თემაზე საერთოდ არც მიფიქრია.
— მე კიდევ ძალიან ბევრჯერ მიფიქრია და პასუხს ვერ ვპოულობდი. თეო, რომ იცოდე, რამდენჯერ გამხსენებია ამ ოცი წლის განმავლობაში, რამდენჯერ მიფიქრია იმ დღეებზე, ერთად რომ გავატარეთ, რამდენჯერ მომხატრებია და იმ დროის უკან დაბრუნება მდომებია. რომ იცოდე, რამდენი გექმებ. შენმა მეგობრებმა შენი მისამართი არ მითხრეს. თეოს რომ სდომებოდა, დაგიტოვებდა და რაკი ასე გადაწყვიტა, ჩვენც ვერ მოგცემო. ისეთი გაბრაზებული ვიყავი მათზე, რომ მზად ვიყავი, მომეკლა. ჩემს თავზეც ძალიან ვბრაზობდი, რატომ არ გავკვიდე, რატომ არ შევაჩერე-მეთქი. სასწრაფოდ თბილისში წამოვედი, ქუჩებში დავდიოდი და ხალხში შენ გექმებდი. იმ უბანში კორპუსებთან დავხეტიალობდი, სადაც, ჩემი აზრით, შენ უნდა გეცხოვრა. ორისამი წელი საფხულოებით ყოველ ჩამოსვლაზე იმ ადგილას მივდიოდი, სადაც თქვენ ისვენებდით, მერე იმედიც გადამეწურა. მივხვდი, შენ რომ გდომებოდა, ჩემთან იქნებოდი. ალბათ სწორედ შენი წასვლით მითხარი მთავარი სათქმელი — ჩვენ ერთად ვერ ვიქნებითო.

სხვა რა გზა მქონდა, გავაგრძელე ცხოვრება. დავოჯახდი, საქმე დავიწყე. რამდენჯერაც საქართველოში ჩამოვდიოდი, იმდენჯერ მახსენდებოდი და ყველგან შენ გექმებდი, მაგრამ შენს კვალს ვერსად მივაგენი...

— არ გვინდა წარსულზე ლაპარაკი. მომიყვი, ახლა როგორ ცხოვრობ, რას საქმიანობ. ოჯახი როგორ გყავს? — ჩავერთე საუბარში.

— ჩვეულებრივად, არაფერი განსაკუთრებული. ყოველი დღე ერთმანეთს ჰკავს, როგორც ჯაჭვში რგოლები. ამასობაში გავიდა წლები და ახლა ხომ ხედავ, შენ წინ გამელოტებული, მოსუქებული და ჭალარაშერეული ლევანი ზის, რომელიც ძალიან დაიღალა ცხოვრებისგან... მაგრამ ამ წუთას ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან შენ გვერდით ვზივარ, შენ გაყურებ და შენ გელაპარაკები.

თავში უამრავი აზრი მიტრიალებდა, მაგრამ პასუხის გასაცემად სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე. არადა ჭკვიანი ქალი მერქვა და ენაკვიმატობითაც გამოვიჩნეოდი. თითქოს დავმუწვდი.

— როდის მიფრინავ? — ვკითხე ლევანს, რადგან სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და გაჩუმებაც აღარ იქნებოდა.

— დილით, 6 საათზე.

— დილის 6 საათამდე კაფეში ხომ არ იჯდები? წასასვლელი გაქვს სადმე?

ლევანმა შემომხედა და მიპასუხა:

— არ დავიკარგები, რამეს მოვახერხებ. მეგობარი მყავს აქ, თუ არა და აეროპორტშიც შემიძლია დალოდება. შენ არ ინერვიულო, ტვირთად არ დაგანვები.

მივხვდი, რომ გული ვატკინე.

— არა, რატომ? მაგიტომ არ მიკითხავს. პრინციპში, ჩემთანაც შეგიძლია დარჩე გაფრენამდე. მანქანით ვარ. თუ გშია, ვივასშოთ, რადგან სახლში საქმელი არ მაქვს და ჩემთან წამოდი, — სხაპასხუპით მივყარე სიტყვები და მერე გავაცნობიერე, რა ვთქვი. ლევანმა შემომხედა და მზერა გამისწორა.

— ხომ გაგიგონია, სტუმარი ღვთისააო! — დავამატე სასწრაფოდ.

— მერე ჩემი სტუმრობა შენ უხერხულობას არ შეგიქმნის?

— რატომ უნდა შემიქმნას? ჩემთან უამრავი ადამიანი მოდის სტუმრად: მშობლები, მეგობრები, სტუდენტები, კოლეგები.

— და მეც ერთ-ერთი მორიგი და რიგითი სტუმარი ვიქნები?

— ნუ, ახლა მთლად რიგითი და მორიგი — არა. შენ განსაკუთრებული სტუმარი ხარ, რადგან ოც წელიწადში ერთხელ გხედავ და ალბათ ამ სტუმრობის შემდეგ კიდევ ოცი წელი ვერ განახავ, — ვცადე ხუმრობა და სიტუაციის განსამუხტავად გავიციე.

— გასაგებია, თუ ასეა, სიამოვნებით წამოვალ. მართლაც და,

ოც წელიწადში ერთხელ რიგითი და მორიგი, თანაც იშვიათი სტუმრის მიღება და გამასპინძლება შენთვის რა პრობლემაა, როცა თურმე ყოველდღე უამრავ სტუმარს იღებ.

— ნამდვილად ასეა, თუმცა ეს უამრავი ადამიანი ყველა ახლობელია. უცხო არავინ მოდის ჩემთან.

— გამოდის, რომ მე უცხო ვარ და განსაკუთრებული.

— არა, არც შენ ხარ უცხო. თუმცა, რა ვიცი, შეიძლება უცხოც ხარ და ამავე დროს ყველაზე ახლობელიც, — ვთქვი და უხერხულად გავიღიმე.

გულში ჩემს თავზე საშინლად ვბრაზობდი და თან თავს ვიპართლებდი: „რა მემართება? რა სისულელეებს ვამბობ? ან ამ კაცს რას ვერჩი ან ჩემს თავს? ვინმე მექაჩებოდა ენაზე, სახლში რომ დავპატიჟე? ნუთუ მინდოდა და იმიტომ დავპატიჟე? რა მინდოდა? არა, არა, კი არ მინდოდა, უბრალოდ უხერხულად ვირძენი თავი. აბა, აეროპორტში ხომ არ გავაგდედი მართლა? წასულიყო მერე, რა ჩემი საქმე იყო! ალბათ სხვა დროსაც გაუთენებია ღამე აეროპორტში... ესე იგი მდომებია და მაგიტომაც დავპატიჟე. მოკლედ, ახლა კეთილი ინებე და მიხედე სტუმარს“...

მიმტანს ანგარიში გაუწსწორეთ და კაფე დავტოვეთ. მანქანაში ჩავსხვიდით და გეზი ჩემი სახლისკენ ავიღე.

— როგორც ვიცი, ეს უბანი თბილისში პრესტიჟულად ითვლება, არა? — მკითხა ლევანმა.

— კი, ასეა. მაგრამ უბნის პრესტიჟულობის გამო არ ვცხოვრობ აქ. ჯერ ერთი, მიყვარს ეს დასახლება და მეორეც, ყველაფერი ახლოსაა ჩემს სახლთან — ქალაქის ცენტრი, სამსახური, ჩემი მეგობრებიც ძირითადად აქ ცხოვრობენ, ამიტომაც შევიძინე აქ ბინა და თავს კარგად ვგრძობა.

ჩემს საცხოვრებელ კორპუსთან მივედი და მანქანა სადარბაზოსთან გავაჩერე. გადმოვედი. ლევანმა საბარგულიდან ჩანთა აიღო. კორპუსის წინ სკამზე ჩამომსხდარ მეზობლებს მივესალმე და ორივენი სადარბაზოში შევედი.

— შენმა მეზობლებმა შეგეთავალიერეს.

— არ დაიჯერო და არც ინერვიულო. ეგენი მიჩვეულები არიან ჩემთან სხვადასხვა სტუმარს. აი, მაგალითად, წინა კვირაში გერმანელი პროფესორი მყავდა სტუმრად, ერთი თვის წინ — პოლონელი. ასე რომ, მათ არც ჩანთიანი მამაკაცი უკვირთ ჩემთან და, მით უმეტეს, აღარც სტუმარი დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

— გასაგებია.

— მოვედით, — ჩანთიდან ბინის გასაღები ამოვიღე, კარი გავაღე, გვერდით გავინიე და ლევანს გზა დავუთმე, — კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს ბინაში.

— ბინაში თუ ოჯახში? — მკითხა და შემოსასვლელში შეაბიჯა.

— ზუსტადაც ბინაში, აბა, ოჯახში მე ვარ მარტო, ანუ ოჯახი მე ვარ მხოლოდ, — ვთქვი და მეც თან შევეყვი.

სინათლე ავანთე და ლევანს მისაღებ ოთახში შევუძეხი. ოთახში ერთ კედელზე ჩემი პორტრეტი კიდია. ეს პორტრეტი ამ რამდენიმე წლის წინ ერთმა მხატვარმა დახატა, რომელიც მეგობართან სუფრაზე გავიცანი. მხატვარი ცოტა დაქენული ტიპი იყო. მაშინვე გადაამეკიდა, უნდა დაგხატო. ბევრჯერ ვიუარე, მაგრამ ბოლოს ჩემი მეგობრის ხათრით დავთანხმდი და რამდენჯერმე მომიწია მის სახელოსნოში პოზირება. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ გუგა, ასე ერქვა მხატვარს, სურათს არ მაჩვენებდა. მუშაობის დამთავრების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ჩემი პორტრეტი ოცი წლის თეოს განასახიერებდა, ოღონდაც თმის ფერშეცვლილ თეოს. პორტრეტზე სწორედ ასე ახალგაზრდულად გამოვიყურებოდი. მაშინ გაცოცხლები ვუყურებდი გუგას ქმნილებას ანუ ჩემს პორტრეტს და ავტორს ვკითხე:

— მე ახლა ასეთი ვარ?

პასუხიც შესაბამისი მივიღე:

— მე ასე გხედავ. კი, ასეთი ხარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

ოთახის შუაში გაჩხერილი ლევანი სურათს უყურებდა. მერე მომიტრიალდა და მკითხა:

— ვინ დაგხატა? რა მაგარია. როგორ გგავს. ზუსტად ასეთი მახსოვდი. ზუსტად ასეთი იყავი ოცი წლის წინ. უბრალოდ აქ თმის ფერი გაქვს ახლადღელი.



— რა ოცი წლის წინ, ეს სურათი სულ რაღაც 2-3 წლის წინ დახატა ერთმა შეფენცილმა მხატვარმა.

— მაგარი სურათია. როგორ ზუსტად გამოიხატა, როგორი იყავი ოცი წლის წინ.

— გამოიხატა არა, იხვი. უბრალოდ გამოუვიდა.

— არა, გამოიხატა, მაგრამ მთავარი და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ შენი ხასიათი აქვს დაჭერილი. შეხედე თვალებს, შენს თვალებში ეშმაკუნები დარბიან. ყოჩაღ, ოსტატო!

ლოჯიაში გავედით და ლევანი ჩემს საყვარელ სავარძელში ჩაჯდა. მე მაგიდასთან სკამზე მოკვალათი და საუბრის დაწყება ვცადე:

— აბა, ახლა დაწვრილებით მომიყვი, როგორ ცხოვრობ, რას საქმიანობ.

— მოსაყოლი ბევრი არაფერია. ვცხოვრობ, როგორც ყველა. ბევრს ვმუშაობ და უკვე ცოტას ვერთობი. ეტყობა, ასაკი თავისას შვრება. აღარც სურვილი მაქვს გარეთ ყილის და აღარც თავი. ჩემი ფირმა მაქვს და სამშენებლო ბიზნესით ვარ დაკავებული. მგონი, არც ისე წარუმატებლად. ყოველ შემთხვევაში, ჩემს ოჯახს იქაც და აქაც უზრუნველყოფ.

— კარგია, — ვთქვი და მიხვდი, რომ რაღაც მშრალად და ცივად გამოიხვიდა. მაშინვე დავამატე, — კარგია, რომ საქმე ანწყვე უცხო ქვეყანაში, თუმცა ასე მგონია, უცხო ქვეყანა ახლა შენთვის საქართველო უფროა, რადგან იშვითად ჩამოდიხარ.

— ხო, მართალია, ხში-

რად ვერ ვახერხებ ჩამოსვლას, მაგრამ უცხო ნამდვილად არ არის. აქ რომ ჩამოვდივარ, წასვლა აღარ მინდა ხოლმე. უდროობის გამო ჯერ ჩამოსვლა მიჭირს და მერე წასვლა. ჩემი მშობლებიც დაბერდნენ და სულ მეხვეწებიან, ხშირად ვინახულო... ისე, სიამოვნებით დავბრუნდებოდი სულ და უკვე ვფიქრობ კიდევ ამაზე სერიოზულად. მინდა, ჩემი ბიზნესი აქ გადმოვიტანო და ახლა აქაურ ბაზარს ვსწავლობ. სწორედ ამ მიზნით ვიყავი ჩამოსული.

— მერე ცოლ-შვილი თანახმაა საქართველოში ემიგრაციაზე?

— იცი, რა, შვილები

დიდები არიან. ერთი უკვე სტუდენტია და თანაც დანიამი სწავლობს. იქაური მეგობარი გოგონა ჰყავს და, სავარაუდოდ, იქ აპირებს დარჩენას. მეორე წელს ამთავრებს სკოლას და ისიც უცხოეთში აპირებს სწავლას, შვედეთში უნდა. საერთოდ, ლიტვამი ბავშვებიც სკოლას რომ ამთავრებენ, თავად ირჩევენ მომავალს. ჩემი შვილებიც ასე არიან. სამწუხაროდ, გარემომ ძალიან იქონია მათზე გავლენა და ისინი ლიტველები ანუ ევროპელები უფრო არიან, ვიდრე ქართველები. მართალია, ზაფხულობით კი ჩამოდიოდნენ აქ ხანდახან, მაგრამ ეს საემარისი არ აღმოჩნდა, რომ მათ ქართული მენტალიტეტი ჰქონოდათ. ასე რომ, მათ თავიანთი გემები და ცხოვრება აქეთ. ისე, ბედის ირონიაა ალბათ, მეც ასე მოვექციე ჩემს მშობლებს და კანონზომიერია, რომ იგივე მივიღე.

— რას იზამ, ყველას თავისი გასაღველი ცხოვრება აქვს. შვილები გასაგებია, მაგრამ შენი ცოლი თუა თანახმა?

ვკითხე და თან ჩემს თავს გავუბრაზდი: „რას გადავვიციდე ამ ცოლით? რა ჩემი პრობლემაა, მოჰყვება თუ არა? ხომ შეიძლება იფიქროს, რომ ვკვდები ცნობისმოყვარეობით და მისი ცოლის შესახებ ინფორმაცია მაინტერესებს“.

— ხოლო... ცოლი განსაკუთრებული თემაა, — თქვა ლევანმა და ცოტა ხანი გაჩუმდა.

გადავწყვიტე, აღარ ჩაჰვიტობდი ამ თემას და უხერხულობისგან თავის დასაღწევად ჩაი შევთავაზე.

— მოდი, ტელევიზორს ჩაერთავ და სანამ მე ჩაის მოვაშობად, შენ ცოტა გაერთე.

სკამიდან წამოდგომას ვაპირებდი, რომ უცებ ლევანმა ლაპარაკი ისე გააგრძელა, თითქოს არც შეუწყვეტიაო:

— პრინციპში, ჩემთვის სულ ერთია, თანახმაა თუ არა. უკვე ხუთი წელია ერთად აღარ ვცხოვრობთ. მასაც თავისი ცხოვრება აქვს. სიმართლე გითხრა, დიდად არ განმიცდია ჩვენი დაშორება. საერთოდ მგონია, რომ ასეც უნდა მომხდარიყო. სულ მქონდა

განცდა, რომ ადრე თუ გვიან ერთმანეთს დავშორდებოდი. არაა ცუდი ადამიანი, მაგრამ ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. ორივე ვცდილობდით ოჯახის შეკონინებას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ აზრი აღარ მქონდა ასე გაგრძელებას. როგორც კი ერთ ნაპრალს ამოვაგვებდით, მაშინვე მეორე ჩნდებოდა და საერთოდაც ჩვენ შორის არ იყო ის მთავარი, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

ლევანს ვუსმენდი და საჭირო სიტყვების მოძებნას ვცდილობდი.

— სამწუხაროა, რომ ასე დამთავრდა შენი ქორწინება, მაგრამ ცხოვრება ხომ არ დასრულდება. ჯერ კიდევ ახალგაზრდა და თანაც წარმატებული კაცი ხარ. მთელი ცხოვრება წინა გაქვს. რა იცი, რა ხდება?

— ხო, მეც ასე ვფიქრობ. შენც ხომ მარტო ხარ. რატომ?

— რა ვიცი, აბა. ჩემი ქორწინება წარუმატებელი გამოდგა. ჩვენ ძალიან მალე დავშორდით ერთმანეთს და თანაც ჩემი გადაწყვეტილებით.

— და მაინც, რა იყო დაშორების მიზეზი?

— ისევე, როგორც შენს შემთხვევაში, ბევრი რამ, მაგრამ ძირითადად ხასიათის შეუთავსებლობა. ჩვენც ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. ხო, მართლა, შენ ხომ ჩაის დაგპირდი, პირობას კი შესრულება უნდა, — ვთქვი, რადგან შემემუნდა, კიდევ რამე არ ეკითხა ლევანს.



სასწრაფოდ წამოვდექი და სამზარეულოში ჩაის მოსამზადებლად გავედი. ელექტროჩაიდან ჩაერთე, კარადიდან ჭიქები, შაქარი, პური გამოვიღე და სამზარეულოს მაგიდაზე დავაწყვე. მაცივარში შევიხედე, რომ ჩემი სურსათის მარაგი დამეთვალყურებინა და გადაამენჯვითა, რა შემთავაზებინა სტუმრისთვის. ყველი, ძხვი და კარაქი გამოვიღე და ბუტერბროდების გაკეთება გადავწყვიტე. ვგრძობდი, რომ რაღაცნაირად დაძაბული ვიყავი და მიზეზის პოვნას ვცდილობდი: „რატომ ვიძაბები? უნდა დავმშვიდდე. ვიცი, რომ სწორედ ამ მამაკაცის გამო, ახლა ჩემს

ლოჯიაში რომ ზის, დავანგრეე ოჯახი. ვიცი, რომ სწორედ ამ მამაკაცთან გატარებული ერთი ღამე გახდა ის მიზეზი, რომელიც ვერაფრით დავივიწყე და რომელმაც ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა...“

იმ ზაფხულს, როცა ეს საბედისწერო ნაბიჯი გადავდგი, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი შეიცვალა. ჩემს ქმარს, ზურას, გაუჟვირდა ზღვიდან ჩემი მოულოდნელი და თანაც მეგობრების გარეშე დაბრუნება. მას ეგონა, რომ მეგობრებთან კონფლიქტი მომივიდა და რამდენჯერმე გამომელაპარაკა, მაგრამ მე პასუხს არ ვცემდი. ტახტზე ვინქი და ჭერში ვიყურებოდი. მერე მიხვდა, რომ ჯობდა, ზედმეტი კითხვებით არ შევეწუხებინე. მითხრა, რომ თავის მშობლებთან მიდიოდა და მალე დაბრუნდებოდა. მთელი დღე ტახტზე წამოწოლილმა გავატარე და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: როგორ მოვექცეულიყავი? მეთქვა თუ არა ჩემი ქმრისთვის, რაც ჩავიდინე? თუ ვეტყვი, ეს ნიშნავდა, რომ ბარგი უნდა ჩამელაგებინა და მშობლებთან დავბრუნებულიყავი, რადგან ზურა არაფრით მაპატიებდა. თუ დავუმალავდი, გამიჭირდებოდა დარჩენილი ცხოვრების ტყუილში გატარება და არც ზურა იმსახურებდა ამას. სინანულის და დანაშაულის გრძნობა საერთოდ არ მანუხებდა. და მიხვდი, რომ ზურას უნდა დავშორებოდი, თანაც ისე, რომ მისთვის ტკივილი არ მიმეყენებინა. ამიტომ გადავწყვიტე, სიმართლე არ მეთქვა, მაგრამ ოჯახი დამენგრა.

სალამოს, როცა ჩემი ქმარი შინ დაბრუნდა, მე ისევე ტახტზე მიწოლილი დავხვდი. ზურამ შემომხედა, გვერდით მომიჯდა და მითხრა:

— ეტყობა, რაღაც ძალიან სერიოზული რამ მოხდა. არ გინდა, მითხრა? იქნებ რამეში შემიძლია დახმარება გაგინიო.

— ხო, ზურა! ძალიან სერიოზული რამ ხდება. მე მივიღივარ, ჩვენი ოჯახი უნდა დაინგრეს.

ზურას სახეზე მიტკლისფერი დედაო. ცოტახანს →70



ჩუმად იყო. ეტყობოდა, რომ მოსმენილ ინფორმაციას ხარშავდა. მერე ხელი მომკიდა და საოცრად მშვიდი ტონით მკითხა:

— მიზეზი უნდა მითხრა, რატომ მიდიხარ. რატომ უნდა დაინტერესდები ჩვენი ოჯახი? სა მოხდა? პასუხები მჭირდება.

დღესაც არ ვიცი, რად იმოვია ძალა, რომ ასეთი თავშეკავებული ყოფილიყო. შემდეგში, როცა მე თავად ბევრჯერ აღმოვჩნდი ისეთ სიტუაციაში, რომ თავის შეკავება და სიმშვიდის შენარჩუნება წარმოუდგენლად მომჩვენებია, ყოველთვის ზურას საქციელი მას-სენდებოდა. შეიძლება ითქვას, ჩემმა ყოფილმა ქმარმა თავისი სიმშვიდითა და თავშეკავებულობით კარგი გაკვეთილი ჩამიტარა.

— მიზეზი არსებობს, მაგრამ ვერ გეტყვი. ასე ჯობს ჩვენთვის, — ვთქვი თითქმის ჩურჩულით.

— უნდა მითხრა, ისე არ გამოვა არაფერი, — თავისას არ იშლიდა ზურა.

— დამერწმუნე, მართლაც მიზეზი. უბრალოდ, მინდა გითხრა, რომ შენ არაფერ შუაში ხარ. მიზეზი ჩემშია.

— მაინც მაინტერესებს.

— ზურა, გთხოვ, რა, ნუ მაიძულებ ამის თქმას. დამიჯერე, ჩემი ნასვლა ჯობია.

კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ, მაგრამ მე ჯიუტად ვიმეორებდი ერთსა და იმავეს. საბედნიეროდ, ჩვენი საუბარი ჩხუბში არ გადაზრდილა, რაც ისევ და ისევ ზურას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ბოლოს მითხრა:

— მე მაქვს ჩემი მოსახრება, თუ რატომ მიდიხარ, მაგრამ არ გაკადრებ, გითხრა ის, რასაც ვფიქრობ. თუ მართლა ასეა, მაშინ შენი ნასვლა ნამდვილად ჯობია. ახლა ჯერი შენზეა. თუ ასეა, რაც ადრე ნახვალ, უკეთესია. მე დღეს ჩემებთან დავრჩები და შენ გადაწყვიტე, როგორ მოიქცევი. თუ ხვალ აქ დამხვდები, ვიფიქრებ, რომ ვცდებოდი ჩემს მოსახრებებში და ბოდიშსაც მოგიხდით. თუ ნასული დამხვდები, გამოდის, რომ მართალი ვყოფილვარ და მართლაც უნდა დავემორ-დეთ, — თქვა ზურამ და ოთახიდან გავიდა.

მალე კარის დაკეტვის ხმაც მომესმა. ტახტიდან ავდექი და ჩემი ნივთების შეგროვება დავიწყე. დღემდე გული მენურება, როცა ზურას სახე მახსენდება. დღემდე ვერ ვპატიობ ჩემს თავს, რომ გული საშინლად ვატყინე. დღემდე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ზურა ჩემგან ასეთ საქციელს არ იმსახურებდა. ერთადერთი, რითაც თავს დღემდე ვიმშვიდებ, ისაა, რომ ზურა არ მომიტყუებია. იმედი მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს დრო ამ ტკივილსაც მოუშუშებდა. მალე ჩვენი ბინა დავტოვე. უკან არც ერთხელ მომიხედავს. მივდიოდი და ვხვდებოდი, რომ იმ წუთიდან ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო. რა მელოდა? როგორ წარმოემდგინა ჩემი მომავალი? როგორ უნდა გამემგრებინა ჩემი ცხოვრება? სამწუხაროდ, პასუხები არ მქონდა. ჩვენი მშობლების, ნათესავების, ახლობელ-მეგობრების გასაკვირად, არც მე და არც ზურას არასდროს განმარტება არ მიგვიცია ჩვენი ოჯახის დანგრევის შესაძლო მიზეზის შესახებ. იყო ბევრი ჭორი, მითქმა-მოთქმა, შერიგების მცდელობა, მაგრამ ჩვენ ჯიუტად ვდუმდით და არც ერთმანეთს ვლანძღავდით, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, როცა ოჯახი ინგრევა.

მას მერე ბევრი წელი იქნა და ახლაც მიფიქრია, რომ არა ლევანთან გატარებული ის ღამე, ნეტავ როგორ წარმართებოდა ჩემი ცხოვრება? ალბათ ვიცხოვრებდით მე და ჩემი ქმარი ისევ ერთად, გვეყოლებოდა შვილები, გვექნებოდა უამრავი პრობლემა, რომელთა გადაჭრასაც მოვანდომებდით მთელ ჩვენს მატერიალურ თუ სულიერ რესურსს. არ ვიცი, ვიქნებოდი თუ არა ბედნიერი, მაგრამ, სავარაუდოდ, ასე განვითარდებოდა მოვლენები. და, რაც მთავარია, ახლა ლევანი არ იჯდებოდა ჩემს ლოჯიაში და არც მე ვიქნებოდი დაკავებული მისთვის ჩაის მომზადებით.

დრომ მართლაც ბევრი რამ შეცვალა. ჩემდა სასიხარულოდ, ზურამაც ააწყო თავისი ცხოვრება. რამდენიმე წლის შემდეგ ხელმეორედ იქორწინა. ძალიან კარგი ოჯახი ჰყავს: მშვენიერი მეუღლე და კიდევ უფრო მშვენიერი ორი გოგონა. მეც ვეცადე ჩემი ცხოვრების აწყობას, ეს უკვე ისედაც იცით: ვინ ვარ და არც ვსაქმიანობ. რაც შეეხება პირადს, იმ დღის შემდეგ, რაც ზურასგან წამოვედი, ჩემს ცხოვრებაში სხვა მამაკაცის ადგილი აღარ აღმოჩნდა. მამაკაცების მხრიდან ჩემთან ურთიერთობის დაწყების ყველა მცდელობა კრახით მთავრდებოდა და ამაში მთავარი დამნაშავე ისევ მე ვიყავი. როცა ერთ მშვენიერ დღეს თვითნაღიზი ჩავიტარე, მივხვდი, რომ ჩემი თავისთვის განაჩენი

თვითონ გამომიტანია. ეტყობა, ქვეცნობიერად ისე მტანჯავდა დანაშაულის გრძნობა, რომ თვითგვემისთვის გავწირე სხეული და სული.

ახლა კი, როცა ჩემს სამზარეულოში ლევანისთვის ჩაის ვამზადებდი, უცერად ერთმა აზრმა გამიელვა: „იქნებ იმიტომ ვიყავი ამდენი წელი მართო, რომ ლევანს ველოდებოდი? იქნებ იმიტომაც არ ამეწყო პირადი ცხოვრება, რომ ამდენი წლის შემდეგ ისევ მას უნდა შევხვედროდი?“

უცებ თითქოს გონება გამინათდა და დილით უჯრების დალაგებისას ნაპოვნი გახვრეტილი ქვა და ჩურჩულით ქვისთვის გამხელები სურვილი გამახსენდა. ნუთუ ეს შესაძლებელია?! არა, რა სისულელეა! უბრალოდ დამთხვევაა... და რატომ ვითომ დამთხვევა? აბა, რა არის? ასეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში ხდება. არადა ფაქტს ხომ ვერსად გავექცევი! გავითვალისწინე რა ლალიკოს სიტყვები, გასართობად ჩავუთქვი გახვრეტილ ქვას სურვილი. მერედა ამიხდა? ეს კაცი ხომ სულ რამდენიმე საათითაა აქ ჩემთან სტუმრად. დალევს ჩაის, ცოტას კიდევ ვისაუბრებთ, მერე ტაქსის გამოვიძახებ და წავა. გავაფრინე ალბათ. თავიდან უნდა მოვიშორო ეს აზრები.

გარინდებული ვიდექი სამზარეულოში. ჩაიდანში წყალი უკვე აღუღებულყო, მე კიდევ არც შემიმჩნევია. უცებ ლოჯიიდან ლევანის ხმა მომესმა:

— რას შერები, თეო? ახლა ხომ არ კრეფ ჩაის? მოხმარება ხომ არ გინდა?

— არა, არა, წყალი უკვე აღუღდა. აი, ბუტერბრედებს ვაკეთებ და ორ წუთში გამოვალ, — სასწრაფოდ გავეცი პასუხი.

ჩაი დავასხი. პურზე კარაქს ვუსვამდი, როცა ვიგრძენი, რომ ლევანის მკლავებში აღმოვჩნდი. გულში მაგრად ჩამიხუტა და ჩამჩურჩულა:

— როგორ მენატრებოდი, თეო!

ხმა არ ამომიღია. არც თავი ამიწევია. ტანში ისეთმა ყრუანტილმა დამიარა, რომ მივხვდი, ფეხქვეშ იატაკი მეცლებოდა.

— მენატრებოდი! სულ შენზე ვფიქრობდი. ვოცნებობდი! შენი სხეულის და თმის სურნელი ვერ დავივიწყე დღემდე, — ლევანმა ყურთან მაკოცა.

ვერც კი მივხვდი, როგორ ავტირდი. ცრემლები ღაპაღუპით მცვიოდა და თან ლევანს ვეხუტებოდი. ისე მაგრად ვეხუტებოდი, რომ მეგონა, გავსრესდი. თავი ღამაზ სიხმარში მეგონა და თითქოს მეშინოდა, უცებ არ გამოვლიძებოდა. ჩემდა უნებურად ღაპარაკი დავიწყე:

— მეც მენატრებოდი, თანაც ისე საშინლად, რომ ამაზე ფიქრიც კი ავუტკრძალე ჩემს თავს. რამდენი წელი გავიდა, მაგრამ მხოლოდ შენ გელოდებოდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ, ეტყობა, მჯეროდა, რომ ოდესმე ისევ აუცილებლად გადაიკვეთებოდა ჩვენი გზები. ამ მოლოდინში გავიდა ცხოვრება. იცი, რამდენი რამის მოყოლა მინდა? არ ვიცი, როგორ მოვასწრებ, მაგრამ შევეცდები. სულ მენატრებოდი! სულ მიყვარდი! არა, მიყვარდი კი არა, მიყვარხარ... ძალიან, ძალიან...

— გაჩუმდი, თეო! მოასწრებ! დამიჯერე, მოასწრებ!

— მჯერა.

— იმედია, შენი სახლიდან არსად გაიქცევი, — გაიცინა ლევანმა.

— არა, არა, სად უნდა გავიქცე? ბედისწერის გჯერა?

— ისე რა.

— იმის, რომ გახვრეტილ ქვას სურვილების ასრულება შეუძლია?

— მაგის კი.

— ჰოდა ჩათვალე, რომ ამისრულდა. ოდესმე აუცილებლად გიამბობ ამ ზღაპარს.

იმ ღამეს ლევანი ჩემთან დარჩა. იმ ღამესაც და მომდევნო ღამეებსაც. ახლა ერთად ვცხოვრობთ. ხანდახან ისეთი ბედნიერი ვარ, რომ მეშინია... საღამოობით ვუყურებ ლევანს და ვგრძნობ, სიყვარულისგან და ბედნიერებისგან მზით როგორ ივსება ჩემი სული და სხეული. აღარც წარსული მაინტერესებს და აღარც მომავალი. ჩემთვის მხოლოდ დღევანდელი დღეა მთავარი.

ხო, მართლა, კინალამ დამაფიქნა. მას მერე კვირა და დასვენების დღეები შემეყვარა, რადგან სწორედ ამ დღეებში ვართ ყველაზე მეტ ხანს ერთად.

დაბოლოს, ჩემი გახვრეტილი ქვა უჯრიდან ამოვიღე, ჩარჩოში ჩავსვი და ახლა ჩვენს მისაღებ ოთახში, ჩემი პორტრეტის გვერდით საპატიო ადგილი უკავია.

დასასრული



გამოგზავნეთ
ოქმბათიდან.
sms-ის გამოგზავნის
ბოლო ვადაა მათი,
2 თებერვალი
17 საათი.

გავიციან ქალს შეხვედრებისთვის

1. ვარ 37/195/80, სიმპათიური მამაკაცი. გავიციან 40 წლამდე მალა და არამსუქან, სიმპათიურ ქალს. 599283161. იკა
2. ვარ 40 წლის მამაკაცი, სიმპათიური, მალა, კარგი გარეგნობის, ფინანსურად უზრუნველყოფილი. შეხვედრებისთვის გავიციან 35 წლამდე ქალს. 558215690
3. გავიციან მხიარულ 28 წლის გოგოს, ლამაზს, სოფელს. ვარ 29 წლის ლამაზი მამაკაცი, ცვხოვრობ სოფელში. 599425980
4. ვარ ქუთაისელი, ცოლიანი ბიჭი. ფარული შეხვედრებისთვის გავიციან ქმრიან ან განათხოვ ქალს. 555199301
5. ვარ 32 წლის, თბილისელი, სერიოზული, სიმპათიური ბიჭი, 187/75. ლამაზი ურთიერთობისთვის გავიციან თბილისში მცხოვრებ გოგოს, დავებმარები ყველანაირად. 599135053. ნიკა
6. გავიციან ნებისმიერი ასაკის ქალს სამეგობროდ. ვარ ერთგული და მოსიყვარული. 551163163. მათე
7. გავიციან 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, დასავლეთიდან. ვარ 33 წლის სანდო პირი. 593461898
8. გავიციან 25-დან 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 551008803. გიო
9. გავიციან 25-დან 35 წლამდე თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის დასაქმებული ბიჭი. 551202570. იკა
10. გავიციან ლამაზ ქალს. ვარ 24 წლის, 175 სმ სიმაღლის, სპორტსმენი, შავგვრემანი, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი. 557529886
11. შეხვედრებისთვის გავიციან 32 წლამდე ლამაზ ქალს. სასურველია იყოს დაოჯახებული. 551193393
12. სამეგობროდ გავიციან გოგოს. 558284451
13. შეხვედრებისთვის გავიციან 20-დან 35 წლამდე ლამაზ, არამსუქან გოგონას. ვარ 30 წლის თბილისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. 555718831
14. ვარ 37 წლის მამაკაცი, ფინანსურად უზრუნველყოფილი, მაქვს სტაბილური შემოსავალი. გავიციან ლამაზ, მიმზიდველ გოგონას. 551590585. დემეტრე
15. გავიციან თბილისელ, გათხოვილ 35 წლამდე ქალს. ვარ სპორტული აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი. 593050806. ლაშა
16. ვარ 31 წლის სიმპათიური მამაკაცი. გავიციან ქალს შეხვედრებისთვის. 555148894
17. ვარ 25 წლის თბილისელი, უცოლო, დასაქმებული მამაკაცი. გავიციან 40 ქალს სამეგობროდ. 598436278. გიო
18. ვარ 30 წლის, დასაოჯახებელი, სიმპათიური, ერთგული ვაჟკაცი. გავიციან 50 წლამდე დასაქმებულ, ლამაზ ქალს სამეგობროდ. 555565822
19. ვარ 50 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიციან სასიამოვნო გარეგნობის ქალს. 599396286
20. ვარ ფინანსურად უზრუნველყოფილი, მყავს მანქანა. სამეგობროდ გავიციან გამხდარ 40 წლამდე ქალს. 558124525. დათო
21. გავიციან სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის ქალს. ვარ 32 წლის. 598870337
22. სამეგობროდ გავიციან თბილისელ ქალს. ვარ 29 წლის. 557240429
23. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიციან 35/185, სერიოზულ ქალს. ვარ სიმპათიური მამაკაცი, ბინით და ფინანსურად უზრუნველყოფილი. 555116860
24. სამეგობროდ გავიციან 60 წლამდე ქალს, ფინანსურად და ფიზიკურად ძლიერს, ვინც დამასაქმებს. ვარ 35 წლის ფიზიკურად და სულიერად ძლიერი მამაკაცი. 568191839
25. შეხვედრებისთვის გავიციან 35 წლამდე ქალს. 555139520. ზურა
26. სამეგობროდ გავიციან თავისუფალ, სერიოზულ ქალს. 555917751
27. გავიციან ლამაზ და პატიოსან გოგოს ლამაზი ურთიერთობისთვის. ვარ 28 წლის ბიჭი, სამსახურით უზრუნველყოფილი, მყავს მანქანა. 558478696. გიო 777
28. გავიციან ბათუმელ ან აჭარაში მცხოვრებ 22 წლამდე გოგოს. ვარ ბათუმელი, 22 წლის სიმპათიური, დასაქმებული ბიჭი. 555220882

29. ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ და შეხვედრებისთვის გავიციან 25 წლამდე გოგოს. ვარ 28 წლის თბილისელი ბიჭი. 599413601. გოჩა
30. სამეგობროდ გავიციან ლამაზ ქალს. ვარ 29 წლის, ქუთაისელი. 555182214
31. ვარ 30 წლის თბილისელი, უცოლო მამაკაცი. გავიციან 25-35 წლამდე თბილისში მცხოვრებ გათხოვილ ქალს სამეგობროდ. სასურველია იყოს ცოტა პუტკუნა. 557758816. ნიკა
32. სამეგობროდ გავიციან 35 წლამდე ქალს, ვარ 34 წლის მამაკაცი. 598554757
33. ვარ 37 წლის თბილისელი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. შეხვედრებისთვის გავიციან თბილისელ ქალს. 5934589667
34. გავიციან 25-30 წლამდე ჭიათურელ ან საჩხერელ ქალს. ვმუშაობ დაცვის პოლიციაში. 598822639. დათო
35. სამეგობროდ გავიციან თბილისში მცხოვრებ 20-დან 30 წლამდე გოგოს. ვარ 28/175/75. 598853298. გოგა
36. ვარ თბილისელი, სიმპათიური, მყავს მანქანა. გავიციან სასიამოვნო გარეგნობის გოგოს შეხვედრებისთვის. სკაიპი: ვეფქ-პმუტსფვჭუ. 593135572. დათო
37. ვარ 29 წლის თბილისელი ბიჭი. გამოემხაუროს ისეთი გოგო, ვისაც სურს საუბარი ნებისმიერ თემაზე. 598912970

გავიციან ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან პატიოსან გოგოს. ვარ 34 წლის. 599109033
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან თბილისელ, განათხოვარ, პატიოსან ქალს 30-35 წლამდე. ვარ 42 წლის, მაქვს კარგი სამსახური, ცოლი არ მყოფია. 598606057
3. ვარ 29 წლის ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან თბილისელ, დედისერთა ან მარტონელა 20-დან 32 წლამდე გოგოს. 599192305
4. ვარ თბილისელი, 28 წლის, გამორებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ გოგოს. 557659040
5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 40 წლამდე გოგოს, ვარ 43 წლის. 598604078
6. გავიციან 25-44 წლამდე ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. 599540551
7. ვარ 40 წლის უცოლო მამაკაცი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან ქუთაისელ, ქალიშვილ, 32 წლამდე გოგოს. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი. 557527483
8. ვარ 29 წლის სიმპათიური ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 30 წლამდე პატიოსან გოგოს. 557429196

გავიციან მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. მსურს შევქმნა ოჯახი დაგვიანებით. ვარ 55 წლის, ცვხოვრობ ვარკეთილში. გავიციან თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს. 599465497
